

đ m ũ ã õ ã

ପ୍ରାଚୀନ ଶ୍ରଦ୍ଧନାଳି

ଶ୍ରୀଲଙ୍କାନ୍ତିର୍ଦ୍ଦେଶ ଶ୍ରୀତାମରମ୍ପୁଣ୍ଡି

Nº VII

08 Feb 1906

Cony

ଓঁ পুনর্লক্ষণ

“我必须去见你，妈妈。我必须见你。我必须见你。我必须见你。”

1905

Дозволено цензурою. 31 Августъ, 1905 г. Тифлисъ.

დანაშაული და სასჯელი

(რომანი)

აქვთ ნაწილად თ. მ. დოსტოევსკისა

ნაზილი მითხვა *)

I

„ნუ-თუ ისევ სიზმარია?“ გაიფიქრა ერთხელ კიდევა. ფრთხილად და უნდობლად ათვალიერებდა მოულოდნელს სტუმარსა.

— სვიდრიგაილოვი? სისულელეა! შეუძლებელია! — ჩაი-ლაპარაკა ბოლოს გაოცებულმა ხმა-მაღლა.

მაგრამ სტუმარს არ გაჰკვირვებია.

— ორის მიზეზისა გამო შემოგიარეთ: ჯერ ერთი, მინ-დოდა გამეცანით, რადგანაც, დიდი ხანია, ბევრი რამ მესმის თქვენ შესახებ საყურადღებო და საქებური; მეორე, ვვოცნე-ბობ, რომ უარს არმეტყვით და დამეხმარებით ერთს საქმეში, რომელიც თქვენს დას, ავდოტია რომანოვნას, შეეხება. მარ-ტოდ მე, იქნება, ახლოც არ მიმიკაროს, — აზრი აქვს ისეთი ჩემ შესახებ შედგენილი, — თქვენის დახმარებით-კა შეილება მოხერხდეს როგორმე...

— ტყუილადგიფიქრიათ, — გააწყვეტინა რასკოლნიკოვმა.

— გუშინ უნდა ჩამოსულიყვნენ, არა?

არ უპასუხა რასკოლნიკოვმა.

*) იბ. „მოამბე“ № VI. 1905 წ.

— დიახ, დიახ, გუშინ; ვიცი. მეც თვითონ ხომ სამი დღეა, რაც ჩამოვედი. აი, მაშ, რას გეტყვით, როდიონ რომანიჩ. თავის მართლებას სულ მეტათა ვთვლი, მაგრამ ნება მომეცით, გაგიცხადოთ: რა არის, მართლაც, მთელს ამ საქმეში საიმისოდ გასაკიცხი და საბრალმდებლო, თუ, რასაკვირველია, საღად ვანსჯით და ცრუმორწმუნოებას არ დაემორჩილებით?

ჩუმად ათვალიერებდა ისევ რასკოლნიკოვი.

— ის, რომ უმწეო ქალს ჩემს სახლში ვსდევნიდი და „საზიზღარის წინაღადებებით შეურაცხვყოფი“, — აგერა თუ არა? (თვითონვე ვსცდილობ წინ ვასწრებასა!). — მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მეც კაცი ვარ, ეს nihil humanum... ერთი სიტყვით, მეც შემიძლიან შევსცდე და შემიყვარდეს ვინმე (რაიცა, ეჭვი არ არის, ჩვენ ხელო არაა); მაშინ ხომ ყოველივე ბუნებრივად აიხსნება. აი, საკითხი რა არის: საზიზღარი და ამოსავარდნელი რამა ვარ, თუ თვითონვე მე ვარ მსხვერპლი? მერე რომ მართლაც მსხვერპლი ვიყო? იქნება ამერიკა-სა და შვეიცარიაში რომ ვუპირებდი გატაცებასა, პატივისცემის გრძნობითაც ვიყავ გამსკვალული და ორთავეს ბედნიერება მეწადა!... გორიერება ვნებას ჰმორჩილებს; ვინ იცის, იქნება ჩემს თავს უარესადა ვლუპავდი!..

— საქმე ხომ ეგ არ არის, — გააწყვეტინა ზიზღით რასკოლნიკოვმა, — თქვენა ხართ საზიზღარი აღამიანი და, მართალი ხართ თუ მტყუანი, აღარ დაექცებენ; თქვენი ცნობა აღარა ჰსურთ, გდევნიან და წალით თქვენცა!...

სვიდრიგაილოვმა უცბად გულიანად გადიხარხარა.

— თქვენი მორბილება... როგორცა სჩანს, ძნელია მეტად! — შეპნიშნა გულიანის სიცილით. — მინდოდა როგორმე შეეშმაკნა, მაგრამ არ იქნა, ნამდვილი ნიაღაგი ამოგირჩევიათ!

— თქვენ ახლაც ეშმაკობას აპირებთ, ვგონებ.

— რა არის მერე, ჲა! რა არის? — იმეორებდა ისევ ხარხით სვიდრიგაილოვი. — ეს ხომ უბრალო რამ არის სულა!.. მაგრამ მანც გამაწყვეტინეთ: ასეა თუ ისე, არავითარი უსია-

მოვნება თავს არ იჩენდა, რომ ბაღში ის ამბავი არ მომხდა-
რიყო. მარტა პეტროვნა...

— ამბობენ, მართლა, ვითომ მარტა პეტროვნასთვისაც
თქვენ მოგედოთ ბოლო? — გააწყვეტინა უკმეხად რასკოლნი-
კოვმა:

— როგორ, ეგაც გაიგეთ, განა? მაგრამ ან-კი როგორ
არ უნდა ვცოდნოდათ... ამ თქვენი კითხვის შესახებ-კი, არ
ვიცი სწორედ, რა პასუხი მოგცეთ. ერთს გეტუვით მხოლოდ,
რომ სინიდისი სრულიად დამშვიდებული მაქვს. ე. ი. ნუ გე-
გონებათ, ვითომ ფიქრი რისამე მქონდეს: ყველაფერი წესი-
ერად და კანონიერად მოხდა: სამკურნალო შემოწმებამ სი-
კვდილის მიზეზათ წვეთის დაცემა აღიარა, რომელიც მაძლარ
სადილისა და ბოთლა ღვინის გამოცლის შემდგომ ბანებას მო-
ჰყვა. შედევათა; ამის მეტი სხვა არა ამოუჩენია-რა... ეგ არა-
ფერი, მაგრამ ვაგონში-კი ერთ-თავად იმასა ვფიქრობდი ერთ
ჭანად, იქნება როგორმე ხელი შევუწყე-მეტყი... უბედურე-
ბასა: მაგალითად, გაჯავრებით ან სხვაფრივ როგორმე? მაგრამ
დავრწმუნდი ბოლოს, რომ ეგაც არა ყოფილა.

რასკოლნიკოვს გაეცინა.

— ან კი რათა სწუხდებოდით!

— რას იცინით? იფიქრეთ, აბა: სულ რაღაც ორჯერ
დავარტყი მათრახი, ასე რომ ნიშნებიც-კი არ აღმოაჩნდა...
ცინიკათ ნუ ჩამთვლით, გეთაყვაზ; თვითონაც ვიცი, რომ
საძაგლად მოვიქეცი; მაგრამ ვიცი ისიცა, რომ მარტა პეტ-
როვნას იქნება სასიამოვნოდაც დაპრჩა, რომ ასე მოვიქეცი.
თქვენის დის ამბავი უკვე მთლად მიიწურა, გათავდა. მესამე
დღე იყო, მარტა პეტროვნა შინ იჯდა სულა. აღარ იცოდა,
რასთვის წასულიყო ქალაქსა და ვისთვის რა ეყმბნა, თუმცა
უნდა მოგახსენოთ, იქაც ყველის თავი მოაბეზრა. იცით? ამ
წერილის კითხვითა. და უცბად ტის მანანასავით ორი მათ-
რახი მოველინა! მაშინვე უბრძანა, კარეტა შაებათ!.. არას
ვიტუვით იმაზედა, რომ ზოგიერთჯერ საშინლად უნდათ ქა-
ლებსა, რომ შეურაცხყოფილი იყვნენ, თუმცა იმავ დროს.

რისხვით არიან აღსავსენი. ყველას ექმნება ნაცადი ასეთი შემთხვევა. მოსწონს საშინლად კაცსა, შეურაცხყოფილი რომ. არ შეგინიშნავთ? განსაკუთრებით ქალებს. თითქმის რომ ამით ირთობდენ თავსა.

უნდოდა ერთ ხანად წამომდგარიყო რასკოლნიკოვი და წასულიყო სადმე, საქმე ამითი გაეთავებინა; მაგრამ ცნობის მოყვარეობამა და ანგარიშმა სძლიერ ერთ წამსა: უნდოდა შეეტყო, შემდეგში რაღა იქნებოდა.

— ჩხუბი და ცემა გიყვართ? — დაეკითხა როგორლაც დაბნეულად რასკოლნიკოვი.

— არც სჭიმისოდ, — მიუგო დამშვიდებით სვიდრიგაილოვმა. — მართა პეტროვნასთან ხომ არსად შიჩხუბნია თითქმის თანხმობითა და ქმაყოფილადა გუბზორობდით, ჩემი მუდამ მაღლიერი იყო. მთელის შვიდის წლის განმავლობაში მათ-რაინ სულ ორჯელ ვიხმარე რაღაცა. (თუ ერთს კიდევ სხვას არ ჩავთვლი, ცოტა არ იყოს საეჭვოს და ორ-აზროვანსა): პირველად ორის თვის შემდეგ იყო, ჯვარი რომ დავიწერეთ და სოფელში ამოვედით, მეორედ ახლა, უკანასკნელად. თქვენ-კი გეგონათ, ვინ იცის, რა ბაიყუში, ჩამორჩენილი და მონაბის მოტრუთიალე კაცი ვიყავი, ჰა? ხა-ხა-ხა!.. მართლა: არ გახსოვთ, როდიონ რომანოვიჩ, ამ რამდენისამე წლის წინად როგორ შეარცხვინეს საჯაროთა და მწერლობაშიაცა ერთი ვიღაც აზნაური — დამავიწყდა, რა გვარი იყო! — ი, ისა, ნემეცი ქალი რომ გალახა ვაგონში, არ გახსოვთ? მაშინვე იყო, მგონი, იმ წელსა, „საუკუნის საძაგლი ამბავი“ რომ მოხდა (აის, ეგვიპტის საფამთები... გახსოვთ, საჯაროდ იმართებოდა ხოლმე კითხვა? შავ-შავი თვალები! საღა ხარ, ოქროს ახალ-გაზრდობავ!). იცოდეთ, მაშ, ჩემი აზრი: ნემეც ქალის გამლახველს არ თანავუგრძნობ ლრმადა... იმიტომ, რომ არც არის თანაგრძნობის ლირიი მაგრამ არ შემიძლიან, არ შევ-ნიშნო აქვე, რომ არიან ისეთი წამქეზებული და თავმომა-ბეზრებელი ნემეცი ქალები, რომლების შესახებაც დიდი პროგრესისტიც-კი თავს ვერ შეიმაგრებდა. ამ მხრივ-კი

შაგანს არავინ მაშინ არ შეჰებია, თუმცა უმთავრესი ეს არის შწორედ! მართალს მოგახსენებთ!

— სოქვა თუ არა ესა, ერთხელ კიდევ გადიხარხარა. მიჰ-ზვდა მაშინვე რასკოლნიკოვი, რომ მტკიცედ ჰქონდა ამ კაცს განაზრახი გარდაწყვეტილი და გონიერებაც სრული.

— გეტყობათ, რამდენიმე დღეა არავისთან გილაპარა-კნიათ? დაეკითხა რასკოლნიკოვი.

— აგრეა თითქმის. რა არის: ჰკვირობთ უთუოდ, რომ ასე ადვილად შეგეწყვეთ არა?

— ეგ-კი არა, მაგრამ ის-კი მიკვირს, რომ აგრე ამლა-შებთ.

— იმიტომა, რომ თქვენი ბრიყვული კითხვები არ ვიწ-ყინე? აგრეა თუ არა? მაგრამ... ან რა მწყენოდა? როგორც თქვენ მეკითხებოდით, მეც ისრე გიპასუხებდით,—მიუგო გასა-ოცარად გულგრილადა და უბრალოდ.—საიმისოდ ახლა არა იზიდავს-რა ჩემს ყურადღებასა, გეფიცებით,—განაგრძობდა ისევე ჩაფიქრებული.—განსაკუთრებით ახლა, სულ არასფერი... თქვენ, რასაკვრელია, შეგიძლანთ იფიქროთ, ვითომ ვანგებ ვამბობდე, რაკი თქვენს დასთანა მაქვს საქმე; მევე გითხარია ხომა. მაგრამ გამოგიტყდებით, მოწყენილი ვარ საშინლადა! განსაკუთრებით ეს სამი დღე, ასე რომ გამიხარდა კიდეცა, რომ გნახეთ... ნუ გამიწყრებით-კი, როდიონ რომანიჩ, მაგ-რამ თქვენ თვითონ მეჩვენებით როგორლაც საშინლად უცნა-ურათა. როგორ კ გინდათ სთქვით, მაგრამ, გატყობთ, რაღა-ცა გედარდებათ; ამ წამას-კი არა, საზოგადოდ ახლა... მაგ-რამ, კმარა, ჰო, აღარას გეტყვით, ნუ იღრუბლებით! განა ისეთი გაუთლელი დათვიცა ვარ, თქვენ რომ გგონიათ.

დალვრემილმა გადაჭედა რასკოლნიკოვმა.

— იქნება დათვისა არც-კი რამ გეცხოთ,—უპასუხა რას-კოლნიკოვმა.—პირ-იქით, გეტყობათ, კაი საზოგადოებისა ხართ და შემთხვევით შეგიძლანთ რიგიანი კაციც იყოთ მაგრამ...

— აჩავის აზრს განსაკუთრებულს ყურადღებას. არ ვაქცივ,—მიუგო თითქმის ამაყათა და გულგრილად სვიდრი-

გაიღოვდა, — ამიტომაც რატომ ზოგჯერ საძაგლობა და უგვანობაც არ ჩაიდინო, როცა ჩვენს დროში ეს ყველაზედ მეტად ეხერხება. ადამიანსა და... ბუნებრივი მიღრეკილებაცა. მაქვს, — დასძინა და კვლავ გაიცინა.

— გაგონილი მაქვს, პლომად თურმე გყავთ აქ ნაცნობები და გავლენიან ხალხთანაც საკმაოდ დაახლოვებული ხართ. მაში მე, აბა, რალათ გინდივართ, თუ არ რამ განზრახვისათვის?

— ეგ მართალი სთქვით, ნაცნობები ბლომათა მყვანან, — ჩამოართვა სიტყვა სვიდრიგაილოვმა, მაგრამ უმთავრესზედ-კი პასუხი არ მისცა, — მხვდებიან კიდეც. აგრი, სამი დღეა, დავდივარ და ბევრსა ვცნობ მათგანს; ბევრიც, მგონი, თვითონა მცნობს. რასაკვრელია, საკმაოდ ზატონკაცურად მაცვია და არც ლარიბი ვარ. ჩვენ ხომ საგლეხო რეფორმაც არ შეგვეხო: ტყები და საძოვრები ყველა გვაქვს ისევ, შემოსავალს მუდამ იძლევა; მაგრამ... არ წავალ იქა; იძიტომ, რომ თავი მომაბეზრებს; სამი დღეა, დავდივარ აგრი, მაგრამ არავის ვემცნაურები... ახლა ე ქალაქი! ე. ი. როგორ შეუდგინეს? ქალაქი კანკელარიისტებისა და ყოველ გვარ სემინარისტებისაო! მართლაც-და, ამ რვა წლის წინად რომ აქ ვეთრეოდი, ბევრი რამ არ შემინიშნავს... მარტოდ-მარტო ანატომიის იმედი-და მაქვს ახლა, ლმერთს გეფიცებით!

— როგორ-თუ ანატომიისა?

— აი, ე კლუბებისა... ან ამ პროგრესის შესახებ, — მაგრამ თავი დავანებოთ, — ან-კი გაიძვერობა რა სახალისოა!

— როგორ, ეგაც იყავით, განა?

— მაში, აბა, უამისოდ როგორ შეიძლებოდა? მთელი ამხანაგობა არსებობდა ამ რვა წლის წინადა, მაგრამ ზრდილობიანი მეტად; ერთ-თავად დროს ვატარებდით; მაგრამ ოხერივინშეები-კი არ იყვნება: იყვნენ პოეტებიც, კაპიტალისტებიც... მაინც ჩვენს საზოგადოებაში ხომ ისაა უკეთეს ქცევისა, ვისაც ბევრი რამ გადაჭედია, — არ შეგინიშნავთ? ცოტა ე სოფლად ჩამოვრჩი ყველაფერსა, თორებ... მაინც ჩამაბრძანეს ერთის

ნეუინელ ბერძნის ვალისათვისა. აქ უცბად მარტა პეტროვნა ამიჩნდა, ვივაჭრეთ და ოც-და-ათ ათას ვერცხლათ გამომისყიდა. (სულ-კი 70,000 მემართა). შევერტლით კანონიერის ქარწინებითა და ძვირფას განძივით მაშინვე სოფელში გამაქცია. ჩემზედ ხომ ხუთის წლით უფროსი იყო. ძან ვუყვარდი. მთელი შვიდი წელიწადი სოფლიდამ ფეხი არ გამომიღებას. და წარმოიდგინეთ, მთელი ეს ხანი, ოც-და-ათი ათასის ვექსილი ჩემ წინააღმდეგ სხვის სახელზედა პქონდა მარტა პეტროვნასა; ასე რომ, ავჯანყდებოდი თუ არა, მაშინვე ვირის აბანოში მიკრავდნენ ისევ თავსა! მიზამდა კიდეცა! იმიტომ, რომ დიდ სიყვარულთან ესაც ადვილად შეუძლიანთ ქალებსა.

— ვექსილი რომ არ ყოფილიყო, მოუსვამდით?

— არ ვიცი, როგორ გითხრათ. ვექსილი თითქმის არს მიშლიდა. არსაით გული არ მიმწევდა; საზღვარ-გარეთ-კი ორჯელ თვითონაც გამიპატიუა მარტა პეტროვნამა, რაკინახა, რომ მოვიწყინევი. მაგრამ რა! წინადაც ვყოფილვარ, მეჯავრებოდა. უერა, გარიურაჟია, ნეაპოლიტანის ყურესა და ზღვას გაჰყურებ, მაგრამ არ გიტაცებს, მოწყენილი ხარ. ყველაზედ საძაგლობა-კი ის არის, რომ მართლა რაღაზედაც ნაღვლიანობ! არა, სამშობლოში სჯობიან: აქ მაინც ყველა-ფერში სხვებს ამტკუვნებ, თვითონ შენ-კი მართალი ხარ. იქნება ჩრდილოეთის პოლუსისაკენ-კი წავსულიყვავი სამოგზაუროთ, იმიტომა, რომ *j'ai le vin mauvais*, და სმაც მეჯავრება. ღვინის მეტი-კი სხვა ხსნა არ არის, ეგაცა ვცადე. რაო, რას ამბობენ, კვირას უსუპოვის ბაღში ბერგი ვეება ჰაეროსტატით აფრინდება და თანამგზავრთ ეძებსო, მართალია? თან ფულსაც თურმე ჰპირდება.

— რა იყო, მერე, გაჰყვებოდით?

— მე? არა... ისე... — წაიღუდუნა სვიდრიგაილოვმა, თითქმის მართლაც დაფიქრდაო.

„რაო, მართლა ასეა, თუ განგებ მაჩვენებს თავსა?“ გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

— არა, ვექსილი არას მიშლიდა, — განაგრძობდა სვიდორიგაილოვიდაფიქტებული, — თვითონ არსად მივდიოდი სოფლიდამა. გარდა მაგისა, წელიწადია აგერ, ჩემს დღეობაში დამიბრუნა კიდევაცა ვექსილი და თან საკმაოდ დიდი თანხაც დაამატა საჩუქრათა. კარგა დიდი თანხა ჰქონდა. „ჰედავთ, აი, როგორ გენდობით, არყადი ივანიჩო,“ — მითხრა. არა გჯერათ, ასე მითხრა? იცით, რა არის: საუცხოვო მეურნე შევიქმნი; მთელს არე-მარეში მიუნობენ. წიგნებსაც ვიწერდი. ჯერ ნებასა მრთავდა მართა პეტროვნა, მერე-კი შეშინდა. არ დავეძალე წიგნებსა.

— როგორც გატყობთ, ძაან უნდა სწუხდეთ მართა პეტროვნას დაკარგვასა?

— მე? იქნება. შეიძლება, რატომ! მართლა, მოჩვენებისა გჯერათ რამე?

— რა მოჩვენებისა?

— რა მოჩვენებისა და, ჩვეულებრივ მოჩვენებისა, სხვა, აბა, რომელია!

— თქვენა, თქვენ გჯერათ?

— თითქმის რომ არა, pour vous plaisir... ე. ი. ის-კი არა, რომ...

— რაო, გამოგეცხადებათ რამ ხოლმე, თუ როგორ არის?

როგორლაც უცნაურად გადაჲედა სვიდრიგაილოვმა.

— მართა პეტროვნა მობრძანდება ხოლმე, — ჩაილაპარაკა როგორლაც უცნაურად პირმოლრეცით, ღიმილითა.

— როგორ თუ მობრძანდება?

— დიახ, აგერ არის უკვე სამჯერ ყოფილა. პირველად დასაფლავების დღესვე ვნახე; ის-კი იყო სასაფლაოდამ დავბრუნდი. ეს იყო სწორედ ჩემის აქეთ წამოსკლის წინა დღით. მეორედ, ამ სამის დღის წინადა ვნახე, გზაში, სადგურ მალაია ვიშერაზედ, გათენებისას სწორედ; მესამედ-კი, ამ ორი საათის წინად გამომეცხადა ჩემს ბინაზედ, სადაც ამ უამაღა. ვსუცხოვრობ, — მარტოდ-მარტოსა.

— ცხადლივა?

— სრულებით ცხადლივ. სამჯერვე ერთნაირად. მოვა, ერთ ორს წამს, გამომელაპაზაკება და ისევ გავა-კარებილამა. კარებიტამ გადის უთუოდა. მესმის კიჯეცა თითქმის, როგორ მიღის.

— არა, რათ წარმოვიდგინე, ნეტა, რომ ასეთი რამ უთუოდ უნდა გემართებოდეთ! — ჩაილაპარაკა უცბად რას-კოლნიკოვმა.

და გაიოცა მაშინვე, რომ ასე უთხრა. საშინლად იყო აღელვებული.

— აი, ხომ ჰერდავთ! იფიქრეთ, მაშა? — ჩაეკითხა გაკვირვებით სვიდრიგაილოვი. — ნუ-თუ მართლა? აკი ვსთქვი, საერთო ბევრი რამა გვაქვს-მეთქი!

— არასოდეს ოქვენ ეგ არ გითქვამთ! — მიუგო მკვანელ და ცხარედ რასკოლნიკოვმა.

— არ მითქვამს?

— არა!

— მე-კი მეგონა, გითხარით-მეთქი. რომ შემოვედი წელანა და თვალებ-დახუჭული დავინახეთ მწოლიარე, ვითომ გეძინათ, — მაშინვე ვსთქვი ჩემთვისა: „ის არის სწორედა-მეთქი!“

— რაო, ვითომ რას პნიშნავს ეგა? რასა პგულისხმობთ? — შეჰყვირა რასკოლიკოვმა.

— რასა? არ ვიცი სწორედ, რასა... გულწრფელად ვამბობ, — წაიღუდუნა დაბნევით სვიდრიგაილოვმა.

ერთ წამას ორნივ გაჩუმდნენ. ორივე ერთმანერთს შეჰყურებდნენ.

— სისულელეა ყველა ეს! — წამოიძახა გაბრაზებულმა რასკოლნიკოვმა. — მერე, რას გეუბნებათ, რომ მოღის?

— მართა პეტროვნა? წარმოიდგინეთ, სულ რაღაცა წვ-რიმალს. სისულელესა, გაგიკირდებათ პირდაპირ: ეგ არ არის, რომ გაბრაზებს, პირველად რომ გამომეცხადა, გესმისთ, დავილალევი: ეს მიცვალებულის წირვაო, ეს უსულთა თა-

ნაო, „ მერე კიდევ ლოცვა, მიცვალებულის მოხსენება და საუზმეო; დავილალე და ძლივს კბინეტში დავჩინ მარტოდ, სიგარას მოვუკიდე. ფიქრს მივე თავი), კარებიდამ შემოვიდა: „დღეს, არკადი ივანოვიჩ, ერთ-თავად ფაცა-ფუცუში. ხართ და სასაღილო ოთახში საათი მოუმართავი დაგრჩათ, დაგა-ვიწყდათო“. ამ საათს-კი მთელი შეიდი წელიწადი მართლაც მე ვმართავდი სულა, მაგრამ დამავიწყდებოდა თუ არა, მა-შინვე მომაგონებდა უთუოდ, მეორე დღეს უკვე აქეთ წამო-ვედი. გათენებისას ზაღურზედ გადავხტი: — მთვლემდა ლამე, დამტკრეული ვიყავი, თვალები ნამძინარევი მჭონდა — ყავა მოვითხოვე. ვნახოთ, უცბად მართა პეტროვნა ჩემ გვერდით ჯდება და ხელში სათამაშო ქალალი უჭირავს: „არ გინდა, არკადი ივანოვიჩ, სამგზავროთ გიკითხოთო?“ მკითხაობა-კი მართლაც საუცხოვოდ იცოდა, მაგრამ არ ვაპატიებ არასო-დეს ჩემს თავსა, რომ არ ვაკითხებინე. შემეშინდა, გამოვექე-ცი და ზარიც დაირეკა. ვზივარ დღეს საძაგელ საღილს შემ-დეგ კუჭ-დამძიმებული (სასაღილოდამ ამომიტანეს) და სიგა-რას ვეწევი. ვნახოთ, უცბად მართა პეტროვნთა შემოდის, მწ-ვანე ახალის ფარჩის კაბით გამოწყობილი, უშველებელს კუდს მოაშრიალებს: „გამარჯვებათ, არკადი ივანოვიჩ! ეს ჩემი კაბა როგორ რათმე მოგწონთ? ანისკა ხომ ასე ვერ შემიკერავსო (ანისკა სოფლის მკერვალი ქალია, ბატონ-ყმობის დროს მო-ახლეთ ჰყოლით, მერე მოსკოვში მიუკიათ სამკერვალოში, კარგი გოგონაა).“ სდგას და ტრიალებს, კაბას მიჩვენებს- გავსინჯე კაბა და მერე. ყურადღებით სახეში ჩავაცერდი: „ნეტავი შენ, მართა პეტროვნა, რომ ასეთ სისულელისათვის თავს იწუხებ და ჩემთან მოდიზარა-მეთქი.“ — ეს, ღმერთო ჩე-მო, შეწუხებაც-კი თურმე აღარ შეიძლებათ შენი!“ და მე კიდევ გასაჯავრებლად ვეუბნები: „მართა პეტროვნა, მინდა ცოლი შევვერთა-მეთქი.“ — „გასაკეირალი არა არის-რა თქვენ-გან, არკადი ივანოვიჩ; ცოლი თითქმის არ დაგიმარხავთ ჯერა და უკვე მეორის შესართავად გამოეშურეთ. ნეტავი, კარგი ვინჩე მაინც აირჩიოთ, თორემ ვიცი, — არც იმას, არც თქვენს

თავს არას არგებთ, ხალხს გააცინებთ მარტოო.“ და წავიდა კაბის ბოლოს შრიალითა. სისულელეა, არა? როგორ გვნიათ?

— ვინ იცის, იქნება სულაცა სტყუით? — მიუგო რასკოლნიკოვმა.

— მე? არასოდეს. იშვიათადა ვსტყუი, — მიუგო ფიქრად წასულმა სვიდრიგაილოვმა, თითქოს ვერ გაიგო, რა უზრდელი იყო ეს კითხვაო.

— წინად-კი, მართა პეტროვნას სიკვდილამდე, არსად გინახავთ ამგვარი რამ მოჩვენებანი?

— არა, ერთხელ კიდევ ამ ექვსის წლის წინადა ვნახე. ფილკა ვინმე მყვანდა შინა კაცათა; ის-კი იყო, დავმარხეთ; მაგრამ დამავიწყდა და დავუყვირე: „ფილკა, ჩიბუხი-მეთქი!“

— შემოვიდა და პირ და პირ იქით გასწია, სადაც ჩიბუხები მელაგა ხოლმე. ვზივარ და ვფიქრობ: „უთუოდ შურს იძიებს-მეთქი,“ იმიტომ, რომ სიკვდილის წინ სწორედ დიდი ჩხერი მოგვივიდა. — „როგორა პბედავ, რომ ნიდაყვ-გამოფლეთილი შემოდიხარ, მომშორდი; საბაგელი-მეთქი!“ მიბრუნდა, წავიდა და მეტჯერ ალარ მოსულა. მართა პეტროვნასთვის მაშინ არა მითქვამს-რა. მინდოდა პანაშვიდი გადამეხდევინებინა, მაგრამ შემრცხვა.

— ექიმს ეჩვენეთ.

— ეგ-კი უთქვენოდაც ვისი, რომ კარგად ვერა ჟარ, მაგრამ რათა და რა მიზეზით, ვერ გამიგია; ჩემის აზრით, მეთქვენზედ ერთი ხუთად ჯანმრთელობდა ვარ. იმას როდი გეკითხებოდით, გჯერათ, თუ არა, რომ მოჩვენებები გამოყცხადება ხოლმე-მეთქი აღამიანსა? გეკითხებოდით: თვითონ მოჩვენებათა არსებობა გჯერათ, თუ არა-მეთქი?

— არა, არ მჯერა! — შესძახა როგორლაც გაბრაზებით რასკოლნიკოვმა.

— როგორ იციან ჩეკულებრივად? — ბუტბუტებდა თითქოს თავისთვის სვიდრიგაილოვი და ოდნავ თავდახრილი გვერდზედ გაიყურებოდა. — ამბობენ: „ავათა ხართ და რაც-კი

რამ წარმოგიდგებათ, ყველაფერი ეგ არ-არსებული ბოდვააო. სასტიკი ლოლიკისა მაინც არა სჩანს-რა აქა. ვეთანხმები, რომ მოჩვენებანი მართლაც ავადმყოფებს გამოეცხადებიან ხოლმე; მაგრამ რას ამტკიცებს ესა? იმას, რომ ავადმყოფებს მართლაც გამოეცხადებიან ხოლმე მოჩვენებანი და არა იმას, ვითომ სრულიად არ არსებობდნენ.

— რასაკვირველია, არა! არ არსებობენ! — გაიძახოდა თავისას რასკოლნიკოვი.

— არ არსებობენ? აგრე გგონიათ! — განაგრძობდა სვიდრიგაილოვი და თან მძიმედ შეჰედა. — რა იქნება, რომ ასე ვიფიქროთ (მიშველეთ, აბა!): „მოჩვენებები სხვა ქვეყნების ნაწყვეტები, ნაგლეჯებია, მათი დასაწყისი. ჯანმრთელი კაცი, რასაკვრელია, არ ჰსაჭიროებს მათს ნახეასა, იმიტომ რომ შვილია იგი დეჯამიშისა და ცხოვრებაშიაც მხოლოდ ამ ქვეყნიურად უნდა სცხოვრობდეს, რომ წესიერება არ დაარღვიოს. მაგრამ თუ ცოტათიც არის ავად გახდა და დაირღვანორმალური ამ ქვეყნიური წესი მისის ორგანიზმისა, მაშინვე იმ ქვეყნიური არსებობაც თავსა ჩენილობს უკვე, და რამდენადც უფრო ძლიერ არის ადამიანი ავად, იმდენი უფრო მეტი საშუალება ეძლევა იმ ქვეყნიურთან შეხებისა, შეხვედრისა; სიკვდილს შემდეგ ხომ პირდაპირ მისი მცხოვრები ხდება.“ ამის შესახებ დიდი ხანია ვფიქრობ. თუ მომავალი ცხოვრება გჯერათ, მაშინ ესაც დასაჯერია.

— არა, არ მჯერა მომავალი ცხოვრება, — მიუგო. რასკოლნიკოვმა.

დაფიქრებული იჯდა სვიდრიგაილოვი.

— რა იქნება, რომ მართლა თბობების ან სხვა რამ მწერების მეტი არა იყოს-რა იქა, — წამოიძახა უეცრად.

„გადარეულია“, გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

— მარადისობა, როგორც იდგა, ისე გვაქვს წარმოგენილი, რომ მისი გაგება შეუძლებელია, რაღაც რამ დიდი და უშველებელია ვითომ! მაგრამ რაღა უთუოდ ასეტი უშველებელი რაზ უნდა იყოს? ერთიც ვნახოთ, ამის მაგივრად

სოფლურ აბანოს მზგავსი რაღაცა პატია ოთახია, გამკვარტლულ-გამტვრიანებული და კუთხეებში კიდევ ყველგან ობობას ქსელებია დაბმული; აი, თქვენი მარადისობა! იცით, რა არის? ხშირად სწორედ ამ სახით წარმომიდგება ხოლმე უკუნეოთი, მარადისობა.

— ნუ-თუ მართლა ამაზედ უფრო სამართლიანი და სანუგეშო სხვა აღარა წარმოგიდგებათ-რა ხოლმე! — შესძახა გულ-ნაწყენად რასკოლნიკოვმა.

— სამართლიანი? მერე, ვინ იცის, რომ ეს არ არის სწორედ ყველაზედ მეტად სამართლიანი; იცით, რა-არის, ჩემზედ რომ იყოს დამოკიდებული; განგებ ვიზამდი ასრე, — მიუგო სვიდრიგაილოვმა და როგორლაც გამოურკვეველად გაიღიმა.

რაღაცა ციცვა ურუანტელმა დაურბინა უცბად რასკოლნიკოვსა ამ საზიზღარ პასუბის გაგონებაზედ. ასწია თავი სვიდრიგაილოვმა, რასკოლნიკოვს გადაჭხედა და გადიხარხარა უცბად.

— ევ-ე არა, იფიქრეთ, აბა, — შეჰყვირა უცბად, — ნახევარ საათის წინად ერთმანეთისათვის ჯერ თვალი არ დაგვეკრა, გადასაწყვეტი საქმე წინ გვიდევს კიდევ, მტრებად ვითვლებით და უცბად საქმეს თავი გავანებეთ და რაღაცა საუბარს შევუდექით! არა, ტყუილი ვსთქვი, მაშა, რომ ორივე ერთფერები ვართ-მეთქი?

— ინებეთ, გეთაყვათ, — განაგრძობდა რასკოლნიკოვი გაბრაზებული, — მაგრამ გამაგებინეთ საჩქაროდ, რისთვის გამაპატიოსნეთ და ინებეთ მობრძანება... და... მეორეც... მეც მეჩქარება, არა მცალიან, უნდა სხვაგან წავიდე.

— ინებეთ, ახლავ. თქვენი და, ავდოტია რომანოვნა, ლუჟინზედ აპირებს, პეტრ პეტროვიჩზედ, გათხოვებასა?

— არ შეიძლება ჩემის დის საქმეს როგორმე მხარი აუქციოთ და მისი სახელი სრულიად არ ახსენოთ? მიკვირს სწორედა, როგორლა ჰედავთ და ახსენებთ ჩემთან იმის სახელსა, თუ მართლა თქვენ სვიდრიგაილოვ ხართ?

— როგორ? იმისთვის მუკედი და არ ვახსენო-კი?

— კარგით, მაში, ილაპარაკეთ, მაგრამ მალე-კი.

— და ჩტმუნებული ვარ, ბატონს ლუუინზედ (ჩემის ცოლის ნათესავზედა) უკვე თქვენს აზრს შეადგენდით, თუ რომ ნახევარ საათითაც არის მარც ჰახევით როგორმე, ან ნამდვილი და სწორე შეიტყეთ რამე მის შესახება. ავდოტია რომანოვნას ის არ გამოადგება. ჩემის აზრით, ავდოტია რომანოვნა სრულიად მოუფიქრებლივა და უანგარიშოდ სწირავს თავს ოჯახობასა. ისე მაქვს როგორლაც გაგონილი, ვითომ თქვენც კმაყოფილი იქმნებოდით მეტად, თუ ეს ქორწინება როგორმე ჩაიშლებოდა; ისე-კი, რომ არავისი ინტერესები არ დარღვეულიყო. ახლა ხომ, პირადად გაცნობის შემდეგ, მთლიად დავრწმუნდი, რომ ასრეა საქმე.

— თქვენი მხრივ ყველა ეს დიდი გულუბრყვილობაა, მაგრამ, უკაცრაოდ, გულუბრყვილობა-კი არა, თავხელობაა,— მიუგო რასკოლნიკოვმა..

— ესე იგი, გინდათ სთქვათ, ვითომ ჩემთვისა ვზრუნავ? ნუ სწუხართ, როდიონ რომანოვი! მართლა რომ ჩემთვის მინდოდეს რამე, ასე გამოტეხით როდი დაგიტყებდით ლაპარაკსა; არც ისეთი ჩურჩუტი ვარ. ჭმინდა ამის გამო ერთი ფსიხოლოგიური უცნაურობა გაგიმულავნოთ. წელან რომ ავდოტია რომანოვნას სიყვარულისა გამო ვიმართლებდი თავსა, გამოვსთქვი, თუ გახსოვთ, რომ მევე შევიქმენ მსხვერ-პლი-მეთქი. იცოდეთ, მაში, რომ არავითარს სიყვარულს ახლა არა ვგრძნობ, არ-რა-ვი-თარსა, ასე რომ მეუცნაურება კიდე-ცა, რათ ვგრძნობდი მაშინ რაღასაცა... .

— რათა-და, უქმობისა და გარყვნილობისა გამო; — გაა-წყვეტინა რასკოლნიკოვმა.

— ეგ მართალია, გარყვნილი ვარ და უქმი, მაგრამ თქვენს დას იმდენი ღირსება აქვს, რომ არ შემეძლო არა მეგრძნო-რა სულა, გავლენა არა ჰქონდა. მაგრამ სისულელეა ყველა ეს, თვითონა ვხედავ ახლა.

— დიდი ზანია, რაცა ჰქედავთ?

— წინაღვე მქონდა. შენიშნული, მაგრამ საბოლოოდ ამ სამის დღის წინად დავრწმუნდი, პეტერბურგს რომ ჩამოვედი. მოსკოვში-კი ისე ვფიქრობდი, ვითომ ავდოტია რომანოვნასათვის მოვდიოდი ბატონ ლუჟინის მეტოქეთა.

— უკაცრაოდ, თუ გაგაწყვეტინებთ. არ შეიძლება, გე-თაყვათ, შეამოკლოთ როგორმე სალაპარაკო და პირდაპირ შეეხოთ, რისთვის გარჯილხართ. მეჩქარება, სხვაგანა ვარ წასასელელი...

— დიდის სიამოვნებით. ჩამოვედი-რა და შოვიფიქრევი მცირედი... მოგზაურობა შოვიწადინე, მაგრამ მინდოდა წა-სვლამდე ზოგი რამ საქმე მომეგვარებინა. შვილები დეიდასთან დავტოვე; მდიდრად არიან, პირადად მე სულაც არ ვუნდივართ. ან რა მამა ვარ, ნეტა! ჩემთვის მარტო ის წამოვილე, რაც ეჭ-თის წლის წინად მარტა პეტროვნამ მაჩუქა. ესაც მეყოფა. უკაცრაოდ, ახლავე საქმეს შევუდგები. მოგზაურობამდე, რო-მელიც შეიძლება მართლაც მოხცეს, მინდოდა! ლუჟინთანაც გამეთავებინა საქმე. მართლა ისე-კი არა მძულს, ვითომ სასი-კვდილოდ არ დავინდობდე. მავრამ მარტა პეტროვნასთან ჩხუბის მიზეზი-კი ეგ იყო სწორედ! ის უხერხებდა ქორ-წინებასა. მინდა ახლა ვნახო როგორმე ავდოტია რომა-ნოვნა, — აი, თუნდ თქვენის დასწრებითა — და ავუხსნა, ჯერ ერთი, რომ ბატონის ლუჟინისაგან ცუდის მეტს კარგს არასა პნახავს არასოდესა და მეორე, ბოდიში მოვიხადო, რაც-კი რამ უსიამოვნება მივაყენე და ნება-რთვა გამოვთხო-ვო, რომ ათასი თუმანი შევძლენა და ამით ბატონ ლუჟინთან საქმის გაწყვეტა გაფუუდვილო, რასაც, დარწმუნებული ვარ თვითონაც მოწადინებულია, ოღონდ საშუალება მიეცეს ამისი.

— მართლა რომ გიყი ყოფილხართ, გადარეული! — შეკ-ყვირა რასკოლნიკოვმა, იმდენად გაჯავრებულმა არა, რამდე-ნადაც გაკვირვებულმა. — როგორა პბედავთ მაგასა!

— განა არა, ვიცოდი, დაიყვირებდით; მაგრამ ჩემ-თვის მეტია სრულიად ეს ფული, თუმცა, მართალია, მდიდარი არა ვარ. არ მიიღებს ავდოტია რომანოვნა, შეი-

ძლება უფრო უარესადაც გავაფუქო. ეზ ერთი. მეორე კიდევ აი, რა: სინიდისი სრულიად დამშვიდებული მაქვს და თუ შევძლენ რამე, შევძლენი გულმართლად, ანგარიში არა მქონია. გჯერათ, არ გჯერათ, თქვენი საქმეა, მაგრამ შემდგომში ორივენი დარწმუნდებით. უმთავრესი მიზეზი აქ ის არის მხოლოდ, რომ ვგრძნობ მართლა, რომ დიდი უსიამოვნება და შეწუხება მივაყენე თქვენს დიდად პატივცემულს დასა და მინდა გულწრფელად შევინანიო; იმითი-კი არა, რომ ფულით გამოვისყიდო ვითომ ეს უსიამოვნება, არა,— მინდა მხოლოდ სიკეთე რამ მოვუტანო; მართლა ხომ ავკაცობა და ბოროტება პრივილეგიად არა მაქვს გადაჭცეული! ჩემს წინადაღებაში რომ ანგარიშისა რამ ნატამალი იყოს მათრლა, ასე პირდაპირ როდილ შევთავაზებდი. და არც მხოლოდ ათასს შევაძლევდი, მაშინ როდესაც ხუთის კვირის წინად ბევრად მეტი შევთავაზე. გარდა ამისა, შეიძლება ძან მალე ჯვარიც დავიწერო ერთს ქალზედა. მაშასადამე, ამის შემდეგ ივლოტია რომანოვნას შესახებ აღარავითარს ეჭვს ადგილი აღარ ექმნება. დასასრულ, ვიტყვი, რომ ავლოტია რომანოვნა ლუჟინზედ გათხოვებით, იმავე ფულს მეორე მხრიდამ მიიღებს... ნუ-კი სჯავრობთ ამიტომ, როდიონ რომანოვიჩ, სჯობს დამშვიდებით მოისაზროთ და მოიფიქროთ ყველაფერი.

მთელი ეს ხანი, რაც ლაპარაკობდა, შესანიშნავად დამშვიდებული იყო სვიდრიგაილოვი.

— გთხოვთ დროზედ გაათავოთ, — უთხრა რასკოლნიკოვმა. — ყოველს შემთხვევაში, მიუტევებელი თავსედობაა ესა, სხვა არასფერი.

— სრულებითაც არა. ეტყობა, მაშ, ამის შემდეგ კაცს მხოლოდ ბოროტის უფლება ჰქონია ამ ქვეყნადა, სიკეთისა-კი არა, იმიტომ მხოლოდ, რომ რაღაცა ფორმალური წესები მუდამ გადაელობება წინა. სისულელეა ესა. ვსოდეთ, მოვმკვდარვიყავი და ანდერძით დამეტოვებინა ეს ფული, ნუ-თუ მაშინაც არ მიიღებდა?

— შეუძლებელი აქ არა. არის-რა.

— აბა, ეგ-კი აღარა მჯერა. მაგრამ, დეე, აგრე იყოს; ეგ არის მხოლოდ, ათასი თუმანი კაი ფულია. ყოველს შემთხვევაში, გთხოვთ, ნათქვამი ავდოტია რომანოვნას გადასცეთ.

— არა, ვერ გადავცემ.

— თუ აგრეა, მაში, ვეცდები, პირადად როგორმე ვინაზულო და შევაწუხო, მაშასადამე.

— რომ გადამეცა, მაშინ-კი აღარ ეცდებოდით პირადად გენახათ?

— არ ვიცი სწორედ, როგორ გითხრათ. ერთხელ მაინც არის ნახვა საშინლად მინდოდა.

— იმედი ნუ გაქვთ, მაშა.

— ვსწუხვარ ძალიანა. მაგრამ თქვენ მე არ მიცნობთ ვნახოთ, იქნება როგორმე დავვახლოვდეთ.

— როგორ, გვინიათ, რომ მოხერხდება ესა?

— რატომაც არაო ვითომჩი — მიუგო ღიმილით სვიდრი-გაილოვმა, წამოდგა და ქუდს დაავლო ხელი. — მაინც არა მქონია აზრათა, ძალიან შემეწუხებინდთ. მოვდიოდი, მაგრამ იმედი დიდი არა მქონდა, თუმცა ღილასვე საშინლად მიიპყრო ჩემი ყურადღება თქვენმა სახემა...

— სად მნახეთ დილას? — ჩაეკითხა შეშფოთებით. რასკოლ-ნიკოვი.

— შემთხვევით. შეგხვდით... მაგრამ მგონია მაინც მზგავ-სება ერთმანერთისა ცუჭველად გვაქვს... არ-კი შესწუხდეთ, თავის მობეზრება როდი მიყვარს. გააძვერა მატყუკარებთანაც შეგობრულად მიცხოვრია, ჩემ უორეულ ნათესავსა და წარჩინებულ მოხელე თავად სვირბეისთანაცა, ქ.ნ პრელიკოვსაც რაფელის ღრთისმშობლის შესახებ ალბორში რაღაც ჩავუწერე, მართა პეტროვნასთანაც შვიდი წელიწადი ფეხმოუცვლელად ვიცხოვრე, ვიაზემსკის სახლშიაც, სათივეზედ, ბევრჯელ გამითენებია ღამე, ახლა-კი შეიძლება ბერგსაც გავყვე ჰაერო-სტატითა.

— კარგით, კარგით. მითხარით, გეთაყვათ, მალე აპირებთ მოგზაურობასა?

— რომელ მოგზაურობასა?

— რომელსაც წელან ამბობდით... არ იყო, წელანა
სთქვით.

— მოგზაურობასა? ჰო, მართლა!.. გითხარით, განა?..
ვინ იცის, აბა, ძნელი გადასაწყვეტია... მაგრამ, რომ იცო-
დეთ, რას მეკითხებით! — დასძინა და უცბად ხმა-მალლა გაე-
ცინა, მაგრამ მაშინვე შესწყვიტა. — იქნება მოგზაურობის მა-
გივრად ცოლიც შევირთა, ვინ იცის; საცოლეს მიჩენენ.

— აქა?

— დიახ, აქა.

— ასე მალე საიდამ მოახერხეთ?

— მაგრამ ავდოტია რომანოვნას ერთხელ მაინც არის
ნახვა საშინლად მინდა. არ გეხუმრებით; გთხოვთ. მშვიდო-
ბით, მაშა... ჰო, მართლა! კინალამ არ დამავიწყდა! გარდა-
ეცით თქვენს დას, ავდოტია რომანოვნასა, რომ მარტა პეტ-
როვნამ ანდერძით სამი ათასი მანეთი დაუტოვა. ნამდვილად
სარწმუნოა. სწორედ ერთის კვირის წინად ისურვა ესა, ჩემ-
თანვე. ორი-სამის კვირის შემდეგ შეიძლება ფულიც მიიღონ.

— მართალს ამბობთ?

— მართალსა. გარდაეცით. მშვიდობით, მაშა. თქვენს
ახლოს ვცხოვრობ, აქვე.

გამოსვლის დროს სვიდრიგაილოვს წინ რაზუმინი შეე-
სება.

II

რვა საათი იყო უკვე თითქმის. ორივენი ბაკალევრის ნომ-
რებისაკენ მიეშურებოდნენ, რომ ლუუნზედ აღრე მისუ-
ლიყვნენ.

— ვინ იყო ესა? — დაეკითხა რაზუმინი, როგორც კი
ქუჩაში გავიდნენ.

— ვინა და, ბ-ნი სვიდრიგაილოვი გახლდათ, მემამულე,
რომლის სახლშიაც ჩემს დას მიაყენეს მაშინ შეურაცხყოფა:

ტრფიალი თურმე დაუწყო და ამაზედ დაითხოვა ჩემი და მისმა მეულლემ, მართა პეტროვნამა. მერმე-კი თვითონვე მოიხადა მართა პეტროვნამ ჩემს დასთან ბოდიში, მაგრამ უცბად თურმე მოკვდა. იმაზედ იყო, წელან რომ ჩვენები ლაპარაკობდნენ. არ ვიცი, რათა, მაგრამ როგორლაც საშინლად მეშინიან ამ კაცისა, დაუსაფლავებია ცოლი და მაშინვე აქეთ წამოსული. უცნაურია, უტყობა, მეტად, რაღაცა აქვს გარდაწყვეტილი... თითქოს იცის რამ კიდეცა. უნდა დუნია როგორმე დავითა-როთ... ეს უნდა მეთქვა შენთვისა, გესმის?

— დავითა-როთ! რაო, ვითომ რას უზამს, განა? მაგრამ გმადლობ, როდიონ, რომ აგრე მეუბნები... დავითა-როთ, და-ვითა-როთ! სად სცხოვრობს ნეტა?

— არ ვიცი.

— რატომ არ ჰყითხე? — მაგრამ არა უშავს-რა, გავიგებ!

— ნახე შენა? — დაეკითხა მცირე სიჩუმის შემდეგ რა-სკოლნიკოვი.

— როგორ არა და დავიხსომე კიდეცა; კარგა დავიხსომე..

— არა, მართლა დაინახე? კარგად გაარჩიე? — ეკითხებო-ლა დაუინებით რასკოლნიკოვი.

— გეუბნები, კარგათა-მეთქი. თუნდ ათასს კაცში გავარ-ჩევ; მაგ მხრივ არავინ გამომეპარება.

კვალად გაჩუმდნენ.

— ჰმ!.. ეგ არის, თორემ... წაიღუდუნა რასკოლნიკოვ-მა. — იცი, რა არის... მეგონა... მომეჩვენა-მეთქი... და ოც-ნება იყო მხოლოდ.

— რის შესახებ ამბობ, რაო? ერა გამიგია-რა.

— ისა, რომ თქვენ ყველანი ერთსა და იმავეს იმეო-რებთ, — განაგრძობდა სალიმოდ პირდალრეჯით რასკოლნიკო-ვი, — რომ შეშლილი ვარ ვითომ; ამიტომაც ვიფიქრევი, იქ-ნება მართლა შეშლილი ვარ და მომეჩვენა-მეთქი?

— აბა, რას ამბობ მაგასა?

— მაგრამ, ვინ იცის, იქნება მართლაც შეშლილი ვიყო და, რაც-კი რამ მოხდა ამ დღეებში, ყველაფერი ეს სნეულ-ოცნების ნაყოფი იყო მხოლოდ!

— ეჭ, როდიონ! მთლად აგიშალეს ნერვები!.. მაინც
რაო, რასთვის იყო?

არ უპასუხნია რასკოლნიკოვსა; რაზუმინიც ერთს წა
მას დაფიქრებული იყო.

— ყური დამიგდე, მაშ, გიამბობ,— დაიწყო რაზუმინინ-
შა.— შემოგიარე წელანა, მაგრამ გეძინა. ვისადიღეთ. სადიღს
შემდეგ პორტირისთან ვიყავი. ზამეტოვიც იმასთან იყო ისევა.
მინდოდა დამეწყო. მაგრამ არა გამოვიდა-რა, არ მოხერხდა
რიგიანად დამეწყო ლაპარაკი. თითქოს არ ესმით და ვერ
გაუგიათ, ისე უჭირავთ თავი, მაგრამ არავის რას ერიდებიან.
მივიყვანე პორტირი ფანჯარასთანა და დავუწყე ლაპარაკი,
მაგრამ კიდევ არ მოხერხდა როგორლაცა, ისაც საითლაც
გვერდზე გაიყურებოდა, მეცა. მივუტანე ბოლოს მუშტი ცხ-
ვირთანა და დავემუქრე, ცხვირ-პირს ნათესავურად ამოგინა-
ყავ-მეთქი. პასუხი არ გაუცია, გადმომხედა მარტო. მივაფურთხე
მეცა და წამოვედი. სისულელეა დიდი! ზამეტოვისათვის-კი
ხმაც არ გამიცია. მაგრამ იცი, რა არის: წარმომიდგა, ვითომ
უარესად წავახდინე საქმე; მაგრამ კიბეზედ უცბად საუცხოვო
ფიქრმა გამიელვა: რა გვაწუხებს-მეთქი? მართლა რომ საფრ-
თხე რამ მოგელოდეს, ჰო, მაგრამ ახლა რაო! ბრალი ხომ
არა მიგიძლვის-რა და რა გინდა? ჩვენვე სასაცილოდ ავიგდებთ
შერე. მე-კი შენს ადგილას უარესად აუზბნევდი გზა-კვალსა და
გადავრევდი. მაგათვე არ შეჰრცვებათ ბოლოს! მიაფურთხე
და გაანებე თავი; ცემას-კი მერეც მოვასწრობთ, ახლა-კი
ვიცინოთ მხოლოდ!

— რასაკვრელია, აგრეა! — უპასუხა რასკოლნიკოვმა.

„მაგრამ ხეალ რაღას იტყვი, ნეტა?“ გაიფიქრა თავის-
თვისა. უცნაურია სწორედ, არსად აქამდის ფიქრად არ მო-
ჰსვლია: „რას იფიქრებს რაზუმინინი, როცა გაიგებს?“ გაივ-
ლო ფიქრად რასკოლნიკოვმა და რაზუმინინს დააკვირდა. მის-
მა ნაამბობმაც პორტირის შესახებ ძლიერ დააფიქრა: ბევრი
რამ მოხდა მას შემდეგ!..

კარიღორში ლუუინს. შეეხეჩნენ: ის იყო, მოსულიყო და ნომერს ეძებდა; სამივენი ერთად შევიღნენ, მაგრამ ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ; სალამი არ მიუციათ. რასკოლნიკოვი და რაზუმინინი უწინ შევიღნენ, ლუუინმა კი შეიგვიანა განგებ, პალტოს იხდიდა ვითომ დერეფანშია. პულხერია ალექსანდროვნა მაშინვე გარეთ გამოეგება. დუნია ძმას მიესალმა.

შევიდა პეტრ პეტროვიჩი და თავაზიანად, მაგრამ გაორკეცებულის სიღარბაისლით მიესალამა ქალებს. მაგრამ ეტყობოდა დაბნეული იყო თითქოს: შემკრთალმა პულხერია ალექსანდროვნამაც მაშინვე რგვალს მაგიდას შემოუსხა სტუმრები, რომელზედაც სამოვარი იდგა აღუღებული. დუნია და ლუუინი ერთმანერთს პირდაპირ დასხდნენ მაგიდის აქეთ-იქითა. რაზუმინინი და რასკოლნიკოვი კიდევ პულხერია ალექსანდროვნას პირდაპირ დასხდნენ — რაზუმინინი ლუუინისაკენ, რასკოლნიკოვი დისაკენ.

უცბად სიჩუმე ჩამოვარდა. პეტრ პეტროვიჩმა აუჩქარებლივ ბატისტის ცხვირსახოცი ამოილო, რომელსაც, ეტყობოდა, ბლომადა ჰქონდა სუნნელოვანი წყლები ნასხურები და ცხვირი მოიხოცა; მაგრამ გრტყობოდა, ნაწყენი იყო და გარდაწყვეტილი ჰქონდა, მტკიცე განმარტება მოეთხოვა. დერეფანშივე გაიფიქრა წელან, ალარ გაეხადა პალტო, გაბრუნებულიყო პირდაპირა და ყველაფერი უცბად ეგრძნობინებინა ქალებისათვისა; მაგრამ ველარ გაპბედა. არც ის უნდოდა, რომ მიზეზი არ გაეგო, რათ არ შეასრულეს. მისი ბრძანება. და სჯას-კი, ფიქრობდა, მუდამ შესძლებდა.

— იმედია. მშვიდობიანად იმოგზაურებდით, — მიჭმართა ოფიციალურის კილოთი პულხერია ალექსანდროვნასა.

— მაღლობა ღმერთს, არა უჭირდა-რა..

— სასიამოვნოა ძლიერ. თქვენა, ავდოტია რომანოვნა, ხომ არ დაღლილხართ?

— მე, როგორც ახალგაზრდას, არა შიშავს-რა, მაგრამ დედა-კი ცოტა არ შეის. დაიღალა, — უპასუხა დუნიამა..

— რა ვუყოთ; გრძელი გზები გვაქვს მეტათა. დიდია ეგრედ წოდებული „მშობელი ჩუქეთი“... მაგრამ არასფრის გულისათვის არ შემეძლო გუშინ თქვენი დახვედრა, თუმცა გულით მინდოდა მომენტებინა როგორმე. იმედი მაქვს, საიმისოდ არა გაგიჭირდებოდათ-რა?

— ოჲ, არა პეტრ პეტროვიჩ,— დაიწყო როგორდაც საგანგებო ჩივილის კილოთი პულხერია ალექსანდროვნამა; — საშინლად შევწუხდით მაგრამ დროზედ რომ ღმერთს დიმიტრი პროკოფიჩი არ მოევლინა, ვინ იცის, სულაც დავკარგულიყავით. აგრე, ისინიც, დიმიტრი პროკოფიჩ რაზუმინისი, — გააცნო ლუუინსა.

— როგორ არა, მქონდა სიამოვნება... გუშინ გამეცნო, — წაიდუდუნა ლუუინმა და უსიამოვნოდ როგორდაც გადაჭვედა რაზუმინისა, მოიღრუბლა, გაჩუმდა.

ეტყობოდა თავაზიანი უნდა ყოფილიყო პეტრ პეტროვიჩი საზოგადოებაში, მაგრამ, როგორც-კი იწყენდა რასმე, მაშინვე ზომიერებას ჰქარგავდა და ზოგიერთსავით ფქვილის ტომარის უფრო წააგავდა, ვიდრე თავაზიანსა და ცოცხალს, საზოგადოების გამართობელს ვაჟკაცსა. გაჩუმდნენ ისევ ყველანი: რასკოლნიკოვს ხმა სულ არ ამოულია, ავდოტია რომანვნას კიდევ დრომდე არ უნდოდა სიჩუმე დაერლვია. რაზუმინისაც არა პქონდა-რა სათქმელი, ასე რომ ბოლოს პულხერია ალექსანდროვნამ დაიწყო ისევა.

— მართა პუტიროვნა გარდაიცვალა, შეიტყეთ თუ არა, — დაეკითხა პეტრ პეტროვიჩსა.

— როგორ არა, შევიტყევი. მაშინვე შემატყობინეს და მაცნობეს ისიც, რომ არკადი ივანიჩი სვიდრიგაიოლოვი ცოლის დასაფლავების უმალვე საჩქაროდ პეტერბურგს წამოსულა, მე მანც ასე მატყობინებენ.

— პეტერბურგს წამოსულა? — დაეკითხა. შეშფოთებით დუნეჩკა და დედას გადაჭვედა.

— დიახ, პეტერბურგს, მაგრამ, ეჭვი არ არის, უაზროდ არ იზამდა ამასა, თუ მისს. ასე სასწრავოდ წამოსვლასა და წინასწარს გარემოებას ვიქონიებთ სახეში.

— ღმერთო! ნუ-თუ აქაც არ დაანებებს თავს დუნეჩასა? შესძახა პულხერია ალექსანდროვნამა.

— ჩემის აზრით არც თქვენ, არც დუნეჩას საიმისოდ საწუხი არა გაქვთ-რა, თუ თვითონვე არ მოისურვებთ მასთან რაიმე საქმის დაჭრასა. რაც შემეხება მე, თვალს ვადევნებ უკვე და დავეძებ, სად არის ჩამომხტარი....

— ეჭ, პეტრ პეტროვიჩ, ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემაშინევით! — განაგრძობდა პულხერია ალექსანდროვნა. — ორჯელა ვნახე სულ, მაგრამ საზარელ ადამიანად მეჩვენა როგორლაცა! დარწმუნებული ვარ, განსვენებულის მართა პეტროვნას სიკვდილის მიზეზიც ის იქნებოდა უთუოდ.

— ეგ-კი ძნელი სათქმელია. ნამდვილი ცნობები მაქვს. არ ვიტყვი არასფერსა, იქნება ხელიც შეუწყო ზნეობრივად, გაჯავრებით; მაგრამ მის პირადობის ზნეობრივად დახასიათებაში-კი გეთანხმებით. არ ვიცი, მდიდრად არის ახლა, ან დაუტოვა რამე მართა პეტროვნამა, თუ არა; ამის შესახებ მალე ნამდვილს ცნობებს მივიღებ; მაგრამ თუ ფული ჩაუვარდა ხელში, ეჭვი არ არის, პეტრობურგში ძველს დროსა და ოინებს მოიგონებს ისევა. საშინელი გარყვნილი და ზნე-დაცემული კაცია! მაქვს საბუთი ვიფიქრო, რომ ვალიდამ გამოხსნის გარდა მართა პეტროვნამ კიდევ სხვაფრივაც იხსნა: მისს მეცადინეობასა და ზრუნვას უნდა მიეწეროს უთუოდ, რომ ერთი ფრიად საზიზლარი სისხლის საქმე რაღაცა მხეცურის მკვლელობისა თავზე გადივლო და ციმბირში არ მიბრძანდა, როცა, ეჭვი არ არის, უამისოდ არ ასცდებოდა. აი, როგორი კაცია, თუ მართლა ცნობა გსურთ.

— ოჳ, ღმერთო ჩემო! შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამა.

უყურადღებოდ უსმენდა რასკოლნიკოვი.

— მართალს ამბობთ, რომ ნამდვილი ცნობები გაქვთ ამის შესახება? დაეკითხა დუნია სასტიკადა.

— გეუბნებით მხოლოდ იმას, რაც განსვენებულ მართა პეტროვნასგან მქონდა საიდუმლოდ გაგონილი. მაგრამ უნდა

შევნიშნო, რომ იურიდიულად ბნელი საქმე იყო მეტადა. აქა სცხოვრობდა და, მგონი, კიდევაც სცხოვრობს ვინმე მევახშე უცხოელი ქალი რესსლიხი, რომელიც, მევახშეობის გარდა, სხვა საქმეებსაც არიგებდა. აი, ამ რესსლიხთანაც ჰქონია აღრევვე რალაცა საიდუმლო დამოკიდებულება სვიდრიგაილოვსა. რესსლიხთან სცხოვრობდა თურმე ვიღაცა შორეული ნათესავი თუ დისწული რესლიხისა, ასე თხუთმეტისა თუ თოთხმეტის წლის ყრუ-მუნჯი ქალი, რომელიც საშინლად თურმე სძულდა რესსლიხსა. წარმოიდგინეთ, უბრალო ხმელ ლუკმასაც-კი აყვე-დრიდა თურმე და ერთ-თავად სცემდა საცოდავსა. ერთხელ უცბად დამხტჩალი ნახეს ჩარდახში, მაგრამ დაამტკიცეს, რომ თავი მოეკლა. ჩვეულებრივის გამოძიების შემდეგ საქმე სრულიად გააუქმდეს, მაგრამ დაასმინეს შემდეგ ში, რომ ბავშვი სვიდრიგაილოვისაგან იყო ნაწვალები. მართალია, გამოურკვეველი იყო ესა და ბნელი მეტად, მასთან საშინელის ყოფა-ქცევისა და არ სანდო ნემეც ქალისაგან დანასმენი; თუმცა ნამდვილად არც-კი დაუსმენიათ, ხმა დავარდა მხოლოდ ესაც ისევ მართა პეტროვნას მეცადინეობითა და ფულის წყალობითა. მაინც საყურადღებო იყო დიდად ეს ხმა. რასაკვირველია, ავლოტია რომანოვნა, თქვენც გექმნებათ გაგონილი ამბავი აგრეთვე ფილკა კაცისა, რომელიც ამ ექვსის წლის წინად მოკვდა ბატონ-ყმობის დროს იმათს სახლში და რომლის სიკვდილსაც ისევ სვიდრიგაილოვის უღმერთოდ ცემას ამიზეზებენ.

— პირ-იქით, გამიგონია, თვითონ ჩამოიხრჩო თავიო.

— დიახ, დიახ, მაგრამ ბატონის სვიდრიგაილოვის მუდ-მივმა დევნამა და ტანჯვამ აიძულა, თავი მოეკლა.

— არ ვიცი სწორედ, —უპასუხა მკათხედ დუნიამა, —გამი-გონია მხოლოდ რალაცა უცნაური ამბავი, რომ დაღვრემი-ლობა სჭირებია, რალაცა ფილოსოფოსად ყოფილა შინაუ-რობაში ცნობილი; კაცები იტყოდნენ ხოლმე: „ბევრი იკი-თხა“ და იმისგან მოუვიდათ. უფრო დაცინვას მიზეზით მო-უკლავს, ვგონებ, თავი და არა ცემისა და დევნისა გამო. ჩემს

იქ ყოფნობის დროსაც კარგად უპყრობოდა მუდამ შინა მოსა-
მსახურეებსა, უყვარლათ კიდევა თითქმის, თუმცა მართალია
ისინიც ამტყუნებდნენ ხოლმე, ფილკა იმისი მკვდარია.

— ვხედავ როგორლაცა, ავდოტია რომანოვნა, რომ
თქვენც თითქოს იმისს გამართლებასა სცდილობთ, — შეჰნიშნა
ლურინმა და პირი როგორლაც ორ-აზროვანის ღიმისათვის
დაეღრიჯა. — მართლა რომ ეშმაკი და მომხიბლველი კაცია
ქალებისთვისა, რის სამწუხარო მაგალითსაც ასე უცნაურად
წუთისოფელს გამოსალმებული მარფა პეტროვნა წარმოადგენს.
მინდოდა მხოლოდ თქვენთვისა და დედი თქვენისათვის ჩემის
რჩევით როგორმე დახმარება აღმომეჩინა, რაკი კიდევა აქვს,
ეტყობა, რაღაცა განზრახვა. რაც შემეხება მე, დარწმუნებული
ვარ მტკიცედა, რომ მალე ისევ ვალებით აივება და დაპატი-
მრებენ. არასოდეს მარფა პეტროვნას არ ჰქონებია განზრახვა,
დაემტკიცებინა რამე მისთვის, რაკი შვილები ჰყავდა; ამიტო-
მაც, თუნდ ჰქონდეს რამე დატოვებული, მცირედი და უსა-
ჭიროესი რამ იქნება, რაც, ეჭვი არ არის, წელიწადსაც ვერ
გაატანს, იმისი ჩეკეულება და ხასიათი რომ ვიცით.

— გთხოვთ, პეტრ პეტროვიჩ, სვიდრიგაილოვზედ ლა-
პარაკს თავი დაანებოთ, — გააწყვეტინა დუნიამა; — როგორლაც
დარდებს მიშლის.

— ეს არის ახლა ჩემსას იყო, — ჩაერია უცბაზ ლაპარა-
კში რასკოლნიკოვი, რომელსაც მთელს ამდენს ხანს ხმა არ
ამოელო.

უველა მხრიდან შეჰყვირეს თითქმის; უველამ მას მიჰ-
მართა. პეტრ პეტროვიჩიც-კი აღელდა.

— ამ საათ-ნახევრის წინ შემოვიდა, გამაღვიძა და გა-
მომეცნაურა, — განაგრძობდა რასკოლნიკოვი. — საშინლად ცო-
ცხლად და მხიარულად ეჭირა თავი და იმედი აქვს დიდი,
რომ მე და ის უთუოდ ერთმანერთს შევეწყობით. სხვათა
შორის, თხოულობს, მაგალითად, რომ ერთხელაც არის გნა-
ხოს როგორმე, რისთვისაც შუამავლობას მთხოვდა. შენთან
რაღაცა წინადადება აქვს, რა შინაარსისა, მეც მითხრა, გარ-

და ამისა, შემატყობინა, რომ მარფა პეტროვნას ანდერძით შენთვის სამასი თუმანი დაუტოვებია, რომელსაც ძალიან მალე მიიღებ თურმე.

— მადლობა ღმერთსა! — შეჰყვირა პულხერია ალექსან-დროვნამა და პირჯვარი, გამოისახა. — ილოცე, დუნია, იმის სულისათვის!

— ეგ მართალია, — წამოსცდა უცბად ლუჟინსა.

— მერე, მერე? რაო კიდევა? — აჩქარებდა დუნეჩკა.

— მითხრა კიდევა, რომ თვითონ დიდი სიმდიდრე არა აქვს, მამული ბავშვებს დაპრჩენია, რომლებიც ახლა დუიდას-თან თურმე სცხოვრობენ. მითხრა რომ ჩემს ახლოს სადღაც ჩამომხტარა, მაგრამ სადა? — არ ვიცი, არ მიკითხნია...

— რაო, მაინც, რა წინადაღება აქვს დუნეჩკასთანა? — დაეკითხა შეშინებული პულხერია ალექსანდროვნა. — გითხრა კი?

— როგორ არა, მითხრა.

— რაო, რა მინდაო?

— მერე გეტყვით.

გაჩუმდა რასკოლნიკოვი, ჩაძს სმას შეუდკა.

პეტრ პეტროვიჩმა საათს დაპხედა.

— მაინც საქმე მაქვს და წავალ, აღარ დაგიშლით, — დასძრნა ცოტა ნაწყენის კილოთი თითქოს.

— დარჩით, პეტრ პეტროვიჩ, აკი მთელს საღამოს. ჩვენ-თან აპირებდით ყოფნასა. და მეორეც, თქვენვე იწერებოდით, დედასთანა მაქვს რაღაც მოსალაპარაკებიო.

— დიახ, აგრე გახლდათ, ავდოტია რომანოვნა, — მიუგო საგულისხმოდ პეტრ პეტროვიჩმა და სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ შლაპა ისევ ხელში ეჭირა. — მართლაც მინდოდა მომელა-პარაკნა როგორც თქვენთან ისე დიდად პატივცემულ დედა თქვენთანა. და საკმაოდ საყურადღებო საგანზედაცა. მაგრამ, როგორც თქვენს ძმას არ შეუძლიან ბატონის სვიდრიგაილო-ვის ზოგიერთა წინადაღების შესახებ. ჩვენთან ლაპარაკი... ისე მეც არ შემიძლიან... სხვებთან... ზოგიერთა, დიდად საყუ-

რადღებო საგნის შესახებ ლაპარაკი. მასთან ჩემი მოწიწებითი თხოვნაც რომ შესრულებული არ იქმნა... .

ლუჟინმა როგორლაც მწარე გამომეტყველება შიიღო, ლაპარაკი შესწყვიტა.

— თქვენი თხოვნა, რომ ჩვენს შეხვედრას ძმა არ დაჭ-
სწრებოდი, ჩემის სურვილით არ იქმნა განგებ შესრულებუ-
ლი, — უპასუხა დუნიამა, — და აი, რათა: იწერებოდით, ვითომ
შეურაცხყოფა მოგაყენათ. ამიტომაც იყო, რომ გარდავწყვი-
ტე, ახლავე გამორკვეულიყო საქმე და შერაგებულიყავით
უთუოდ. თუ მართლა შეურაცხყოთ როდიონმა, მოვალე იქ-
ნება და არის კიდევა ბოდიში მოიხადოს.

პეტრ პეტროვიჩმა მაშინვე თავს გამოიდო.

— არის, ავდოტია რომანოვნა, ისეთი შეურაცხყოფაც,
რომლის დავიწყებაც შეუძლებელია, რაც უნდა გულით ვინ-
დოდეთ. ყველას თავისი საზღვარი აქვს, რომლის გადალახვაც
სახიფათოა მეტად. იმიტომ, რომ აღდგენა წინანდელ გან-
წყობილებისა შეუძლებელი-ღა მერე.

— იმას როდი გეუბნებოდით, — გააწყვეტინა ცოტა მოუ-
თმენელად დუნიამა. — გაიგვით კარგად, რომ მთლად ჩვენი
მომავალი ახლა იმაზედ არის დამოკიდებული; რამდენად მალე
გამოირკვევა და გადაწყდება ეს საქმე? გეუბნებით პირდაპირა,
რომ უამისოდ პირში ცეკრა არ შემიძლიან და თუ რამდე-
ნადმე მაინც არის გეძვირფასებათ ჩემი თავი, უნდა უთუოდ
დღესვე გარდასწყვიტოთ და გაათავოთ ყველაფერი, თუმცა,
ვიცი, შეიძლება ძნელიც იყოს ეს თქვენთვისა. გიმეორებთ,
რომ, თუ დანაშაული ძმას მიუძღვის, ბოდიშს მოიხდის.

— მიკვირს სწორედ, ავდოტია რომანოვნა, რომ ასე
აყენებთ კითხვასა. — ცხარობდა ლუჟინი. — შეიძლება პირადად
თქვენ დიდადაც გაფასებდეთ და მიყვარდეთ, მაგრამ რო-
მელიმე წევრი თქვენის ოჯახობისა იმავე დროს არ მიყვარდეს.
თქვენგან ჩემი გაბედნიერება შეუძლებელსა და უაზრო რამ
მოვალეობას ვერ დამაკისრებს...

— ეჭ, თავი დაანებეთ, პეტრ პეტროვიჩ, ემაგ წყენასა,— გააწყვეტინა გულმოსულად დუნიამა,— და დარჩით იმავ გონიერ და კეთილშობილ აღამიანათა, როგორათაც დღემდისა გცნობდით და მსურს გიცნობდეთ ამას იქითაცა. მე თქვენ მოგეცით სიტყვა და ვიკისრე თქვენი ცოლობა; მენდეთ, მაშ, რომ ამ საქმეშიაც შევძლებ პირუთვნელად მსჯავრის დადებასა. ჩემგან ნებაყოფლობითი მოსამართლეობა ამ შემთხვევაში ჩემის ძმისათვისაც ისრევე მოულოდნელი ამბავია, როგორც თქვენთვისა. რომ მოვიწვიე დღეს, თქვენის წერილის შემდეგ, ჩემის განზრახვისა არა შემიტყობინებია-რა. გაიგეთ, რომა, თუ თქვენს შუა შერიგება არ მოხდება, ორში ერთი: ან ძმა ან თქვენ უნდა აგირჩიოთ. თქვენთვისაც ასეა კითხვა დაყენებული, ძმისთვისაცა. არა მსურს არჩევანში მოვტყუვდე. თქვენთვის ძმას, ძმისათვის თქვენ,— ორში ერთს უნდა გამოვეთხოვო. მინდა და გავიგებ კიდეც: ძმა არის მართლა ჩემი, თუ არა? თქვენ კიდევ: ძვირფასი ვარ თქვენთვის და მართლა ქმარი ხართ ჩემი, თუ არა?

— ავდოტია რომანვნა,— დაიწყო მობუზვით ლუჟინმა, დიდმნიშვნელოვანია მეტად თქვენი სიტყვები, უფრო მეტს ვიტყვი: თითქმის საწყენიც-კი, თუ ჩემს თქვენდამი დამოკიდებულებას ვიგულისხმებთ. არას ვიტყვი იმის შესახება, რომ მე და... თქვენი დიდგულა ძმა საწყენად და უცნაურად ერთმანეთს შეგვადარევით. თქვენი ნათქვამიდამ ის აზრი გამოდის, რომ შესაძლებელადა სცნობთ, თქვენი სიტყვაც დაარღვიოთ. მეუბნებით: „ან თქვენ, ან ისაო?“ მაშასადამე, მიმტკიცებთ ამითი, რამდენად არად მაგდებთ... ეს კი ჩვენს შორის დღეს არსებულ დამოკიდებულებისა და... პირობის მიხედვით შეუძლებელად მიმაჩნია.

— როგორ! — აენთო დუნია. — გვერდით გიყენებთ იმას, ვინც დღემდის ჩემთვის ყველაზე უძვირფასესი იყო და სიცოცხლეს შეადგენდა და გწყინთ კიდევ, რომ ნაკლებ გაფასებთ?!

ჩუმად და გესლიანად გაეღიმა რასკოლნიკოვსა. რაზუ-
მიხინიც მთლად აიმღვრა. მაგრამ არ მიიღო პეტრ პეტრო-
ვიჩის სიტყვის შებრუნება; პირ-იქით, თანდათან მეტადა
ბრაზობდა და ცხარობდა.

— მომავალ ცხოვრების თანამგზავრის, მეუღლის, სიყვა-
რული ძმის სიყვარულს უნდა სჭარბობდეს, — წარმოსთქვა და-
რიგების კილოთი, — ყოველს შემთხვევაში, ჩემი მასთან შე-
დარება შეუძლებელად მიმაჩნია... მართალია, უარს ვიყავი
წელან, თქვენს ძმასთან მომეთხოვა განმარტება, მაგრამ მი-
ვმართავ მაინც დიდად პატივცემულს დედა თქვენსა და ვთხოვ
ამიხსნას. თქვენმა შვილმა, — მიჰმართა პულხერია ალექსანდრო-
ვნასა, — რაზესუდკინთან (თუ... აგრეა, ვგონებ? უკაცრაოდ;
თქვენი გვარი დამავიწყდა, დაუკრა თავაზიანად თავი რაზუ-
მიხინსა) შეურაცხმყო შინ იმითი, რომ ჩემი აზრი დაამა-
ხინჯა, რომელიც, გახსოვთ, მაშინ გამოვსთქვი თქვენსას კერძო
ლაპარაკში ყავის სმის დროსა, რომ ცოლ-ქმრობისათვის
ლარიბ ქალის შერთვა სჯობიან, რომელსაც მწარე ცხოვრება
უკვე ნაცადი აქვს, ვიდრე კმაყოფილისა-მეთქი, რადგანაც
ზნეობრივად ეს უფრო სასარგებლოა. თქვენმა შვილმა-კი გა-
აზეიადა ჩემი სიტყვები და რაღაცა ბოროტი განზრახვა მომა-
წერა, რის საბუთადაც, ჩემის აზრით, თქვენი საკუთარი წე-
რილი გამოიყენა. ბედნიერი ვიქმნები, პულხერია ალექსან-
დროვნა, თუ წინააღმდეგს დამიმტკიცებთ და დამამშვიდებთ.
მაცნობეთ, გეთაყვათ, რა სიტყვებით გადაეცით მაშინ რო-
ლიონ რომანის ეს ჩემი ნათქვამი?

— არ მახსოვს სწორედ, — დაიბნა პულხერია ალექსა-
ნდროვნა, — გადავეცი ისე, როგორც თვითონ გავიგევი. მა-
გრამ როგორ გადმოგუათ როდიონმა, ეგ აღარ ვიცი... იქ-
ნება გააზეიადა როგორმე;

— თუ არ თქვენის ჩაგონებით, ისე ვერ გააზეიადებდა.

— პეტრ პეტროვიჩ, — ჩამოართვა სიტყვა პულხერია ალე-
ქსანდროვნამა, — თქვენი ნათქვამი რომ უდის აზრით არ აგვი-
ხსნია არც მე და არც დუნიასა, ამას ხომ ისიც ამტკიცებს,
რომ აქა გვხედავთ.

— კარგია, დედიჯან! — შეპნიშნა მოწონების კილოთი დუნიამა.

— ეტყობა, მაშ, აქაც მე ვყოფილვარ დამნაშავე! იწყინა ლუჟინმა.

— ასეა, პეტრ პეტროვიჩ, თქვენ სულ როდიონს ამტყუნებთ ყველაფერში და წელან-კი თვითონ თქვენვე მოიწერევით იმის შესახებ ტყუილი, — დასძინა გამხნევებულმა პულხერია ალექსანდროვნამა.

— არ მახსოვეს, რა მოვიწერე ისეთი.

— რა, და ისა, — დაიწყო რასკოლნიკოვმა, არ შეუხედნია-კი ლუჟინისათვის, — რომ მოგიწერიათ, ვითომ ფული გუშინ დაშავებულის ქვრივისათვის-კი არ მიმეურეს, როგორც ნამდვილად იყო, არამედ ქალისათვის (რომელიც გუშინდღამდე თვალით არც-კი მინახავს სადმე). მოსწერეთ ეს განგებ, რომ ერთმანერთში უსიამოვნება მოგვსვლოდა და ქალის ყოფაქცევაც საზიზლრად. დაუხასიათეთ, თუმცა ცნობით სრულებით არ იცნობთ, ვიცი. ყოველივე ეს-კი ჭორი და საძაგლობაა, ქვენა გრძნობებით გამოწვეული, სხვა არასფერი.

— უკაცრაოდ, ხელმწიფეო ჩემო, — უპასუხა სიბრაზისა-გან მთლად აკანკალებულმა ლუჟინმა, — იმიტომ შევეხე მხოლოდ თქვენს მოქმედებასა და თვისებებს ისე ვრცლად წერილშია, რომ ნათხოვნი მქონდა დედი თქვენისაგანაცა და დისაგანაცა, მეცნობებინა, როგორს მდგომარეობაში გნახავ-დით, ან რა შთაბეჭდილებას იქონიებდით ჩემზედა? რაც შე-ეხება წერილის შინაარსსა, ხოვ არც ამაზე ვარ უარსა: მი-პოვნეთ! აბა, თუნდ ერთი სტრიქონი, რომ შართალი არ იყოს. ტყუილია, განა, რომ ფული მთლად დახარჯევით? ან ის, რომ ოჯახობაში, რომელსაც უბედურება ეწვია, ულირსი ხალხი არ არის?

— ჩემის აზრით-კი, მთელის თქვენის ლირსებებით იმ უბედურ ქალის ფრჩხილადაც არა პლირხართ, რომელსაც აგრე პეტროვავთ შეუბრალებლადა.

— სჩანს, მაშ, არ მოირიდებდით და თქვენის დისა და დედის საზოგადოებაშიაც გაჰრევდით?

— კიდევაცა ვქმენ აგრე, თუ მართლა გულით გინდათ გაიგოთ. დღეს სწორედ გვერდით მოვუსვი ერთსაცა და მეორესაცა.

— როდიონ! — შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამა.

გაწითლდა დუნებიცა; რაზემიხინმაც წარბები მოილუშა. გესლიანად და მედიდურად ჩაიცინა ლუენმა.

— კარგია, თქვენვე ჰქედავთ, ავდოტია რომანოვნა, — მიუგო ლუენმა, — შეიძლება შერიგება, თუ არა? იმედი მაქვს, ახლა-კი სამუდამოდ გამოირკვა და გადაწყდა საქმე. მე-კი წავალ, რომ ნათესავურ შეხვედრის სიამოვნებასა და საიდუმლოების გამეღავნებას ხელი არ შეუვშალო (წამოდგა სკამიდამა და ქუდი აიღო). მაგრამ მივდივარ იმ იმედით, რომ შემდგომში ასეთს მოულოდნელს სიამოვნებასა და შეხვედრას ადგილი აღარ ექმნება. განსაკუთრებით-კი თქვენა გოხოვთ, პულხერია ალექსანდროვნა, მით უფრო, რომ წერილი თქვენს სახელზედ იყო გამოგზავნილი და არა სხვისა ვისსამე სახელზედა.

ცოტა არ იყოს იწყინა პულხერია ალექსანდროვნამა.

— რატომ აგრე მბრძანებლობას გვიპირებთ, პეტრ პეტროვიჩ, — არ იყო გიამბათ დუნიამა, რატომ არ იქმნა. თქვენი თხოვნა შესრულებული: კეთილი განზრახვა ჰქონდა, ვგონებ, დუნიასა. მართლაც-და, წერითაც ისე მწერთ, თითქოს მიბრძანებდეთ. ნუ-თუ ყოველა თქვენი სიტყვა ბრძანებათ უნდა მივიღოთ? მე-კი, პირ-იქით, მოგახსენებთ, რომ ახლა უფრო მეტის თავაზიანობითა და ზრდილობით უნდა გვეპყრობოდეთ მგონი; იმიტომ, რომ ყველაფერს თავი დავანებეთ, გენდეთ და აქ ჩამოვედით. მაშასადამე, უამისოდაც თქვენს სურვილსა და ბრძანებას ვერსად წაუვალთ თითქმის.

— ვერ არის, პულხერია ალექსანდროვნა, მართლი ეგა, განსაკუთრებით-კი ახლა, როცა ნამდვილად იცით, რომ მართა პეტროვნამ სამი ათასი მანეთი გიანდერდათ, რაცა, ჩემის აზრით, მალე შეეტყო. თქვენს კილოსა, — დასძინა გესლიანადა.

— მართლაც რომ გამხელთ ეგ თქვენი შენიშვნა, რომ ჩვენის უსაღსრობისა და უმწეობის იმედი გქონიათ, — შევნიშნა გაჯაერებით დუნიამა.

— ახლა ხომ მაინც აღარ შემიძლიან მაგ იმედით ვიყო, განსაკუთრებით—კი არ მსურს ხელი შეგიშალოთ, გაიგოთ, რა საიდუმლო წინადადებას გაძლევთ თქვენის ძმის პირით არკადი ივანოვიჩი სვიდრიგაილოვი; მით უფრო, რომ შეიძლება თქვენთვის დიდი და მეტად სასიამოვნო მნიშვნელობაცა ჰქონდეს.

— ოჟ, ღმერთო ჩემო! შეჰყვირა პულხერია აღექსანდროვნამა.

რაზუმიხინიც თავს ძლიეს-და იმაგრებდა.

— ახლაც აღარა გრცხვენიან, დაო? — დაეკითხა რასკოლნიკოვი.

— მრცხვენიან, როდიონ, მრცხვენიან! — მიუგო დუნიამა. — პეტრ პეტროვიჩ, გადით ახლავე აქედამა! — მიჰმართა ლუჟინს ბრაზისაგან მთლად გაფითრებულმა.

არ მოელოდა, ვვონებ, პეტრ პეტროვიჩი ამასა. დიდი იმედი ჰქონდა მეტად თავისის თავისაცა და თავისის მსხვერპლის უმწეობისაცა. არ დაიჯერა ახლაც-კი, რომ საქმე ასე დაბოლოვდა. გაფითრდა, ტუჩები აუცახცახდა.

— ავდოტია რომანოვნა, იცოდეთ, თუ გავალ და მასთან ასე გზის დალოცვითა, — იფიქრეთ კარგად — აღარასოდეს უკან აღარ დავბრუნდები!

— რა თავხედობა და საძაგლობაა! — შეჰყვირა და საჩქაროდ ფეხზედ წამოდგა. — არც მინდა, რომ დაბრუნდეთ უკან.

— როგორ! ჰედავთ, რო-გორ არ-რის საქმე! — შეჰყვირა ლუჟინმა, რომელსაც უკანასკნელ წამამდე ვერ დაეჯერებინა, თუ საქმე ასე დაბოლოვდებოდა; ამიტომაც მთლად დაიბნა და აირია თითქმის. — ჰედავთ, მაშ, რო-გორ არ-რის საქმე! მაგრამ იცით, ნეტა, ავდოტია რომანოვნა, რომ წინააღმდეგობაც შემეძლო!

— რა უფლება და ნება გაქვთ, რომ აგრე არ ელა-პარაკებით! — წაექომაგა ცხარედ პულხერია ალექსანდროვ-ნია. — რა წინააღმდეგობა შეგიძლიანთ? ან რა უფლება გაქვთ? როგორ არა, მივართმევ-კი თქვენისთანას ჩემს დუნიასა?! მო-გვშორდით, თავი დაგვანებეთ! ჩვენივე ბრალია, რომ უსა-მართლოდ მოვიქეცით, განსაკუთრებით-კი ყველაზედ მეტად ჩემი...

— მაშ, რა იყო, პულხერია ალექსანდროვნა, — ცხარობდა ლუჟინი, — თქვენ არ იყავით, სიტყვა მომეცით, ხელ-ფეხი შემიკარით და ახლა-კი უარს ამბობთ... და მაგის გარდა... ხარჯიც გამაწევინეთ? ..

იქამდის დამახასიათებელი იყო ეს საყვედური პეტრ პეტროვიჩისა, რომ ბრაზისაგან მთლად ნაცრის ფრად გაფი-თრებულმა რასკოლნიკოვშა თავი ვეღარ შეიმაგრა და მწა. რედ გადიხარხარა. პულხერია ალექსანდროვნამაც მთლად დაჭკარგა მომინება.

— ხარჯი გაგაწევინევით? რა ხარჯი? იქნება სკივრსა ჰგულისხმობთ, რომელიც ვიღაცა კონდუქტორს ჩამოატანიე-ვით მუქთადა? ღმერთო ჩემო, როგორ? ხელ-ფეხიც ჩვენვე შეგიკარით! გონს მოდით, პეტრ პეტროვიჩ, რას ამბობთ? თქვენ შეგვიკარით ხელ-ფეხი და არა ჩვენა!

— კმარა, გეთაყვა, დედიჯან! — შესთხოვა ავდოტია რომა-ნოენამ. — პეტრ პეტროვიჩ, გვიყავით წყალობა, გაგვშორდით!

— წაგალ, მაგრამ ერთს კიდევ გეტყვით უკანასკნელად! შესძახა თითქმის მთლად გადარეულმა. — დედა თქვენმა, ვგო-ნებ, მთლად დაივიწყა, რომ თქვენი შერთვა გადავსწყვიტე. მაშინ, როდესაც მთელი ქალაქი თქვენ შესახება განგაშებდა. არად ჩავაგდე საზოგადოების აზრი, თუმცა შემეძლო, რა-საკვრელია, თქვენის ლირსების აღდგენისათანავე მომეთხოვა, რომ მაღლობა რითიმე გადაგეხადათ... მაგრამ ეს არა ვქმე-ნი... და აგერ, ახლა-ღა გავახილე თვალები! თვითონვე ვხე-დავ, რომ წინდაუხედავად მოვიქეც მეტად, როდესაც საზო-გადოების აზრი არად ჩავაგდე...

— თავი მოსძულებია, თუ რა არის, ნეტა! — შეჰყვირა უცბად რაზუმიხინშა და სკამიდამ წამოხტა, რომ თავისებურად გაქსწორებოდა.

— სულ-მდაბალი და ბოროტის კაცი ყოფილხართ! — უთხრა დუნიამა.

— კრინტი, ხმა არ დასძრა! არ გაინძრე! — შეჰყვირა რა-სკოლნიკოვმა და რაზუმიხინს გადაელობა. მივიდა მერე თი-თქმის მთლად ლუუინთანა და წყნარად, მაგრამ გარკვევით შესძახა: — გადით ახლავე აქედამა! და კრინტი, ხმა აღარ და-სძრათ, თორემ...

რამდენსამე წამს სიბრაზისაგან მთლად დაღრეჯილი და გაფიტრებული შეჰყურებდა რასკოლნიკოვს პეტრ პეტროვიჩს; მიბრუნდა მერე და წავიდა. მაგრამ იშვიათად ვისმე გაჰყოლია თან იმდენი ბოროტება და სიძულვილი, რამოდენიც იმ ეამად ლუუინსა ჰქონდა გულში დამარტეული რასკოლნიკოვზედა. მხოლოდ და მხოლოდ მას ამტყუვნებდა ყველაფერში: მაგრამ შესანიშნავია ის, რომ კიბეზედ რომ ჩამოდიოდა, კიდევა ჰქონ-და იმედი, რომ შეიძლებოდა ქალების დახმარებით საქმე როგორმე გამოებრუნებინა ისევ.

III

უმთავრესი-კი-ის იყო, რომ უკანასკნელ წამამდე სულ არ სჯეროდა, თუ საქმე ასე გათავდებოდა. თავს იდებდა, მედიდურობდა და არ ეგონა არაფრის გულისათვის, თუ ორი ყოვლად უმწეო და ღატაკი ქალი მისს ბატონობას თავს რო-გორმე დააღწევდა. ხელს უწყობდა ამას მეტის-მეტი დიდების მოყვარეობა და თავწასული იმედიანობა, რომ ვერავინ რას გაუბედავდა. არარაობიდამ კაცად ქცეული პეტრ პეტროვი-ჩი სნეულებრივად იყო მიჩვეული თავისს თავის ტრფობასა; დიდად აფასებდა თავისს ნიჭა და ჭკუასა და ზოგჯერ, მარ-ტონბისას, თავისის შესახედავობითაც-კი ჰსიამოვნებდა და სტკაბოდა. მაგრამ ყველაზედ მეტად დედამიწის ზურგზედ

უყვარლა, ვინ იცის. რა საშუალებით არ ნაშოენი ფულები: მათის წყალობით იყო, რომ თავი ყველას ტოლათა და სწორათ მიაჩნდა, აღარავისზედ დაბლა. დგომა აღარ უნდოდა.

ახლაც, რომ სიმწარით აგონებდა დუნიას მასზედ დაყრილს ჭორებსა, გულწრფელად ჰერძნობდა, რომ ასეთის. სიკეთისათვის „უმაღურად მოეპყრნენ მეტად.“ თუმცა კარგად იცოდა ნიშნობის ღროსვე, რომ სისულელე იყო და უაზრო ყველა ეს ჭორები და მართა პეტროვნამვე საჯაროდ უარ-ჰყო იგინი, ქალაქმაც დიდი ხანია დაივიწყა, ყველა დუნიას ამართლებდა. თვითონაც უთუოდ უარს არ იტყოდა, ახლაც-კი, რომ ყველაფერი ეს მაშინვე იცოდა. მაგრამ დიდად აფასებდა მაინც, რომ დუნიას შერთვა გარდასწყვიტა და ამ ზომად მისი ამაღლება მოისურვა. ასე გაამულავნა თავისი საიდუმლოდ ნალოლიავები აზრი და ვერ მიმხვდარიყო ვერს გზით, რატომ სხვებიც მასსავით არა ჰკვირობდნენ და ადიდებდნენ მისს საგმირო საქციელსა. მაშინაც, რასკოლნიკოვთან რომ შევიდა, ასრევე ჰქონდა წარმოდგენილი, რომ, როგორც კეთილის მყოფელი, მხოლოდ საამოსა და ტკბილს ქება-დიდებას მოისმენდა. აი, სწორედ ამიტომაც იყო, რომ ასე შეურაცხყოფილი და შერცხვენილი ჩადიოდა კიბეზედ.

დუნია-კი მართლაც საჭირო იყო მისდვის; უარის თქმა და განშორება მისი შეუძლებელად მიაჩნდა. დიდი ხანია ოცნებობდა ტკბილად ქორწინებაზედა, მაგრამ ჯერ სულ ფულებს აგროვებდა და უცდიდა. ღრმა საიდუმლოებით ოცნებობდა ხოლმე კეთილზნეობიანსა და ღარიბს (უთუოდ ღარიბს), ახალგაზრდასა, მეტად ლამაზსა, კეთილშობილსა და განათლებულს ქალზედ, რომელსაც ბევრნაირი უბედურება უნდა ჰქონდა უთუოდ ნაცადი, ყოფილიყო დამტროთხაბლი, შეშინებული და საესებით მისი მორჩილი; მთელი სიცოცხლე თავისს მხსნელადა ჰყოლოდა წარმოდგენილი და თვალსა და წარბში ეცემირა მუდამ. ვინ იცის, რამდენი სამშო სურათი შეუქმნია მისს უქმს ოცნებასა, როდესაც-კი საქმისაგან მოცლილი ასე წასულა ტკბილს ფიქრებშია! და ჲა, მზად იყო

უკვე შესრულებულიყო მისი ოცნება: ავღოტია რომანოვნას სილამაზემა და განათლებამ უცბად მოჰქიბლეს; უმწეო, გა- ჭირვებულმა შდგომარეობამ ხომ ფრთები შეასხა უზომოდ. ნამდვილმა თითქმის გადააჭარბა ნაოცნებასა: მის წინ წარსდ- გა ამაყი, მტკიცე ხასიათის, გულკეთილი. ქალი, რომელიც განათლებითა და აღზრდით მასზეც ბევრად მაღლა იდგა. (პგრძნობდა თვითონვე) და მზა იყო მთელი თავისი სიცოცხლე მისი მორჩილი მონა და უსაზღვროდ მაღლობელი ყოფი- ლიყო!.. თითქოს განზრახო, საუბედუროდ, დიდის ფიქრისა და მოსაზრება-ლოდინის შემდეგ, ის-კი იყო გადასწყვიტა ბოლოს სხვა, უფრო საჩენ საქმისათვის მოეკიდნა ხელი და ნელ-ნელა მაღალს საზოგადოებაში გადასულიყო; რაზედაც დიდი ხანია სიამოვნებით ფიქრობდა მუდამ... ერთი სიტყვით, გარდასწყვიტა პეტერბურგში გადაეტანა თავისი მოღვაწეობა. იცოდა ისიც, რასაკვრელია, რომ ქალების დახმარებით „ჩა- ლიან“ ბევრის გაკეთება შეიძლებოდა. ახლავაზრდა, განათ- ლებულ და მშვენიერ ქალის გომხიბლველობას შეეძლო განსაკ- ვიფრებლად დამშვენებინა მისთვის გზა; მიეზიდა საზოგადო- ება და განედიდებინა... ახლა-კი ყველა ეს უცბად ირღვეოდა! სამუდამოდ ქარწყლდებოდა! ეს საზიზლარი და მოულოდნელი გაყრა მეხივით მოევლინა. რაღაცა საზიზლარი დაცინვა. და სისულელე იყო! მხოლოდ ოდნავ გაუცხარდა, ვერც-კი მო- ხერხა პასუხი რიგზედ მიეცა; იხუმრა თითქოს და უცბად-კი ასე გათავდა საქმე! დასასრულ, უყვარდა კიდეც თავისებურად დუნია, ოცნებით თითქოს დაეუფლა კიდეცა—და უცბად!.. არა! ხვალვე უთუოდ უნდა ისევ აღადგინოს როგორმე და გაასწოროს საქმე; უმთავრესად-კი მოჰსპოს ეს დიდგულა ბი- ჭი, რომელსაც ჯერ რე კიდევ არ შეჰშრობია ტუჩებზედა და რომელიც მისის შერცხვენის უმთავრეს მიზეზად შეიქმნა. სნეულებრივის გრძნობით იგონებდა უნებურად აგრეთვე რაზუ- მიხინსა... მაგრამ მალე დამშვიდდა ამ მხრივა: „ის-ლა მაკლია, რომ დამეტოლოსო!“ მაგრამ ვისი ეშინოდა და ეფიქრებოდა ყველაზედ მეტად,— ეს ისევ სციდრიგაილოვისა... ერთი სიტ-

ყვით, ბევრი რამ პქონდა საზრუნი და თავსატეხი.

— არა, არა, ყველაზედ მეტაც მე ვარ დამნაშავე! — იმეორებდა დუნი და დედას ეხვევდა, პკონციდა. — ფულებს და-ვეხარბე, მაგრამ გეფილები, ძმაო, არ ვიცოდი, თუ ასეთი ულირსი კაცი იყო. შცოდნოდა წინათვე, გარწმუნებ, ვერა: წამიტყუებდა-რა! ნუ გამამტყუენებ, ძმაო!

— იმერთმა გვიფარა! იმერთმა! — ბუტბუტებდა როგორ-ლაც უაზროდ პულხერია ალექსანდროვნა, თითქოს ჯერ კიდევ ვერ მიმსვდარა, რა გადაპხდაო თავსა.

ყველას უხაროდა, ხუთის ჭამის შემდეგ იცინოდნენ კიდეცა. დრო-და-დრო მხოლოდ დუნეჩა ფითრდებოდა და იღრუბლებოდა, წარსულს რომ მოიგონებდა. პულხერია ალექ-სანდროვნას-კი წარმოდგენაც არ შეეძლო, თუ საქმის ასე გა-თავებას გაიხარებდა: ლუჟინთან საქმის გაწყვეტა ჯერ ისევ დილით საშინელ უბედურებათ მიაჩნდა. მაგრამ აღტაცებული იყო რაზუმიხინი. არ შეეძლო ჯერ კიდევ სავსეპით ამ თავისს აღტაცების გამოხატვა, მაგრამ სიხარულისაგან მთლად ცახ-ცახი გაჰქინდა და ჰერძნობდა, რომ გულიდან მძიმე ლოდივით რაღაცა მოეშვა. ახლა კი უფლება აქვს, მოელი თავისი სიცოცხლე იმათ შესწიროს, მათ ემსახუროს... რა ვუყოთ, რომ! მაინც, ახლა უფრო დამფრთხალი იგერიებდა აზრებსა, ეშინოდა ოცნებობებსა. მარტოდ-მარტო რასკოლნიკოვი-ლა იჯდა თავისს აღგილას უძრავად, დაღვრემილი; დაბნეული, თითქოს ყველაზედ მეტაც იმასა ჰსურდა ლუჟინის განდევნა, ახლა-კი აღარავთარს ყურადღებას აღარ აქცევდა. დუნიას ეგონა, კიდევ გაჯავრებულია ჩემზედაო; პულხერია ალექსანდ-როვნა-კი, შეშინებული, თვალს არ აშორებდა.

— რაო, რა გითხრა სვიდრაიგილოვმა? — დაეკითხა დუნია და ახლოს მივიდა.

— ჴო, მართლა, მართლა! — შეჸყვირა პულხერია ალექ-სანდროვნამა.

რასკოლნიკოვმა თავი მაღლა აიღო.

— უნდა უთუოდ ათასი თუმანი გაჩუქოს და თხლულობს ამასთანავე, რომ ჩემის თანადასწრებით ერთხელ უთუოდ გნახოს როგორმე.

— ნახოსო! არაფრის გულისათვის არ შეიძლება! — შეკუვირა პულხერია ალექსანდროვნამა. — არა, ან-კი როგორ უბედავს ფულის შეძლევასა!

უამბო რასკოლნიკოვმა აგრეთვე სვიდრიგაილოვთან ნალა-პარაკევიც, მაგრამ მოკლედ. გამოსტოვა მარტა პეტროვნას შესახებ ყველაფერი, რადგანაც არ უნდოდა მეტად გაეჭიანუ-რებინა და ეზიზლებოდა კიდეც, სხვაზედ რაზედმე ელაპა-რაკნა.

— მერე, რა პასუხი მიეცი? — დაეკითხა დუნია.

— ვუთხარი ჯერ, რომ არ გაღმოგცემდი იმის სიტყვებსა. მაგრამ თვითონ დააპირა მაშინ შენი როგორმე ნახვა, ირწმუ-ნება, ვითომ მაშინდელი შენდამი ვნება უინი იყო მხოლოდ და ახლა აღარახა ჰერძნობს... არ უნდა მხოლოდ, რომ ლუჟინს გაჰყვე ცოლათა... საზოგადოდ-კი როგორლაც დაულაგებლად ლაპარაკობდა.

— თვითონ შენ როგორა გვინია, რითი ჰესნი იმისს ქცევასა, ჰა, როდიონ? როგორ გეჩვენა?

— გამოგიტყდები, რიგზედ ვერა გავიგე-რა. ათასკ თუ-მანსა გთავაზობს და თან-კი იძახის, მდიდარი. არა ვარო-აშბობს, მოგზაურობას ვაპირებო და ათის წამის შემდეგ-კი აღარა ახსოვს-რა. უცბად ის მითხრა ახლა, ცოლს ვირთავ და საცოლეც აჩენილი მყავსო... რასაკვრელია, ცუდი რამ განზრახვა ექნება. მაგრამ ისიც ძნელი დასაჯერებელია მეტად, ასე სულელურად დაეწყოს საქმე, მართლა რომ ცუდი რამ განზრახვა ჰქონდეს შენ შესახება... მე, რასაკვრელია, საბო-ლოოდ უარი ვუთხარი ფულის შესახებ შენ მაგივრადა. მაინც უცნაურად მეჩვენა მეტად, და... თითქმის... შეშლილადაცა მაგრამ შეიძლება ხომ მოვტყუებულიყავი კიდეცა, იქნება მოტყუება უნდოდეს. მარტა პეტროვნას სიკვდილს, ვგონებ, საკმაოდ უმოქმედნა...

— ღმერთო, ულხინე! — შეჰყვირა პულხერია ალექსანდ-
როვნამა. — ღმერთს სულ იმისთვის ვილოცავ! არა, რა მოგვი-
ვიდოდა, დუნია, რომ ის სამი ათასი მანეთი არ გაგვჩენოდა!
ღმერთო ჩემ! თითქოს ზეციდან მოგვევლინაო! იცი, როდი-
ონ, რომ დღეს დილით სამი მანეთის მეტი კაპიკი აღარა
გვქონდა და მე და დუნეჩა საათის დაგირავებას ვაპირებდით,
რომ იმ იუდასათვის არ გვეთხოვა, ვინემ თვითონვე არ მიჰვდე-
ბოდა?

ელდასავით ეცა როგორლაც სვიდრიგაილოვის წინადადე-
ბა დუნიასა. იდგა ერთს ადგილასა და ფიქრობდა ისევ.

— საზარელი რამა აქვს უთუოდ განზრახული! — ჩაილაპა-
რაკა თავისთვის ჩურჩულითა და გააცახუახა თითქოს!

შეჰნიშნა რასკოლნიკოვმა, რომ ძლიერ იყო შეშინე-
ბული დუნია.

— მგონია, თავს ვერ დავალწევ და ბევრჯელა ვნახავთ
კიდევ ერთმანეთსა, — უთხრა დუნიასა.

— თვალი ვადევნოთ მაშა, მოვძებნი უთუოდა! — შესძახა
ომახიანად რაზუმინინმა. — თვალს ალარ მოვაშორებ! როდი-
ონმა ნება დამრათო უკვე: თვითონვე მითხრა წელანა: „დას-
უფრთხილდიო.“ თქვენა, ავდოტია რომანოვნა, თქვენც მა-
ძლევთ ნებასა?

გაილიმა დუნიამა და ხელი გაუწოდა, მაგრამ ფიქრი
და ზრუნვა მაინც არ სცილდებოდა სახიდამა. პულხერია ალექ-
სანდროვნაც მოკრძალებითა და შიშით შეჰყურებდა. მაგრამ
სამასმა თუმანეთი მაინც დაამშვიდა თითქოს.

თხუთმეტის წამის შემდეგ უკვე მხიარული და ცოცხალი
ლაპარაკი გაჩაღდა: რასკოლნიკოვიც რამდენსამე ხანს
ყურადღებით უსმენდა ყველას, თუმცა თვითონ არ ლაპარა-
კობდა. ყველაზედ მეტს რაზუმინი მჭევრმეტყველობდა..

— ან-კი რისათვის უნდა წახვიდეთ, ნეტა! — ეკრთხებოდა
აღტაცებული. — პატია ქალაქში რა უნდა გააკეთოთ? მაშინ,
როდესაც აქ ყველანი ერთი მეორეს უნდიხართ; — რომ იცა-
დეთ, როგორ უნდიხართ ერთმანერთსა! რამდენსამე ხანს მა-

ინც... მეც მეგობრათ ამიყვანეთ, შემიამხანაგეთ და გარწმუნებთ, ისეთი საქმე დავიწყოთ, რომა... ყური დამივდეთ, აბა, ყველაფერს დაწერილებით გიამბობთ, — მთელს ჩემს პროექტს გაგაცნობთ! დილასვე მომივიდა ფიქრათა, ჯერ რომ არა გადაწყვეტილიყო-რა... მოგახსენებო, საქმე რაშია: ერთი ბიძა (მყავს საუცხოვო ხასიათისა და პატიოსანი ბერი კაცია), რომელსაც ასიოდე თუმანი ფული აქვს მოგროვილი; თვითონ პენსიას იღებს, იმითი სცხოვრობს, არა უჭირს-რა. მეორე წელიწადია აგერა, ჩამოიერია ეს ფული გამოვართვა და ექვს-ექვსი პროცენტი სარგებელი ვაძლიო. ვიცი, რათაცა შვრება ასე: უნდა, ვითომ დამეხმაროს როგორმე. შარშან, მართალია, არ მინდოდა, არ გამოვართვი, მაგრამ წრეულ-კი იმის ჩამოსვლას ველოდი. გადაწყვიტე გამოვართვა. თქვენც ას თუმანს ჩამოხვალთ სამასიდამა და შევვერთდებით; პირველ ხნობით მეტი არ გვინდა. მერე, რაო, რა უნდა ვაკეთოთ?

და დაიწყო რაზუმიხინმა თავისის პროექტის განმარტება, რომ თითქმის ყველა წიგნების გამომცემლები და წიგნებით მოვაჭრენი უცოდინარნი არიან და ამიტომაც ცუდი გამომცემლები მეტად, რადგანაც ნამდვილი ფასი თავისის საქონლისა არ იკიან. კარგი გამაცემები-კი მშვენივრად ისყიდება და სარგებელსაც საკმაოდ დიდს იძლევა. აი, სწორედ გამომცემლობაზედ ოცნებობდა რაზუმიხინი, რომელიც ორი წელიწადი იყო უკვე, სხვებისათვის მუშაობდა ამ საქმეშია. და რომელმაც სამი უცხო ენა (ევროპიული) მშვენივრად იცოდა. თუმცა, მართალია, სამის დღის წინ რასკოლნიკოვს შესჩიოდა, ნემეცურში არა ვიცი-რაო, რომ, რა არის, ამითი რასკოლნიკოვისათვის ნახევარი სამუშაო და სამი მანეთი. ბე აეღებინებინა. იტყუა მაშინ რაზუმიხინმა, მაგრამ რასკოლნიკოვმაც იცოდა კარგად, რომ სტუურდა.

— რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ჩვენის ცოდნითა და უნარითა როდესაც უმთავრესი საშუალება — ფულიც — გაგვიჩნდა საკუთარი? — ცხარობდა რაზუმიხინი. — რასაკურელია, შრომა დიდია საჭირო, მაგრამ ვიშრომებთ კიდეც: თქვენ, ავდო-

ტია რომანოვნა, მე და ორუიონი... ზოგიერთა გამოცემა
შშვენიერს სარგებელს იძლევა! უმთავრესი-კი ის არის აქა,
რომ გვეცოდინება, რა უნდა ესთარგმნოთ. ვთარგმნით კიდე-
ცა, გამოცემთ კიდეცა და ვისწავლით კიდეცა! შემიძლიან
ახლა გამოგადგეთ რაშიმე, იმიტომ; რომ გამოცდილი ვარ.
აგერ არის, ორი წელიწადია, გამომცემლებში დავძრჩივარ
სულა და ყველა მათი საიდუმლო და საქმე ვიცი: მერწმუნება,
სასწაულს როდი ახდენენ! არა, გემრიელი ლუკა ხელიდამ-რის-
თვის გავუშვათ? მე თვითონ ვიცი ახლა ორიჯ-სამი ისეთი
თხზულება, რომლის დასახელებისათვის მარტო ას-ას მანეთს
სიამოვნებით გაიღებდა ყველა, რომ გადასთარგმნონ და
გამოსცენ; ერთში-კი ხუთასსაც არ დავთანხმდებოდი.. მერე
რა გვინიათ, რომ ვუთხრა ვისმე, იქნება არც-კი დაიჯერონ
და საეჭვოდ გაპხადონ, იმიტომ რომ ბრიყვები არიან, სხვა
არასფერი! რაც შეეხება ბეჭდვისა, სტამბისა, ქალალდისა და
გასყიდვის საქმეს, ეს-კი მე მომანდევით, თავს მიღვია! ყველა
ადგილები და გზები ხუთი თითივით ვიცი, ვერავინ რას
გამომაპარებს. ცოტათი დავიწყოთ, დიდი გახდება; ყოველს
შემთხვევაში, ცხოვრების სალსარი ხომ გაგვიჩნდება და ჩვენ-
სასაც დავიბრუნებთ.

დუნიას მთლად თვალები გაუბრწყინდა.

— ძალიან მომწონს, რასაც ამბობთ, დიმიტრი პრი-
კოფვიჩ, — მიუვო დუნიამა.

— მე, რასაკვრელია, არა გამეგება-რა, — ჩაერია პულხე-
რია ალექსანდროვნა, — იქნება მართლა კარგიც იყოს, მაგრამ
ღმერთმა იცის. ახალი და უცნობი საქმეა. რასაკვრელია,
დროებით მაინც აქ დარჩენა საჭირო არის...

და როდიონს გადაპხედა.

— შენ რაღას ფიქრობ, ძმაო? — დაეკითხა დუნია.

— ჩემის ფიქრით, აზრი მშვენიერია, — მიუვო როდი-
ონმა. — ფირმის დაარსებაზედ ფიქრი ჯერ, რასაკვრელია, ადრე-
ულია, მაგრამ ხუთიოდ-ექვსი წიგნი შეიძლებოდა მართლაც
სახეიროდ გამოცემულიყო. თვითონ მეც ვიცი ერთი. თხზუ-

ლება, რომელიც უეჭველად გავრცელდებოდა და გაიყიდებოდა უცბად. რაც შეეხება საქმეს რიგზედ წაყვანას, მაგას ხომ ჩემი მეგობარი, ეპვი არ არის, მშვენივრად მოახერხებს, რადგანაც საქმე უკვე შესწავლილი აქვს... მაგრამ დრო ჯერ ბევრი გაქვთ, მორიგდებით...

— ურა! შეჰყვირა რაზუმიხინმა,— მოიცათ, რა გითხრათ: აქვე, ამ სახლში, ამავე სახლის პატრონს ცალკე ბინა აქვს. ამ ნომრებთან საერთო არა აქვს-რა; შესავალიც ცალკე აქვს. სამი ოთახია მოწყობილი, ფასიც ზომიერი აქვს. მოდით და პირველად ის იქირავეთ. საათს ხეალვე დაგიგირავებთ და ფულს მოგიტანთ; მერე-კი ყველაფერი თავისს თავად მოეწყობა. უმთავრესი-კი ის არის, რომ სამთავენი ერთად იცხოვრებთ, როდიონიც თქვენთან იქნება. რაო, რა იყო, საით გაემზადე, როდიონ?

— როგორ, წასვლას აპირებ, როდიონ? ჩაეკითხა შეშინებული დედა.

— და ისიც ამ დროსა! — შეჰყრიალა რაზუმიხინმა.

დუნიაც უნდობლად შეჰყურებდა განცვიფრებული ძმას. როდიონს ხელში ჭუდი ეჭირა, წასასვლელად ემზადებოდა.

— რაო, რა იყო, მმარხავთ, რო სამუდამოდ მემშვიდობებთ, — ჩაილაპარაკა როგორლაც უცნაურად.

თითქოს გაიღიმა კიდევა, მაგრამ არც ღიმილი იყო თითქოს ესა.

— მაგრამ, ვინ იცის, იქნება უკანასკნელათაცა ვხედავ ვდეთ ერთმანეთსა, — დასძინა მოულოდნელად. გულში უნდოდა გაევლო ეს ფიქრათა, მაგრამ როგორლაც უნებურად წამოსცდა.

— რას ამბობ, შვილო, რასა? — შეჰყვირა დედამ.

— რაო, სად მიხვალ, როდიონ? — დაეკითხა დუნია.

— ისე, საჭიროა ჩემთვის, — მიუგო როგორლაც ბუნდად, თითქოს ყოყმანობს და ვერ გაუბედნია; რა უნდა სთქვასო; მაგრამ გაფიტრებულ სახეზედ ნათლად ეტყობოდა, რომ მტკიცედა ჰქონდა რაღაცა გარდაწყვეტილი.

— მინდოდა მეთქვა... აქ რომ მოვდიოდი... მინდოდა მეთქვა, დედიჯან თქვენთვისა... და უენთვისაც, დუნია, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ რამდენსამეტ ხას ერთმანეთს არ ვინახულებდით. იმიტომ, რომ ცუდად ვგრძნობ თავსა, მოუსვერად ვარ... მერე მოვალ, თვითონ მოვალ, როდესაც შესაძლებელი იქმნება,.. მასსოებართ და მიყვარხართ... თავი დამანებეთ! დამანებეთ მარტოს! ასე გარდავსწყვიტე წინადვე... ნამდვილად გარდავსწყვიტე... რაც მამივა, დავიღუპები თუ არა, სულ ერთია, მინდა მარტოკა ვიყო. დამივიწყეთ სრულიად. უკეთესია... ნურც რისსამე შეტყობის მოისურვებთ ჩემ შესახებ... როცა საჭირო იქნება, თვითონ მომალ, ან... მოგიხმობთ. იქნება ყველაფერი ხელ-ახლა აღსდგეს!.. ახლაკი, თუ გიყვარვართ, თავი დამანებეთ, დამივიწყეთ... თუ არა-და, ვიცი, შემძულდებით... მშვიდობით!

— ღმერთო! — შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ.

დედასაც და დასაც ორთავეს შიშის ელდა ეცათ; შეეშინდა რაზუმიხინსაც.

— როდიონ, როდიონ! შეგვირიგდი, წინანდებურად ვიცხოვროთ! — შესძახა საცოლდავმა დედამ.

მძიმედ მიიბრუნა კარებისაკენ პირი რასკოლნიკოვმა და ოთახიდგან გასვლა დააპირა. მაგრამ დუნია წამოეწია.

— ძმაო, რათ სტანჯავ დედასა! — შესძახა მრისხანედ ვამოეტყველის სახით.

ძმამ მძიმედ გადაპხედა.

— არა უშავს-რა, მოვალ, ვივლი ხოლმე! — ჩაიდუდუნა დაბალის ხმით, თითქოს სრულიად არ ესმის, რას ამბობსოდა ოთახიდამ გავიდა.

— უგრძნობელო, ბოროტო თავმოყვარევ! შეჰყვირა დუნიამა.

— გადარეულია და არა უგრძნობელი! ნუ-თუ ვერ ჰერ დავთ? თქვენ თვითონა ხართ უგრძნობელი ამის. შემდეგა!.. ჩასჩურჩულა რაზუმიხინმა თითქმის შიგ უურში და ხელი მაგრა მოუჭირა ხელზედა.

— ახლავე მოვალ! — მიაძახა მიმკვდარებულს პულხერია ალექსანდროვნასა და ოთახიდამ გავარდა.

რასკოლნიკოვი გარეთ, კარილორის ბოლოში, უკუჩადა.

— ვიცოდი, რომ გამოიქცეოდი უთუოდ, — უთხრა რაზმინისა. — დაბრუნდი და ნულარ მოჭშოჩდები... ხვალაც მაგათან იყავ... სამუდამოდ, მე... იქნება მოვიდე... თუ შესაძლებელი, იქნება. მშვიდობით!

და ხელ-გაუწვდენლად გაჰშორდა.

— მაინც სად მიხვალ? რა იყო? რა მოგივიღა? განა ეს შესაძლებელია!.. ბუტბუტებდა თავ-გზა დაბნეული რაზუმინი.

შედგა კიდევ რასკოლნიკოვი.

— ერთხელ და სამუდამოდ გეუბნები, ნურასა მკითხავ. სათქმელი არა მაქს-რა... ნულარც ჩემსას მოხვალ. იქნება ისევ მე მოვიდე აქა... თავი დამანებე... მაგათ-კი ნუ მჟამოდება. გესმის?

კარადორში ბნელოდა; ლამფის გვერდით იდგნენ. ერთს წამს ერთმანეთს გაჩუმებულები უყურებდნენ. მთელს სიკოცხლეში აღარ დაპირიშებდი რაზუმინის ეს წუთი. ცეცხლი-ვით მგზნებარე თვალები რასკოლნიკოვისა თან-და-თან უფრო ენთებოდა თითქოს და სულში ჩაპყურებდა რაზუმინისა. შეკრთა უკბად რაზუმინი. რაღაცა ჩამ უცნაური აზრი... თუ ეჭვი ელვასავით ჩისახა მათ შუა და საზარელი, საზიზლარი გრძნობა ორთავეს ერთს დროს დაებადა. რაზუ-მინის მკვდრის ფერი დაედო.

— ახლა ხომ გესმის! — დაეკითხა უკბად სნეულებრივის. დაღრეჯით რასკოლნიკოვი. — წადი, მიჰედე, — დასძინა საჩქაროდ, მიბრუნდა და ისრევე საჩქარო გასწია გარეთ.

აღარ ავწერ, რა ამბავი იყო იმ ღამეს პულხერია ალექსანდროვნასას; როგორ დაბრუნდა რაზუმინი და ამშვიდებდა დედასა და დასა; როგორ ეფიცებოდა, რომ როდიონი ავად იყო და მოსვენება იყო მისთვის საჭირო. როგორ ამ-ედებდა, რომ უთუოდ ყოველ დღე ინახულებდა როდიონი, რომ საუკეთესო ექიმს უშოვიდა, კონსილიუმს დაანიშვნინებდა, კველაფერში ყურს უგდებდა... ერთი სიტყვით, იმ ღამიდამ რაზუმინი მათი ნამდვილი შვილი და ქმა შეიქმნა,

ინ-ენი,

(გავრძელება იქნება)

30 კელა ტელი

დრამა 4 მოქმ., შილლერისა

მომენტი პირნი:

ჰერმან გესსლერ—ავსტრიელი მთავარმმართებელი შვიცი და ურში:
ვერნერ—ბარონი ატტინგჰაუზენი.

ულრიხ ფონ რუდენც—მისი ძმისწული.

ვერნერ შტაუფახერი

კონრად ჰუნ

იტელ ჩედინგ

ჰანს მაუერ

იერგ ჰოფი

ულრიხ შმიდ

იოსტ ვეილერ

ვალტერ ფიურსტ

რესსელმანი—მღვდელი

პეტერმანი—ლიკვანი

კუონი—მწყემსი

ვერნი—მონადირე

რუთდი—მებადური

არნოლდ მელზტალი

კონრად ბაუმგარტენ

მეიერ სარნელი

სტრუთ ვინკელრიდ

კლაუს ფლიელი

ბურგჰარტ ბიჭელილი

არნოლდ სეველი

შვიცელი მცხოვრებნი.

ურელი მცხოვრებნი.

უნტერვალდენის მცხოვრებნი.

ფერფერ—ლუცერნელი.

კუნც გერზაუელი.

ჯენი—მებაღურის ბიჭი.

სეპპი—მწყვემსის ბიჭი.

გერტრუდა—შტუფაზერის ცოლი.

ჰედვიგ—ვილჰელმ ტელლის ცოლი და ქალი ფიურტისა.

ბერტა ბრუნეკ—მდიდარი მემკვიდრე—ქალიშვილი.

არმგარდ

მეხთილდ

ელსბედ

ჰილდეგარდ

ვალტერ

ვილჰელმ

ლეიტოლდ

ფრისპარდ

რუდოლფ ჰარიას—შტალმეისტერი გესსლერისა.

იოანნე პარიიცილა—შვაბიის ჰერცოგი.

შტისსი—შვილდოსანი.

შტიირ ურგლი.

სამეფო შიკრიკი.

ზედამხედველი.

კალატოზი, თანაშემწენი და მუშები.

განმცხადებელი.

ძმანი მოწყალებისა.

ვესსლერისა და ლანდენბერგერის ცხენოსანი ჩაფრები.

მრავალი ქალი და კაცი ტყის კანტონებიდან.

გლეხი ქალები.

ტელლის შვილები.

სალდათები.

პირველი მოქმედბა

სცენა პირველი

მაღალი კლდიანი ნაპირი ფირფალდშტეეტის ტბისა, შვიცის პირდაპირ. ტბა ხმელეთში შემოჭრილ ყურეს წარმოადგენს. ნაპირის აზლოს სდგას ქახი. მებადურის ბიჭი ნავით მიცურავს. ტბის ვარმა მოჩანან მწვანე მინდვრები და სოფლები შვიცისა, მზის შუქით მოფენილნი. მაყურებელთა მარცხნით მოჩანან კლდეთა მწვერვალნი, ლრუბლებით მოსილი, — მარჯვნით კი თოვლიანი მთები. ფარდის ახდამდისვე მოისმის დუდუკი და შეწყობილი უღარუნი საქანლის ზარებისა, რომელიც ფარდის ახდის შემდეგაც კარგა ხანს გრძელდება.

მებადური ბიჭი (შლერის ნავში).

ტბა საბანაოდ გვიწვევს ღიმილით,
ნაპირზე სძინავს ბავშვს ტკბილი ძილით.
ძილში ესმის იმას ხმები
ტკბილი ვითა სალამური,
ვით ზეციდან ანგელოზთა
გალობა რამ საამური!
როცა იღვიძებს ბავშვი ნეტარი
ხედავს — მის გვერდში თამაშობს წყალი.
და მოესმა ტბის ძირიდან
„შენ ჩემი ხარ პატარაო, —
ჩემს ჩრდახში მოგიტყუებ,
მოგიტაცებ მძინარაო“.

მწყემსი (სერზე. დუდუკის ჭანგი იცვლება).

მშვიდობით მწვანეთ მოსილნო
მინდორნო, ველნო მზიანო!
ზაფხული გაიპარა-და

მწყემსებიც გშორდებიანო.
 კვლავ ამოვალთ, დავბრუნდებით
 ისევ მოვმართავთ მთასაო,
 როს სიმღერებს გავიგონებთ
 და გუგულისა ხმასაო,
 როცა ვნახავთ დედა-მიწას.
 ყვავილებით მოკაზმულსო
 და საყვარელ მაისშია
 გარდმომჩქეფარ წაკადულსო.
 მშვიდობით მწვანეთ მოსილნო
 მინდორნო—ველნო მზიანო!
 ზაფხული გაიპარა და
 მწყემსებიც გშორდებიანო.

მთის მონადირე (გამოჩნდება პირდაპირ კლდის თავზე. ლუდუჯის ჭანგი იცვლება).

მთათა მწვერვალნი გრგვინავენ;
 ირყევა ბილიკებია,
 მაგრამ მშვილდოსანს ვერ აკრთობს,
 თავბრუ-დამსხმელი გზებია.
 ყინვით დაფარულ სერებზე
 თამამად დაიარება;
 სადც გაზაფხული არ იცის.
 და არც ჯეჯილი მწვანდება.
 იმის ფერხთ ქვეშე გაშლილა
 ნისლის ზღვა ცივი; ცვრიანი,
 დაფარულია სოფლები,
 არსად ჩანს ადამიანი.
 მხოლოდ კი ზოგან ღრუბელი
 გაგლეჯილ-გაპობილია;—
 მუნით გამოსჭვერს ტყე ველი
 ათასფრათ შემკობილია.

(სურათი. იცვლება. მთებში გაისმის ურუ გრიალი, ღრუ-
 ბეჭთა ჩრდილი გადაირებს მიდამზზე. რეალი—მებადური

გამოდის ქოხიდან, ვერნი—მონალინე კლდიდან ჩამოდის. შემოდის კუთნი—მწევესი ბეჭიზე ხურჯინ-გადაკიდებული, თან მოჰყება მას სეპში).

რეადი. აბა, უჩქარე ჯენი, მარჯვეთ! აკრიფე ბადე!
ხევის ჭაღარა მბრძანებელი გვიახლოვდება..
შყინვარი ღმუის; თავზე იხვევს თავისს ლეჩაქსა
მითენშტეინიც; ცივათ ჰბერავს ღელეებიდან
და ქარიშხალიც, ვთიქრობ, მალე ამოგარდება.

გუანი. წვიმა იქნება, მეზობელო. ცხვარი ბალახსა
სიხარბითა სძოვს და მურიაც მიწასა ფხოუნის.

გერნი. თევზები ხტიან, ზღვის ქათამიც ყურყუმელაობს:
ეს ნიშანია ქარიშხალის მოახლოვების.

გუანი (ბიჭუნას). მიხედე, სეპპი, საქონელი არსად გაიძნეს.

სეპპი. ღვინია ლიზას ზარის ხმაზე ვცნობილობ კარგათ.

გუანი. მაშ არ გვაკლია; ყველაზე შორს ის მიღის ხოლმე.

რეადი. სწორედ ზარები, მეგობარო, კარგი გქონია.

გერნი. საქონელიც ჩინებული. ეს ჯოგი შენი
საკუთრებაა, მეზობელო?

გუანი. მაგრე მდიდარი

მე არ გახლავარ. ის ეკუთვნის ჩემს კეთილ ბატონს,
ატტინგპაუზენს და ისე კი ჩემზე ითვლება.

რეადი. როგორა შვენის ბანტი ყელზე აი იმ ძროხას!

გუანი. თვითონაც იცის, რომ ის ჯოგის წინამდლოლია
და ახლა რომ მას ბანტი მოვხსნა, ძოვას შესწყვეტავს.

რეადი. რა სათქმელია!. უგუნური პირუტყვი აბა...

გერნი. მავას ნუ იტყვით! ნაღირსაც აქვს სწორედ გონება;
ეს კარგათ ვიცით ჩვენ, რომელნიც შვლებზე ვნაღირობთ.
როდესაც შვლები საძოვარში გადიან ხოლმე,
სიფრთხილისათვის აყენებენ ისინი დარაჯს;
იგი ყურებს ცქვეტს უა აცნობებს ხმოვანი სტვენით
თავისს აშხანაგთ მონაღირის მოახლოვებას.

რეადი. სახლში მიღიხარ?

გუანი. დიახ, სახლში. ალპი გაძოვდა.

- გერი.** ბეღნიერი გზა მოგცეს ლმერთმა, ჩუმო ძმობილო.
- კული.** მასვე გისურვებთ. მონადირე ხომ სულყოველთვის ვერ ბრუნდება შინ.
- რუდი.** ვიღაც მოდის ჩქარი სირბილით.
- გერი.** მე ვიცნობ იმას: ალცელელი ბაუშგარტია.
- კონრად** ბაუშგარტენ (ქშინებით შემოვარდება). თუ ლმერთი გწამდეს მებალურო, მოიტა ნავი...
- რუდი.** აბა რა მოხდა მაგისთანა?
- ბაუშგარტენ.** მოხსენი ნავი! გადამიყვანე გაღმა ნაპირს! სიკვდილისაგან დამიხსნი ამით!
- კული.** მეზობელო, რა მოგივიდა?
- გერი.** ვინ მოგდევს უკან?
- ბაუშგარტენი.** ლუუჩქარე. კვალ-კვალ მომდევენ მთავარ-მმართებლის ცხენოსნები და სიკვდილს ვეღარ გადავურჩები, მტარვალებმა თუ დამიჭირეს.
- რუდი.** რისთვის მოგდევენ ცხენოსნები?
- ბაუშგარტენი.** ჯერ მიშველეთ და მერე გიამბობთ.
- გერი.** სისხლითა ხარ ძმაო, გასვრილი, რა ამბავია?
- ბაუშგარტენი.** როსბერგს მჯდომი ბურგფოგტი მეფის...
- კული.** ვოლფენშისენი? მდევარნი შან გამოგისია?
- ბაუშგარტენ.** ვეღარ-რას მაწყენს, — მე მოვკალი ვოლფენშისენი.
- კული.** (შეშინებით). ლმერთო-გვიშველე! რა გიქნია!
- ბაუშგარტენ.** რასაც იზამდა
ჩემს ადგილზედა ცველა კაცი თავისუფალი!
მე მოვიხმარე ოჯახური უფლება ჩემი
და მოვკალ ვინაც შეურაცხჰყო. ჩემი მეუღლე.
- კული.** განა ბურგფოგტმა შეურაცხჸყო თქვენი მეუღლე?
- ბაუშგარტენ.** თუ შან თავისი ცუდი ნდომა ვერ შეისრულა,
ამის მიზეზი ლმერთი იყო და ჩემი ცული.
- გერი.** ცულით გაუპე იმას თავი?
- კული.** მოგვიყევი
სულ ცველაფერი დაწვრილებით, დრო კიდევ არი,
სანამ მენავე ნავს მოხსნიდეს ტბის ნაპირიდან.

ბაჟმგარტენ. ტყეში ვიყავი, შეშას ვკრიდი. ამ დროს მოიკრა
შეშინებული ჩემი ცოლი და მითხრა: „ჩვენსას
ბურგფოგტი წევსო და მიბრძანა საბანებელის
მომზადებაო“. მერე თურმე მან მოინდომა
შეურაცხყოფა დედა-კაცის. იგი გაუსხლტა
და გამოიქცა ჩემსა საძებრად. მე გავეშურე
და ნაჯახითა ვუკურთხე მას იგი აბანო.

გერნი. კარგათ გიქნია და მაგისთვის ვერვინ. გაგკიცხავს.
კუონი. ახ, ის მტარვალი! ხომ მიიღო თავისი ჯილდო!
დიდი ხანია ეს მან ჩვენგან დაიმსახურა.

ბაჟმგარტენ. ყველამ გაიგო ეს ამბავი... უკან მომდევენ...
სანამ აქ ვლაყბობთ... ღმერთო ჩემო... დრო იკარ-
(ისმის ქუხილი) [გება...]

კუონი. ჩქარა, მენავე! გაიყვანე გაღმა ეს კაცი!

რუდი. არ შემიძლია. საცა არი მძლავრი. გრიგალი
ამოვარდება. მოიცადე.

ბაჟმგარტენ. ღმერთო წმინდაო!

რა დროს ცდა არი! ყოველი წუთი სიკვდილს მიქადის!

კუონი. (მებადურს). ღვთით გაჰკარ ხელი! რიგი არის მოყვასის
შველა, შეიძლება რომ ყოველ ჩვენგანს იგივ შეემ-
(ქარი და ქუხილი). [თხვეს.]

რუდი. პირი გაიხსნა ქვესკნელმა და თვითონაც ხედავთ,
როგორ ღელავს ტბა; ზვირთ პირდაპირ. ნიჩბის
ხმარება არ შემიძლია.

ბუმგარტენი. (მუხლებზე მთენევეა).

შემიბრალეთ ღმერთი გიშველის!

გერნი. სიკვდილ-სიცოცხლის კითხვა სწყდება, აღამიანო!
გაჯავრებული შეიბრალე, უშველე დევნილს,

კუონი. ოჯახის მამა და ცოლშვილის პატრიონი არი.
(ჰამდენჭერმე მეხი გავარდება).

რუდი. რას მეუბნებით? საფრთხეშია ჩემი სიცოცხლეც,
და როგორც მაგას, მეც მყავან შინ ცოლი და შვილი.
ერთი შეხედეთ, როგორ ბერავს, როგორა ღელავს,

ზეირთს ზეირთზე ახეთქს და სილრმე შეყლის შფო-
თავს, ტრიალებს.

სიამოვნებით ვუშველიდი პატროსან კაცს,
მაგრამ ხომ ხელავთ, რომ არას გზით არ შეიძლება.

ბაჟმგაჟტენი (ჯერ კიდე დახოჭილი).

მაშ ხელში უნდა ჩავუვარდე ულმობელ მტერსა.
როცა მხსნელს ნაპირს ასე ახლოს ჩემს თვალწინ
ვხედავ?

შველა იქ არი! თვალით ვხედავ და ხმითაც ვსწვდები,—
ნავიც აქ არი, შეგიძლია გადამიყვანო
და მე კი მაინც უმწეოდა აქ უნდა ვეგდო?

გული. აბა შეხედეთ ეს ვინ მოდის?

გერნი. ბერგლელი ტელლი.

ტელლი (შემთდის შშვილდ-ისრით).

ვინ არის, შველას რომ თხოულობს?

გული. ოლცელელია.

იგი იცავდა თვისს სახელს, პატიოსნებას
და ვოლფენზისენ, როსბერგელი ბურგფოგტი შეფის,
გამოასალმა წუთი სოფელს. უკან მოსდევენ
მას ლანდფოგტის ცხენოსნები. მებაღურსა სთხოვს
გალმა გაყვანას. ის ვერ ბედავს, რაღან ღელვაა..

რუდი. ტელლმა სთქვას თვითონ, წყალზე ისიც გამოცდილია,
გასაბედია ტბაში გასვლა?

ტელლი. როცა მოითხოვს

საჭიროება, მეზობელო, სულყველაფერი
უნდა გაბედო. (საშინელი მეზის ხშა. ტბა დრიალით
ადი-ჩამდის).

რუდი. პირ-დაღებულ უფსკრულს ჩავვარდე?

ასე არავინ მოიქცევა შეშლილის გარდა.

ტელლი. ვინც ვაჟკაცია თავისს თავზე სულ ბოლოს ჰფიქრობს—
მიენდე უფალს და უშველე გაჭირვებულსა.

რუდი. რჩევების ძლევა ადვილია მშვიდ ნავთ-საღვურში.
აი, აქ ნავი, და აგერ ტბა! თვითონა სცადე!

ტელლა. ტბამ იცის ხოლმე შებრალება, ლანდფოვტმა არა! სუადე, ძმობილო!

მწევამსება და მონადირე. გთხოვთ, უშველე! უშველე ჩქარა!

ფუოდი. თუნდ იგი იყოს ლვიძლი შვილი ანუ ძმა მკვიდრი, მე მაშინაც კი ვერ გავბედავ. ღლეს იუდასი და სიმო-დლეობა არი. ტბაც მიტომ შფოთავს [ნასი და მსხვერპლს თხოულობს.

ტელლა. მეტი სიტყვა რა საჭიროა.

დრო ცოტა არი, კაცი უნდა გადავარჩინოთ.

მენავე, მითხარ, ვერ გაბედავ?

რუოდი. მე ვერ გავბედავ.

ტელლა. ღვთის დახმარებით მე გავბედავ სუსტის ძალითა.

მომეცი ნავი!

კუთხი. გაუმარჯოს ჩვენს მამაც ტელლა!

გერნი. აი, ეს მესმის! ვაუკაცობაც ამასა ჰქვია!

ბაჟმგარტენა ტელლო, შენა ხარ ჩემი მხსნელი და ანგელოზი!

ტელლა. ფოგტის ხელიდან მე დაგიხსნი, ზეირთებიდან კი სხვა არი მხსნელი. სჯობს რომ ხელში ღმერთს ჩაუ-და არა კაცა. (მწევამსეს). [ვარდე

მეზობელო, გებარებოდეს

ჩემი ცოლშვილი, ანუგეშე, უბედურება

თუ რამ შემემთხვეს. მე ვასრულებ მოვალეობას.

(ჩახტება ნავში).

კუთხი. (მებაღურეს).

შენ გამოცდილი მენავე ხარ,—თუ მან გაბედა

შენ რა გიჭირდა?

უკეთესი ვაუკაცებიც-კი

არა წაბაძვენ ტელლს. ჩვენს მთებში მას ბადალი

[არ ჰყავს.]

გერნი. (ადის კლდეზე).

აი, შორდება უკვე ნაპირს... მოშორდა კიდეც:

ღმერთმა გიშველოს მხნე მცურავო! ერთი შეხედეთ

როგორ ქანაობს ზეირთებ შორის პატარა ნავი!

კუთხი. (ნაშინზე). თავს ევლებინ მას ტალღები... ველარა ვხე-
[დავ...]

მოიცა! ისევ დავინახე... რა მედგრათ ებრძვის
ტალღების ტრიალს და იკვლევს გზას ის დალოც-
[ვილი!]

სეპში. ლანდფოგტის კაცნი გულგახეთქით მოიჩქარიან.

კუთხი. მართლაც ღვთის მაღლმა, ისინია! დროზე გადარჩა!
(შემოდის მთელი რაზმი დანდენბერგერის ცხენთსან ჩაფართა).

შირველი ჩაფარი. მოგვეცით მკვლელი, რომელიც თქვენ გყავთ
[აქ დამალული!]

მეორე. ამ გზით მოვიდა და აშაოდ გვიმალავთ იმასა
კუთხი და ჟუტდი. ვიზედა ბრძანებთ?

პირველი ჩაფარი (შეამჩნევს ნაეს).

ჰა! რას ვხედავ! გაუწყრა ღმერთი!

გერნი. (მაღლიდან). ვისაც თქვენ ეძებთ, იმ ნავშია? დაედევნეთ
და თუ დააჩქარებთ, დაეწევით.

მეორე ჩაფარი. წყეულიმც იყოს!
დაგვძრა ხელიდან!

შირველი ჩაფარი. (მწუჟმს და შებაღერს).

თქვენ უშველეთ და გააპარეთ!

თქვენვე გვიჩღვევით! აბა ჩქარა, დაეცით მათს
ჯოგს, დაშალეთ ქოხი, ყველაფერი გადასწვით, ჰკა-
(საჩქართ გადიან). [ლით!]

სეპში. (უკან დაუდევება).
ვაიმე, ცხვრებო!

კუთხი. (თან გაჟევება). ჩემო ფარავ! ვაიმე ბედკრულს!

გერნი. ოჰ, მტარვალებო!

რუთდი. (ხელებს ისრესს). ჰოი, ზეცავ სამართლიანო!

როდის მოუვლენ ჩვენს ქვეყანას მტრისაგან დამ-
(გაჟევება დანარჩენებს) [ხსნელს?]

სცენა მეორე

შვიცში. ცაცხვის ხე შტაუფახერის სახლის წინ, სასოფლო გზის პირზე, ხიდის ახლოს. შემოდიან ბაასით ვერნერ შტაუფახერი და ლუპერნელი ფეიფერი.

ფეიფერი. ასე, ბატონი, შტაუფახერ, როგორც გითხარი:

თუ შეგიძლია ნუ შეპტიცავ ავსტრიასა, და

კვლავ მტკიცეთ შერჩით იმპერიას, როგორც აქამდის.
ლმერთი ფარვილეს თქვენს ძველებურ თავისუფლებას.

(სედს ჩამოართმევს გრძნობით და უნდა გასვლა).

შტაუფახერ. დარჩი სანამდის მოვიდოდეს დიასახლისი:

შვაცში ხარ შენა უეჭველათ ჩემი წვეული,
და ლუპერნში კი მე ვიქნები შენი სტუმარი.

ფეიფერი. მაღლობელი ვარ. გზას ვადგივარ. დღეს უნდა ვიქნე
მიუცილებლად გერზაუში. იყავ მშვიდობით!

რაც უნდა მძიმე გახდეს ტვირთი უცხო მმართველთა
თავასულობის და სიხარბის,— ზიდე მორჩილად!

იქნება მალე ყველაფერი გამოიცვალოს,

შეიძლება, რომ სხვა ხელმწიფე ავიდეს. ტახტზე.

მაგრამ ავსტრიას ერთხელავე თუ დამორჩილდით,
დალუპულია თქვენი საქმე: თავს ვეღარ იხსნით!

(გადის. შტაუფახერი მწერალებით ჩამოჯდება სკამზე ცაცხებ
ქვეშ. შემთდის მისი ცოლი გერტრუდ. მის გვერდით გა-
ხერდება და რამდენიმე ხანს ხმა ამოუღებლივ: უცქენს).

გერტრუდა: რამ დაგაფიქრა მეგობარო? ვეღარ გცნობილობ-
დიდი ხანია თვალს გადევნებ გაჩუმებული

და ვამჩნევ, როგორ გილარავს შუბლს რაღაცა ფიქრი.

შენს გულს ამძიმებს იღუმალი სევდა და დარდი.

გამიზიარე შენი დარდი. მე ვარ ერთგული

შენი მეუღლე და ვთხოვულობ შენი კაეშნის.

ნახევარ ნაწილს. მენდე, მითხარ, სულყველაფერი.

(შტაუფახერი სედს გაუწვდის და ხმას არ იდებს).

მითხარ რისთვის ხარ მაგრე მძიმეთ დალონებულია?
 დალოცვილია შენი მარჯვენა, ბეღნიერი ხარ,
 ბეღლები შენი ჭირნახულით გატენილია,
 და საქონელიც მრავალი გყავს — ხარი და ძროხა.
 თავლებში გყავან მშვენიერი ჯიშის ცხენები
 მთებიდან უკვე საზამთროთა ჩამორეკილი.
 შენი სახლია აგებული ისე მდიდრულათ
 როგორც სასახლე თავადისა, ის მშვენიერი
 ფიცრებისაგან არი მტკიცეო აშენებული,
 ფარგლით და ლარით გეგმაზეა გამოყვანილი.
 მრავალრიცხოვან ფანჯრებიდან გამოსჭვერს ნათლათ,
 რომ შიგ ცხოვრობდენ. სიამით და კმაყოფილებით.
 კედლები მისი მშვენიერად მოხატულია,
 მგზავრი ჩერდება და კითხულობს ზედ ბრძნულ

[წარწერებს

და მათს ღრმა ჭირსა მოჰყავს იგი განცვიფრებაში.

შრაუფახერ. მართალი არი, ჩვენი სახლი ჩინებულია

მოფიცრული და მშვენიერათ გამოყვანილი,

მაგრამ ირყევა ნიადაგი, რომელზეც ის დგას:

გერტრუდა. ჩემო ვერნერო, ამიხსენი რა გსურს სთქვა მაგით?

შრაუფახერ. ამ ცაცხების ქვეშ ამას წინეთ ვიჯექი მარტო

და სიხარულით შევყურებდი ახლად დადგმულ სახლს.

ამ დროს მოვიდა კისნახტიდან ფოგტი ამალით,

გაკვირვებული ამ სახლის წინ გაჩერდა იგი.

მე მაშინათვე წამოვდექი და მივეგებე,

როგორც რიგია მორჩილებით, ვითარცა მეფის

წარმომადგენელს ჩვენს მხარეში. — „ვისი—სახლია?“

ბოროტგანზრახვით იკითხა მან, რადგან იცოდა

ძალიან კარგათ, ვისიც იყო. მე მოვიფიქრე

ერთს წამშია და ვუპისუხე: ეს სახლი არი

ჩემი ბატონის ხელმწიფის და თქვენი, ბატონო.

მე კი მიჭირავს იგი მხოლოდ როგორც ფეოდი.

„მე აქ ხელმწიფის მმართველი ვარ და არ მოვითმენ,

რომ გლეხი კაცი საკუთარ სახლს იშენებდესო
და იქ ცხოვრებდეს ვით ბატონი მთელი ქვეყნისო,
მე ეს არ მომწონს და არ გაძლევთ მის უფლებასო⁴.
მითხრა ფოგტმა და გამეცალა გაჯავრებული,
მე კი აქ დავრჩი და ვფიქრობდი დალონებული
იმ სიტყვებზედა, რომელიც სთქვა იმ უკეთურმა.

გერცონულა. ჩემო ძვირფასო ბატონო და ჩემო შეუღლე,
შეგიძლია, რომ მოისმინო ცოლისგან სიტყვა?
მე თავს ვიწონებ ხოლმე მითი, რომ გამოცდილი
და ბევრის მნახველ იბერგისა ქალიშვილი ვარ,
ჩვენ ყველა დები მატყლს ვართავდით ლამ-ლამობით,
როცა მამასთან ხალხის თავნი იკრიბებოდნენ,
ძველ ხელმწიფეთა სიგელთ ერთად კითხულობდნენ და
ქვეყნის სვე ბელზე ბაასობდნენ გულის დადებით.
მე ყურს ვუგდებდი და მესმოდა ისეთი რამე,
რასაცა ფიქრობს გონიერი, ნატრობს კეთილი,
და ჩუმათ გულში ჩავიმარხე ეს ყველაფერი.
ყური დამიგდე, გაიგონე ჩემი ნათქვამი,
რადგან მე ვიცი, რაც გაწუხებს, დიდი ხანია.

შენ გიჯავრდება ლანდფოგტი და ეცლება კიდეც,
რომ გაზარალოს, რადგან შენ გთვლის მთავარ მიზე,
რომ შვიცელები ახალ მეფეს თავს არ უხრიან. [ზად,
და ძველებურად მტკიცეთ შერჩნენ იმპერიასა.

ჩემო ვერნერ, ხომ ასე არი? მითხარ, თუ ვსტყუი!
შტაუფახერ. აგრეა სწორეთ. გამწყრალია ჩემზე გესსლერი.

გერცონულა. იმას კლავს შური, როცა გხედავს აგრე ბედნიერს
და თავისუფალს შენს სამკვიდრო საკუთრებაზე,
რადგან მას არ აქვს საკუთრება, თვით ხელმწიფოსგან
და სამეფოსგან გაქვს ეს სახლი. შენ ბოძებული,
და შეგიძლია, ის თამამად აჩვენო ყველას,
როგორც მთავარი თავის მამულს აჩვენებს ხოლმე.
გესსლერსა სქულხარ, რადგან შენ ხარ თავისუფალი
და არ ცნობილობ შენს ბატონად სრულიად არვის,

გარდა უმაღლეს ხელმწიფისა ქრისტიანობის; გესსლერი არი სულ უმცროსი შვილი სახლისა და ერთად ერთი საკუთრება, რომელიც მას აქვს, არის იმისი სარაინდო წამოსასხმელი; ამიტომ არი, რომ გლეხების ბეღნიერება თვალში ჩხვლეჭს იმას და იწვევს მის შხამიან წყრომას. დიდი ხანია გარდაწყვიტა შენი დალუპვა... ჯერ კიდევ დგახარ უვნებელი... გსურს ულოდინო, სანამ განზრახვას იგი ბოროტს შეისრულებდეს? ჰკვიანი კაცი წინდაწინვე ღებულობს ზომებს.

შტაუფახერ. აბა, მითხარი რა უნდა ვქნა?

გერეზერუდა (მიდის უფრო ასლოს). ყური დამიგდე და მოისმინე ჩემი რჩევა. შენ კარგად იცი, რომ შვიცში ყველა სწყლის ლანდფოგტს სიხარბისა და მრისხანებისთვის. იცოდე რომ იქით, გადაღმა, უნტერვოლდენში და ურშიაც უცხოელების მძიმე უღელსა მცხოვრებლები ველარ ითმენენ, რადგან, როგორც აქ ჩვენი ვესსლერ, ისე გადაღმაც, ურცხვათ იქცევა ლანდენბერგერ, მათი ლანდფოგტი. არც ერთი ნავი გაღმიდან აქ ისე არ მოდის რომ ახალი რამ არ გვაცნობოს მათი ფოგტების ძალადობაზე. ამიტომაც კარგი იქნება მეთაურები სადმე ჩუმად შეგროვდებოდეთ, ითათბირებდეთ და საერთოდ გამოასხევდეთ, თუ როგორ უნდა დაამსხვრიოთ მძიმე უღელი, იმასაც ვიტყვი რომ უფალი არ დაგივიწყებსთ. და ხელს მოუწყობს სამართლიან დაწყებულებას. არავინა გყავს კერძი კაცი, მითხარი, ურში, რომ შეგეძლოს მას შენი ფიქრი გაუზიარო?

შტაუფახერ. პატიოსანთა ადამიანთ იქ მე ბევრს ვიცნობ, ვიცნობ აგრძოვე პატივცემულ დიდ მემამულეთ; მათთან ყველასთან მეგობრულად განწყობილი ვარ. (ადგება)

ქალო, რამდენი საშიშარი ფიქრი აღძარი
ჩემს მყუდრო გულში! ჩემს სულს აბრუნებ
და სინათლეზე მაჩვენებ მე მის შიგნი მხარეს,
და რის ფიქრსაც კი მე გულშიაც ვერა ვბედავდი,
შენ ის თამამად და აღვილად გამოსთქვი ენით.
კარგად ასწონე და განსაჯე რასაც კი მირჩევ?
ამ მშვიდობიან ხევში იწვევ შენ ხმალთა წკრიალს
და მხეცურ ბრძოლას ძმათა შორის, სისხლის ნაკადულოთ!
როგორ გავბედავთ ჩვენ მწყესები გავიდეთ ომში
იმის პირდაპირ, ვინაც ქვეყნის მპყრობელი არი?
მტრისთვის გახდება ეს საბაბად, რომელსაც იგი
გულითა ნატრობს, რომ ჩვენს მხარეს შემოუსიოს
გამხეცებულნი მეომარნი და გამარჯვებულოთ
დაუბრკოლებლათ ითარეშონ ჩვენს ქვეყანაში,
და ვითომ ნიშნად ხალხის დასჯის წაგვართვან ჩვენი
თავისუფლების განმამტკიცი ძველი სიგელნი. [იცით,—
გეოტრუდა. თქვენც ვაუკაცნი ხართ და ნაჯახის ხმარებაც
[იცით,—

მხნე ადამიანს, ცნობილია, თვით ღმერთი შველის.
შტაუფახერ. ო, ქალო! ომი საშინელი და საზარელი
მოვლენა არი: იგი ხოცავს ჯოგსა და მწყესებს.
გეოტრუდა. რაც ღვთის ნებაა მორჩილებით უნდა ვითმინოთ;
ხოლო მტარვალთა უაღვირო თავვასულობას
პატიოსანი კაცის გული როგორ მოითმენს!
შტაუფახერ. შენს გულს ახარებს სახლი ახლათ აშენებული;
ომი საზარი ერთიანათ გადასწვავს იმას.
გეოტრუდა. რომ ვიცოდე, რომ ღროებითი ავლადიდებით
შებორკილია ჩემი გული, დაუყოვნებლივ.
ჩემსა სიმდიდრეს გადავსწვავდი ჩემივე ხელით,
შტაუფახერ. შენ, გრწამს, გესტრუდა ადამიანთ ლბობიერება!
აკვნის ბავშვსაც კი არ ღაინდობს ომიანობა.
გეოტრუდა. ის უბრალოა და ცაში ჰყავს თავის მფარველი!
წინ-წინ იყურე, ჩემო ვერნერ, და არა უკან!

შტაუფახერ. ჩვენ, მაშაკაცებს, შეგვიძლიან ვიბრძოლოთ შედ-
[გრათ]

და გავსწყდეთ ომში. თქვენ ქალებს კი რა ხვედრი გელისთ? გარტოვდა. უკანასკნელი არჩევანი სუსტთაც შთენია,—

რომ არ დავნებდე მტერს, ხილიდან გადავვარდები.

შტაუფახერ (გადახვევა ცოლს).

ვინც ასეთს გულს გულში იკრავს, მას შეუძლია

მამულისათვის და ოჯახისთვის მხნეთ იბრძოლოს, და

ვერ შეაშინებს მას ხელმწიფის მხელი ლაშქარი...

ასე, როგორც ვარ, ურისაკენ გავსწევ ეზლავე;

იქ სცხოვრობს ჩემი კერძი—კაცი, ვალტერ ფიურსტი, რომელიც ჩემებრ ფიქრობს ქვეყნის ავსა. და კარგზე.

იქავ ვნახავ პატიოსან ატტინგჰაუზენს,

ჟთამომავლობით თუმცა იგი მაღალი არი

მას მაინც უყვარს ჩვენი ხალხი და პატივსა სცემს

მის ზნეს და ადათს. აი, მათთან ჭითათბირებ მე.

თუ როგორ უნდა მოვაგეროთ ქვეყანას. მტერი.

შშვილობით იყავ. სანამ შორს ვარ, მთელი ოჯახი ებარებოდეს შენს ჰკუას და გამოცდილებას.

მგზავრსა, რომელიც ღვთის სახლისკენ მიემართება,

წყნარს ბერ-მონაზონს, რომელიც თვისს მონასტრისათვის ფულებს აგროვებს, მიეც უხვათ, ნურას დაზოგავ,

და გაისტომრე შინიდანა კარგათ მოვლილი.

ჟთაუფახერის სახლი ლია არი ყველასთვის.

გზის პირზედა სდგას და იზიდავს ყოველ გამვლელ

[მგზავრს].

(მიდიან სცენის სიღრმეში; შემთდიან ტელლი და ბაჟმგარტენი), ტელლი. ჩემი თან ხლება აწ საჭირო არ არი შენთვის

იმ სახლში შედი, იქაცხოვრობს შტაუფახერი;

მამა ჩაგრულთა... მაგრამ თვითაც აქვე ყოფილა... .

აბა, მომყევი და შევიდეთ ორივე მასთან.

(მიდიან მისენ; სცენა იცვლება).

შესამე სცხოა.

სახალხო მოქედანი ალტორფში.

მაღლობზე ციხეს აშენებენ. შენობა იმ ზომაზეა მიყვანილი, რომ
უკვე ციხის სახე აქვს. უკანა კედელი, გათავებულია და წინა კედელს აშე-
ნებენ. კიბეები და ხარაჩოები ჯერ კიდე დგანან და მუშები აღი-ჩამოლიან.
მაღლა სახურავზე დგას გადამშურავი. ყველანი მოძრაობენ და მუშაობენ...
ჟედამხედველი. კალატოზი, მისი თანაშემწე და ტვირთის მზიდველი.

ზედამხედველი (ჭრით ერებუა მუშებს).

კმარა მაგდენი მოსვენება! ჩქარა! ნუ გძინავთ!

მოზიდეთ ქვები კედლებისთვის, კირი და ქვიშა!

როცა ლანდფონგტი მობრძანდება, მან უნდა ნახოს
რომ მუშაობა წინ-წინ მიღის... მეტათ გრძელდება
ციხის. შენება! (ორ მუშას, რომელთაც ტვირთი მიაქვთ.)
ეს ტვირთი? გააორკეცეთ!

დღის ქურდებივით, თქვენაც ძარცვავთ მოვალეობას!

ბირებელი თანაშემწე. ულმერთობაა, რომ თვითონ ჩვენ გვაზი-
[დვინებენ]

ქვასა და კირსა ისევ ჩვენის საპყრობილისთვის.

ზედამხედველი. რას ბუტბუტებთ მანდ? საძაგელი ხალხია
[სწორედ!]

არაფრისათვის ის არ ვარგა, გარდა ძროხების

მოწველისა და უსაქმურათ ხეტიალისა.

ერთი მოხუცი (ისეგნებს) მე მეტი ალარ შემიძლია.

ზედამხედველი (შეანძრებს მას). ადექ, ბებერო!

ნუ ჰკარგავ ღროსა! იმუშავე! ადეგი მეთქი!

ბირებელი თანაშემწე.

ღმერთი არა გწამთ, რომ ამ ბერ-კაცს ღონე გა-

ძალას აყნებთ ასე. მძიმე მუშაობაზე? [მოცლილს,

კალატოზი და თანაშემწენა. ულმერთობაა!

ზედამხედველი. თქვენ თქვენს თავზედ იზრუნეთ მხოლოდ;
მე ამას ვშვრები, სამსახური რასაც მოითხოვს..

მეორე თანაშემწე. ზედამხედველო, რა ერქმევა ციხეს სახელად? ზედამხედველი. ამ ციხეს სწორედ დაერქმევა „ურის უღელი“

რაღან ამ უღლით ვიპირობენ დამორჩილებას.

თანაშემწენა. ურის უღელი!

ზედამხედველი. სასაკილო, აბა, რა, არი?

მეორე თანაშემწე. ამ სახლუკათი ფიქრობთ ურის დამორჩილებას? შირველი თანაშემწე.

ენახოთ რამდენი დაგჭირდებათ ასეთი სახლი

რომ ააშენოთ ერთმანერთზე, სანამ სიმაღლით

ურის მთებისა უმდაბლესთან გასწორდებოდეს!

(ზედამხედველი მიდის სცენის სიღრმეში). [ღლემდის ქალატოზი. ტბაში გარდვისერი ამ ჩემს წერაქვს, რომელიც ამ წყეულ ციხის შენებაზე მეხმარებოდა.]

(შემთდან ტელლი და შტაუფახერი).

შტაუფახერ. ნეტამც სიცოცხლე მომსპობოდეს და არ მენახოს ეს სანახავი!

ტელლი. აქ ნუ ვდგავართ. იქით წავიდეთ.

შტაუფახერ. ნეტავ სადა ვარ? რასა ვხედავ? ნუ თუ ეს არი თავისუფლების მხარე ური?

ქალატოზი. ბატონო ჩემო,

ნეტავ განახვათ ამ კოშკებ ქვეშ ღრმა სარდაფები!

ვინც იქ იცხოვრებს, მამლის ყივილს. ველარ მოისმენს.

შტაუფახერ. ო, ღმერთო ჩემო!

ქალატოზი. აბა ნახეთ ეს საძირკვლები და ეს ბოძები! საუკუნოდ არიან თითქო აშენებულნი.

ტოლლი. ხელით შექმნილს ხელივე დაშლის.

(მთებისენ მიდის).

თავისუფლების სახლი ღმერთმა თვით აგვიშენა.

(ისმის დაფის ხმა. შემთდის ხალხი, თან შემთაქვთ ქუდი გრძელ ჯობზე ჩამოჟიდებული; უკან მთეჭუება გზირი და მთეჭი გრძელ ქალთა და ბავშვთა).

პირველა თანაშემწე. რას ნიშნავს ეს ხმა? ყური უგდეთ!

ქალატოზი. რა ამხავია?

თითქო სალხინოთ ესწრაფება ამდენი ხალხი!

ან ეს ქუდი რაღას ნიშნავს?

გზირი. მეფის სახელით გიბრძანებთ შე თქვენ ყური დამიგდოთ! თანაშემწენი. ჩუმათ! ვუსმინოთ!

გზირი. ხალხნო ურისავ! ხომ ხედავთ ქუდს?-შუა ალტორფზე უმაღლეს ადგილს მაღალ ბოძე მას ჩამოვკიდებთ, და ასეთია ლანდფონგტისა ნება და აზრი:

ქუდს უნდა ისე პატივი სცეთ, როგორც თვით ლანდფონგტს; თავშიშველი და მუხლმოდრეკით. ამნაირათ სურს მეფეს შეიტყოს, თუ ვინ არის მისი მორჩილი. ვინც ამ ბრძანებას გარდაუვა, ის პასუხს აგებს მეფის წინაშე როგორც თავით, ისე ქონებით.

(ხალხი იცინის, დავს ჟერავენ, ხალხი გადის).

ჰირგელი. თანაშემწენა. ფოგტმა ეს რაღა უცნაური გამოიგონა! ქუდს თაყვანი ვსცეთ? აბა ერთი მითხარით ვინმე, გაგონილა რამ ამის მსგავსი ოდესმე სხვაგან?

ქალაცაზი. ჩვენ მუხლი უნდა მოვიდრიკოთ ქუდის წინაშე? ეს რაებს ნიშნავს? ლირსეულ ხალხს დასტინის ფოგტი!

ჰირგელი თანაშემწენა. იმპერატორის გვირგვინი რომ იყოს ეს, რა გაეწყობა! ეს ქუდია ავსტრიისა და [კიდე მინახავს იგი ტახტის ზემოდ დაკიდებული, სადაცა მეფე თავისს ვასსაჭოთ ფეოდებს აძლევს.]

ასტატი. ავსტრიის ქუდი! ეს მახეა ჩვენთვის დადგმული, ფრთხილად იყავით!

თანაშემწენი. პატიოსანი კაცი ასეთ სირცხვილს ვეღარ მოით-მენს.

ასტატი. წამოდით სხვებთან და სულყველამ ერთად ვიფიქ- (შიდიან სცენის სიღრშეში) როთ.

ტელლო (შტაუფახენს). ახლა შენ იცი პასუხი და მშვიდობით, ვერნერ!

შტაუფახენ. საით მიღიხარ? ბატონო ტელლო, ნუ მიგვატოვებ.

ტალღ. ოჯახი ჩემი ელის მამას. მშვიდობით იყავ!

შტაუფახენ. სავსეა გული ჩემი შენთან სალაპარაკოთ.

ტელლ. ტვირთმძიმე გული სიტყვებით არ შემსუბუქდება. **შტაუფახერ.** მაგრამ სიტყვები მიგვიყვანენ მოქმედებამდის! **ტელლ.** ჯერ ერთად ერთი ჩვენი საქმე მოთმინება და სიჩუმე არი.

შტაუფახერ. უნდა ჭითმინოთ მოუთმენელი?

ტელლ. ჩქარი პატონი, ცნობილია, დიდ ხანს ვერ მართავს. როცა გრიგალი თვისს ხვრელიდან ამოვარდება, ცეცხლს ვაქრობთ ხოლმე და ხომალდნიც ნავთსაღ- მშურებიან და ძლიერი იგი გრიგალი გურისკენ უკვალოთ ხოლმე გადაუვლის მიწას და ქრება. უკელამ თავისთვის თავისს სახლში წყნარათ იცხოვროს, ვისაც მშერდობა სურს, მშვიდობას ვერცინ დაურღვევს.

შტაუფახერ. აგრე გგონია?

ტელლ. გველი არ გვიკენს, თუ არ გაცხარდა, მტერი თვითონაც დამშვიდლება, როს დაინახავს რომ ჩვენი მხარე მშვიდათ არი.

შტაუფახერ. ერთად რომ ვიყოთ, ბევრს შევიძლებდით.

ტელლ. როცა გემი იღუპვის ზღვაზე მაშინ ცალ-ცალკე თავის შველა უფრო ხერხდება.

შტაუფახერ. ასე გულგრილათ განშორდებით საერთო საქმეს?

ტელლ. ყოველ კაცს უნდა ჰქონდეს მხოლოდ თავის იმედი.

შტაუფახერ. შეერთებულნი ულონონიც მძლავრი არიან.

ტელლ. მძლავრი კი უფრო ძლიერია, თუ მარტო არი.

შტაუფახერ. მაშ მამულს ჩვენსას ნუ ექნება შენი იმედი,

თუ მან ოდესმე ხელი მიჰყო მხსნელ იარაღსა თავგასულ მტრისა საბოლოო მოსაშორებლად?

ტელლ (აძლევს ხელს). ტელლი კრავსაც-კი გზა-დაბნეულს, ცუფსკრულის პირზე დაღუპვისაგან იხსნის ხოლმე და თვისს მეგობართ გაქირვების დროს აბა როგორ გამოაკლდება! მაგრამ მიხსენით ბჟობისაგან! თქვენ გადანწყვიტეთ! რჩევა და ზომეა დიდიხანი მე მეზარება.

თუ განსაზღვრული რამ საქმისთვის დაგჭირდესთ ტელლი,
დაუძახეთ და იგი მყისვე თქვენთან გაჩნდება.

(გადიან სხვა და სხვა შერით. უკრათ ხალხი აირევა შენობასთან).
გადატოზი (მირბის). რა ამბავია?

შირვენი თანაშემწე (შემთავის ძახილით).

ერთი ხურო ჩამოვარდა ძირს.

(ბერტა შემოვარდება ამაღითურთ)

ბერტა. დაიმტვრა? მოკვდა? ჩქარა, გასწიოთ, უშველეთ საწყალს,
თუა საშველი, აი ოქრო, გადაარჩინეთ...

(სამჯაულები გარდაისვრის ხალხში)

გადატოზი. თქვენი ოქროთი!.. თქვენ ყველაფერს ოქროთი
[ზომავთ];

მამები შვილებს დააშორეთ, ქმრები მათ ცოლებს,
მთელსა ქვეყანას მოუტანეთ წყევლა და კრემლი
და ამ სიმწარის გატებილებას ფიქრობთ ოქროთი?
წალით, მოგვშორდით! მხიარული ვიყავით ყველა
თქვენსა მოსვლამდის.. თქვენმა მოსვლამ თან მოგვიტანა
[უსასოობაც].

ბერტა. ცოცხალია? (ზედამესედები წინააღმდეგ ნიშანს აძლევს).
ბერტა ცოცხალია!

წყევლით შენდები და წყეული იქნები მარად!
(გადის)

სონა მოოთხე

ვალტერ ფიურსტის სახლი.

გალტერ ფიურსტი და ანთოლდ შედგენტა შემოდიან სხვა
მხრიდნ.

მედესტალ. ბატონო ვალტერ...

გალტერ ფიურსტი. არ მოგვისწრონ! მანდვე დადექი.
ჩვენ გარშემო გვახვევია შტრის ჯაშუშები.

მედესტალ. აბა, რას მეტყვით? რა ამბავია უნტერვალდენში?
მამიჩემისას რას მიბრძანებ? მე ვეღარ ვითმენ,
რომ აქ უსაქმოთ ვეგდო, როგორც დატყვევებული.

ისეთი მძიმე ბოროტება რა ჩავიდინა,

რომ მჭირდებოდეს თავის მალვა, როგორც კაცის მკვ-
ლელს?

ფოგტის ერთ ხეპრ ბიჭის ჯოხის დაკვრით თითო მოვსტეხე, როდესაც იგი თავგასული, ფოგტის ბრძანებით,

ჩემსა მშვენიერს ერთს წყვილს ზარსა მართვევდა ურცხვათ.

გალტერ ფიურსტი. ჩქარი ყოფილხარ. ბიჭი იყო გამოგზავნილი თქვენი ფოგტისგან. შენ სასჯელი გარდავიწყვიტეს
და აქ ტყვეობა აიტანოთ უნდა მორჩილათ.

მედხტალ. უნდა მეთმინა უგუნური სიტყვები ურცხვის?

„თუ გლეხს უნდათ პურისჭამა, მაშინ გუთანიც
თვითონ ზიღისო!“ გული, სული მეტოდა, როცა
ის ბიჭი ხარებს, ჩემს კარგ ხარებს, გუთნიდან ხსნიდა;
ყრუ ხმით ბლაოლნენ ის საწყლები, თითქო ესმოდათ.
ეს ურიგობა და რქებითაც იგერებდნენ მტერს;
მაშინ სიბრაზემ ამიტაცა, ვერ მოვითმინე
და ვსცემე შიკრიკს.

გალტერ ფიურსტი. თუ ჩვენ გვიჰირა, ჩვენ მოხუცებულთ,
დამორჩილება ჩვენი გულის, ახალგაზღობა

როგორ შეიძლებს თავის გრძნობის დამორჩილებას!

მედხტალ მე ვსწუხვარ მხოლოდ მამა ჩემზე. იმას სჭირდება
შვილისგან მოვლა და შვილი-კი ასე შორს არი.

ფოგტს ეჯავრება მამაჩემი, რაღვან ის მუდამ
მოსარჩლე იყო სიმართლის და თავისუფლების.
ამისთვის ახლა მტერნი მოხუცს შემიწუხებენ,
და არავინ ჰყავს, რომ დაიცვას ძალადობისგან.

რაც უნდა ცუდი დამემართოს, მე გავალ გაღმა.

გალტერ ფიურსტი. ჯერ მოთმინებით ულოდინე იქაურ ამბებს.

ვიღაც კარებზე არაკუნებს. იქნება ფოგტის
შიკრიკი არი. შედი შიგნით, ხომ იცი ურშიც
ლანდენბერგერის ხელისაგან არ ხარ ფარული,
რაღვან. მტარვალნი მხარს უჭერენ ერთი მეორეს.

მედხტალ ასინი თვითონ გვასწავლიან ჩვენ მოქმედებას.

გადტერ ფიურსტი შედი და ისევ დაგიძახებ, თუ საშიშარი არა არის-რა (ძელზოდი გადის). უბედური! ვერა ვბე-
[დავ]

ჩემი ეჭვები გაუმხილო... ვინ არაკუნებს? კარების ხმაზე სულყოველთვის ცუდს რასმე ველი. ყველგან ლალატი და ჯაშუშნი კვალშია გვდევნენ და ძალადობის მოციქულნიც ძალის ხმარებით გვიცვიდებიან ოჯახებში; როგორც ვხედავ მალე სახლისთვის დაგვჭირდება კლიტე-ბოქლომიც.

(აღებს ქარებს და განცვიფრებული უბან დაიხევს; შე-
მოდის ერთნერ შტაუფახერ).

ამას რას ვხედავ? შენ ბრძანდები, ბატონო ვერნერ? ღმერთს ვფიცავ, რომ შენ ხარ ძირიფასი ჩემი სტუმარი და უკეთესი კაცი ჩემს სახლს არა სწვევია.

მოხარული ვარ სულით, გულით, რომ ჩემსას გხედავ, რამ მოგიყვანა-, ან აქ, ურში, ნეტავ რას ეძებ?

შტაუფახერ (ხელს აძლევს). ვეძებ ძველ დროებს და ძველსავე
[შვეიცარიის.]

გადტერ ფიურსტ. ორივ საუნჯე შენთან მოგაქვნ... შენს დანახ-
[ვაზე]

გული სიამით იწყებს ტოკვას.—დაბრძანდი, ვერნერ..

როგორ დასტუვე შენი სათნო დიასახლისი,

ბრძენი იბერგის ქალიშვილი მჭერგონიერი?

ყოველი მგზავრი, წამოსული გერმანიიდან,

რომელიც ამ გზით ეშურება იტალიისკენ,

აქებს-ადიდებს შენი სახლის უხე მასპინძლობას...

თუ ფლიერიდან აქ მობრძანდი პირდაპირ ჩემთან;

შენ აქ მოსვლამდის გზაში რამე არ შეგინიშვავს?

შტაუფახერ (დაჯდება). დიახ, ვნახე რომ აშენებენ საკვირველ
ციხეს,

როს დანახვამაც დამილონა სული და გული.

გადტერ ფიურსტ. აი, შეხედე მეგობარო, სულ მრთელათ
მოჩანს.

შტაუფახერ. ასეთი რამე არასოდეს აქ არ ყოფილა...

არავის ახსოვს საპყრობილე ჩვენს ქვეყანაში;
ჩვენი სახლები არაოდეს არ იკეტებოდნენ
და კარდახშული იყო ჩვენში მხოლოდ სამარე.

გაღტერ ფიურსტ. თავისუფლების სამარე სწორეთ ეს ციხე.
შტაუფახერ. ბატონო ვალტერ, ვერ დავთარავ, რომ აქ მოვედი

დამძიმებული ათასგვარი მწარე ფიქრებით,
და არა მარტო ახალ ამბის შესატყობელად.

უბედურება დავსტოვე შინ და აქაც ვხედავ
უბედურებას. ამდენს ვითმენთ, და ვიტანჯებით
და გაჭირვების ბოლო მაინც ჯერ არსად მოჩანს.

თავისუფალი ვიყავით ჩვენ დასაბამიდან,
მიჩვეულნი ვართ, რომ სულყველა კარგად მოგვექცეს.
ასეთი ყოფა თავის დღეში ხალხს არ ჰქონია;
მას აქეთ, ასუ-კი მწყემსი მთაში აძლვებს ცხვარსა.

გაღტერ ფიურსტ. უმაგალითო არის სწორეთ მტარვალთა
ჩვენი კეთილი, სულმაღალი ატტინგჰაუზენ, [ქცევა!

ძველი დროების მოწამე და ბევრის მნახველი,
ფიქრობს აგრეთვე — მოთმინება აღარ ვარგაო,

შტაუფახერ. არეულია საქმეები უნტერვალდენშიც,
სისხლიც იღვრება; აი, ერთი ამის ნიმუშიც.
ვოლფენშისენი, მეფის ფოგტი, როსბერგში რომ ზის;
შეიპყრო თურმე აღკრძალული ნაყოფის ნდომაშ
და თვისი ნდომის შესრულება მან მოინდომა
ბაუმგარტენის მეუღლეზე ძალის მიტანით;
ბაუმგარტენმა მას ნაჯახით გაუპო თავი.

გაღტერ ფიურსტ. ო, ღვთის სამსჯავრო სწორათა სჯის! ბაუმ-
[გარტენი?]

სათნო კაცია! ხომ გადარჩა? ხომ გადამალეს?

შტაუფახერ. ის შენმა სიძემ ჩვენს ნაპირზე გამოიყვანა,
და ახლა ჩემსას საიმედოთ დამალულია.

მან უარესი რამ მიამბო სარნენს მომხდარი,

პატიოსან კაცს სისხლი უნდა გადმოსკდეს გულით!

გაღტერ ფიურსტ (უურადდებით). რა ამბავია?

შტაუფახერ. მელხტალში, იქ, სადაცა კერნში

შესავალია, სცხოვრობს ერთი მართალი კაცი,

რომელსაც იქა ეძახიან ჰენრი ფონ ჰალდენს,

რომლის ხმაც ხალხის ყრილობაზე მცირე არ არის.

გაღტერ ფიურსტ. მას ვინ არ იცნობს? გაათავე, რა დაემართა?

შტაუფახერ. ლანდენბერგერი რალაც მცირე შეცდომისათვის:

იმის შვილს თურმე გასწყრომია და წყვილი ხარი
საუკეთესო, გუთნიდანა მოახსნევინა.

ყმაწვილმა იმ ბიჭს სცემა რიგზე და გაიპარა.

გაღტერ ფიურსტ (ფრიად აღელვებული).

მერე მამა კი? სოქვი მის მამას რა დაემართა.

შტაუფახერ. ლანდენბერგერმა მამამისი მოაყვანინა,

წარმოადგინე სწრაფათ ჩემს წინ შენი შვილიო,

როცა მოხუცმა წრფელის გულით დაიწყო ფიცი,

თვითონ არ ვიცი ჩემი შვილის არაფერიო,

ფოგტმა მოყვანა მაშინათვე ბრძანა ჯალათის...

გაღტერ ფიურსტ. (წამოვარდება და ცდილობს შტაუფახერი
მეორე კუთხეში მიიყვანოს).

კმარა, გაჩუმდი!

შტაუფახერ. (ამაღლებული ხშირ) „შენი შვილი გამექუა მაგრამ

შენ ხომ დამრჩიო!“ წააქციეს ბებერი კაცი

და გაუხვრიტეს მას თვალები მახვილის წვერით...

გაღტერ ფიურსტ. მოწყალე ზეცავ!

მედხტალ (შემოვარდება). თვალებიო, ბრძანეთ თქვენ, არა?

შტაუფახერ (გაოცებული ეკინება გაღტერ ფიურსტს.)

აბა, ვინ არის ეს ყმაწვილი?

მედხტალ (ხელს სტაცებს მღელვარე სიჩქარით).

თქვენ თქვით თვალები გაუხვრიტესო?

გაღტერ ფიურსტ. ოჯ, საბრალოვ!

შტაუფახერ. ვინ არის, ბრძანე.

(გაღტერ ფიურსტი ანიშნებს).

მისი შვილია? ღმერთო, ყოვლად სამართლიანო!

მედხტალ. და მე-კი უნდა აქ, შორს ვიყო! ორივე თვალი?

გაღტერ ფიურსტ. უბედურება აიტანეთ, როგორც ვაჟუაცმა! მეღხტელ ჩემი შეცდომის გამო შეხვდა მამას ეს ტანჯვა!

მაშ ის ბრძა არი? ორივ თვალით? სულ უსინათლო?

შტაფისტერ. სწორეთ აგრეა. მხედველობის წყარო აღმოშრა,

და მზის სინათლეს თავის დღეში ველარ იხილავს.

გაღტერ ფიურსტ. ნუ ჰტანჯავ აგრე!

მეღხტალ. თავის დღეში ველარ იხილავს!

(თვალებზე ხელს შიითარებს ჭა ცოტა ჩანს გაჩუმებულია. მერქ მიუბრუნდება ჩან ერთს, ჩან მეთრეს და ჩმბობს წენარის ცრემლიანი ხმით).

რათ ბოძებული ნიჭი არი თვალთა სინათლე...

ყოველი არსი ცოცხალია სინათლის ძალით,

და სულყოველი ბედნიერი ქმნილება ღვთისა —

თვით მცენარეც კი სიხარულით სინათლისაკენ

იბრუნდებს პირსა... ის კი უნდა ბნელაში იჯდეს!

ველარ დასტკებება მწვანე მინდვრის ნაზი ღლელვითა,

ყვავილთა კრთომით და ოქროს ფრათ განათებულო
თოვლიან მთების საუცხოვო მწვერვალებითა.

რაა სიკვდილი და არ-ყოფნა! სულ არაფერი...

ძნელი ის არი, ზუ ცოცხალი ვერაფერს ხედავს!

აგრე მწუხარეთ რათ მიყურებთ? ორი თვალი მაქვს

და ვერცერთ მათგანს დაბრმავებულ მამას ვერ მივსცემ,

და ვერც ერთს შუქსა ამ უსაზღვრო სინათლის ზღვისას,

რომელიც ასე ბრწყინვალებით მეფრქვევა თვალში.

შტაფისტერ. არ შემიძლია რომ განვკურნო შენი ტკივილი,
პირიქით, უნდა სხვა ამბებით გავაძლიერო.

სხვაც რამ სჭირდება მამა შენსა სინათლის გარდა,

რადგან ლანდფოვტმა ყველაფერი წაართვა იმას,

და არაფერი დაუტოვა გარდა ჯოხისა

კარილან კარზე სამათხოეროდ სიარულისთვის.

მეღხტალ. აღარასფერი ჯოხის გარდა უთვალო მოხუცა!

სულ ყველაფერი მოსტაცეს მას, თვალთ სინათლეც კი,

ეს საზოგადო განძი ყველა ღვთის ქმნილებათა!

ახლა, ნურავინ ნულარ შეტყვის უნდა დარჩეო!

ხომ საპყარი ვარ, მშიშარა და უსინიდისო,
 რომ მე ვზრუნავდი ჩემს თავზე და შენ დაგივიშუყე!..
 შენი ძვირფასი თავი ხელში მივეცი მტარვალს
 თითქო საწინდრალ! სიმხდალეა, სხვა არაფერი!
 სხვას აღარისფერს აღარ ვფიქრობ, გარდა სისხლისა,
 შურისძიება არის ერთად ერთი სურვილი!
 უნდა წავიდე... ნუ მაკავებთ! მამის თვალები
 უნდა მოვსთხოვო მეფის ლანდფონგტს... მას გამოვსებნი
 მის ცხენოსნებში... ქვეყანაზე აღარ-რა მინდა,
 თუ კი ტკივილი, საშინელი საბრალო მამას
 ლანდფონგტის სისხლით გავუგრილე (უნდა წასვლა).

გაღტერ ფიურსტ. ნუ მიხვალ, დარჩი!

შენ აბა, ლანდფონგტს რას დააკლებ? იგი სარნენში
 თავისს სამთავრო კოშკში ზის და იმ სიმაგრიდან
 დასცინის ჩვენი ულონობის გულისწყრომასა.

მედეტად. ოუნდ ის ცხოვრებდეს თვით ბარეკორნის ყინვის
 [ჩარდახში,

თუნდა უფრო მაღლა, სადაც ჩადრით პირდაფარული
 ზის იუნგფრაუ, მე იმისკენ გზას გავიკაფავ!
 ოცი ჭაბუკი ისე ფიქრობს და გრძნობს, რთგორც. მე,
 და ყველამ ერთათ ფოგტის ციხე უნდა დავშალოთ!
 თუ კი ვერავინ ვერ გაბედავს გამოჰყევს ჩემს კვალს,
 თუ თქვენ სულყველას გეშინიათ ქონებისათვის
 და მტარვალთ ულლის მორჩილებით ზიდვასა არჩევთ,
 მთაში. წავალ და შემოვიკრებ გარშემო მწყესებს,
 იმ თავისუფალ ცის ჟევეშ, საღაც გრძნობა წმინდაა
 და გული მრთელი, მათ ვუამბობ საზარელ ამბავს.

შტაუფახერ. (გაღტერ ფიურსტს).

ტანჯვის ფიალი სავსე არი... უნდა ვუცადოთ.
 უკიდურესს, რომ...

მედეტად. რაღა დარჩა უკიდურესი,

როცა თვალთაც-კი მათს ბუდეში არ აყენებენ?

უიარალო ხომ არა ვართ? რისთვის ვსწავლობდით

მშვილდის ხმარებას და საომარ ნაჯახის ქნევას? ყველა ქმნილებათ თავთავისი იარაღი აქვთ გაჭირვების დროს. დაქანული ირემი დგება და თვისი რქებით ემუქრება მოსეულ ძალლებს. შველი იტყუებს მონადირეს და კლდეზე აგდებს... თვით გუთნის ხარი, ამხანაგი აღამიანის, როცა კრესერზე დააწვება. მეტი სიმძიმე, გახელებული ავარდება, აქნეც მძლავრ რქებსა და თავისს მტანჯველს ღრუბლებისკენ ააგდებს ხოლმე. გაღტერ ფიური. ჩვენ სამის მსგავსათ რომ ფიქრობდეს სამივე. იქნება რასმე შევიძლებდით.

[შხარე,

შტაუფახერ. აქაურები

თუ დაიწყებენ და თუ იმათ უნტერვალდენიც დაეხმარება, მაშინ შვილიც არ უდალატებს ძველ მოკავშირეთ.

მეღმეტად. მეგობრები მე ურიცხვი მყავს

უნტერვალდენში. სიხარულით თავს გასწირავენ ყველა ისინი ქვეყნისათვის, თუ ზურგი ექნათ გამაგრებული სხვებისაგან. მშვიდნო შამანო ჩვენი ქვეყნისა! თქვენ წინა დგას ერთი ჭაბუკი, რომლის ხმაც ხალხში, საღაც თქვენ ხართ, არ უნდა ჩან- [დეს.]

თუმც ყმაწვილი ვარ, მაგრამ მაინც გთხოვთ ჩემს რჩევასა ყურს ნუ აავლებთ! არა ფუჭი სისხლის დუღილი. მაღაპარაკებს! ენას მიღვამს დიადი ძალა მწარე ტანჯვისა, რაც ქვებსაც კა მოარბილებდნენ. თქვენ თვითონა ხართ პატრონი და მამა ოჯახის და ნატროპთ სათნო და კეთილი შეილების აღზრდას, რომელნიც უნდა თქვენს წეიღა თმას პატივსა სცემდენ და თქვენს თვალებსა სიყვარულით, ზრუნვით იცავდენ. თუმც თქვენა სხეულს და თქვენს ქონებას ჯერ არაფერი არ დაჰკლებია და თვალებიც თავიანთ წრეში დაუბრულებლათ მოძრაობენ, მაგრამ თქვენ მიერ

შუურადღებოთ ჩვენი კვნესაც არ უნდა დარჩეს.
იგივე ხმალი მტარვალისა კრთის თქვენ თავზედაც!
თქვენ მთელი მხარე მოაშორეთ ავსტრიის მეფეს, —
მამაჩემიც ხომ დამნაშავე მაგაში იყო,
მონაწილე ხართ და თქვენც გელისთ იგივე ბოლო.

შრაუფახერ (ვალტერ ფაურსტს).

შენ გადასწყვიტე! მე მზათა ვარ შენს კვალს გამოვყვე:
ვალტერ ფაურსტ. ვნახოთ რას იტყვის სილლინი და ატტინგ-
[ჰაუზენ...]

მათი სახელი გაგვიმრავლებს, ვფიქრობ, მეგობრებს.

მეფეტალ. ბრძანეთ, ამ მთებში სხვა რომელი სახელი არი
პატავცემული ისე, როგორც თქვენი სახელი?
თქვენს სახელებში ხალხი ხედავს თავის იმედსა,
ამ ქვეყანაში ისინია გავრცელებული.
თქვენ მიგიღიათ სათნოება წინაპართაგან
და თქვენი ცდითაც იგი უფრო განმტკიცებულა.
რა საჭიროა აზნაურნი? ჩვენ შევასრულოთ!
მარტო რომ ვიყოთ უიმათოთ? მაშინ ხომ თვითონ
მოვახდებით თავის შეელას გაჭირვებაში?

შრაუფახერ. თავად-აზნაურთ გაჭირვება არ მისდგომისა.

იგი გრიგალი დაბლობში აქცევს ცველაფერს,
მწვერვალებამდის ჯერ-ჯერობით არ აღწეულა.
მაგრამ როდესაც დაინახვენ მოელს ხალხს აღჭურვილს,
შემწეობასა აზნაურნიც არ მოგვაკლებენ.

ვალტერ ფაურსტ. აღლა რომ იყოს ავსტრიის და ჩვენ ვინმე
უფლებებითა აღჭურვილი უფროსი კაცი,
ის გადასწყვეტდა სამართლით და კანონიერათ.
მაგრამ მტარვალი მეფე არის და მოსამართლეც
იგივე არის... მაშ აწ ღმერთმა უნდა გვიშველოს
და ჩვენმა მკლავმა... შვიცის მცხოვრებთ თქვენ გამოკ-
[კითხეთ,

და მე კი ურში ამ საქმისთვის მოვსძებნი მომხრეთ,
მაგრამ მითხარით, ვინ გავგზავნოთ უნტერვა ლდენში?

მელსტალ. მე გამაგზავნეთ... ჩემზე უფრო ვის შეეხება..
გალტერ ფიუსტ. ვერ დავთანხმდები, რადგან თქვენ ხართ ჩემი.
[სტუმბარი,

და თქვენზე ზრუნვა-მფარველობა მე მაწევს ვალად!

მელსტალ. მე გამაგზავნეთ, კარგათ ვიცი ყველა ზილიგნი,
დასამალავი აღილები, კლდე და ლრეები;
აგრეთვე მე იქ მეგობრები საკმაოთ მყვანან,
რომელნიც ბინას სიხარულით მითავაზებენ
და დამმალავენ, რომ მტერს ხელში არ ჩავუვარდე.

შტაუფასერ. გაუშვით მართლაც. იქ გადაღმა არავინ გასცემს..
მტარვალი ისე ეზიზლება ყველას, რომ იგი
ვერცე შოვილობს ამდენ ხალხში თავისს ჯაშუშებს,
ბაუმგარტენიც მოგვიძებნის ტყის ძირს უბნებში
მეგობრებს და ხალხს ააჯანყებს ჩვენდა საშველად.

მელსტალ. ერთმანერთს როგორ მივაწოდოთ რამე ცნობები,
რომ ჩვენი ქცევით არ აღუძრათ მტარვალებს იჭვი?

შტაუფასერ. ჩვენ შეგვიძლია შევიკრიბოთ ბრუნნს ანტრეიბში,
საღაც ტბის ნაპირს იღვებიან ვაჟართა გემნი.

გალტერ ფიუსტ. საფრთხილო არის ასე ცხადათ საქმის კეთება-
ყური დამიგდეთ, მოგახსენოთ. ტბის მარცხენა მხრით,
როცა მიდიხართ ბრუნნისაკენ, მითენშტეინის-
გასწვრივ, გადაღმა, შუა ტყეში სულ დაფარული
მინდორი არი. სახელით მას ჰქვია „ნაკაფი“.

მას ამ სახელსა ეძახიან მწყემსნი იმიტომ,
რომ იმ აღვილზე ტყე იყო და გამოუკაფავთ.
ამ აღვილზედა იყრებიან (მელსტალს) ჩვენი საზღვრები,
და შვიციდანაც (შტაუფასერს) მჩატე ნაერით იმ აღვილამდის
ორ წუთში. მოხვალთ. ჩვენ კი ლამით მყუდრო ბილიკით
იქვე მოვალთ და ვარჩიოთ ერთათ ეს საქმე.

თვითეულ ჩვენგანს შეუძლია თან მოიყვანოს
ათ-ათი კაცი, სანდო, ჩვენი თანამოზრე,
ასე საერთოთ განვსჯით საქმეს საზოგადოსა
და ღვთის წყალობით დავადგებოთ გარდაწყვეტილ გზას.

შტაუფახერ. ეგ აგრე იყოს. მომეცი აქ შენი მარჯვენა
პატიოსანი, შენი ხელიც მომეცი, მელხტალ.

როგორც ჩვენ სამი ვაკავშირებთ აქ ხელებს მტკიცეთ
და პატიოსნათ, და სიყალბეს არ აქვს ადგილი,
ისე თვით ჩვენი სამი მხარე დაკავშირდენ და
სიკვდილ-სიცოცხლე იქნეს მათვის მარად საერთო.

გალტერ ფიურსტ. სიკვდილ-სიცოცხლე იქნეს მათვის მარად
საერთო.

(სამიგე ერთხანს ხელი-ხელ ჩაკიდებული დგანან და ხმას
არ იდებენ).

მელხტალ. ბრძაო, მოხუცო, მამაჩემო! ველარ იხილავ
თავისუფლების აღდგენის დღეს; გაიგონებ კი...
როდესაც მთებზე აღინთება ცეცხლის ნიშნები
და დაინგრევა მტარვალების ციხე-კოშკები,
მაშინ შემოვლენ შენს ქოშია შვეიცარლები,
რომ გახარონ შენ აღდგენილი თავისუფლება,
და ამ ამბითა ბრძას წყვდიადი გაგინათლდება!

(გასშორდებიან ერთმანერთს).

მოქმედება მეორე.

სასახლე ბართნის ატტინგჰაუზენისა.

გოტიური დარბაზი გვერბებით და მუზარადებით კედლებდამშვე-
ნებული. ბართნი 85-ის წლის მოხუცია, წამოსადევისა და კეთილშობილ
შეხელულებისა; ხელში უჭირავს ირმის რქის თავიანი ყავარჯენი და მოკ-
ლე ქურქი აცვია. კუონი და ექვსი სხვა მუშა მის წინ დგანან, ხელში
უჭირავთ ცელები და ფოჩხები. შემოდის ულრიხ ფონ რუდენცი, რაინ-
დის ტანისამოსით.

რუდენც. მე გიახელით, ბიძა ჩემო... ბრძანეთ, რა გნებავთ?
ატტინგჰაუზენ. ნება მიბოძეთ, ჯერ მუშებთან, ჩვენი ოჯახის
ძველ წესისამებრ, სასაუზმო ღვინო დავლით.

(სფაში დგინდს თასიდან, რომელიც უველას რიგ-რიგად შემოუვლის).

ერთ დროს მეც მათთან დავდიოდი ტყე და მინდორში;
თვალს ვადევნებდი ხოლმე იმათს გულმოდებინებას,
როცა ისინი ჩემს დროშასა მიჰყავდა ომში.

ახლა კი რა ვქნა? მერიქიფეზ ვვარგივარ მხოლოდ.
თბილი მზის სხივი თუ არ მოდის ზევიდან ჩემთან,
თვითონ არ ძალ-მის, რომ მოვსედნო იგი მთეპზე.
და ამნაირად იზღუდება ჩემი სიცოცხლე
უფრო და უფრო, და თან-და-თან უახლოვდება
იგი სულ ვიწრო, უკანასკნელ განსასვენებელს.
მე ახლა მისი ჩრდილი-ლა ვარ, რაც წინად ვიყავ,
და მალე ჩემგან სახელი-ლა დარჩება მხოლოდ.

კუთხი (შეაძლევს რედენცს დვინიან თასს).

მიირთვით ლვინო (რედენცი უკუმანობი!) ნუ ყოყმანობთ!
ნიშანი არის ერთი გულის. [ეს ერთი თასი

ატეინგაუზენ. აბა, შვილებო,

თავ-თავის საქმეს შეუდევით. საღამოზე კი
როდესაც მორჩეთ მუშაობას, ისევ მოდით და
კვლავ ერთად ქვეყნის საქმეებზე ვილაპარაკოთ.

(მუშები გადის).

ატეინგაუზენი და რედენცი.

ატეინგაუზენ. აღჭურვილსა და განმზადებულს გხედავ სამ-
[გზავროდ,

ისევ ალტორფის სასახლეში აპირობ წასვლას?

რედენც. დიახ, მივდივარ ბიძა-ჩემო, და ვჩერობ კიდეც...
ატეინგაუზენ. (დაჯდება).

აგრე ძალიან გეჩერება? ნუ თუ, რუდენც, დრო

აგრე ძუნწად აქვს მიზომილი შენს სიჭაბუკეს,

რომ ვერ ახერხებ ორი წუთი შენს მოხუც ბიძას გაუ-

[ზიარო].

რედენც. ვხედავ, რომ თქვენ ჩემში სრულებით

არ საჭიროებთ და ამ სახლში უცხო პირი ვარ,

ატრინგაუზები. (დიდხანს თვალში თვალგაურით უუწოდები).

ეს, სამწუხაროთ, მართალია. საუბედუროთ,

შენი სამშობლო სულ უცხოდა გამხდართ შენთვის!

ვეღარ გცნობილობ, ულრიხ! ულრიხ... აბრეშუმით ხარ
შენ შემოსილი, სიამაყით ფარშავანგის ფრთას

ატარებ ქუდზე და პორტირის წამოსასხმელი

ბეჭებს გიმშვენებს. გეზიზლება გლეხი კაცი და

მისი გულწრფელი სალამისა გრცხვენია კიდეც.

რუდენც. იმდენ პატივს ვსცემ, რავდენიც მას შეეფერება,
არ ვაკუთნებ კი იმ უფლებას, რასაც ითვისებს.

ატრინგაუზები. მთელს ჩვენს ქვეყანას მოევლინა ხელმწიფის
[რისხვა,

ყოველ ჩვენგანის გული არის სევდით აღვსილი.

იმის გამო, რომ მტარვალების ულელს ვატარებთ...

მხოლოდ შენა ხარ ერთათ ერთი აღამიანი,

რომელსაც ქვეყნის გაჭირვება სულ არ აშენებს.

მტრის მომხრედ გთვლიან და ამბობენ: ის დაგვცინისო!

ის ეძებს მხოლოდ უნაყოფო მხიარულებას,

მთავრის მოწყალე ღიმილისთვის იღწვის, იბრძვისო

მაშინ როდესაც მისს ბედკრულ მამულს სულ სისხლი
[სიდისო.

რუდენცი. სამშობლო ჩვენი სხვის ულელქვეშ იტანჯებაო...

რათ იტანჯება, ბიძა-ჩემო, ერთი მითხარით?

ვინ ჩაგდო ის გაჭირვებულ მდგომარებაში?

საკმაო არი, ერთი სიტყვა წარმოსთქვას ხალხმა,

და მოელება ბოლო იმის ყოველგვარ ტანჯვას,

და ქვეყანასაც ეყოლება მოწყალე მეფე.

ვაი იმათ, ვინც ხალხს თვალს უხვევს და არ აჩვენებს,

რა არის. მისთვის სასარგებლო და საწადელი.

ვინაც სცდილობს, რომ ტყას თემები

გაჯიუტდენ და სხვა თემების მიუხედავათ, არ შეჰვიცონ

[ავსტრიის მეფეს,

მათ ამოქმედებს მხოლოდ კერძო ინტერესები.

ის ბატონები რას ჰქარგავენ ამ მოქმედებით?!

ისინი კარგათ გრძნობენ თავსა თავიანთ სახლში...

ბატონადა სურთ მათ ხელმწიფე, მაგრამ ისე კი,

რომ კვლავაც დარჩენ უბატონოდ, თავისუფალი.

ატეინგაუზენ. ნუ თუ, რუდენცო, ეს სიტყვები მე შენგან
[მესმის?]

რუდნერ. სალაპარაკოდ თვითონ თქვენვე გამომიწვიეთ,

და დამანებეთ ლაპარაკი. თქვენ, ბიძა ჩემო,

თვითონ თქვენ-კი აქ, ამ მხარეში, ჩა როლს თამაშობთ?

ნუ თუ თქვენ არ გაქვთ უფრო მეტი თავმოყვარება,

რომ ამ ხალხშია უფროსობთ და მწყესებთან ერთათ

ქვეყანას მართავთ? ნუ თუ ამით კმაყოფილდებით?

როგორ? ის არ სჯობს ვემსახუროთ ჩენს ხელმწიფეს და
დრო გავატაროთ სასახლეში მხიარულებით,

ვიდრე ჩვენივე ყმების სწორნი ვიყოთ სოფელში

და გლეხკაცებთან ერთათ ვისხდეთ. ჩვენ სამსჯავროში?

ატეინგაუზენ. ახ, ულრიხ, ულრიხ! კარგად მესმის ეგ მაც-
გადაბირების! მან შეიპყრო შენი სმენა და [დური ხმა
მან მოგიწამლა სალი გული.

რუდენტ. მე არა ვფარავ...

ვიტანჯები, რომ დამცინიან უცხოელები...

არ შემიძლია, ველარ ვითმენ მე ასეთს ყოფას.

მაშინ როდესაც ჩემს გარშემო კეთილ შობილი

ახალგაზღობა ჰაბსბურგების დროშების ქვეშე

სახელს იხვეჭავს, მაშინ მეთქი მე აქ, მამულში,

მყუდროთ, უსაქმოთ უნდა ვეგდო და ყოველდღიურ

წვრილმან, მოსაწყენ ინტერესთა მისწრაფებაში

ჩემი სიცოცხლის გაზაფხული უნდა განვლიო.

სხვაგან საგმირო საქმეებით სახელს ითქვამენ:

იქ' მთის გადალმა დიდებისა მთელი მსოფლიო

მოძრაობს, ბრწყინავს... აი, ამ დროს ჩემი ფარი და

მუზარადი კი უხმარად ლპება.

ამ ხეობამდის ვერ აღწევს ვერც გამხნევებული

ბრძოლის დაფის ხმა, ვერც ჰეროლდის გამოძახილი,
 რომელიც რაინდთ სასახლოდ იწვევს ტურნირზე.
 აქ შესმის მხოლოდ სალამურის ხმა და საქონლის
 ერთფეროვანი მოსაწყენი ზართა უღარუნი. [ფალებით
 ატტანგაუზენ: დაბრმავებულო, შეცდენილო ცრუ ბრწყინ-
 გძულდეს სამშობლო და გრცხვენოდეს მამა-პაპათა
 ზე-ჩვეულების! დადგება დრო, როს ცხარე ცრემლით
 ინატრებ ისევ დაბრუნებას სამშობლო მთებში
 და უცხოეთში მოგონება ამ ზართა ხმების,
 რომელთაც ახლა იხსენიებ აგრე დაცინვით,
 შენს სულს შეიპყრობს მწარე სევდით და დალონდები.
 ძლიერი არი უჩინარი მიღრეკილება
 მამულისადმი. უცხო, ყალბი ფუჭი ცხოვრება
 ხელმწიფის კარზე, დამერწმუნე, შენთვის არ ვარგა:
 შენ გულწრფელი ზარ და მათ შორის უცხო იქნები!
 ის სხვა წრე არის, სხვა თვისებებს თხოულობს შენგან,
 და ლირსებანი, რომელნიც აქ შეგიძენია,
 იქ, სასახლეში, გარწმუნებ, არ გამოგადგება...
 წადი ისევ იქ, სასახლეში, გაჰყიდე სული
 თავისუფალი, უცხო მთავარს გაუხდი მონად
 მაშინ, როდესაც შეგიძლია. გახდე ბატონად
 შენივე თავის და მთავარად შენს სამკვიდროში.
 ახ ულრიხ! ულრიხ! ნუ მიღიხარ, დარჩი შენებთან!
 ნუ წახვალ ალტორეს... წმიდა მიზანს შენის ქვეყნისას
 ნუ დაივიწყებ!.. გვაჩრი მე ვარ უკანასკნელი...
 და ჩემი გვარი გათავდება ჩემი სიკვდილით.
 აგერ ჰკიდია მუზარადი და ფარი ჩემი,
 და ეს ორივე სამარეში თან ჩამყებიან...
 ნუ თუ იმ წამში, როს სიკვდილი სულს შემიხუთავს,
 უნდა ვფიქრობდე, რომ შენ ელი მხოლოდ ჩემს სიკვდილს,
 რომ გაეშურო სასახლისკენ და მამულები,
 რომელნიც ღვთისგან თავისუფლად მაქვე მიღებული,
 შენ ავსტრიისგან ჩაიბარო, როგორც ვასსალმა!

რუდანც. ამაოთ ვებრძვით მეფის სურვილს. მთელი ქვეყანა
იმის ხელშია. რა გამოვა, რომ გავჯიუტდეთ?
ვითომ გავწყვეტავთ იმ ქვეყნების მტკიცე რგოლსა,
რომელიც მეფეს ჩვენს გარშემო შემოუვლია?
მისნი არიან ბაზრები და სავაჭროები,
და თვით ცხენების მეჯოგენიც გოტპარდის მთაზე
მას აძლევენ ხარჯს. მისს ქვეყნებში მომწყვედეული ვართ,
როგორიც ბადეში. დაგვიფარავს კი სახელმწიფო?
ან სახელმწიფოს შეუძლიან ავსტრიისაგან
დაიცვას თავი? ასრე გვიშველის, გვიშველის ღმერთი,
და ხელმწიფე კი ვერას გვარგებს, რას ვაქნევთ სიტყვას
მეფეებისას, თუ რომ ისინი გაჭირვების დროს,
ქალაქებს, ქვეყნებს, მიღებულათ მფარველობის ქვეშ,
მტერს უთმობენ და აშორებენ სახელმწიფოსა.
ძნელი დრო დადგა, ბიძა ჩემო! — დას-დასობაა
და გვირჩევნია მივეკედლოთ ძლიერს მეთაურს.
ჩვენი ხალხისთვის საკეთოლო იქნება ესა,
და საზოგადოთ გონიერი წინმხედველობა.
იმპერატორის გვირგვინი ხომ ერთი გვარიდან
გარდაცცემა მყორე გვარს არჩევისამებრ;
ახალს ხელმწიფეს ალარ ახსოვს ტახტის ერთგულნი.
დამსახურება მადლობისა მძლავრ მეფესთან-კი,
რომლის ტახტიც შვილთ გარდეცემა მემკვიდრეობით,
არის საბუთი მომავალი სარგებლობისა.

ატტინგაუზენ. გონიერი ხარ! გინდა საქმე განსკვრიტო უკეთ
შენს წინაპრებზე,— მათზე უკეთ, ვინც თავგანწირულ
გმირულ ბრძოლაში სისხლსა ლვრიდა თავისუფლების
განსამტკიცებლად. ლიუცერნში გაბძნდი, გაღმა,
და იქ იკითხე ჩვენს ქვეყანას რა მძიმეთ აწევს
ავსტრიელების ბატონობა! ყური დამიგდე!
ისინი მოვლენ, დაგვითვლიან ცხვარსა და ძროხსა,
ალპებს გაზომვენ, განდევნიან მთის ტყეებიდან
ნალის და ფრინველს; ჩვენს კიშკრებში და ჩვენს ხიდებზე

გახსნიან მტერნი საბავოებს, - მრავალ ქვეყნების
შესასყიდელად გამოსწოვენ ფულებს საწყალ ხალხს,
და ომის ზარალს ჩვენის სისხლით დაიფარავენ.
არა და არა! ეს არ ვარგა! თუ ვღვაროთ სისხლი,
ისა სჯობია ჩვენთვის ვღვაროთ და მონობაზე
უფრო იაფათ დაგვიჯდება! თავისუფლება!

ჟუდენც. რა შეუძლია მწყემსთა გროვას ალბერტის ჯართან!
ატეინჭაუზენ. ყმაწვილო, დროა ეს მწყესები გაიცნო ახლოს!
მე ვიცნობ იმათ, რაღან ხშირათ მყოლიან ომში,
და მინახავან უავენცაში მედგრათ მებრძოლნი!
მტარვალი მოდის და ულელი უნდა დაგვადგას,
რასაც არას-გზით არ ვატარებთ, უეჭველია!
იგრძენ, გაიგე ვინ ხარ შენ და რა ერის შვილი!
ნამდვილ მარგალიტს საკუთარსა ნუ გარდააგდებ—
ნუ გასცვლი იმას სხვის ამაო ბრწყინვალებაში.
რა სჯობს იმას, რომ გეძახოდენ თავისუფალი
ხალხის მეთაურს, იმ ხალხისა, რომელიც წრფელი
სიყვარულით შენ გარს გევლება, რომელიც მარად
განუშორებლად შენთან არი ბრძოლა და ომში,—
აი, ამითი თავი უნდა მოგწონდეს, შვილო...
აწ განამტკიცე კაუშირები თან-დაყოლილი
და მიეკედლე საუკუნოთ ძვირფას სამშობლოს.
აქ, აქ არიან შენთა ძალთა მტკიცე ფესვები.
იქ, იმათთან კი, სხვის მხარეში, უცხოთა შორის
შენ სულ მარტო ხარ. შენ იქ გავხარ სუსტა ლერწამსა,
რომელსაც ამსხვრევს ერთიანათ ყოველი ქარი.
ამდენი ხანი არ გინახავს შენიანები... [დარჩი, —
დარჩი ერთი დღე... გესმის შვილო? მხოლოდ დღეს
ნუ წახვალ ალტორფს... გვიწყალობე ერთი დღე მაინც!]
(ხელი გამთართმევს).

ჟუდენც. სიტყვა მივეცი... ნუ მაკავებთ... მე შეკრული ვარ.
ატეინჭაუზენ. (გაუშვებს ხელს და დინჭათ).
შენ შეკრული ხარ... უბედურო! მართალი არი.

მაგრამ არც სიტყვით და არც ფიცით არ ხარ შეკრული,—

შენ ხარ შეკრული სიყვარულის მტკიცე ჯაჭვებით!
(რუდენცი მიიბრუნებს პირს).

რაც უნდა კარგად დაიმალო, მაინცა ვხედავ,
რომ სასახლისკენ შენ გიზიდავს ბერტა ფონ ბრუნეკ.
მეფის სამსახურს ის გაყვარებს, ის ქალიშვილი.

შენ სამშობლოზე უარის თქმით ფიქრობ მის შოვნას.
ნუ მოტყუვდები; მტერი იმ ქალს მისაბირებლად
გიჩვენებს მხოლოდ, თორემ იგი შენთვის არ არი.

ფუდენცი. რაც მოვისმინე, ისიც კმარა. ახლა მშვიდობით.
(გადის).

ატრინგაუზენ. გიურ, სად მიხვალ! მოიცადე! — არა, წავიდა!
არ შემიძლია დავაკავო, ვუშველო რამე...

ასე გაუდგა თვისს მამულს ვოლფენშისენიც...
იმათ მაგალითს სხვაც მიჰყება. უცხოელების

მძლავრი გავლენა თანდათანა ვრცელდება მთებში.
და ჩვენს სამშობლოს ართმევს იგი ბევრ ახალგაზრდას.

წყეულიმც იყოს ის საათი, როს უცხოელნი
აქ შემოვიდნენ, ამ ბეღნიერ წყნარ ხეობებში,

რათა მოგვისპონ მშვიდი წყნარი ზნე-ჩვეულება!

ახალი დრონი ძლიერებით მეუფდებიან,
ძველი დროება ღირსეული მათ უთმობს ადგილს,

სხვა დრონი დადგნენ, სხვაებრ ფიქრობს ახალი მოდგმა!
მე აქ რა მინდა? ისინი ხომ; დიდი ხანია,

საფლავში წევან, რომლებთანაც მე მიცხოვრია!

ჩემი დროება ამ მიწის ქვეშ დამარხულია;

ნეტარ არს იგი, ეინც არ ცხოვრობს ახალ მოდგმასთან.

(გადის).

სცენა მიოჩე.

ერთი მინდორი ტყითა და კლდეებით შემახლუდული. კლდეებზე მოჩანან საფეხურები მოაჯირით, აგრეთვე კიბეები, რომლებითაც შემდგა ძირს ჩამოდიან სოფლელნი. სცენის ბოლოში მოქანს ტბა და იმის ზევით მთვარის ცისარტყელა. ტბას იქით მოჩანან მაღალი მთები და მათ უკან კიდევ უფრო მაღალი თოვლიანი ქედები. სცენაზე სრული სიბრძელა. მხალოდ ტბა და თოვლიანი მწვერვალი კრთიან მთვარის შუქზე.

მეღსტალ, ბაჟმგარტენ, ვინკელრიდ, მეირ სარნელი, ბურკჭარტ ბულელი, ანთლდ სეველი, კლაუს ფლიელი და ვიდე თხედ სხვა სოფლელი; უკეთ შეიარაღებულია.

მეღსტალი. (ჯერ ვიდე სცენის უკან).

აი გზაც აგეო მოჩანს ჩვენს წინ. მომყევით მხოლოდ!

ამ კლდეს ვაწობილობ... იმის თავზე ვარჩევ მე ჯვარსაც.

დანიშნულს აღილს მივაღწიეთ: ეს „ნაკაფია.“

(შემოდიან სანათურებით).

ვინკელრიდ, ჩუ, ყური უგდეთ!

სეველი. სიჩუმეა.—

მეირ. არავინ არი.

კველაზე აღრე ჩვენ მოვედით.

რა დრო იქნება?

ბაჟმგარტენ. სელისბერგიდან დაიძახა დარაჯმა ორი.

(ისმის შორიდან ზარის ხმა).

მეირ. ყური დაუგდეთ!

ბულელი. ეს ზარის ხმა შვიციდან მოდის.

ცისკრისას რეკენ საჯვარეში.

ფლოუელი. დამის პაერი

წმინდა არის და ამიტომ ხმაც ასე შორს მოდის.

მეღსტალი. იქნება ვინმემ მოიტანოს ხმელი შეშა, რომ

სინათლე იქნეს, მეზობლები როცა მოვლიან.

(ორი სოფლელი გადის).

სეგელი. მშვენიერი და მთვარიანი ლამე დაგვიღდა.

ტბა სარკესავით წყნარი არი.

ბუღელი. კარგი გზა შეგხვდათ.

გინჯელიდი. აბა შეხედეთ! აი, იქით! ვერაფერს ხედავთ?

მეიერ. აბა რა არი? იმე, ბიჭოს, მართლაც! ცისარტყელა!

ამ შუალამეს ცისარტყელა როგორ-ლა გაჩნდა!

მელხტალი. მაგ ცისარტყელას მთვარის შუქი ავლებს ცას ხოლმე.

ფლიუჟელი. იშვიათი, საკვირველი ნიშანი არი!

ბევრნი არიან ცოცხალი, რომ ეს არ უნახავთ!

სეგელი. ორჯერი არი. ზევით უფრო ფერ-მიმკრთალრა.

ბაუმგარტენ. აქეთკენ მოდის ერთი ნავი.

მელხტალი. ეს ნავია შტაუფახერის!

იმ ზალოცვილმა დიდი ხანი არ გვაცდევინა.

(ბაუმგარტენთან ერთად მიდის ნაშირისკენ).

მეიერ. ყველაზე უფრო ურელები იგვიანებენ.

ბუღელი. მათ შორი გზა აქვთ მთების უკან შემოსავლელი,

რათა ლანდფონგტის მეთვალყურე მით მოატყუონ.

(ამასთავში თრმა გლეხმა სცენის შუაგულში. ც: ცხლი. აანთო).

მელხტალი (ნაშირზე). ვინა ხართ მანდა? ხმა გაგვეცით!

შტაუფახერ (ქეერან). ქვეყნის ერთგულნი.

(ეველანი სცენის ბოლოში მიდიან მთსელთა: შესახვედრად.

ნავიდან გადმოდიან შტაუფახერი, იტელ რთდინგი, ჟანს მაუერი, იერგ ჭავი, კანკად ჭუნი, ულრის შეიძი, ითსტ შეილერი, და კიდე სამი სხვა გლეხი, სულუელა შეიარადებულნი..):

ეგელანი (აბა ხიან). ქვეყნის ერთგულებს გაუმარჯოს! სალაში

[მეებო!

(სანამ სცენის ბოლოში დანარჩენები ერთმანეთს მიესალმებათ,

წინ გამოდიან მელხტალი და შტაუფახერი).

მელხტალი. დიახ, ბატონო შტაუფახერ! მე ვნახე იგი,

რომელსაც ჩემი კვლავ დანახვა აღარ შეეძლო!

თვალზე დავადე მამას ხელი და მისი ხედვის

აღმომქრალ მზიდან ამოვსწოვე შურისძიების

მგზნებარე გრძნობა..

პტაუფასერ.

ნუ ახსენებ შურისძიებას!

ჩვენ შურს არ ვაგებთ მომხდარისთვის. ჩვენ გვინდა მხოლოდ რომ ავიცილოთ მომავალი უბედურება.

ახლა მიამბე, რას შვრებოდი უნტერვალდენში,
ვინ შეიძინე მომხრეებად ჩვენი საქმისა,
რას ფიქრობს ხალხი, ან შენ თვითონ როგორ გადურჩი
ლალატის მახეს? ყველაფერი მიამბე ჩქარა.

მეჭხტალ. მე გადავლახე საშინელი სარჩენის ქედი,

გადავიარე ფართე, მწირი ყინვის მინდვრები,
სადაც მოისმის მხოლოდ ორბთა ხრინწიანი ხმა,
და ამნაირათ მივაწიგ მთის საჯოგემდის,
სადაც მწყემსები ურელნი და ენგილბერგელნი
ერთი მეორეს გაძახილით უძღვნიან სალამს
და საერთოდა აძლვებენ თავიანთ ფარას..

წყურვილს ვიკლავდი მყინვარის რძით, რომელიც ქვეით ჩამომდინარებს მყვირალა და აღქაფებული.

მიტოვებულსა მწყემსის ქოხში ვუხვევდი ხოლმე.

და იქ ვიყავი მე სტუმარიც და მასპინძელიც,
სანამ არ მიველ მშვიდი, სათნო ხალხის სოფლებში.

თურმე წინათვე ამ სოფლებში ხმა გავარდნილა..

რომ ხელახლავე საშინელი საქმე მოხდაო,

და სადაც მიველ, ყველგან ჩემმა უბედურებამ

მე დამახვედრა ხალხის წრფელი პატივისცემა.

ზარდაცემული და მწუხარე ვნახე ეს ხალხი

ახალის, მძაფრის ძალმომრევის მთავრობის გამო.

როგორც ალპები ყოველწლობით ასაზრდოებენ

ერთს და იმავე მცენარესა, როგორც ნაკადნი

მიმდინარებენ შეუცვლელად არჩეულს გზაზე,

როგორც თვით ქარნი და ღრუბელნი ერთს განსაზღვრულ-

გზას მიჰყვებიან, აგრეთვე აქ ძველი ზნეობა,

ძველი აღათი, მამათაგან გარდმონაცემი,

შვილთა-შვილებზე გადადიან გამოუცვლელად.

უეცარს თამაშ ცვლილებასა ვერ ათანხმებენ

[ს. 8]

თავიანთ მშეიდს და ერთფეროვან ცხოვრების სვლასთან.
ეს ხალხი ძმურად მიწვდიდა ხელს მაგარ კანიანს,
კედლებიდანა იწყეს ღება დაქანგულ ხმალთა,
და მათს თვალებში ელვასეებრ აღინთო გრძნობა
ძალლონისა და მამაცობის, როცა ვახსენე
ორი სახელი დიახ წმიდა გლეხთარვის მთებში:
შენი სახელი და სახელი ვალტერ ფიურსტის.
თქვენც მიხვდებით, რომ მაშინათვე მათ დასდევს ფიცი,
თქვენ ორს გამოგყვენ სიკვდილამდის ყოველ საქმეში...
ასე, ამ გვარად შემოსილი სტუმრის უფლებით,
ერთი სახლიდან მივდიოდი მეორე სახლში.
როცა მივედი ჩემს სამშობლო ხეობაშია,
სადც ნათესავნი ბლომად მყავან... როდესაც ვნახე
ჩემი მშობელი გაძარცვული და უსაწნათლო,
სხვის, ჩალაზედა დაწოლილი, სამადლოდ სხვისგან
საზრდოებული...

შტაუფისერ. ჰოი ზეცავ! მაღალო!

შელხტალ. არ მიტირია! ალი ჩემის გულის ტკივილის
უძლური ცრემლით მე მაშინ არ ჩამრშრეტია,—
გულის სილრმეში, ვით საუნჯე რამე ძვირფასი
ჩაგმარხე იგი და ვფიქრობდი მოქმედებაზე.
მე შევისწავლე ჩვენი მთების ყველა ბილიკი,
მოსახვევები, მინდორში და კლდე-ლელეები.
თვით მყინვარების მწირ კალთებზე ავედი ფეხით
და ვინახულე მცხოვრებლებით სავსე ქოხები.
სადაც მივედი, ყველგან ვპოვე მე სიძულვილი
მტარვალისაღმო, რადგან აქაც, ამ უდაბურში,
სადაც თავდება სამფლობელო ცოცხალ ქმნილების,
რის ზევით მიწა მოსავალსა აღარ იძლევა,
სწორეთ აქაც კი მეფის ფოგტნი ხალხსა ძარცვავენ.
იმ პატიოსან ხალხის გული მე ავალელვე
ჩემი სიტყვების ნესტარითს, და დღეს ისინი
ჩვენი არიან სულყველანი სიტყვით და გულით.—

შტაუფახერ. ამ მოკლე ხანში მოგისწრია დიადი საქმე.

მეღმეტად. მე მოვასწარი კიდე მეტი. გლეხს ეშინია
ორი სიმაგრისა როსბერგის და სარნენის ციხის.

რაღან მათ ზლუდეთ გარს ავლია კლდისა კედლები,
და იმათ შიგნით დამალული მტარვალი ურცხვათ
ხალხს აწიოკებს. მოვინდომე ამ ციხეების
ადგილზე ნახვა და გასინჯვა ჩემივე თვალით.

შეველ სარნენში და გავსინჯვე ციხე-სიმაგრე.

შტაუფახერ. თვით ვეფხს მის ხერელში ჩასწდომიხარ! როგორ
[გაბედე?]

მეღმეტად. მე ტანთ მემოსა სამოსელი პილლიგრიმმისა.

ვნახე იქ, როგორ ქეიფობდა ქვეყნის შმართველი...

თვითონ განსაჯეთ, ჩემი გულის დამორჩილება

ძალმიძს თუ არა: მტერს ვხედავდი და არ მოვკალი.

შტაუფახერ. შენს სითამამეს, სწორედ გითხრა, ბედი ჰქონია
(ამასთბაში დანარჩენებიც წინ წამოვლიან და მოუხდოვდე-
ბათ ამათ).

ახლა მითხარი, ვინ არიან ას მეგობრები,

ან ეს ვაუკაცნი, შენ რომ ზოგცვენ? გამაცენე ყველა,
რომ მეტის ნდობით გადვუშალოთ გული ერთმანერთს.

მეიერ. ჩვენს სამს მხარეში ვინ არგიცნობს, ჩემი ბატონი?

მე კი გახლავარ შეიერი, სარნენს მცხოვრები;

ეს არის სტრუთი ვინ კელრიდი, ჩემი დისტული.

შტაუფახერ. ჩემთვის უცნობი ეგ სახელი სულაც არ არი:
ოდესღაც ერთმა ვინ კელრიდმა ვეშაპი მოკლ
ვეილერს ახლოს ჭაობში და თვისი სიცოცხლეც
იქ დაუტევა.

გინგეჭრიდ. წინაპარი იყო ის ჩემი,

ბატონი ვერნერ.

მეღმეტად (უთითებს ორ გლეხზე). ესენია მონასტრის კაცნი
და ტყის გადაღმა მოსახლობენ. მართალი არი,
ეს ორი გლეხი სხვას ეკუთვნის და მათ არა აქვთ
თავისუფალი საკუთრება, როგორც ჩვენა გვაქვს,

მაგრამ მამული კი ამათაც სხვებსავით უყვართ,
მათ იცნობს ხალხი პატიოსნად და ნურც თქვენ ჰკრაფთ
ხელს.

შტაუფახერ. მომეცით ხელი. კარგი არის თავისუფლება,

კარგია თუ ვართ ჩვენი თავის გამგე-უფალი,

და არავისი ყმა არა ვართ,—მაგრამ კი მაინც

შეიძლება, რომ წოდებისა განურჩეველად

პატიოსნება ყველას ჰქონდეს მინიჭებული.

გონიად ჭუნი. ეს რედინგია, ჩვენი სოფლის მამასახლისი.—

მეიერ. მე კარგად ვიცნობ. იგი არის ჩემი მეტოქე,

ერთი ყანისთვის ერთმანერთში გვაქვს საჩივარი.

ბატონი რედინგ! ჩვენ მტრები ვართ სასამართლოში,

აქ მეგობარნი. (ხელს ჩამოართმევს).

შტაუფახერ. სწორეთ რიგზე ნათქვამი არი.

გინკელიდი. გესმისთ? მოდიან. გეყურებათ ბუკი ურისა?

(შარჯვით და მარცხნით გამჭჩნდებიან შეიარაღებულები კაცინი,

რომელიც სანათურებით ხელში კლდეებიდან ჩამოდიან.).

მაუერ. შეხედეთ! თვითონ ღვთისმოსავი მსახური უფლის

აქ მობძანდება. ის არ უფრთხის არც გზის სიძნელეს,

არცა ბნელ ღამესა და მოდის აქ, რათა იზრუნოს

თავის ხალხისთვის, როგორც სამწყსოს ერთგულმა მწყესმა,

გონიად ჭუნი. უკან მოჰყვება დიაკვანი და ვალტერ ფირსტი.

მაგრამ მათ შორის ვერა ვხედავ მე ვილჰელმ ტელლსა.

(გალტერ ფირსტი, რესისელმანი—მდგრელი, პეტერმანი —დიაკ-

ვანი, კურნი—მწევემსი, პერნი—მონადირე, რუთდი—მება-

ღერი და ხეთი სხვა გლეხი. სულუველა ერთათ, რიცხვით

ოცდარამეტი, წინ წამოდგებიან და ცეცხლთან დადგებიან.)

გაღტერ ფარსტი. ჩვენთა წინაპართ ნიაღაგზე, ჩვენს სამკვი-

სე დავძვრებით ნამალევათ, როგორც ქურდები [დროზე

და კაცას მკვლელნი! უტყუარი ჩვენი უფლება,

უფლება ცხადი, ვით სინათლე, უხვათ გაშლილი,

უნდა ვეძიოთ დაფარულათ დამის წყვდიადში,

რომელიც არის ბოროტების და ღალატისა

შავი მანტია.

მედხტალ. რაც ლამეში გაიჩარხება,

ის სინათლეზე საუცხოვოთ გაშობრწყინდება.

ჰესსელმან. შეფიცებულნო! მოისმინეთ, რას მამუნევს ლმერთი!

ჩვენ აქა ვდგავართ მოადგილეთ ხალხის ყრილობის
და ამისათვის ჩვენი ნება ხალხის ნებაა.

რაკი ასეა, ძველებურათ განვსაჯოთ საქმე;

როგორც მშვიდს ღროში ჩვეულება გვქონია ხოლმე.

თუ ჩვენს კრებაში გამოჩნდება რაძ უკანონო,

გვეპატიება, გაჭირვება რაღან კარს გვადგის.

ლმერთი ყველგან არს, სამართალი სადაც კი მეფობს.

და ჩვენც მის ცის ქვეშ შევკრებილვართ სამართლისათვის.

შტაუფახერ. ძალიან კარგი, ძველებურათ ვბჭოთ და განვსაჯოთ!

თუმც ლამე არი, მაგრამ საქმე ჩვენი ანათებს.

მედხტალ. თუ რიცხვით ჩვენ აქ ცოტანი ვართ, სამაგიეროთ

გული ხალხისა ხომ აქ არის: უკეთესები

ჩვენთან არიან.

ჭონრედ ჭუნნა. თუ წიგნები ჩვენ ხელთ არა გვაქვს,

ისინი გულში ყოველ ჩვენგანს აქვს ჩაწერილი.

ჰესსელმან. აბა დადეგით ასე ირგვლივ და თქვენი ხმლები

დაასცით მიწას.

მეიერი. დაიჭიროს მამასახლისში

თავის ადგილი და სხვაც ყველა მასთან დადგება!

ჰესსელმან. აქ სამი ხალხის წევრებია შემოკრებილი,

რომელი ხალხის წარმომადგენი ითავმჯდომარებს?

მეიერ. ამ საპატიო ადგილისთვის შვიცმა და ურმა

ერთმანერთშორის იკამათონ, — ჩვენ კი ხელს ვიღებთ.

მედხტალ. ჩვენ ვართ მთხოვნელი და კრებაზე მეთაურობა

ჩვენ არ შეგვშვენის. შველასა ვსთხოვთ ძლიერს მეგობ-

რებს.

შტაუფახერ. სათავეჯდომარო ხმალი ურმა უნდა აიღოს,

მისი ღროშები წინ მიგვიძლვის რომაელებთან

გალაშქრების დროს.

გადტერ ფირსტი.

ეს პატივი შვიცელთ ერგება.

ხმალი აიღოს ისევ შვიცმა, რაღან ჩვენ ყველა

შთამომავლობით, როგორც ვიცით, იქიდანა ვართ.

ჰესეფმან. ნება მომეცით ეგ კამათი პატიოსანი

ასე დავასკვნა: სჯა-თათბირში მეთაურობა

შვიცელთ იკისრონ, ბრძოლის ველზე კი ურელებმა.

გადტერ ფიურსტი (შტაუფახერს ხმალს აძლევს).

ინებე ხმალი.

შტაუფახერ. ვერ მიგიღებ: ეგ პატივი

ეკუთვნის მოხუცთ.

ჭაფი. აქ ყველაზე უფრო ხნიერი

ულრიხ შმიდტია.

მგიერ. ჩინებული კაცია შმიდტი,

მაგრამ წოდებით არ არის ის თავისუფალი:

ვინც სხვისი ყმაა, არ ივარგებს შვიცში მსაჯულად.

შტაუფახერ. აგერ არ არი ლანდმანი, ბატონი რელინგ?

რაღათ დავეძებთ იქით-აქეთ უფრო ღირსეულს?

გადტერ ფიურსტი. ძალიან კარგი. თავმჯდომარედ დღეის კრე-
რელინგი იყოს. ვინც თანახმა ხართ, ასწიეთ ხელი! [ბისა]

(ყველანი მარჯვენა ხელს მაღლა ასწევენ).

რედინგ (შუაში გამოდის).

არ შემიძლია, რომ წიგნებზე დავადვა ხელი,

მაგრამ ვიფიცავ ამ ვარსკვლავთა უკუნრებას,

რომ არ გადუხვევ არასოდეს მე სიმართლის გზას.

(მის წინ თრ ხმალს დაასვამენ. მის გარეშემო წრედ შემოევ-
ლებიან დანარჩენები. შუა ადგილი უჭირავს შვიცს, მარჯვნით
დგას ური და მარცხნით კა უწრებელენი. რედინგი დგას
თავის საომარ ხმალზე დაურდნობილი):

ეს სამი ხალხი ამ ღამის უაშს, როდესაც მხოლოდ
სულნი დადიან, ამ მწირ ადგილს, რამ მოიყვანა?

რა უნდა იქნეს შინაარსი ახალ კავშირის,

რომელსაც ჩვენ ვკრავთ აქ, ამაღამ ამ გაშლილ ცის ქვეშ?

შტაუფახერ. ჩვენ დღეს არა ვკრავთ ახალ კავშირს, ჩვენ
[დღეს ვანახლებთ

მხოლოდ ძველ ძმობას, რაც არსებობს დასაბამიდან.

შეფიცებულნო! იკოდეთ, რომ, თუმც მთა და ტბა გვ-
ყოფს,

და სამივე ხალხს საკუთარი მმართველობა აქვს;
მაინც ჩვენ ყველა სამი ხალხი, ერთი ტომის ვართ
და სულყველაში ერთი სისხლი მიმოტრიალობს;
ერთი სამშობლო გვქონდა ყველას, ყველა იქიდან
გამოესულვართ და აქ ცალცალკე დაგსახლებულვართ.

გინგეჭრიდ. მაშ მართალია, სიმღერებში რომ ვამბობთ ხოლმერ
ვითომ შორიდან მოესულიყოთ ამ ქვეყანაში?
ო, გარდმოგვეცით, თუ რამ იკით ამის შესახებ,
რომ ახალ კავშირს გაუმტკიცოს მან საფუძველი.

შტაუფახერ. ყური დაუგდეთ, რას ამბობენ მოხუცი მწყემსნი.
ჩრდილოეთისკენ, მთის გადაღმა ყოფილა ძველათ
ძლიერი ხალხი. გაჩენილა იქ შიმშილობა
და გაჭირვების თავიდანა ასაცილებლად
ერის ყრილობას ერთხელ ასე გარდუწყვეტია:
ყოველ ათ კაცში თვითო კაცმა წილის ყრით უნდა
თვისი სამშობლო დასტოვოსო,— და ასეც მოხდა!
დასტოვეს მხარე მამაკაცთა და დედაკაცთა
ვაით, ტირილით და სულყველა გამოემართენ
სამხრეთისაკენ. გერმანეთში გამოიარეს.

და ხმლით იკვლევდენ გზას, სანამდის არ მოაწიეს
ამ ტყიან მთების მაღლობაშიდის, და მანემდისინ
არ მოისვენეს, სანამ ბოლოს არ იპოვნეს მათ
იგი ხეობა, სადაც მუოტა მწვანე ველთ შორის
მიმდინარეობს... კაცის კვალიც არსადა ჩანდა.
მხოლოდ კი ერთგან იდგა ქოხი განმარტოებით.
შიგი იჯდა კაცი და ელოდა ნავების მოსვლას.
მაგრამ ტბა მწყრალათ ღელავდა და შიგ ნავით შესვლა
არ იქნებოდა. ეს აღილი გასინჯეს კარგათ,
ნახეს ტყე სავსე და მდიდარი, ნახეს წყარონი.
და თავი ისევ სამშობლოში წარმოიდგინეს....

მათ გარდასწყვიტეს აქ დარჩენა და აშენეს
ქალაქი შვიცი. მერე ბევრი მწარე დღეები
გამოიარეს, რომა იწყეს ფესვებ-გადგმული
ტყის ამოვდება... დრო გავიდა, გამრავლდა ხალხი,
და ნიადაგი სულყველასა ალარ ყოფნიდა.

მაშინ ნაწილი ამ ხალხისა ისევ დაიძრა
და გაემართა შავი მთისკენ ვეისლანდამდის,
სადაც გაუმდნარ ყინვის კედელთ მოფარებული,
სხვა ხალხი ცხოვრობს — სხვა ენაზე მოლაპარაკე.
ომათ კერნვალში ააშენეს ქალაქი სტანცია
ერთიც რეუსის ხეობაში დაბა ალტორფი
და იქ დასახლდენ. მაგრამ იმათ ახსოვდათ მარად
თვისი ნამდვილი სამშობლო და შთამომავლობა.
რაც შემდეგ მათში უცხო ტომნი ჩასახლებულან,
სულყველა მათგან შვიცელები განირჩევიან,—
სისხლით და გულით იცნობება შვიცელი სხვებში.

(მარჯვნით და მარცხნით გაუწევდის ხალხს ხელს).

მაუერ. მართალი არი, ერთი გული, ერთი სისხლი გვაქვს.
ყველანი (ერთმანერთს ხელს ართმევენ).

ერთი ერი ვართ და საერთოთ ვსდიოთ ჩვენს მიზანს!

შტაუფახერ. სხვა ერნი ზიღვენ უცხო უღელს, დაემორჩილენ.
გამარჯვებულ მტერს. ჩვენი ერის საზღვართ შორისაც
ბევრნი არიან ისეთები, რომელნიც ყმობენ.

უცხოელ ხალხსა, და მონობა იგი გადადი.

მამიდან შვილზე. მხოლოდ ჩვენ ჩვენ-ძველ შვეიცარელთ
შთამომავლობამ, შევირჩინეთ თავისუფლება...

შთავრებისათვის თავი ჩვენი არ მოგვიხრია

და იმპერატორს შევეფარეთ ჩვენივე ნებით.

ჟესეფმან. იმპერატორის მფარველობა ჩვენ თავისუფლათ
ავირჩევია ისე, ორგორც ფრიდრიხ ხელმწიფის

სიგელში არი აღნიშნული.

შტაუფახერ. ეგ მართალია..

სულ უბატონო, რა თქმა უნდა, არავინ არი.

ხალხს უნდა ჰყავდეს ერთი თავი, ერთი. შსაჯული, რომელიც შექმნის სამართალსა უთანხმობის ღროს. ამიტომ ჩვენსა წინაპრებსა სასტიკი შრომით.

გაკეთებული მიწისათვის მფარველად მეფე აურჩევიათ, რომელიც თავს სთვლის გერმანის და იტალიის მბრძანებელად. მას შეეფარენ და ალუთქვეს მას სამსახური იარაღითა.

ეს არის მხოლოდ ერთათ ერთი მოვალეობა თავისუფალი თავმოყვარე ადამიანის:

მფარველი იყოს სახელმწიფოს, რომელიც მისი მფარველი არი.

მედხტად. მაგ ზომას რაც აღემატება, ის ნიშანია მონობისა, სხვა არაფერი.

შტაუფსხერ. ჩვენი მამები მეფის ღროშებს უკან მისდევდნენ და მხნეთ იბრძოდენ იმისათვის: გადაჰყვენ იმას იტალიაში და რომაელთ მეფის გვირგვინი ჟაადგეს თავზე. შინ კი თვითონ უვლიდენ თავსა, კმაყოფილებით განაგებდენ თავისს საქმებს თანახმათ ძველის ჩვეულების და საკუთარის კანონებისა. მხოლოდ სულ დიდს სასისხლსამართლო საქმებსა კი განაგებდა იმპერატორი.

ამ მიზნით იმან დაგვინიშნა ჩვენ დიდი გრაფი, რომელსაც ჩვენში ბინა სულაც არა ჰქონია. თუ მოხდებოდა ხან-და-ხან აქ კაცის მკვლელობა, იწვევდენ გრაფსა; ისიც გარეთ, ცის ქვეშ უშიშრათ სამართალს ქმნიდა. სად არის აქ კუმობის ნიშანი? ვინც იცის რამე სხვანაირად, სთქვას ამ კრების წინ.

ჭოფა. არა, აგრეა ყველაფერი, როგორცა ბრძანე! ძალმომრეობა აროდეს არ მოგვითმენია.

შტაუფსხერ. თვითონ ხელმწიფეს დაუურღვიეთ ჩვენ მორჩილება, როცა სიმართლეს ულალატა მღვდელთ სასარგებლოთ. როცა ბერებმა დაიჩემეს ალპების მთები; სადაც ვაძოვებთ ჩვენ საქონელს დასაბამისან.

ერთმა მათგანმა ამოილო მეფის ბარათი,
 სადაც ეწერა: ესა და ეს უდაბნო მთანი
 გვიჩუქნიაო... თლრმე ჩვენ რომ აქ ვასახლივართ
 მათვის არ უთქვამსთ. ადგილები თავისუფალი
 ბევრი არის და დასახლდითო. მაშინ შევსძახეთ:
 „არ შეუძლია იმპერატორს გაასაჩუქროს
 ის, რაც ჩვენია! თუ სამართალს სახელმწიფოში
 ჩვენ ვერ ვიპოვნით, სახელმწიფოც არ გვინდა მაშინ
 და უმისოთაც ჩვენს მთებშია კარგათ ვიცხოვრებთ!“
 ასე სთქვეს ჩვენმა წინაპრებმა. ნუ თუ ჩვენ უნდა
 მოვითმინოთ ეს სამარცხინო ულელი. მტრისა,
 უნდა ვითმინოთ სხვის ყმისგან ის, რასაც მეფენიც
 ვერ გვიბედავდენ! ჩვენის ოფლიმ შეგვიქნია ჩვენ
 ეს ნიადაგი; ის ძევლი და გაუვალი ტყე,
 რომელიც წინეთ ბინა იყო მტაცებელ მხეცთა,
 ჩვენ ადამიანთ სამყოფელად გარდავაჭუეთ;
 მოესპერ ვეშაპის საბუდარი, რომელიც ჰაერს
 სწამლავდა შხამრო. ჩვენ გავგლიჯეთ ღრუბლის სუდარა
 მარად თეთრათა ამ მხარეზე გადაფარული;
 გავსტეხეთ კლდენი და მგზავრთათვის უფსკრულთა პირზე
 მტკიცე ბილიკნი გავიყვანეთ... ეს ნიადაგი
 ათასი წელნი ჩვენი იყო. და დღეს სხვისი ყმა
 მოსულა ჩვენთან და ჩვენთვისვე ბორკილებს ჰედავს
 და ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე ჩვენ შეურაცხვეყოფს?
 ნუ თუ შველა არსად არი გაჭირვებისგან?

(კრებას ემჩნევა დიდი აღეჭვება).

არა, საზღვარი უნდა ჰქონდეს ძალმომრეობას.
 როცა ჩაგრული სამართალსა ვერსად ჰპოულობს,
 როცა ულელი შეიქნება აუტანელი...
 მაშინ იმედით მიმართავ ის მაღალსა ზეცას
 და იქიდანა ჩამოიკრებს თავისს უფლებებს,
 რომელნიც მარად შეუცვლელათ სუფევენ ზევით,
 ვით ვარსკვლავები... ძველი წესი, ბუნების, ვხედავ;

ისევ ბრუნდება. კაცი დგება კაცის პირდაპირ... .

უკანასკნელი დაშთენია. საშუალება:

ეს არის ხმალი... უველაფერზე უძვირფასესი,

საუნჯე უნდა. დავითაროთ ძალადობისგან...

ჩვენ ვიბრძვით ჩვენი მამულისთვის. ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ქალებისათვის, ვიბრძვით ჩვენი შვილებისათვის!

ეგეფანი (ხმალზე ხელს დაიდებენ).

ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ქალებისთვის და შვილებისთვის!

რუსელმანი (შედის წრეში).

სანამდის თქვენ ხმალს მიმართავდეთ, დაფიქრდით კარგათ!

თქვენ შეგიძლიათ მორიგება იმპერატორთან

მშვიდობიანათ. საკმაოა, ერთი სიტყვა სთქვათ

და მტარვალები დაგიწყებენ პირმოთნეთ აღერს...

მიიღეთ, რასაც არა ერთხელ თქვენ გაწოდებდნენ, —

ჩამოეცალეთ სახელმწიფოს, დაემორჩილეთ

ავსტრიის ტახტსა და შეჭირეთ ავსტრიის მეფეს...

მაუერ. რას ამბობს მღვდელი? ჩვენ ავსტრიას უნდა შევფიცოთ?

ბუღელი. ყურს ნუ დაუგდება!

განკელრიდ. ამის რჩევა მხოლოდ ქვეყნის მტერს.

და მოლალატეს შეუძლია.

რედინგ. დამშვიდდით, ძმებო!

სეგლი. ავსტრიას უნდა შევფიცოთ იმ სირცხვილის შემდეგ!

ფლუეჯი. რაც ჩვენის ნებით არ მივეცით, ის ძალით უნდა.

წაგვართვას იმან!

მეიერ. მაშინ მართლაც ყმები ვიქმნებით

და ლირსიცა გართ მონობისა!

მაუერ. ის განრისხული

იყოს მარადის შვეიცარელთ სამრევლოსაგან,

ვინაც გვირჩიოს მორჩილება ავსტრიისადმი.

მამასახლისო, მე ვთხოულობ, ეს იყოს ჩვენი

კანონმდებლობის შეუცვლელი მუხლი პირველი.

მელხტალი. ეგ აგრე იყოს. ვინც გვირჩიოს დამორჩილება,

ყველა უფლება და პატივი აეხადოს მას,

არც ერთმა გლეხმა არ შეუშვას ის თავის სახლში.
(უკულანი მარჯვენა ხელსა სწევენ მაღლა).

კანონად იყოს დადებული ეს ჩვენი ნება..

რედინგ (ცოტა სანს უკან). ძალიან კარგი.

რესსელმან. მაგ კანონის ძალით თქვენა ხართ
თავისუფალი. რაც ავსტრიელთ ნებაყოფლობით
ვერ წაუდია, ვერ წაიღებს ძალადობითაც...

თასტ გეილერ. საქმეს შეუდგეტ!

რედინგ. ჩემო ძმანო შეფიცებულნო!

სუადეთ კი ყველა სამშვიდობო საშუალება?

იქნებ ხელმწიფებ არც იცოდეს, თუ აქ რა ხდება,
და მისი ნება არ იყოს, რომ გვავიწროვებენ.

სანამდის ხმალსა მივმართავდეთ, იქნება სჯობდეს
სულყველაფერი დაწვრილებით ვაცნობოთ მეფეს.
მართალს საქმეშიც ძალადობა საზარელია.

ღმერთი კაცს შველის, — როს საშველი სხვა აღარ არი. —

შტაუფასერ (კონრადი).

ახლა თქვენ უნდა მოახსენოთ კრებას, რაც იცით. —

კონრად ჭუნენ. მე ვიყავ ერთხელ რეინფელდში ხელმწიფის კარზე
ფოგტთ თავხედობის მეფისათვის მოსახსენებლივ
და იმ ბარათის სათხოვნელად, რომლითაც ხოლმე
ახალი მეფე გვიმტკიციცებდა თავისუფლებას.

მე იქა ჭნახე ბევრ ქალაქთა მოციქულები
რეინისდან და შვაბილან. ყველა მათგანმა
თავისუფლების პერგამენტი მიიღო მაშინ
და მხიარული დაბრუნდა კვლავ თვისს სამშობლოში.

თქვენს მოციქულს კი მიმითითეს იქვე ბჟებისკენ,
მათ კი ცალიერ ნუგეშითა გამომისტუმრეს:

„ახლა ხელმწიფეს დრო არა აქვს თქვენი საქმისთვის,
როცა იქნება, თქვენს თხოვნაზეც მოიფიქრებსო“. —
როცა მწუხარეთ გავიარე მეფის დარბაზი,
მაშინ კუთხეში დავინახე ატირებული
პერცოგი ჰანსი. (?) იქვე იდგნენ მის გარეშემო

მებატონენი ვარტისა და ტიგერფელდისა.

მათ დამიძახეს და მითხრეს: „თავს თვითონ უშველეთ
„და სამართალსა მეფისაგან ნუ მოელითო!

„თვითონ განსაჯეთ, მან გაძარცვა თვისი ძმისწული

„და არ უბრუნებს, რაც ერგება მემკვიდრეობით!

„ჰერცოგი მას თხოვს დაუბრუნოს დედის ქონება,

„რადგანაც იგი არის უკვე სრულიწლოვანი

„და დროც არის, რომ თვითონ მართოს თვისი მამული.

„მერე ხელმწიფემ იცით ჰერცოგს რა უბასუხა?

„თავზე დაადგა სათამაშო რაღაც გვირგვინი

„და უთხრა: „ეს არს სამკაული ყმაწვილობისო.“

მაუერ. ხომ გაიგონეთ: უფლებას და სამართალსაო

ხელმწიფისაგან ნუ მოელით, თვით ეცადეთო!

რედინგ. სხვა რა გვშთენია! ახლა ბრძანეთ, როგორ მოვიქცეთ,
რომ სასურველად მივაღწიოთ სანატრელ მიზანს.

გალტერ ფირსტი (წრეში შედის).

ჩვენ გვსურს უღელი საზარელი რომ ჩამოვიგდოთ,

და უფლებანი წინაპართაგან გარდმონაცემი

გვსურს შევირჩინოთ და ახლებს კი სულაც არ ვეძებთ.

ხელმწიფეს დარჩეს ყველაფერი, რაც მისი არი,

ყოველი კაცი ემსახუროს თავისს ბატონსა

ისე, როგორაც მას მოითხოვს მოვალეობა.

მეერ. ავსტრიისგან მაქვს აღებული მიწა იჯარით.

გალტერ ფირსტ. უნდა განაგრძოთ შესრულება მოვალეობის.

გეილერ. რაპპელვეილის მებატონეთ გაძლევ მე ხარჯსა.

გალტერ ფირსტი. როგორც ახლამდის, შემდეგშიაც, განაგ-
რძეთ ძლევა.

კესესელმან. მე ვარ მსახური ციურიხის ღვთისმშობელისა.

გალტერ ფირსტი. მონასტერებისაც ის უნდა მისცეთ, რაც მას ერგება.

შევუფახერ. მოიჯარადო ვარ მე მხოლოდ სახელმწიფოსი..

გალტერ ფირსტი. რაც საჭიროა, უნდა მოხდეს, მეტი კი არა;

ჩვენ სამშობლოდან მმართველები უნდა გავდევნოთ

და იმ მმართველთა გავატანოთ თან მათი ყმანი,

და დავაჭრიოთ მათი ციხე-სიმაგრეები.

თუ შეიძლება, ყველაფერი სისხლის უღვრელად
უნდა შესრულდეს. დაინახოს დგე, ხელმწიფემ

რა გაჭირვებამ დაგვავიწყა ჩვენ მორჩილება.
და როს ნახავს, რომ ჩვენ საზღვარსა არა ვსცილდებით,
იქნება კეთილ-გონიერათ დაიწყნაროს მან
თვის გულის-წყრომა.

ჰედინგ. ახლა იმაზეც მოვიფიქროთ, თუ როგორ უნდა
შევასრულოთ ჩვენ მამულის ხსნის დიდი განზრახვა?
მტერს ხელთ უჭირავს იარაღი და კეშმარიტათ
იგი უსისხლოთ არ დაგვითმობს ჩვენ ბრძოლის ველსა.
შტაუფახერ. დაგვითმობს, როცა დაგვინახავს იარაღ-ასხმულს.
მოულოდნელათ თავს დავესხმით და გაიბნევა.

მეიერ. ადვილი არი მაგისი თქმა, შესრულება კი
გაგვიძნელდება. ორი ციხე ორი საფრთხილო.
თუ კი ხელმწიფე ჩვენს ქვეყანას შემოესია,
როსბერგის ციხე და სარნენის მტერს მხარს მისცემენ.
და ჩვენგან კარგათ დაიფარვენ შემოსეულ ჯარს.
ჯერ ის საშიშო ციხეები უნდა ავილოთ,
სანამ საბრძოლათ მიმართავდეთ ერთბაშად ხმალსა.—

შტაუფახერ. დაგვიანებით, მე მგონია, საქმეს წავახდენთ—
მტერი გაგვიგებს, —ბეგრმა იცის ჩვენი განზრახვა.
მეიერ. ტყის კანტონებში მოლალატე არ იპოვება.
ჰესსელმან. უკიდურესი გატაცებაც საქმეს ამჟღავნებს.
გალტერ ფირსტ. თუ გადავსდევით, ალტორფის ციხეს დაამ-
და. გამაგრდება შიგნით ფოგტი. [თავრებენ]

მეიერ. თქვენ თავზე ფიქრობთ.
გადგინი. უსამართლო ხართ.

მეიერ (გაცხარებით). ური გვწამებს უსამართლობას!

ჰედინგ. გახსოვდეთ ფიცი და დამშვიდდით.

მეიერ. თუ კი შვიცელნიც
ურელებს უმხრობთ, სიჩუმე-და დაგვშოენია ჩვენ!

ჰედინგ. ამ ყრილომაში უნდა გითხრათ, რომ გაცხარებით
თქვენ არღვევთ კრების მშეიდობიან განწყობილებას!
ჩვენ ხომ სულყველა ერთს საქმესა ვემსახურებით?

გინგელიდ. რომ გადავსდებდეთ ამ საქმესა ქრისტეშობამდის,
მაშინ ხომ ლანდოფოგტს ყველამ უნდა მივართვათ ძლვენი,
როგორც მოითხოვს ჩვეულება ჩვენი ქვეყნისა,
ათი ჩვენგანი ან თორმეტი იქ თავისუფლათ
შეიკრიბება. თვითეულმა თან იქნიოს

ფარულად შუბი და უეცრათ, დანიშნულ წუთში
ის შუბი ჯოხზე წამოაცვას. ასე უნდა ვქნათ,
რადგან შიგ შესვლა საჭურვლითურთ არ მოხერხდება.
იქავე, ტყეში, ხალხი ბლომათ შეიკრიბება,
და როცა ჭიშკარს დაიფლობენ შიგნით შესულნი,
ტყეში შეგრძოვილთ აცნობებენ მაშინვე ბუკით
და ამავე დროს დაამსხვრევენ შიგნიდან ჭიშკრებს
და იმნაირათ აიღებენ ადვილათ ციხეს.

მელსტ. როსბერგში შესვლას მე ვკისრულობ; რადგან იქამყავს
ერთი გომბით მწყალობელი. მე შემიძლია,
რომ სულ ადვილათ მოვატყუო, შენთან მოვალთქო,
და ვსოდოვო კიბის ჩამოშვება. ჯერ მე ავალ და
მერე ავიყვან მეგობრებსაც იმავე კიბით.

ჟედინგ. სულ ყველასა გსურთ, რომ გაღიღვას საჭმე თუ არა?
(უმეტესობა ხელს სწერს მაღლა).

შრაუფახერ (ხმებს თვლის).

ოცი მომხრეა გადადების, თორმეტი არა.

გალტერ ფირსტ. თუ დანიშნულ დროს ციხეები დანგრეულ
მაშინ მთებზეა ამის ნიშნათ ავანთოთ ცეცხლი [იქნენ],
და სამივ ქვეყნის ქალაქებში ერთს და იმავ დროს
უნდა გავმართოთ აჯანყება. როცა ფოგტები
დაგვინახავენ იარაღში, დამერტმუნეთ, რომ
მშვიდობის გზასა აირჩევენ, ხშალს გაღისვრიან
და დაჩქარებით დასტოვებენ ჩვენ ქვეყნის საზღვარს.

შრაუფახერ. მხოლოდ გესლერის მეშინია, ის გაძალდება,
რადგან დარაჯი მუდამ ბლომათ გარს ახვევია.

ის, მე მგონია, არ დაგვითმობს უსისხლოთ ბრძოლას,
და განდევნილიც საშიშარი იქნება ჩვენთვის.
ამიტომ, ძმებო, საფრთხილოა მისი დაზოგვა.

ბაჟმგათტენ. სადაც საფრთხეა, მეგობრებო, მე დამაყნეთ;
მე ვილპელმ ტელლმა სიკვდილისგან გადამარჩინა
და ჩემს სიცოცხლეს ჩემს საშობლოს მივუძლვნი მსხვერ-
რაკი მე ჩემი დავიცავი პატიოსნება, [პლად],
და აღშფოთებულ გულსაც მივეც კმაყოფილება.

ჟედინგ. დრო გვასწავლის გზას. მოთმინებით უცადეთ იმას,
ცოტათი დროსაც უნდა ვენდოთ. მაგრამ შეხედეთ!
სანამ ჩვენ აქ ვბჭობთ ქვეყნის საჭმეს, გათენდა კიდეც!

მთების მწვერვალებს მზე სხივ-გაშლით უახლოვდება.

სჯობს დავიშალოთ სანამდისინ დღე მოგვასწრებდეს.

გადტ. ფირსესტ. ო, ფიქრი ნუ გაქვთ, ამ მთებშია გვიან თენდება.

(უველანი უნებურათ ჭუდებს იხდიან და უუურებენ ცისკარს).

რუსეფმან. ამ მნათობის წინ, რომელიც ჩვენ მოგვესალმება
სხვა, ქვეით ვიწრო ქალაქებში მცხოვრებთა აღრე,

აქ დავსდვათ ფიცი და ახალი კავშირი შევკრათ.

ყველა ძმები ვართ მტკიც კავშირით შეერთებული
და განუყრელი სინარულში და გასაჭირში.

(უველანი იმეთრებენ ამ სიტუაციებს სამი თითის აწევით).

ჩვენ უნდა ვიყოთ სულყოველთვის თავისუფალი,

ვით ჩვენი ძველნი. სიკვდილი სჯობს მონურ-სიცოცხლეს:
(იმეთრებენ როგორც ზევით).

ჩვენ ჩვენსა იმედს ალვაშენებთ მძლეთა მძლე ღმერთზე,
ვერ უეგვაშინებს ვერ-რა ძალა აღამიანის.

(იმეთრებენ როგორც ზევით. მერე ერთმანეთს გადაეხვევიან).

შტაუფახერ. ახლა კი დროა დავიშალოთ, დავბრუნდეთ სახლში
და გავერიოთ მეგობართ და ამხანაგებში.

მწყესმა მშვიდობით მოუაროს ზამთარში ფარას,

ჩუმათ ეძიოს მეგობარნი კავშირისათვის.

რაც მანამდისინ გაგვიჭირდეს, უნდა ვითმინოთ!

ვაკალოთ, სანამ მტარვალების ანგარიშები

მოგროვდებოდეს. დადგება დრო, როცა ისინი

გარდაიხდიან სულ ერთბაშათ თავიანთ ვალსა!

სამართლიანი გულის წყრომა დაიმორჩილეთ,

რომ შეინახოთ ის საერთოთ შურისსაგებად.

ის ქვეყნისათვის ხდება ხოლმე მტრად და მოკილედ,

ვინც თავის ძალას. არ ინახავს ქვეყნისთვის მსხვერპლად.

(გადიან სიჩუმათ სამი შხრით. ამ დროს თრგესტრია უკრავს
დიდებულ აფტაცებულ ჭანგებს. ერთ ხანს კიდევ მოსჩანს ცა-
ლიერი სცენა და გამოჩნდება საუცხოვულ სანახვი თოვლიანი
მთების უგანიდან ადმიშვალი შზისა.)

o. ბაქრაძე

(დასასრული იქნება)

მუშათა მოძრაობა საფრანგეთში

ნაზილი პირველი

(1789 წლის დეკემბერი)

ჭინა სოფელი

თანამედროვე მუშათა მოძრაობა ევროპაში და კერძოდ საფრანგეთში ახალი მოვლენა არ არის. მას თავის გრძელი ისტორია აქვს, თავისი ღრმა მიზეზები.

ქართველ მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს, ჩვენი ფიქრით, მუშათა მოძრაობისა და ორგანიზაციის ისტორია საფრანგეთში, იმ ქვეყანაში, რომელიც უკვე ერთ საუკუნეზედ მეტია მთელი განათლებულ კაცობრიობას. მაგალითებს აძლევს, და განსაკუთრებით მედგარ და ვაჟაპურბრძოლის მაგალითებს, იმ დიადი იდეალისაკენ მისწრაფებაში, რომელიც მთელი კაცობრიობის იდეალი უნდა იყოს; — და ეს განსაკუთრებით ეხლა; როდესაც მთელ საქართველოს ღრმა მოძრაობის ქარ-ცეცხლი მოსდებია და ჩვენი პატარა ქვეყანაც ჩაბმულა იმ საერთო ბრძოლაში, რომელსაც ერთი საუკუნეა ეწევა უკვე საერთა-შორისო პროლეტარიატი.

ქართულ ენაზედ რომ დაწერილი იყოს ვრცელი ისტორიები ხალხთა და მათ მოძრაობაზედ, ჩვენ მაშინ პირდაპირ შევუდგებოდით მუშათა მოძრაობის თანამედროვე ხანის ისტორიისა და ხასიათის აღნუსხვას, მაგრამ, საუბედუროდ, აქმდის ჩვენს პრესსასა და მთელი რუსეთის პრესსას რკინის მუხრუჭი პეტონდა მოქერილი და ჩვენმა ხალხმა, ინტელიგენცის გარდა,

დარწმუნებული ვართ, სრულიადაც არა იცის-რა საფრანგეთის მუშათა მოძრაობაზედ, და ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ თავიდან მოვყვეთ ამ ფრიდა საინტერესო ისტორიას. ჩვენი მოთხოვთა მოკლე იქნება, მას არ ექნება მეცნიერული ხასიათი, რადგანაც არც მეცნიერის პრეტენზია გვაქვს და ღმერთმა გვაშოროს ამ პრეტენზიას, არც დრო გვაძლევს, ნებას, დაწვრილებითი და სრულიად დასაბუთებული ისტორია მივაწოდოთ ჩვენ მკითხველს საფრანგეთის მუშათა მოძრაობისა.

ორ დიდ ხანად იყოფა მთელი ისტორია საფრანგეთის მუშათა კლასისა. ხანა, რომელიც იწყება მე-XIII საუკუნის ბოლოდან და თავდება დიდი რევოლიუციის, დასაწყისით — 1789 წლით, და ხანა რევოლიუციიდან დაწყებული ჩვენ დრომდინ.

პირველ ხანაში მუშათა ორგანიზაციის მთელი შინაარსი იყო ეგრედ წოდებულ კომპანიანაჟები, რომელიც მე-XIII საუკუნის ბოლოდან დაწყებული საშინლად იბრძოვა, ყოველი ზატონობისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, და რომელმაც თითქმის 1850 წლამდის მოაღწია. მან ამ 1850 წელში დაჰკარგა თავისი ისტორიული მნიშვნელობა, შემდეგ, 1864 წელში დაარსებულმა ინტერნაციონალმა სრულიად გამოუცვალა მიმართულება მუშათა მოძრაობას არა თუ საფრანგეთში, არა მედ მთელ ქვეყანაზედაც და, ნამდვილად რომა ვსოდეთ, ამ 1864 წლიდან იწყება ნამდვილი თანამედროვე მუშათა მოძრაობა, ახალი იდეალით, ახალი თეორიული ხელმძღვანელობით, ახალი ორიენტაციით.

ჩვენ მიტომ დავსახეთ 1789 წელი საფრანგეთის მუშათა მოძრაობის პირველი ხანის ბოლოდ, რომ უფრო ადვილია ამგვარად ისტორიულ მოვლენათა განხილვა, რადგანაც დადგმა რევოლიუციამ დიადი ცვლილებები შემოიღო არა თუ მარტი საფრანგეთში, არამედ მთელ ქვეყანაზედაც, სადაც კი მისწვდა განმანათლებელი აზრები ამ დროის საფრანგეთის ფრანგულსთა და რევოლიუციონერთა და სადაც კი მისწვდა ხალხთა ცხოვრებას საფრანგეთის რევოლიუციის. მძღავრი, ტალღა,

განპანალგურებელი ძველი დაშმორებული წყობილებისა და უემქმნელი ახალისა.

ამ სიჩქარით დაწერილ მცირე შრომის პირველ ნაწილში
მხოლოდ კომპანიანაუზედ ვიღაპარაკებთ.

3 a b s 3 s g o

კომპანიანაერ ერთი იმ დაწესებულებათაგანი იყო, რომელიც შედეგია ხალხის თვითმოქმედებისა და მისი შემოქმედებითი ძალისა. დანამედროვე გამოკვლევანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარღვა და მისი განვითარების ყველა მომენტი ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ისტორიის სხვა და სხვა ხანებში ინდივიდთა ასსოციაციები, თავისუფალი ასსოციაციები, თითქოს თავისთვალი, თავისუფლად სდგებოდეს,¹⁾ მოუხედავად ყოველივე დაბრუოლებისა, როგორც ოფიციალური ძალის მხრივ, რომელსაც პრეტენზია აქვს შეისვას თავის გაუმაძლარ მუცელში ყოველივე ფუნქცია საზოგადოებისა, ისე დაკანონებული ზნეობის მხრივ, რომელიც ზიზღით იხსენიებს და სჯის ინდივიდის ყოველ მოქმედებას საზოგადოებაში, —ყოველ მოქმედებას, რომელიც მან ვერ დააკანონა და არ ეთანხმება მის პრინციპებს. ინდივიდუალურ ენერგიათა კოორდინაცია, კომეორებთ, საურთიერთო დახმარება და კოოპერაცია წარმოადგინენ უმთავრეს პირობებს. საზოგადოების ნორმალურ ფუნქციისას, —ეს თვით საზოგადოებრივობათ, აუცილებელი წესი არსებობისათვის ბრძოლისა, რომელიც კაცს არ მოუგონია, არამედ შემუშავდა სხვა, კაცზე დაბალ ცხოველთა მიერ, მათ ხანგრძლივ ევოლუციაში. კაცი ერთი იმ ცხოველთაგანია, რომელმაც

¹⁾ იხალე „მოამბე“ 1904 წ. № XI ჩვენი შერილი: „არსებობისთვის გის ბრძოლა და პრინციპი საზოგადოებრივიბისა“.

ყველაზე უკეთ შეიგნო: ამ გვარი წესის მნიშვნელობა არსებობისათვის ბრძოლაში.

როდესაც იკვლევენ თანამედროვე მეცნიერები ველურთა ცხოვრებას, ბარბაროსთა ცხოვრებას, ანტიოკურს, საშუალო-საუკუნოებს, თუ თანამედროვეს, — ყოველთვის ერთსა და იგივე დიად მოვლენას ამჩნევენ, დიად ფაქტს, რომელიც ბოლოს და ბოლოს, როდესაც სოციოლოგია განვითარდება, ჩვენის ფიქრით, სრულიად შეაერთებს ბიოლოგიასა და სოციოლოგიას, ამ ორ ნათესავ მეცნიერებას, რომელთაც ურთიერთის სამსახური თან-და-თან უფრო და უფრო სჭირდებათ. ეს ფაქტი, ანუ უკეთ ვსთქვათ კანონი, არის შემდეგი: თანასწორ პიროვნებათა ასსოციაცია, რომ თვითოვეულს მიენიჭოს მაქსიმუმი მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა მისი ენერგიის მინიმუმის ხარჯის ნაცვლად, განსაზღვრულ პირობებში.

თვით ცხოვრება აიძულებს ადამიანს შეადგინოს ამგვარი ტენდენციის ჯგუფები და ურთიერთს დაეხმაროს და მფარველობა გაუწიოს. და შესაძლებელია, რომ ადამიანს შორეული წარსულიდან მემკვიდრეობით ეცემოდეს ეს ნიჭი ურთიერთ ძალათა ორგანიზაციისა, შეერთებისა, შესაძლებელია ადამიანის უკუნი შემოქმედებითი გენიოსობა ჩასჩურჩულებს. მას ყურში, რომ ინდივიდუალურად ცხოვრება მავნებელია და ერთმანეთის დახევა განმანადგურებელია მისი წინსვლითი ცხოვრებისათვის, და რომ მისი განვითარების აუცილებელი პირობა ძალთა შეერთებაა ბუნების გარეშე ძალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის და მათი დაპყრობისათვის, სასარგებლოდ გამოყენებისათვის.

ველურთა თემები, ბარბაროსთა კლანები, საბერძნეთის პეტარიოები, რომის კოლლეგიები და სოდალიციები, საშუალო საუკუნის, ნახევარ-კომმუნისტურად მოწყობილი ქალაქები და ძლიერ ბევრი სოფლები, კომპანიონაჟი, აღმოცენებული თანასწორობის ტენდენციაზე დამყარებულ კომუნათა დაშლის შემდეგ საშუალო საუკუნოებში, თანამე-

დროვე მუშათა მოძრაობა და მთელი თანამედროვე სოციალიზმი, როგორც გაგრძელება კაცობრიობის უკუნი მისწრაფებისა — დაამყარონ აღამიანებმა საზოგადოება ზემოხსენებულ სოლიდარობის პრინციპზე, ანუ გაარკვიონ ეს უკუნი საზოგადოებრივი გამოცანა — მინიმუმი ინდივიდუალურ ძალთა ხარჯვისა და მაქსიმუმი მის. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, — ბევრი სხვა მაგალითები კაცობრიობის ისტორიისა და მისი თანამედროვე ცხოვრებისა — ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ასსოციაცია დიადი ფაქტორია კაცობრიობის წინსვლითი ევოლუციისა, რომ ის საზოგადო, ბუნების კანონია, რომლის მოქმედებასაც ვერ შეაჩერებს და ვერ მოსპობს ვერც ერთი ხელოვნური კანონი, თვითმშეცვრობელობის მიერ დადგენილი იქნება ეს უკანასკნელი, რესპუბლიკანური პარლამენტის მიერ თუ მომავალი(?) ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ, — სულ ერთია.

როგორც არ უნდა გადაუხვიოს საზოგადოებამ განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში თავის ნორმალურ ფუნქციების შესრულებას, მრავალ-ფეროვან პირობათა გავლენით, — რადგანაც ყოველივე პატარა ძალასაც კი აქვს გავლენა საზოგადოების განვითარების მთელ პროცესსზედ; — რამდენჯერაც არ დათრგუნვილან საურთი-ერთო დახმარების დაწესებულებანი სხვა დესპოტიურ და ანტისოციალურ დაწესებულებათა მიერ უამთა ვითარებაში, — ეს საურთი-ერთო დახმარების დაწესებულებანი ყოველთვის ხელახლავე ნახულობდნენ ნიადაგს და ხდებოდნენ პროგრესის აუცილებელ პირობად; მათი შექმნა ყოველთვის იყო ხალხთა უშმინდესი მისწრაფება — მისწრაფება თანასწორ ცხოვრებისადმი, თავისუფლებისადმი.

ზოგი დაწესებულებანი ინგრევოდნენ და ჰკარგავდნენ თავიანთ მნიშვნელობას განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში, მაგრამ სხვები სჩნდებოდნენ და იკავებდენ. ქველთა ალაგს „დროის თანახმად“, ესე იგი თანახმად ყველა იმ პირობათა, რომელთა წრეშიაც ხდებოდა მათი აღდგინება.

ერთი გამოჩენილი, ღრმა და მასთანავე ნათლად მოაზრე მკლევარი ასსოციაციის კანონისა თავის წიგნში Mutual Aid

asa factor of Evolution²⁾), შემდეგ ნაირ აზრს გამოსთქვამს შესახებ საურთო-ერთო დახმარების დაწესებულებათა შეუწყვეტლობისა: „როდესაც საურთო-ერთო დახმარების დაწესებულებანი,—თემი, სოფლის საზოგადოება, გილდია,—საშუალო საუკუნის ქალაქი,—ისტორიის ვითარებაში ჰკარგავენ თავიანთ პირვანდელ ხასიათს, როდესაც მათში შედის და იზრდება პარაზიტიული ელემტნტები, და ამგვარად ეს დაწესებულებანი პროგრესის მსვლელობას წინ ეღობებიან, ამ დაწესებულებათა წინააღმდეგ პიროვნებათა აჯანყების ყოველოვის ორი მხარე აქვს. ზოგიერთი ამხედრებულ პიროვნებათა შორის სცდილობს გასწმინდოს ძველი დაწესებულებანი, ან შეიმუშავოს საზოგადოებრივი ცხოვრების უმაღლესი ფორმები, აშენებულის იმავე პრინციპზედ საურთო-ერთო დახმარებისა; ისინი სცდილობენ მაგალითად შემოილოონ „კომპენსაცია“ „lex talionio“ მაგივრად, შემდეგ კი მოყენებული ზარალისა და ვნების სრული პატივებაც, ან და კიდევ უფრო უმაღლესი იდეალი თანასწორობისა აღამიანის სინდისის წინაშე,—კომპენსაციის მაგივრად“... ჭმაგრამ იმავ დროს მეორე ნაწილი იმავე აჯანყებულ პიროვნებათა სცდილობდა დაეთრგუნვა მფარველობითი დაწესებულებანი საურთო-ერთო დახმარებისა და მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაედიდებიათ თავიანთი საკუთარი სიმდიდრე და საკუთარი ძალა. ამ სამგზობით დავაში, ერთის მხრით აჯანყებულ პიროვნებათა ორი კლასის შორის, და მეორის მხრით, ძველის დამცველთა, სწარმოებს ისტორიის მთელი ტრაგედია“³⁾

ვისაც ისტორია შეუსწავლია, მისთვის ეჭვს გარეშე უნდა იყოს ამ შენიშვნის სიმართლე, და სრული სიმართლე. აგრეთვე, ვინც გადააბა და შეაერთა აღამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება დედა მიწაზედ არსებულ მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ვინც გაითვალისწინა და აღმოაჩინა ფაქტია

2) იხ. „მოამბე“, № V.

3) Mutual Aid, factor of Evolution, London, Heinemann, 1904 cite „მოამბე“ №.

საურთო-ერთო დახმარების დაწესებულებათა განუწყვეტლობისა აღამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისთვის აუსნელი და გაუგებარი აღარ იქმნება მუდმივი მისწრაფება კავკაციონისაკენ და თავისუფლებისაკენ, მისთვის თანამედროვე მუშათა მოძრაობისა და თანამედროვე სოციალიზმის აღსნა კაპიტალიზმის იმანენტურ კანონებში კი აღარ იქმნება, მას ჰეგელის ტრიადა კი აღარ დასჭირდება სოციალიზმის აუცილებლობისა და განხორციელების-დამტკიცებლათ, არამედ კავშირი ზოოლოგიისა და სოციოლოგიისა მას ყოველისფერს ეტყვის, დიადი კანონის ასსოციაციისა ბუნებაში მის თვალის წინ გადაშლის მომავალი, ბრწყინვალე ცხოვრების იმ სრულ ბუნებრივობას, რომელიც ვერ გაუგიათ ბურუუ-მეცნიერებს და რომელთაც მარქსისტიული აღსნა სოციალიზმის აუცილებლობის საზოგადოების დიალექტიკური განვითარებითა და კაპიტალისტის იმმანენტური კანონებით თავის დღეში ვერ დააკმაყოფილებს.

ბერძნების ისტორიას როცა გადავავლებთ თვალს, ვხედავთ მონათა მუდმივსა და მედგარ ბრძოლას ეგრედ წოდებულ „კეთილ-შობილთა“ წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთა ცხოვრებას, როცა ესწავლობთ, ცალკე აქაც თვალწინ გვეხატება ის საშინელი ბრძოლა, რომელსაც თავისუფალი მოქალაქენი ეწეოდნენ მტარვალთა წინააღმდეგ, ის საშინელი ზიზლი, რომლითაც ესენი იყვნენ აღკურვილნი მტარვალთადმი, მათი მუდმივი მისწრაფება თანასწორობისადმი. რომის ისტორიაც ამასვე ჰმოწმობს. დასაწყისში ჩვენა ვხედავთ ფართო იტალიურ ხალხთა ფედერაციებს, სადაც 1 ონბა არ იყო გაბატონებული, რომელნიც სცხოვრობდნენ თავისუფალ, ნახევარ-კომუნისტიურ ცხოვრებით⁴⁾). რესპუბლიკის ეპოქაში ჩვენა ვხედავთ ხელოსანთა თავისუფალ კავშირებს ქალაქებში, რომელთაც სენატი ეჭვის თვალით უყურებს და სცდილობს მოსპოს იგინი⁵⁾). იული ცეზარმა მოსპონ ეს კავშირები, მაგრამ ახალი

4) Guglieimò Ferrero: La graudezza e la decadenza di Roma.

5) იზიდა: Levasseur, Histoire des classes ouvrières et de l'Industrie en France avant 1789, t. I. I. I.-M. St Léon: Les corporations d'Arts et Métiers, მომსენის შრომები და სხვა.

კავშირები და ასსოციაციები ისევ თავისუფლად იბადებიან, როგორც რესპუბლიკის ეპოქაში და კიდევ უფრო აღრე და. ბადენ კოლოეგიები და სოდალიციები. იმპერია საშინელ ბრძოლას უტადებს მათ, მაგრამ უძლურია ამ ბრძოლაში. პოლიციის წესები ვერ. შლიან საზოგადოებრივობის ტენდენციას. მაშინ იმპერია იგონებს ახალს ზომას, რომ თავიდან მოიშოროს ეს მოუსვენარი კავშირები მწარმოებელთა: იმპერია მათ აჯანმენებს: ჯერ მფარველობას უწევს, შემდეგ აქცევს მათ საერთო სახელმწიფო მანქანის უალკე ვინტებად, შემდეგ წელში სწყვეტივს მათ გადასახადებით, ბეგარებით, აიძულებს მთელი ქალაქები, სოფლები (რასაკვირველია, დიდი კაცები და ბიუროკრატები!), ჯარი. და მხედრობა არჩინოს ამ კავშირებმა, მთლად იმონავებს მათ ბოლოს და ბოლოს, და ამგვარად მთელი შრომა დაჭრილია, ჩამწყვდეულია ერთ დიდ საიმპერიო ციხეში, სადაც თავისუფალ ასსოციაციის პრინციპის გარტარება შეუძლებელია, და ამგვარად თვით ასსოციაცია იშლება, კვდება, ხელიდან ეცლება ის მიზანი, რა მიზნითაც იგი შესდგა თავისუფლად, — მფარველობა გაეწია ინდივიდუალურის და ყოფილიყო მისი განვითარების თავდები:

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ და ბარბაროსთა შემოსვეის დროს თითქმის მე-IX საუკუნემდე ვერ გამოიჩინა ევროპის ხალხმა თავისი მოქმედებითი გენიოსობა, ისე ამ-ტერევდა შემოსევა ძველ წყობილებას და ხალხი ვერ. ასწრობდა შეექმნა რაიმე ხანგრძლივი სხვა და სხვა არევ-დარევის გამო. მაგრამ ეს დასაწყისი იყო ახალი ცივილიზაციისა. მე-IX საუკუნის დამლევიდან უკვე მკრთალად მოსჩანს ევროპის ახალი ცივილიზაცია. ბარბაროსები იწყებენ თავიანთ ცივილიზაციას. შემოსვეის შემდეგ ადამიანთა ხოცვით, ძალა-დობით, ვინ იცის კიდევ რამდენი სიმხეცით დამკვიდრებული ფეოდალიზმის ულელი მძიმედ იგრძნო ხალხმა სოფლებსა და ქალაქებში. აშენებულ ქალაქებში უკვე შეუძლებლად მიაჩნიათ ეპისკოპოზისა, თავადისა, მეფისა და ჯალათის ბატონობაში ცხოვრება. მთელი საკუკუნე იზრდება ეს შეგნება და

ერძნობა ამგვარი ცხოვრების შეუძლებლობისა; ხალხი გან-
სათავისუფლებლად ემზადება. და უკვე მე-X საუკუნეში იტა-
ლია მთელ ევროპას აღლევს ნიშანს საერთო აღდგომისას.⁶⁾
მთელი მე-X, მე-XI და მე-XII საუკუნეთა განმავლობაში მთელ
ევროპაში ჰქონის რევოლიუციის ქარიშხალი, და მე-XIII საუ-
კუნეში ჩვენ უკვე ახალ ცხოვრებას ვხედავთ, ახალ ცივი-
ლიზაციას, იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლის-
ში, ჰოლანდიაში, ევროპის თითქმის ყველა ქვეყნებში.
თავი გაინთავისუფლეს ქალაქებმა ეპიზკოპოზთაგან და თა-
ვადთაგან, იმპერატორი და პაპა დააშინეს, ხელს აწერინე-
ბდნენ შეერთებული ქალაქები იმპერატორს, ლომბარდიაში
აღარ გაბატონდეს, მაგალითად, აღგენდნენ ფედერაციებს
თავისუფლების დასაცავად, თავად-აზნაურთა და სამღვდე-
ლოების წინააღმდევ, აფუძნებდნენ წარმოებას და განაწილე-
ბას ნაშრომისას ნახევარ-კომმუნისტურ პრინციპზედ, მარ-
თალია, მაგრამ მაინც საურთიერთო დახმარებისა და თა-
ნასწორობის პრინციპზედ, რომელნც შესაძლებელი იყო
იმ დროს, მათი გილდიები, ძმობანი და სხვა საუკეთესო მა-
გალითებია პრინციპზედ აგებულ დაწესებულებათა. ევრო-
პის ქალაქებმა ამ დროს შექმნეს ის შესანიშნავი და დიადი
ეპოქა, რომელსაც ისტორიაში ეწოდება მე-XIII საუკუნის
განხალება, რენესანსი. ეს რენესანსი შეჯეგია თავისუფალ
მუშათა ასსოციაციებისა, განსაზღვრულ პირობებში, რომელ-
შიაც იყო საშუალო საუკუნოები, და ყველა საურთი-ერთო
დამხმარებითი დაწესებულებანი, რომელნიც არსებობდნენ ამ
დროს, ეთანხმებიან სწორედ იმ ბრძოლას, რომელსაც პირო-
ვნებანი ეწეოდენ მათ წინააღმდევ, ვისთვისაც ხელ-საყრელი
იყო დაეთრგვნათ ეს დაწესებულებანი და განემტკიცებინათ
მონობა და ბატონ-ყმობა, ნაანდერძევი რომის დესპოტიზმი-
საგან. ეს კიდევ არაფერი, თავისუფალი ქალაქები ამ დროს,
იტალიაში მაგალითად, გლეხთა განსათავისუფლებლად ვაილა-

⁶⁾ Sismundi: Histoire des Républiques Italiennes. Giuseppe Ferrari. Storia delle Rivoluzioni Italiane.

შქრებოდენ ხოლმე, ომ მათ მოხმარებოდნენ გრაფთაგან⁵ თავიადთაგან დაბარონთაგან შევიწროებისაგან თავის დახსნაში... რა მოიტანა ამ ბრძოლაშ ქალაქებისამ გლეხებთან ერთად— ამაზედ ჯერ გავჩერდებით, რადგანაც შორს წაგვიყვანდა⁷). შემდეგ ვიტავით მხოლოდ ორიოდე სიტყვას.

ჩენ მოვიყვანეთ ამ ქალაქთა მაგალითები, სხვათა შორის, იმ მიზნით, რომ გვეჩენებინა ჯერ ერთი, რომ ხალხთა მასსას აქვს მუდმივი, ბუნებრივი მისწრაფება კომმუნიზმისადმი, ქმობისადმი, ერთობისადმი, თავისუფლებისადმი, დაუსაბამო დროიდამ. ეს მისწრაფება პქონდათ ძველი საბერძნეთის მონებს, რომის მუშათა ასსოციაციებს, რომის მონებს, რომლის დიდი მოთავე სპარტაკი⁸) იყო, საშუალო საუკუნოების ქალაქებს, და შემდეგ⁹). ხან და ხან მოძრაობა ვერ იმარჯვებდა, მას ამარცხებდენ სხვა, რეაქციონური ძალები: მაგალითად მონებმა თავის დღეში ვერ მოსპეს შონობა, და ამან დაჰლუპა ძველი ცივილიზაცია. ვინ იცის, იქნება; მონები როცა გაიმარჯვებდნენ, ბარბაროსებს რომ არ მოესწროთ შემრსევა, სხვანაირად დატრიალდებოდა ისტორიის ჩარხი, მაგრამ ეს ისტორიული პრობლემის ერთობ მათემატიკური წესრი დასმაა და ამას არ გამოუდგებით. სამაგიეროდ საშუალო საუკუნოების ქალაქთა ბრძოლა დაგვირგვინდა გამარჯვებით ბევრგან, თუმცა სრულიად არა. გლეხებმაც თავისი ბრძოლით მოსპეს ბატონ-ყმობა, თუმცა სრულიად კი ვერ მოულეს ბოლო ბატონობას ჯერეც კი. კარგი ხანია ისტორია შემდეგ სურათს გვიყენების თვალის წინ. ეს სურათი გიგანტიური ბრძოლაა ორ დიდ ძალათა შორის: ერ მხრით გამოდის ხალხის. შემოქმედებითი ძალა თხვისი კომმუნისტიური მისწრაფებით, ქმობით, ერთობით, თავისუფლებით, მეორეს მხრით დამთრ-

5) იხილე ამაზედ G. Ferrari: Storia ede. t. II. თავი: Ciffadini e Conciffadini, განსაკუთრებით.

6) იხილე ცეზარ-დე-პეპი—Services Publics—ისიც აღიარებს სპარტაკის მისწრაფებათა კომმინისტურ ხასიათს, თუმცა გამოურკვეველს.

7) „შემდეგზედ“ შემდეგ ვილაპარაკებთ.

გუნველი გენიოსობა ავტორიტეტისა, ბატონობისა, მონობისა, ექსპლოატაციისა,— მონობით, მორჩილებით, გეძარცვა-გლეჯით და სახელმწიფო ცენტრალიზმის იდეალით. ხან ერთი მხარეა გამარჯვებული უამთა ვითარებაში, ხან მეორე. და დაახლოვებით შეგვიძლია ვსოდეთ, რომ ცივილიზაციის წინსვლა დამოკიდებულია იმისაგან, თუ ვინ გაიმარჯვებს—ხალხთა შემოქმედებითი ძალა, თუ განმანად ურებელი ცენტრალური ორგანო მონობისა და ექსპლოატაციისა, თავისუფლება და კომმუნიზმი თუ დესპოტიზმი და ძარცვა-გლეჯა. პირველის გამარჯვება—ცივილიზაციაში შექმნა ყოფილი ისტორიაში, მეორესი—ხალხთა და მათ მიერ შექმნილ ცივილიზაციათა გადაშენება, მიწის პირისაგან აღგავება. მეორე—იმიტომ დაგვჭირდა ეს შენიშვნები, რომ იმისი დამტკიცება გვინდა სწორედ კომპანიანაჟის შაგალითით, რომ, ოდგორც უკვე გაკვრით შევნიშნეთ, საურთი-ერთო დახმარების დაწესებულებანი ჩნდებიან მაშინაც კი, როდენაც ცენტრალიზმი და ექსპლოატაცია გაძევებულია და ძველი საურთი-ერთო დახმარების დაწესებულებანი ბრძოლაში დაიღუპენ, ან და როდენაც ამ უკანასკნელთა დაღუპვის გარეშე მიზეზთა გარდა შინაგანი მიზეზებიც გაჩნდნენ და აზრ-დაკარგულ გარდამავალ საურთი-ერთო დახმარების დაწესებულებათა მაგიერ ახალნი ჩნდებიან, გაუმჯობესებულნი და უფრო ფართო იდეალით, ან და შეიძლება უფრო ვიწრო მოქმედების ფარგლითაც, თუ გარემორტყმული წრე ნებას არ აძლევს ასსოციაციის კანონს უფრო ვრცლად იჩინოს თავი. ასსოციაციისა, თავისუფალი ასსოციაციის ინსტინკტი რომ სრულიად ეკარგებოდეს მწარმოებელს ცენტრალიზმისა და ძარცვა-გლეჯის სისტემის გამარჯვების და გაბატონების შემდეგ, მაშინ არა თუ არ იქმნებოდა დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისადმი მუდმივი მისწრაფება, თანამედროვე მუშათა მოძრაობა, თანამედროვე სოციალიზმი,— მაშინ თვით საზოგადოებაც ვერ მოაღწევდა, მგონი, დღევანდელ უამამდის, იმდენი ბრძოლა და უაივაგლახი გამოუვლია დასაბამიდან კაცობრიობას.

და იმდენჯერ დაულუპავს მთელი ერი და მისი ცივილიზაცია ცენტრალურ დესპოტიებს. საზოგადოებაში ათასნაური ძალა იბრძვის და მუშაობს. ერთის გამარჯვება დროებით, თუ გინდ ხანგრძლივიც იყოს ეს დრო, კიდევ არ ნიშნავს, რომ მეორემ სრულიად დაპარაგოს მუშაობის ნიჭი, რაც თუ გინდა ცუდ-მდგომარეობაში ჩააყენო იგი. ბუნება თავისას იზამს, და ამაზე იყო დამყარებული იქედი ყოველ კეთილ-შობალ მებრძოლთა და შევნებულ მწარმოებელთა, ამაზე ამყარებენ დღეს თავის იმედებს მწარმოებელნი მთელი ჩვენი პლანეტისა. ამაშია მათი თეორია, მათი პრაქტიკა, მთელი ფილოსოფია მუშათა მოძრაობისა...

კომპანიონაჟი სწორედ ამისი მაგალითია. იგი სწორედ მაშინ გაჩნდა, მაგალითად საფრანგეთში, როდესაც თავისუფალი კორპორაციების, კომმუნების, ქალაქების მზე ესვენებოდა მე-XIII საუკუნის ბოლოში და მე-XIV საუკუნის დასაწყისში, მეფობა კი ძლიერდებოდა, ან მათ წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებით, ან გამდიდრებულ ვაჭართა და ქალაქის გამდიდრებულ ბურჟუაზის მფარველობითა და პრივილეგიების დარიგებით, და ამგვარად ანადგურებდა ამ თავისუფალორგანიზაციებს და უმორჩილებდა მათ მეფის გვირგვინს. მაშინ გაჩნდა კომპანიონაჟი, ახალი ფორმა საურთიერთო დახმარებისა მწარმოებელთა შორის, თუმც უფრო ვიწროდ შემოფარგლული მოქმედებით საზოგადოებაში, მაგრამ მედგარი და ძლიერი მებრძოლი დაწესებულება, რომელმაც მე-XIX საუკუნის ნახევრაშდე მოიტანა ბრძოლის ბაირალი. იგიც იბრძოდა მეფისა, სამღვდელოებისა და პრივილეგიის მქონე ბურჟუაზის წინააღმდეგ. ბურჟუაზის ბრძოლა თანამედროვე მუშათა კლასსმა კი არ გამოუცხადა პირველად, ეს ბრძოლა, სამკურავ-სასიცოცხლო ბრძოლა, მას ძველმა, მე-XIV საუკუნის დასაწყისში აღმოცენებულმა მუშათა ორგანიზაციებმა უანდერძეს არა მარტო საფრანგეთში, არმედ ინგლისში, გერმანიაში...

საშუალო საუკუნოთა ქალაქების დაცემის მიზეზები შემდეგი იყო. რომელიმე უფრო ძლიერი თავადის გაძლიე-

რება, ან გრაფისა ან ბარონის, რომელიც თავის ირგვლივე ჰკურეფდა ჩაინდებს, ჯერედ გაუნთავისუფლებელ გლეხებს და რომელიც ირჩევდა თავის საცხოვრებლად მოხერხებულ ადგილს, ეს ქალაქი, სადაც არ იყო განვითარებული გაბატონებული თავადის დესპოტიზმის წყალობით თავისუფალი მუნიციპალური ცხოვრება, ხდებოდა ცენტრალ, სადაც იკრიბებოდნენ სამღვდელოება, რომის უფლების კაცები, მღიდარი ვაჭრები და სხვა ანტისოციალური ელემენტები, რომ მფარველობა ეპოვათ გამეფებულ თავადის წინაშე, და მოეპოვათ სხვა-და-სხვა პრივილეგიების ბოლოს და ბოლოს ცენტრი ყოველისფერს ისვავდა, ცეზარიზმი, რომელსაც მხარს უკერდა რომის უფლების პრინცესი, რომელთაც არ იციან ფორმა კომმუნისა და სოფლის თემისა, ჰკლავს ფედერალიზმს და უწოდებს მას ბარბაროსობის ნაშთად.

ქრისტიანე ეკკლესია შეურიგდა რომის უფლებას, მეფეთა და მღიდარ ხალხთა მხარე დაიჭირა, აკურთხა სახელმწიფო კაცები, აღიარა ძლიერთა ღვთაებრივი უფლება და უძლოურთა და ღარიბთა შორის იწყო ქადაგება შიშისა და მორჩილებისა. ამგვარად ხალხმა თავისი ძევლი მოკავშირე დაპკარგა.—გარდა ამისა გლეხებმა ქალაქთადმი რწმუნება დაპკარგეს, რადგანაც ვერ გაანთავისუფლეს იგინი ამ ქალაქებმა, და უფრო მეფეთა და ცენტრალურ ძალას მიემხრნენ და მათ დაუწყეს იმედოვნებით უურება.

თვით ქალაქებში, შიგნითაც, იჩინა თავი დიფფერენციაციამ. ასკოციაციის პრინციპი ძლიერ ფართოდ არ იყო გამოვინებული და მის მაგივრად, რომ გლეხებისათვის და ახალ მოსულთათვის ქალაქში ეყურებინათ, როგორც თანამშრომელთათვის, ქალაქის ძევლმა მოქალაქეებმა მათ დაუწყეს ყურება, როგორც ექსპლოატაციის საგანს. საერთო შრომის მთელი ნაყოფი ძველ მოქალაქეებს მიჰქონდათ, ახალმოსულთ კი არაფერი; ამ უკანასკნელებს ჰქონდათ თავიანთი ხელები და თავიანთი ხელობა. „ძველმა მოქალაქეებმა“ შეადგინეს ბურუუაზია, პრივილეგიათა მქონე წოდება, რომელიც

სიხარულით მიეგება და გაუღლო ქალაქის კარები მეტეს და გაჰყიდა მუნიციპალური თავისუფლება.

ქალაქის განწყობილებაც ირგვლივ მდებარე სოფლებ-თანაც ცუდი იყო. კომმუნები სცდილობდნენ გაენთავისუფლებიათ გლეხები, მაგრამ ხშირად ომი ფეოდალების. წინააღმდეგ გლეხთა განსათავისუფლებლად ხდებოდა თვით ქალაქთა განსა-თავისუფლებელ ომად. ბოლოს და ბოლოს ფეოდალებს დარჩათ ყველა უფლებანი გლეხებზედ, და, მხოლოდ პირობა ჩამოართვეს ქალაქებმა, რომ ფეოდალები ქალაქს ხელს. არ ახლებდნენ, არამედ მარტო მათ თანა-მოქალაქეებად გარდიქცე-ოდნენ. ფეოდალებმა, რასაკვირველია; ამითი ისარგებლეს, და თვით ქალაქში ხანგრძლივი ბრძოლით მოახდინ ქალაქის ფეოდალიზაცია, შერყვნეს მოქალაქობრივი ცხოვრება.¹⁰⁾

კიდევ ერთ უმთავრეს მიზეზთაგანი საშუალო საუკუნის ქალა თა დაცუმისა იყო ის, რომ მათ ყოველივე ვაჭრობაზედ და მრეწველობაზედ დაარსეს, და ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს მიწათ-მოქმედებას, რამაც გამოიწვია ქალაქისა და სოფლის ბრძოლის განმწვავება.

მაგრამ მართლაც და უმთავრესი მიზეზი საშუალო საუკუნების ქალაქთა დალუპვისო, ამბობს Mutual Aid-ის ავტო-რი, რომლისგანაც ჩვენ ვიღებთ ამ სტრიქონებს, იყო იმ იდე-ის დაკარგვა, იმ ძველი ბერძნული იდეის დაკარგვა, რომე-ლიც ასულდგმულებდა ქალაქის მთელ თავისუფალ ცხოვრებას. საურთი-ერთო ნდობა, ფედერალიზმი, თითეული გრუპის დამოუკიდებლობა, და პოლიტიკური მთლის აშენება უბრა-ლოდამ რთულამდე — აი როგორი იყო პრინციპი საზოგა-დოებრივი ცხოვრებისა მე-XI საუკუნოებში მაგალითად. მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში ყოველივე შეიცვალა.. რომის უფლე-ბის დოქტორები თავიანთ კათედრებიდამ, სამღვდელოება თა-ვიანთ ამბიონებიდან, და მსაჯულები თავიანთ სავარძლებიდამ

¹⁰⁾ Giuseppe Ferrari: Storia delle rivoluzioni d' Italia, t. II,—ზაგალი-ტები, იტალიაშა.

მუდამ გაიძახოდნენ, რომ ცენტრალური ძალა ჰსნაა, რომ ერთ
კაცს შეუძლია ღვთაებრივი ავტორიტეტი იყოს მთელი
საზოგადოების მხსნელი, და მან უნდა ჰქმნას, ეს მისი ვალი-
აო; და მას შეუძლია საზოგადო კეთილდღეობის სახელით
იხმაროს ძალ-მომრეობა, აწეროს კაცი, გაანალგუროს მთელი
სოფლები, მთელი ქალაქები, მთელი ქვეყანა, ძირიანად ამო-
აგდოს ომით, ესე იგი ცეკველითა და მახვილითა. მუდამ იმე-
ორებდა ეს ანტისოციალური ხორც-პეტი საზოგადოებისა
ზემოხსენებულ სიცრუეს და გაიძვერობას და ბოლოს და ბო-
ლოს ზელი შეუწყვეს იმ მოვლენას, რომ გამოცვლილიყო
ძველი საზოგადოების სული: მოჰკლეს ყველა ძველი პრინცი-
პები საურთი-ერთო დახმარებისა, რომელზედაც იყო დამყა-
რებული ძველ დაწესებულებათა მთელი საზოგადოებრიობა;
რომის უფლებამ, რომელიც ძალ-მომრეობით; ომით, ძარცვა-
გლეჯითა და მონობით შემუშავდა, მოჰკლა ძველი უფლება,
რომელიც თვით ხალხთა მასებმა შეიმუშავეს, და ბოლოს და-
ბოლოს კი, უკვე მე-XVI საუკუნეში ცენტრალურმა სახელ-
მწიფომ სრულიად ჩაიგდო ხელში ოდესალაც თავისუფალი
ქალაქები. ¹¹⁾ და როდესაც უკვე მე-XIII საუკუნის ბოლოში
და მე-XIV დასაწყისში საშუალო საუკუნოების ქალაქებმა
დაჰკარგა თავისი პირველ-ყოფილი ხასიათი, როდესაც ისინი
ველარ უწევდნენ მფარველობას შრომას, ველარ იცავდნენ მის
ინტერესებს, არამედ მარტო პრივილეგიის მქონე პურუჟაზის
ინტერესებს, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზ-
ზედ უკვე ნათლად მოსჩნდა ორი კლასი, — ბურჟუაზია, რო-
მელსაც მფარველობას უწევდა მეუფ და რომელიც მიისწა-
ფოდა, რაც შეიძლებოდა მეტი, პრივილეგია მიეღო, — და მუ-
შათა კლასი, რომელიც გამოეყო თავისი ეკონომიკური
მდგრმარეობით საწარმოო საშუალებათა პატრინს, რომე-
ლსაც იმედი არა ჰქონდა არც მეფისაგან, არც ბურჟუა-
ზიისაგან, — სწორედ მაშინ დაებადა. საშუალო საუკუნის

მუშას მისწრაფება მოეწყო თავისი საკუთარი ორგანიზაციები, თავისი საკუთარი დაწესებულებანი საურთი-ერთო დახმარებისა, —გარეშე ბურუუზისა, გარეშე შეფის მფარველობისა, გარეშე კორპორაციისა, რომელიც უკვე ჰქარგავდა თავის თავისუფლებასაც, დაჰკარგა რა თავისი პირვანდელი ხასიათი საურთი-ერთო დახმარების ასსოციაციისა. ასე იყო საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში, მაგალითად ინგლისში და გერმანიაში. ჩვენ კი აქ მხოლოდ საფრანგეთი გვაინტერესებს. „უარჲყვეს რა კორპორაციები, რომელნიც მუშებს თავის კანონებს ახვევდნენ თავზედ, მუშებმა ზვით განიზრახეს თავიანთ თავისათვის ეპატრონებინათ — ასსოციაციის სხვა წესებით, შეჰქმნეს რა კომპანიონაჟი, მაგრამ კომპანიონაჟი წარმოადგენდა ფარულ ძალას, რომელიც იღდა წინააღმდეგ პატრონთა კორპორაციისა, ეს უკანასკნელი კი იღიარებულ იყო ოფიციალურ ავტორიტეტად; სამეფო ძალას კი თავის დღეში არ უნდოდა მიეცა კომპანიონაჟისთვის თავისი სანკცია, რომელიც თუმცა კომპანიონაჟს მისთვის თავის დღეში არ უთხოვია, არამედ აღკრძალა კომპანიონაჟი“ — ამბობს ლევასერი¹²⁾.

ეს სრულიად არ იყო არა მოულოდნელი. სამეფო ძალაში უკუვე ჩაიგდო თავის ხელში მე-XI მე-XII და მე-XIII საუკუნეთა თითქმის მთელ განმავლობაში თავისუფალი კორპორაციები, დაიმონავა ისინი მათი კანონიერათ აღიარებით და რეგლამენტებით, ხელი შეუწყო, რომ პრივილეგიის შემნეკლასსი განვითარებულიყოს და მისი პრივილეგიების დამცველი ყოფილიყოს თვითონ. ეს მისთვის საჭირო იყო, მისიზურგის გასამაგრებლად, რადგანც ბურეუზია მისი მოკავშირე იქნებოდა. კომპანიონაჟის აღმოცენება-კი მოასწავებდა ახალი ძალის აღმოცენებას, ხალხის ძალთა ჩუმ ორგანიზაციას, რომელიც გამოციოდა ქალაქებში შრომის ინტერესთა დასაცველად და პრივილეგიათა წინააღმდეგ. რასკვირველია,

¹²⁾ E. Levassieur, Histoire des clouses ouvrières etc. avant 1789, t. II. p. 896.

კამეფოს ძალამ ამ ახალ ხალხურ ძალას ომი გამოუცხადა, თუმცა ამ ომში მას თავის დღეში არ გაუმარჯვნია...

ამგვარად, ჩვენის ფიქრით, საფრანგეთის (და სხვა ქვეყნებისაც) კომპანიონაჟი არის მხოლოდ საურთი-ერთო დახმარების დაწესებულებათა ერთი რგოლთაგანი. ისტორიის უამთა-ვითარებაში ამგვარი დაწესებულებანი, როგორც უკვე ვსთქვით, სხვა და სხვა მიზეზთა გამო ჰქონდოდენ, მაგრამ მუღმივი კანონი პსოციაციისა ყოველთვის აიძულებდა კაცს ახალი ამგვარი სხვა დაწესებულებანი შეექმნა — ინდივიდისა საზოგადოდ და ცალკედ მწარმოებლის სამფარველოდ. ეს არის მიზეზი კომპანიონაჟის აღმოცენებისა. ამიტომ აქვს მუშათა მოძრაობას. ასეთი გრძელი ისტორია, ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მოვლენა მეXVIII საუკუნის ბოლოდამ იწყება.. იგი არ არის მოვლენა თანამედროვე, იგი ძველია, როგორცა ვსთქვით, ზემოხსენებულ მიზეზთა გამო, და ჩვენც შემდეგ წერილებში ამ ძველ ისტორიას მოვუთხრობთ მოკლედ ქართველ მკითხველს.

სანგალა.

ნ ა რ მ 3 0

1) ძველებური ჩვენი ბანი. — 2) ყიბლანა ყვავილი. — 3) ამერიკული თეატრები. — 4) ელიზე რეკლიუს გლოვა. — 5) გერმანელი სოციალისტები და ეროვნული კითხვა. — 6) ისეთმა ფურმა დამწიხლოს!.. — 7) უანდარმების დევგმირობა. — 8) რამ გააღვიძა შალჩი. — 9) შეურაცხყოფა.

1) ძველებური ჩვენი ბანი. — დიდრონ ქალაქებში მცხოვრებნი რომ მოკლებულნი არიან ჰაერს, სინათლეს და ერთობ ჰიგიენურ პირობებს, ამას დამტკიცება არ უნდა; შენობას რომ აგებენ, იმით ხელმძღვანელობენ, რომ რაც შეიძლება მეტი შემოსავალი ჰქონდეთ, და არა ჰიგიენის მოთხოვნილებით; არც ეზოს სტოვებენ საკმარისს, არც ორ სამ სართულს სჯერდებიან, რომ ქვემო სართული ბნელი არ იყოს, ამ ბოლო დროს ამერიკაში და ინგლისში ყურადღება მიაქციეს ქალაქის ამ ნაკლულევანების და საშუალებათა ძებნა დაიწყეს ქალაქის სივიწროვის და ჰიგიენურ პირობათა შესაერთებლად. შეადგინეს ფულიანი საზოგადოებანი, რომელნიც ქალაქ გარეთ რკინის გზის პირას პატარ-პატარა სახლებს აშენებს დარიბ მოხელეთათვის, რომ დღე ქალაქში სამსახურში იყვნენ და თავისუფალი დრო სოფელში გაატარონ. ამ სისტემამ დიდი თანაგრძნობა მოიპოვა ბელგიაში და საფრანგეთში. და თითქმის ყველა დიდ ქალაქის ახლოს რკინის გზის ლიან-დაგზედ ახალი ქალაქები შენდება ჰიგიენურ პირობათა განსახორციელებლად. ბერლინში კი სხვა გვირ საშუალებას მიმართა, ძველებურს ჩვენს ბანს: ახლად აშენებულ სახლებს

ბერლინში ბანს ატანენ, დახურულს, მოაჯირებით შემოფარებულს და ბანზედ ატარებენ დროს ქალები თავიანთ ხელსაქმით და ბავშვები თავიანთ სათამაშოებით. ამგვარად უზრუნველყო სახლს ეზო უკეთდება და მდგმურებს საშუალება ეძლევათ წმინდა ჰაერით და სიცხეში სიგრილით დასტყვნენ.

**

2) უიბლანა-უვავილი. ამერიკელი მწერალი ლონგფელდონ ამბობს ერთს თავის პოემაში: მცენარე არის, ინდოელთაგან ცნობილი, რომელსაც ფურცელი ყოველთვის ჩრდილოეთისკენ აქვს მიმართულიო. მეცნიერები ყურადღებას არ აქცევდნენ ამ სიტყვებს,—პოეტის ოცნებაა, უსაფუძვლო და ნიადაგს მოკლებულიო. დიდი ხანი გავიდა ლონგფელლოს შემდეგ და ამ უკანასკნელ დროში პოვეს მეცნიერებმა —ნიუიორკელმა სმიტმა და ლონდონელმა პოკერმა—ერთი მცენარე, რომელსაც მართლა იმისთანა უცნაური თვისება ჰქონია, რომ სწორედ უიბლანის (კომპასის) დანიშნულებას ასრულებს. მეცნიერული სახელი ამ მცენარისა არის *Selphium lacinatum*. ამერიკულ თვალგადუწვდენელ უდაბურ მინდვრებში დიდ გაჭირვებისგან და განსაკლებისგან იხსნის მგზავრებს ეს მცენარე. სიმაღლით ორ ადლამდე იქნება, ყვავილთა კონა მარტო უმთავრეს ლეროს კენწეროზე იცის. და გძელი ფოთოლი აქვს, ყოველთვის ჩრდილოეთისკენ მიმართული.

**

3) ამერიკული თეატრები. პიესების შინაარსით კი არ იზიდავს ამერიკული თეატრი მაყურებელს, არამედ სცენის მოწყობილობით და სხვა და სხვა უცნაურობათა წარმოდგენით. ერთმა პიესამ იმითი გაითქვა სახელი, რომ სცენაზე ზღვაიყო გამართული, შიგ დიდი ხომალდი და მთელი წარმოდგენა ამ ხომალდზედ სწარმოებდა. „ბენ ჰურმა“ უფრო დიდი სახელი მოიხვევა, რადგან სცენაზე ნამდვილი დოლია გამართული ცხენებით შებმულ ეტლებისა. ერთს პიესაში ავტორმობილების დოლია წარმოდგენილი: უკანასკნელად კიდევ.

დიდი სახელი გაითქვა ახალმა პიესამ, რომელიც ზღვის ძირში სწარმოებს, ზღვის ტალღების ქვეშ; პიესის გმირი და იმისი მუხანათი მეგობარი ზღვის ძირში შეხვდებიან ერთმანეთს, შეებრძოლებიან... გმირი გმირულად გადასჭრის თავისი მტრის სასუნთქ მილს, რომელიც ზღვის ძირიდან ზევით არის აყვანილი, და დაახრჩობს.

**

4) ეჭიზე რეკლიუს გლოვა. ფრანგულ უურნალს *revue-ს* შემდეგი წერილი მიუღია ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორთა და სტუდენტთაგან:

„ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები გულითადი მწუხარებით გაუწყებთ გარდაცვალებას ელიზე რეკლიუსას და გაცნობებთ, რომ მიცვალებულისთვის თანახმად მის ხაიგათისა და მიმართულებისა არავითარი გარეგანი პატივისცემა არ გვიკადრებია, რაღაც დაუვიწყარის მეგობრის და მეცნიერის პატივისცემა მის მოძღვრების ქადაგებით და ერთობის, თანასწორობის და თავისუფლების განხორციელებით შეიძლება“.

5) გერმანელი სოციალისტები და ეროვნული კითხვა. ბერლინურ სოციალისტურ უურნალში მოთავსებულია სტატია ენგელბერტ პერნერსტორფერისა. სამშობლოსა და კაცობრიობის შესახებ. უბედურისთვის, რომელიც თავის სიცოცხლეს ლუკმა პურის ძიებაში ატარებს, სამშობლო არ არსებობს; მუშისთვის, რომელიც თავის სიცოცხლეს მატერიალურ მოხხოვნილებათა დაკმაყოფილებაში ატარებს, ეროვნული კითხვა ძნელი გასაგებია. ეროვნება მეტს განვითარებას, მეტს კულტურულ მომზადებას. მოითხოვს, რომ ძლიოცენდეს და ხალხის ეროვნული გზა გაიკვლიოს. გერმანელისთვის ეროვნება დედაქაში გამოიხატება და მრავალნი ამტკიცებენ, — გაჭირებულ გერმანელ პროლეტარის შარშანდელ თოვლის ფასად უღირს თავისი ენა... მაგრამ განა სოციალი-

ზმის მიზანი ის არის, რომ ადამიანი მაძღარი იყოს და ჩაც-
მულ—დახურული? განა ამაზედ მეტს არ უნდა მოითხოვდეს
ადამიანის განვითარება? ნუ თუ კუჭს იქით სხვა საწადელი
არ უნდა ჰქონდეს შეგნებულს კაცს? და სადაც კი ხალხი
იმ დენად განვითარებულა, რომ მატერიალურ თავის მოთხოვ-
ნილებათა იქით სხვაც შეუქმნია რამე, იქ უკვე არსებობს
ეროვნული, თავისებური კულტურა და ეროვნული თავმოყვა-
რება. როგორ შეიძლება სოციალიზმისაგან უარყოფა სამ-
შობლოსი და პატრიოტიზმისა, როდესაც ეს არის უარყოფა
უკვე შეძენილის, განხორციელებულის განვითარებისა და მა-
შასადამე უკან დაწევა და დამცირება ადამიანისა? სოციალი-
ზმა უნდა შეაკავშიროს კაცობრიობა, მაგრამ კი არ გააერთნაი-
როს იგი და შეკავშირებულ კაცობრიობის ორგანიზმში ადამია-
ნი კი არ უნდა იყოს უჯრედად, არამედ ერი.

**

ისეთმა ფურშა დამწისლას!.. რუსეთში ს. მატვეევკაში
საღამო ხანს ერთი საწყალი მგზავრი დაინახა ხალხმა. რუსული
არ იცოდა, და ერთს სიტყვას გაიძახოდა—ატამან, ატამანო.
ეს უთუოდ იაპონიის იმპერატორია, დაიძახა ვილამაც და მიუ-
სია ხალხი. ბევრმა სთქვა, გლახაა, მაწანწალა, რამ გააიმპე-
რატორაო? მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს ამ ურწმუნოთ
და მიერდნენ მგზავრს.

— აბა ტანისამოსი გავხადოთ, თუ იაპონიის იმპერატო-
რი არ არის!

გახადეს, გაატივლეს...

— ვაი! დედაკაცი ყოფილა!..

თქვენა გგონიათ, თავი დაანებეს?

კინწის კვრით წაიყვანეს ურიალიკთან...

და ჩვენ კი დაგვცინიან; კავკასია გაუნათლებელიაო!

**

ჟანდარმების დევგმირთა. კრემენჩუგელმა უანდარმებმა პა-
ტარა ბიჭი დაიჭირეს, ქუჩებში გაზეთებს ჰყიდდა, გაზეთები
წაართვეს და უბრძანეს:

— თაყვანი გვეცი, თორემ გაზეთებს აღარ მოგცემთ!
ასჯერ მუხლი მოვიყიარეო!

სკამზედ დასხდნენ ქუჩაში.

ბიჭმა დაიჩიქა და... ოცდა ათჯერ უკვე ახალა თავი
მიწას, მაგრამ მოგროვილ ხალხისა შერტვებ უანდარმებს, გაზე-
თები დაუბრუნეს და მშვიდობიანად გაისტუმრეს.

**

რამ გააღვიძა ჩალხი. ტომსკის გუბერნატორმა დიდი ამა-
ლით იმგზავრა და, სულ ნაკლები რომ ვთქვათ, ორი ათასი
ვერსი გაიარა. ხალხს მაზრის უფროსებმა, ბოქაულებმა და
სხვა და სხვა მოხელეებმა წინადვე დაამზადებინეს, უფასოდ,
რასაკვირველია, მის აღმატებულების დასახვედრად და საზი-
დავად:

სამოც-სამოცი ცხენი, რომელნიც ზოგან ორ-ორი კვი-
რა ელოდნენ გუბერნატორის მიბრძანებას;

საქმელ-სასმელი, გუბერნატორის და მისი ამალის შესა-
ფერი; და ოთახები, ისიც, რასაკვირველია, შესაფური და შე-
საფერად მოწყობილი.

ზაფხული იყო, ხალხი თავის საქმეს ვერ ასდიოდა, და
ამ დროს მუშა კაცის და საქონლის მოცდენა ძირიანად ღუ-
პავდა ხალხს. მაგრამ ამას ვინ კითხულობდა, როდესაც თვით
გუბერნატორი მიბრძანდებოდა.

სად? რისთვის?

პოლიციელებს მზადა ჰქონდათ პასუხი:

ჩინეთს მიბრძანდება, ქალაქ კობდოში, სახელმწიფო სა-
ქმეზედაო:

საქმით კი სხვა გამოდგა: მის აღმატებულებას სტუმრე-
ბი სწვევოდნენ და სანადიროდ წაეყვანა იმ სიშორეზედ.

ნადირობის შემდეგ იმავ გზით დაბრუნდა შინისკენ. და
ხალხი კვლავ დაუხვდა ცხენებით, სასმელ-საქმელით...

ერთმა სტატისტიკოსმა თურმე იანგარიშა: მის აღმატე-
ბულების მიერ მოკლული თითო კურდღელი ხალხს ასი თუ-
მანი დაუჯდაო.

**

შეურაცხოვა. უურნალ „Образование“-ს მეშვიდე წიგნში მოთხოვბა არის დაბეჭდილი ამ სათაურით. ყმაწვილი კაცი, ებრაელი მხატვარი, მიუნხენიდან დაბრუნდება რუსეთის პატარა ქალაქში და ოღტაცებულია თავის სამშობლოთი. მოხუცებული მამა ეხვეწება: ნუ, შვილო, რუსეთი სამშობლო კი არ არის ჩვენი, მტანჯველი და სულის შემხუთავიაო; მაგრამ,—მოხუცებულია მამაჩემი,—ბრძანებს მხატვარი,—შეერთებული კაცობრიობა ვერ წარმოუდგენიაო... საშინელს შეურაცხოფას მიაყენებენ საბრალო ყმაწვილ კაცს რუსები და საუკუნოდ აღმოუტხვრიან გულიდან თავის შეცდომას და „სამშობლოს“ სიყვარულს. ისევ სამზღვარ გარედ გავა და იქიდან იწერება—არა, მე სამშობლო არა მაქვს! ღმერთმა დამიტაროს მაგისთანა სამშობლოსაგანაო...“

უცნაური ამ მოთხოვბაში ის არის, რომ ახალგაზრდა ებრაელს შეურაცხოფას მიაყენებს კავკასიელი რუსი, ვიღაც სილოვაისკი, ჩოხითა, ფაფახით და ხანჯლით მოსილი. რაღ დასჭირდა ავტორს სილოვაისკის კავკასიელად დახატვა, ალლაპიმან უწყის. თუ ებრაელთა დევნაზედ და ადამიანის შეურაცხოფაზედ მივარდა საქმე, კავკასიაში ეგ არც ყოფილა და არც არის; რუსეთში კი იყო კიდევ და არის კიდევ.

ნუ თუ ვერც ამ უკანასკნელ დროის ცხოვრებამ დაუმტკიცა რუსეთის მოწინავე პრესსას, რომ კავკასიელნი გაცილებით მაღლა სდგანან კულტურით, ვიდრე იმას ეგონა?

მინაური მიმოსილვა

სახელმწიფო სათაობირო და განხორციელება კანონიერების პრინციპისა.—წარმომადგენლები კავკასიიდან.—პირველ-დაწყებით სკოლების რეფორმა.

ექვსს აგვისტოს გამოცხადდა კანონი სახელმწიფო საბჭოს დაწესების შესახებ, რომელიც შემუშავებულ იქმნა თანახმად 18 თებერვლის უმაღლესის ბრძანებისა შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის სახელზედ. ეს ახალი კანონი კარს უხსნის ხალხის წამომადგენლებს საკანონმდებლო მოღვაწეობაში მონაწილეობის მისაღებად და პირდაპირი ნაყოფია თანამედროვე განმანთავისუფლებელ მოძრაობისა.

ეხლანდელი მოძრაობა იმდენად რთული, იმდენად მრავალ მხრივი მოვლენაა, რომ ყოვლად შეუძლებელია, ერთის განსაზღვრულის მისწრაფებით, ერთის მიზნის განხორციელებით იქმნას იგი დახასიათებული. ამ მოძრაობის აზრი, მარტო ოდენ პოლიტიკური არ არის, პოლიტიკაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს იმ ეკონომიკურს განხეთქილებას, რომელმაც ასე მძლავრად იჩინა თავი როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში. სოციალური ნიაღავი ეხლანდელის მოძრაობისა მეტად ღრმა არის, რომ უეცრივ, ერთის კალმის მოსმით აღსრულებულ იქმნას გამოფხიზლებულ ხალხის მისწრაფება, მაგრამ ამ მისწრაფების უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მუხლი მაინც დიდი ხანია ნათლად და გარკვევით არის გამოთქმული მწერლობისაგანაც და თვით ხალხისაგანაც. ეს მთავარი მუხლი განმათავისუფლებელ აზროვნებისა გამოიხატება სამის სიტყვით: კანონიერების ზრინციშის დამჯარება.

იურიდიული მეცნიერება კანონის წყაროდ სახელმწიფოს ნების ანუ სურვილსა სთვლის. სახელმწიფო, იურისტის შეხედულებით, ისეთი საზოგადოებრივი ერთეულია, რომელსაც თავისი საკუთარი ნება, თავისი საკუთარი სურვილი აქვს და ამ ნების ან სურვილის გამოხატულება შეადგენს კანონს.

ცხადია, რომ იურიდიული მეცნიერება სახელმწიფოს ბუნებას აღამიანურს თვისებებს აწერს; ნება, სურვილი, მისწრაფება და მოქმედება თითოეულ აღამიანის პსიხოური თვისებაა და არა ისეთის შემკრებელობითის არსებისა, როგორიც სახელმწიფოა. იურისტებსაც ესმით ეს უბრალო ჭეშმარიტება, იურისტებმაც კარგად იციან, რომ სახელმწიფოს თავისთავად აღამიანური გონება და გული არა აქვს, მაგრამ მაინც კანონს ნების გამოხატულებათ სთვლიან, რადგან რეალურად ყოველი კანონი ან ერთის, ან რამდენისამე კაცის ან მთელის ხალხის სურვილს წარმოადგენს. ამ ნაირად იურისტები ანცალკევებენ ერთი მეორისაგან ორს საგანს, კანონმდებლობას და კანონმდებლებს. ვინ არის კანონმდებელი სახელმწიფოში, ვინ ჩაიგდებს ხელში უფლებას კანონების გამოცემისას—ეს ერთი საკითხია, რომლის ასე თუ ისე გადასაწყვეტადაც იბრძვიან ყოველს თანამედროვე სახელმწიფოში სხვადა-სხვა პარტიები ან სახელმწიფო შოლვაწეები. მაგრამ რაკი ერთი რომელიმე პირი, ან ერთი რომელიმე ჯგუფი ასე თუ ისე კანონმდებელი შეიქნება, ამის შემდეგ ამ პირის ან ამ ჯგუფისაგან გამოთქმული სურვილი, იმის ნების გამოხატულება წარმოადგენს კანონს. კანონი ამ გვარად ფორმალური ცნებაა, ესე იგი ისეთი ცნება, რომელიც ყურადღებას არ აქცევს შინაარსს და მხოლოდ გარეგანის აღწერილობით. კმაყოფილდება.

კანონიერების პრინციპი მოითხოვს, რომ არც ერთს ქვეშევრდომს, არც ერთს მცხოვრებს სახელმწიფო ტერიტორიაზე არაფერი ისეთი არ მოეთხოვებოდეს, რაც კანონზე არ არის დამყარებული. ამიტომ, პირველი პირობა კანონიერების პრინციპის განსახორციელებლად ის არის, რომ ერთხელვე.

განსაზღვრულ იქმნას ის წესი ანუ ის რიგი ნების ან სურვილის გამოხატულებისა, რომლითაც უბრალო, ჩვეულებრივი სურვილის განცხადება განირჩევა იმ ნების გამოხატულებისაგან, რომელსაც კანონის მნიშვნელობა ეძლევა. უამისოდ კანონს არ შეიძლება ის თვისება ჰქონდეს, რომელიც აუცილებლად საჭიროა კანონიერების დასაცველად, სახელდობრ: გარკვეულობა და ცოდნა იმისი, რა არის კანონი და რა არა. რესპუბლიკანურ ქვეყანაში კანონმდებელი თვით ხალხია, მაგრამ ვიღრე ხალხის სურვილი განსაზღვრულ წესსა და რიგზე არ არის გამოხატული, შეუძლებელია დანამდვილებით სთქვას კაცმა, რა შინაარსისაა ხალხის სურვილი; ამის გამო, კანონის მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ ეძლევა ხალხის სურვილს, როდესაც ის იმ ფორმებში გამოცხადდება, რომლებიც საყოველთაოდ და წინადვე ცნობილია კანონმდებლობის ფორმად. იქ, სადაც განსაზღვრული არ არის, როგორ უნდა იქმნას გამოხატული კანონმდებელის ნება, რომ ეს გამოხატულება კანონად იქცეს, კანონი არაფრით არ განირჩევა კანონმდებლის კაპრიჩებისგან და ვერც არავ ის შეუძლიან ისეთი რამ სალსარი იპოვოს, რომლითაც ერთი მეორისაგან განირჩეოდეს უბრალო ნების გამოხატულება და კანონი. ცხადია, კანონიერების განსახორციელებლად ყოვლის უწინარეს საჭიროა დაწესებულ იქმნას ის ფორმები, რომლებიც უნდა გაიაროს კანონმდებლის ნებამ, ვიდრე იმის გამოხატულება კანონად იქცევა.

კანონის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი ყველასათვის სავალდებულოა და ვინც იმას ნებაყოფლობით არ ემორჩილება, ძალად ამორჩილებენ. ამიტომ საკმარისი არ არის კანონიერების განსახორციელებლად მხოლოდ იმ ფორმების ანუ იმ რიგის განსაზღვრა, რომელიც ნების გამოხატულებას კანონად ქმნის; საჭიროა ნამდვილი (რეალური) გარანატია, რომ კანონის მეტი, სხვა არავითარი სურვილი კანონმდებლისა არ იქნება სახელმწიფოს მცხოვრებლებისთვის სავალდებულოდ გადაქცეული. რას უნდა წარმოადგენდეს ასე-

თი გარანტია? როგორ უნდა იქნას უზრუნველ ყოფილი ამ მხრივ კანონიერება?

ერთად ერთი საშუალება სახელმწიფოს მცხოვრებლების უზრუნველ საყოფელად იმ მხრივ, რომ გარეშე კანონისა, იმათ არაფერი არ მოეთხოვებოდეთ სახელმწიფო მოღვაწეებისა-გან, არის განცალკევება კანონმდებლობისა იმ მოქმედებისაგან, რომელსაც აზრად კანონების აღსრულება აქვს. ვიდრე კანონ-მდებლობა და აღმასრულებელი მოქმედება ერთისა და იმავე პირის ან ერთისა და იმავე ჯგუფის ხელშია მოთავსებული, ყოვლად შეუძლებელია ნამდვილად დაცულ იქმნას. კანონიე-რება, რადგან კანონის აღმასრულებელს ყოველთვის შეუძ-ლიან გვერდი აუქციოს კანონებს, თავისი კაპრიზები აასრუ-ლებინოს მცხოვრებლებს და პრაქტიკულად სრულიად გაა-ქარწყლოს კანონის განსაკუთრებითი სავალდებულო ხასიათი. გარდა ამისა, კანონის აღმასრულებელს ყოველთვის შეუძ-ლიან კანონის ფორმა, კანონის გარეგნობა შისცეს თავის ყოველ სურვილს და ფორმალურად დაიცვას. კანონიერება, თუმცა ნამდვილად ამ პირობებში თვით კანონიერება ფუჭს სიტყვად-ლა იქცევა. ამ გვარად კანონიერების უზრუნველ საყოფელად აუცილებლად საჭიროა განცალკევება. კანონმ-დებლისა და კანონის აღმასრულებელისა.

ის კანონები, რომლებიც იმ განზრახვით არიან შემო-ლებული, რომ დაცულ და უზრუნველყოფილ იქმნას კანო-ნიერების პრინციპი, წარმოადგენ ძირითად ანუ საკონსტი-ტუციო კანონებს. რადგან ისეთს სახელმწიფოში, სადაც კა-ნონმდებლობა და კანონის აღმასრულებლობა ერთად არის შეერთებული, ნამდვილად კანონიერების პრინციპი არაფრით არ არის უზრუნველყოფილი, ამიტომ ასეთს ქვეყნებს კონს-ტიტუცია არა აქვთ. კონსტიტუციონალურ ქვეყანას უპირის-პირდება აბსოლუტისმის ქვეყანა, სადაც კანონიც და იმისი აღმასრულებელიც ერთისა და იმავე ადამიანის პიროვნებაშია მოქცეული.

კანონიერების პრინციპი თავის თავად, როგორც აქედა-მა სჩანს, ფორმალური პრინციპია და ამიტომ იმისი განხორ-

ციელება ხალხისთვის ისეთს საჭიროებას არ წარმოადგენს, როგორც გაუმჯობესობა კანონებისა შინაარსის მხრივ. ხალხის თვალში, თუ კანონის შინაარსი შეფერებულია ცხოვრების მოთხოვნასთან, არაფერი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორ არის მოწყობილი სახელმწიფოში საკანონმდებლო და აღმასრულებელი მოქმედება. ჩვეულებრივ ხალხი ფორმალურს პრინციპებს გულგრილად უცქერის და მხოლოდ მაშინ ესწრაფვის მათს განხორციელებას, როდესაც ჰქედავს, რომ უამისოდ შეუძლებელია დაკმაყოფილებულ იქმნას იმისი მატერიალური საჭიროებანი.

რუსეთის სახელმწიფოში აბსოლიუტური წესწყობილებაა. ფორმალურად კანონიერების პრინციპი დაცული არ არის, და, თუ ხალხმა მხოლოდ ეხლა მოითხოვა კანონიერების დამყარება, ეს იმას პირზნავს, რომ ეხლანდელი კანონები შეთანხმებული არ არიან ცხოვრების საჭიროებასთან.

აბსოლიუტურ სახელმწიფოში იმ ღროს, როდესაც ხალხი წინანდელს ძილს ერკვევა და კანონიერების პრინციპის განხორციელებას ხმა-მაღლა ითხოვს, მმართველობის უმაღლესს წრეებში აუცილებლად იბადება აზროვნების სურვილის დაკმაყოფილებისა კანონების შინაარსის მხრივ გაუმჯობესობით, და ამ გვარად სცდილობენ, ერთის მხრივ აბსოლიუტისმის პრინციპები დაიცვან და მეორის მხრივ ჩაანელონ ხალხის მოძრაობა. ისეთი აბსოლიუტური მმართველობა, რომელიც კანონების შინაარსით ხალხის მისწრაფებისა და საჭიროების დაკმაყოფილებას სცდილობს, წარმოადგენს განათლებულ აბსოლიუტისმის, რომლის დედა აზრიც გამოიხატება შემდეგის წინადადებით: ყველაფერი ხალხისთვის, მაგრამ ხალხის ხელით კი არაფერი.

რუსეთის ბიუროკრატიამაც სწორედ ამ გზით მოისურვა ხალხის საყოველთაო მისწრაფების დაკმაყოფილება და სწორედ განათლებულ აბსოლიუტისმის პრინციპების თანახმად შეიმუშავა კანონი სახელმწიფო საბჭოს შესახებ.

კარგა ხანია, რაც რუსის ზოგიერთი იურისტები სცდილობენ დამტკიცონ, რომ აბსოლიუტისმითავის თავად მოუ-

როგორც არ არის კინონიერებასთან და კერძოდ რუსეთის აბსოლიუტური მართვა-გამგეობა ისევე შეთანხმებულია კანონიერების პრინციპთან, როგორც ევროპის კონსტიტუციონალური მმართველობათ. ამის საბუთად მოჰყავთ ის გარემოება, რომ ეხლანდელის წესებით კანონი მხოლოდ ისეთს სავალდებულო დადგენილებას ეწოდება, რომელიც განხილულ იქმნა სახელმწიფო საბჭოში (Государственныи совѣтъ) და შემდეგ წარედგინა დასამტკიცებლად ხელმწიფეს. ამ იურისტებს სამართლიანად უპასუხებენ, რომ აბსოლიუტური მმართველობა ვალდებულობის მხრივ სრულიად არ ჯანასხვავებს კანონს განკარგულებისაგან და ამიტომ აბსოლიუტურის სახელმწიფოში ნამდვილად კანონი სულაც არ არსებობს, რადგან განკარგულების ძალით იმის შეცვლაც შეიძლება და გაუქმდებაც.

სახელმწიფო საბჭოს დაწესების შემდეგ რუსის იურისტებს უფრო მეტი საფუძველი ექნებათ, კანონიერების პრინციპი განხორციელებულად ჩასთვალონ, რადგან სახელმწიფო სათათბიროს ხალხისაგან არჩეული წარმომადგენლები შეაღენენ. მაგრამ ამ იურისტებს მაინც ერთი რამ გარემოება გადაულობავს გზას. ეს გარემოება ის არის, რომ სახელმწიფო სათათბიროს გადამწყვეტი ხმა არა აქვს და კანონად შეიძლება ისეთი კანონპროექტი იქცეს, რომელიც სახელმწიფო საბჭომ არ მოიწონა და არ მიიღო. გარდა ამისა, ვიდრე მთავარი კანონი რუსეთის იმპერიისა, რომელიც ამბობს, რუსეთის მმართველობა იმ კანონებსა, წესდებებსა და განკარგულებებზეა დამყარებული, რომლებიც ხელმწიფისაგან წარმოსდგებიანო, ვიდრე ეს კანონი ძალაში იქნება და რეალურად განკარგულება და წესდება თავის ძალით კანონზე დაბლა არ იქნება დაყენებული, კანონიერების განხორციელება ფუჭსოცნებად უნდა დარჩეს.

სახელმწიფო საბჭო უძლურია. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს, იმას მხოლოდ სათათბირო ხმა აქვს, ამიტომ ის მხოლოდ გარეგნობით წააგავს ევროპის პარლამენტს. სახელმწიფო საბჭოს აზრი შესაძლოა ისევე უყურადღე-

ბოდ იქმნას დატოვებული, ისევე უმნიშვნელო შეიქმნეს კანონმდებლობისათვის, როგორც რაიმე კერძო კრების აზრი და დადგენილება.

უმაღლესი მანიფესტი პირდაპირ ამბობს, სახელმწიფო საბჭოს დაწესება არაფრით არა სცვლის იმპერიის მთავარ კანონს თვითმპყრობელობის შესახებო.. მართლაც და, რა ცვლილება უნდა შეიტანოს მთავარ კანონებში ისეთმა დაწესებულებამ, რომელსაც არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს? იურიდულად წინანდელივით ერთად ერთი წყარო კანონისა არის თვითმპყრობელი ხელმწიფე, სახელმწიფო საბჭო კი მხოლოდ ფაქტიურად უნდა დაეხმაროს ხელმწიფეს კანონმდებლობის საქმეში.

ევროპიელ პარლამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება ის არის, რომ პარლამენტს შეუძლიან ჭინისტრებს სხვა და სხვა საგნის შესახებ შეეკითხოს, პასუხი მოთხოვოს და ან მოიწონოს და ან დაიწუნოს მინისტრის მოქმედება. მინისტრები აღმასრულებელ უფლობის წარშომადგენელნი არიან, ამიტომ ევროპის პარლამენტს ნამდვილი საშუალება აქვს ხელში აღმასრულებელი უფლობა კანონმდებლობას დაუქვემდებაროს და ჰეშმარიტი დარიჯობა გაუწიოს კანონიერების პრინციპს. სახელმწიფო საბჭო ამ უფლებას მოკლებულია, რადგან მინისტრებს შეუძლიანთ საბჭოს შეკითხვაზე პასუხი. არ გასცენ და სახელმწიფო საბჭოს არაფერი საშუალება არა აქვს მინისტრების მოქმედება თავის სურვილს დაუქვემდებაროს.

სახელმწიფო საბჭო განუვითარებელი პარლამენტია, ნამდვილ პარლამენტად ის მხოლოდ მაშინ იქცევა, როდესაც მიენიჭება გადამწყვეტი ხმა, როდესაც დაკანონდება, რომ წესდება და განკრებულება, რომლებსაც საბჭოს შეუკითხავად გამოსცემენ, არაფრით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბჭოსაგან დამტკიცებულს კანონს, როდესაც საბჭოს მიენიჭება უფლება. მინისტრების მოქმედების დამორჩილებისა, როდესაც სამინისტრო პასუხის მგებელი შეიქმნება: მთავრობის ყველა მოქმედებისთვის.

უმაღლესი მანი ფესტი ექვსი აგვისტოსი პირდაპირ აღიარებს, რომ სახელმწიფო საბჭოს წესდება განვითარებას და ცვლილებას მოითხოვს და ამ ცვლილებათა შესახებ მზრუნველობას ხელმწიფე იმპერატორი თავისთვის იტოვებს.

რა მხრივ განვითარდება, რა მხრივ შეიცვლება სახელმწიფო საბჭოს წესდება, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს და უმთავრესად იმაზედ იქმნება დამოკიდებული, თუ რა მიმართულების წარმომადგენლებს ამოირჩევს ხალხი წევრებად. საბჭოს განვითარება ორ მხრივ შეიძლება მოხდეს: შესაძლოა ის თანდათან ნამდვილ საკანონმდებლო დაწესებულებას, ნამდვილს პარლამენტს დაუახლოვდეს, მაგრამ შესაძლოა აჯრეთვე უკან-უკან დაიწიოს და ის ზნეობრივი მნიშვნელობაც დაჰკარგოს, რომელიც ეხლა მიეცა იმას კანონით.

როგორც ჩვენის მიმოხილვის დასაწყისში ვთქვით, სახელმწიფო საბჭო პირდაპირი ნაყოფია ეხლანდელის მოძრაობისა. ამ მოძრაობის უპირველესი მოთხოვნაა დაახლოვება მმართველობისა ხალხთან და ხალხისა მმართველობასთან, რათა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა თვით ხალხის ინტერესების მიხედვით მიმღინარეობდეს. განათლებულმა აბსოლუტისმმა უკვე დააკმაყოფილა ექვს აგვისტოს ეს მოთხოვნა მოძრაობისა იმდენად, რამდენადაც კი ეს მოსახერხებელი იყო იმისთვის ისე, რომ იმავე დროს თავის საკუთარს არსებობაზე უარი არ ეთქვა. მომავალი ბედი სახელმწიფო საბჭოსი, როგორც განუვითარებელ პარლამენტისა, დამოკიდებული იქნება იმ ურთიერთობაზე, რომელიც დამყარდება მათ შორის; თუ აბსოლუტისმი უფრო პროგრესიულ პოლიტიკას დაადგა, ვიდრე საბჭო, ხალხის თვალში სახელმწიფო საბჭო აღვილად დაჰკარგავს მნიშვნელობას და აბსოლუტისმი ამის შემდეგ ადვილად მოუღებს იმას ბოლოს. პირიქით, თუ საბჭომ ნამდვილად ხალხის ინტერესებისთვის დაიწყო მზრუნველობა და ამ მხრივ ბიუროკრატიულ მთავრობას გაუსწრო წინ, უკველია. გამარჯვება სახელმწიფო საბჭოს დაჰკარგება და ის თანდათან პარლამენტიდ გადაიქცევა. მართალია, წარმომადგენლების არ-

ჩევანი საბჭოში მონაწილეობისთვის ისე შეზღუდულია ქონებრივის ცენზით, რომ ღარიბის ხალხის ინტერესები შესაფერად წარდგენილი ვერ იქნება, მაგრამ საბჭო მაინც წარმომადგენლობითი დაწესებულებაა, რომლის წევრებსაც აღვილად შეუძლიანთ ხალხის ნამდვილ საჭიროებათა დამკველობა იკისრონ; სახელმწიფო საბჭოს წევრები ბიუროკრატიის მოხელეებთან შედარებით, გაცილებით უფრო ახლო იდგებიან ხალხთან და ადვილად მოსალოდნელია, რომ სწორედ ეს საბჭო გადაიქცეს იმ ცენტრად, რომელსაც ასე საჭიროებს ეხლანდელი სოციალ-პოლიტიკური საზოგადოებრივი მოძრაობა.

სწორედ ამ მოსაზრებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რუსეთის რადიკალური პრესსაც კი თავშეკავებულის კმაყოფილებით დაპხვდა საბჭოს კანონის გამოცხადებას. რუსეთის საზოგადო მოღვაწეებს იმედი აქვთ, რომ საბჭო აუცილებლად ხალხის ნამდვილ წარმომადგენლობის დაწესებულებად გადაიქცევა და ხელს შეუწყობს იმ ცვლილებათა განხორციელებას, რომლებიც ეხლანდელშა მოძრაობამ აღნიშნა სხვა და სხვა სფერაში.

ერთს ხანად, 18 თებერვალს ბრძანების გამოცხადების შემდე, ჩვენს საზოგადოებაში ეჭვი დაიბადა, იქნება კანონ-მდებლობაში მონაწილეობისთვის ჩვენის ქვეყნის წარმომადგენლები არ მიიწვიონ. ეს ეჭვი 6 აგვისტოს კანონმა რამდენადმე გაამართლა. თუმცა მანითვესტი პრინციპიალურად საჭიროდ სთვლის ახალის კანონის გავრცელებას იმპერიის მთელს ტერიტორიაზე, მაგრამ იმ ნუსხაში, რომელიც აღნიშნავს რომელ ქალაქიდამ ან გუბერნიიდამ რამდენი წარმომადგენელი უნდა იყოს სახელმწიფო საბჭოში, კავკასიის ქალაქები და გუბერნიები ნაჩვენები არ არის. ახალის კანონის სხვა ადგილებიდამ ირკვევა, რომ პირველს ხანებში კავკასია წარმომადგენლებს არ აირჩევს, და ვიდრე უალკე კოშისია არ დაასრულებს თავის. მუშაობას იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე

და როგორ უნდა მოხდეს ჩვენში არჩევნები, საბჭოში ჩვენს ქვეყანას წარმომადგენლები სრულიადა არ ეყოლება. როგორც პეტერბუგიდამ იტულბინებიან, ამ უალკე. კომისიის განძრახვით უველა განაპირა ქვეყნებს ერთად სულ 15—20 წარმომადგენლის არჩევის ნება მიეცემა. სახელმწიფო საბჭოში, იანვარისთვის მხოლოდ შიდა რუსეთი ამოირჩევს წარმომადგენლებს და ამათი რიცხვი 410 უნდა იყოს. ცხადია, ჩვენის ქვეყნის რამდენიმე წარმომადგენელი, სხვა განაპირა ქვეყნის წარმომადგენლებთან თანახმობითაც რომ იმოქმედებდნენ, მაშინაც კი ვერ მოახერხებენ თავის ქვეყნის ინტერესების დაცვას და მარტო ხომ სულ უძლურები იქნებიან.

ამ გვარად ქართველ პესიმისტების მოლოდინი ერთხელ კიდევ გამართლდა. ჩვენს პატარა სამშობლოს არც პირველ ხანებში და არც შემდეგ იმდენი წარმომადგენელი არ ეყოლება, რომ საკმაო ძლიერებას წარმომადგენლეს ქვეყნის ინტერესების დასაცველად. თუნდაც რომ ერთნაირს წესზე და ერთნაირის ანგარიშით ვანისაზღვროს ცენტრისა და განაპირა რუსეთის წარმომადგენელთა რიცხვი, მაინც საიმედო არ არის, ჩვენის ქვეყნის წარმომადგენელთა მოღვაწეობის ნაყოფიერება. ისინი აუცილებლად შთაინთქებიან უმრავლესობისაგან და ჩვენი განსაკუთრებითი ადგილობრივი და ეროვნული ინტერესები მუდამ შელახული დარჩებიან. წარმომადგენლობითი დაწესებულება მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილად ჩვენი ხალხის ინტერესების დამცველი, როდესაც ჩვენს ქვეყანას საკუთარი წარმომადგენლობითი დაწესებულება ექნება და როდესაც იმისი წევრნი საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულის ხმით იქმნებიან არჩეულნი.

ცალკე წარმომადგენლობითი დაწესებულება აუცილებლად სახელმწიფო ბრძანებლობის დეცენტრალიზაციას მოსწავებს, რომელსაც ბევრი პრინციპიალური დამცვევლი ჰყავს არა თუ განაპირა ქვეყნებში, თვით ცენტრშიაც კი ვიღრე ეს დეცენტრალიზაცია იმდენად არ მოიდგამს ფეხს პოლიტიკურს აზროვნებაში, რომ საკმაო ნიადაგს წარმოა-

დგენდეს ხალხის უმრავლესობის გასაერთიანებლად ამ პრინციპით, ვიდრე ჩვენ იმედი არა გვაქვს იმისთანა დაწესებულებამ, როგორიც სახელმწიფო სათათბიროა, რაიმე თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანს ჩვენს მხარეს.

ჯერ-ჯერობით დეკენტრალიზაციის პრინციპი ბევრს ქართველს საზოგადო მოღვაწესაც კი საკმაოდ შეგნებული არა აქვს, ბევრი დღესაც ვერა ჰყარძნობს ამ პრინციპის განხორციელების საჭიროებას. ჩვენ ებურ ცხოვრების მოუწყობლობას დღემდე საერთო წყარო ჰქონდა რუსეთის ცხოვრების უწყესრიგობასთან, ეს წყარო ცენტრალისტურ ბიუროკრატიის სათავეში იწყობოდა, მაგრამ როდესაც რუსეთში წარმომადგენლობითი დაწესებულება დაიწყებს მოქმედებას, ჩვენში ყველასათვის ცხადი უნდა შეიქნეს, რაოდენ უსამართლობას და რა ლრმა უთანასწორობას წარმოადგენს განაპირა ქვეყნებისთვის ცენტრალიზაცია, რადგან სწორედ მაშინ გამოირკვევა, რომ ჩვენის ქვეყნის ინტერესები ცენტრისაგან მუდამ დაჩაგრული და შეუწყნარებელი დარჩებიან.

ივლისის შუა რიცხვებში გაზეთებმა შეატყობინეს საზოდოებას, მამავალ სამოსწავლო წლიდამ განზრახულია, ყველა საგნების სწავლება დაბალ სასწავლებლებში სამშობლო ენაზე იქმნას მოწყობილო. შემდეგ გამოირკვა, რომ ეს განზრახვა კავკასიის ნამესტნიკს, გრაფს ვორონცოვ დაშკოვს ეკუთვნის, რომელსაც შემდეგის განკარგულებით მიუმართავს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისთვის:

„კავკასიის ნამესტნიკმა, გაიცნო რა ხალხის განათლების მდგომარეობა ამ მხარეში, საჭიროდ სცნო: პირველ დაწყებით სასწავლებლებში ყველა სამოსწავლო საგნების სწავლება უნდა მოწყოს მოწაფეთა დედა-ენაზე; ერთ კლასიან სასწავლებლების კურსი უნდა იყოს ოთხწლიანის ნაცვლად სამწლიანი; რუსულის ენის სწავლება უნდა იწყებოდეს პირველის წლის მეორე ნახევრიდამ ზეპირ საუბრის საშუალებით, თვალსაჩინო ღონისძიებათა და დედა-ენის დახმარებით; რუსუ-

ლის წერა-კითხვის სწავლება დაწყებულ უნდა იქმნას მეორე წლის პირველ ნახევრიდამ, და მასწავლებელთა თანამდებობაზე მხოლოდ ისეთი პირები უნდა იქმნან გამწერებული, რომელთაც მოსწავლეთა დედა-ენა იციანო.“

კავკასიის ნამესტნიკის განზრახვა ამ განკარგულებაში კატეგორიულად არის გამოთქმული, სწავლა პირველ-დაწყებით სკოლებში დედა-ენაზე უნდა მოეწყოს. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მხოლოდ ეს დედა-აზრი უნდა განევითარებია და ეჩვენებინა პრაქტიკული საშუალებანი იმის განსახორციელებლად.

სამოსწავლო ოლქმა ბ. ა. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით შეადგინა განსაკუთრებითი კომისია პირველ-დაწყებით სკოლებისთვის პროგრამის შესადგენად. ამ კომისიაში თავისი მუშაობა დაამთავრა 22 ივლისს.

სამოსწავლო ოლქის ან, უკეთ რამ ვთქვათ, ბ. ჭიჭინაძის კომისიის აზრით პირველ დაწყებითმა „სასწავლებელმა მოზარდ თაობას უნდა მიაწოდოს ცხოვრებისთვის საჭირო ცნობები, აღზარდოს იგი და განამტკიცოს სარწმუნოებასა და ზნეობაში. ამიტომ კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ სახალხო სასწავლებელში ისწავლიდნენ სამღვთო სჯულს, დელა-ენას, რუსულ ენას და არითმეტიკას“.

ამ გვარად კომისიამ პირველდაწყებით სასწავლებლის-თვის მხოლოდ ოთხი საგანი გაიმეტა, რომელთაგან, ჩვენის ფიქრით, ორის მეტი, სახელდობრ დედა-ენისა და არითმეტიკის გარდა, მოზარდს თაობას არც ერთი არავითარ სარგებლობას არ მოუტანს. პირველ-დაწყებითს სკოლას ბიუროკრატიულ სიმაღლიდან თუ გადმოჰქედავს კაცი ქვემოლ, უმეტესია ამ სკოლას მაგრე რიგად დიდს მნიშვნელობას არ მისცემს, პირიქით, ვინც იმას ხალხის ინტერესების მხრივ განიხილავს, შეუძლებელია არ დაინახოს, რომ ჩვენის ქვეყნის მოზარდ თაობის დიდის უმრავლესობისთვის პირველდაწყებითი სასწავლებელი იმავე დროს ერთად-ერთი სასწავლებელია, და ამიტომ აღვილად შეიგნებს, რომ იმისი პროგრამა ოთხის

საგნით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. გეგმის დასარგვალებლად და გარეგნულად დასასაბუთებლად კომისია ბრძანებს, სასწავლებელმა ხალხს საჭირო ცოდნა უნდა მიაწოდოს, მაგრამ—საკვირველია, ნუ თუ სამღვთო სჯულის, რუსულის ენის, არითმეტიკის და დედა-ენის მეტი არაფერია საჭირო ხალხისთვის. საღაა ეგრედ წოდებული რეალური ცოდნა? რატომ სამღვთო სჯული ან რუსული ენა საჭირო ხალხის-თვის, და არა ბუნების მეტყველობა?

ადვილი გასაგებია, რომ სამი წელიწადი არა კმარა ყველა იმ ცოდნის შესაძენად, რომელიც ხალხისთვის საჭიროა და სასარგებლო, ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს, რომ მასწავლებლებისაგან შემდგარმა კომისიამ სამის წლის მაგიეროთხის წლის კურსი სცნო საჭიროდ, მაგრამ როდესაც მეოთხე წლის კურსის მომატებას იმით ასაბუთებენ, რომ სამის წლის განმავლობაში „განსაკუთრებით რუსულ ენას საკმაოდ ვერ შეისწავლიანო“, ეს კი სწორედ უცნაურია. ძლივს ველირსეთ, რომ მთავრობამ პირველდაწყებით სკოლიდან პოლიტიკის გამოტანა და ომის რაციონალურს ნიადაგზე დამყარება მოინდომა, ძლივს ველირსეთ ამას, და მასწავლებლები კი ზაინც ისევ პოლიტიკანობენ, ისევ იმას ესწრაფე ვიან, რომ ბავშვებმა ყოვლის უწინარეს რუსულ ენა ისწავლონ. ამ პოლიტიკანობითვე აიხსნება, რომ ბ. ჭიჭინაძის კომისიისაგან შედგენილი პროგრამა არსებითად ძალიან მცირედ განსხვავდება ეხლანდელს სკოლებში გამეფებულ რუსითიკაციის პროგრამისაგან.

ვინც დაწვრილებით გადათვალიერებს იმ პროგრამას, უეჭველად შეამტკიცეს, რომ რუსულ ენას გაკვეთილთა საერთო რიცხვის ერთი მესამედი ჟომობა და თითოეულს განყოფილებაში. ან იმდენივე დრო ეძლევა ამ ენის შესწავლას, რამდენიც დედა-ენას, ან იმაზე მეტი. ცხადია, ეროვნულ ნიადაგზე სწავლის საქმის დაყენება მხოლოდ სიტყვაა, თორებნამდვილად სახალხო სკოლა კულანდებურად გარუსების ფაზრიკად დარჩება, თუ ბ. ჭიჭინაძის კომისიისაგან შედგენილ პროგრამაზე გაჩერდა.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ, დღეს იქნება თუ ხვალ, სკოლას აუცილებლად ჩამოჰშორდება პოლიტიკა და სწავლის საქმეც მხოლოდ იმის შემდეგ მოეწყობა რაციონალურად, მაგრამ ყოვლის უწინარეს საჭიროა თვით საზოგადოება, თვით ხალხი იქმნას ცნობილი სკოლის პატრონად, გაუქმდეს სავალდებულო პროგრამები და თითონ ხალხს მიენდოს, ისე აწარმოვოს თავის განათლების საქმე, როგორც საჭიროდ მიაჩნია.

პირველ-დაწყებით სკოლის საქმე როგორც რუსეთში, აგრეთვე ყველა სხვა ქვეყნებშიც, სწორედ იმ საქმედ არის მიჩნეული, რომელსაც ადგილობრივი საერობო თვითმართველობა განავჭებს. ბ. ჭიჭინაძის კომისიას ან შეცდომით, ან განძრახ ამ გარემოებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქმულია, თუმცა კი კავკასიის ოდმინისტრაცია საოცარის სისწრაფით ეჩქარება ერობის შემოლებას. ჩვენში. აგვისტოს დასაწყისში გამოცხადდა წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სამაზრო და საგუბერნიო სათათბიროები ერობის შემოლების შესახებ სხვა-ზა-სხვა საკითხების გამოსარკვევად. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სათათბიროებში ყველას არ ექმნება უფლება მონაწილეობის მიღებისა; სათათბიროს წევრებს მხოლოდ ისინი ამოირჩევენ, ვინც ქონებრივ ცენზის მოთხოვნას აკმაყოფილებს. როგორც 1864 წლის საერობო დებულება, სათათბიროების ინსტრუქციაც სამს ჯგუფად ჰყოფს ამომრჩევლებს: 1) შეკრებილება მიწათ-მფლობელებისა, 2) შეკრებილება ქალაქის ამომრჩევლებისა ან ქალაქის საბჭო და 3) სოფლის საზოგადოებები. ქონებრივი ცენზი მიწათმფლობელისათვის 7.2 დესეტინა მიწის მოსაკუთრეობას ითხოვს და სხვებისაგან 15,000 მანათის ქონებას. ცენზი საჭირო არ არის მხოლოდ გლეხებისთვის, რომელნიც სოფლის საზოგადოებას შეადგენს, სამაგიეროდ მთელი სოფლის საზოგადოება ან რამდენიმე საზოგადოება ერთად მხოლოდ ერთს ხმოსანს ირჩევს. ასეთი თვალსაჩინო შევიწროვება

ხალხისა, სათათბიროების მოქმედებაზე აუცილებლად თავის გავლენას იქნიებს, რასაც ჩვენ მალე საკუთარის თვალით დავინახავთ.

უმთავრესი საგანი, უმთავრესი კითხვები, რომელზედაც პასუხი უნდა მისცენ სათათბიროებმა, შემდეგია:

„1) შეიძლება თუ არა, შემოღებულ იქმნას საერობო დებულება 1864 წ. (ვიდრე სრულიად რუსეთისთვის ახალი საერობო დებულება შემუშავდებოდეს), საჭიროა თუ არა ამ დებულების ზოგიერთი მუხლების შეცვლია ადგილობრივ პირობათა მიხედვით და საჭიროა, თუ არა ვისარგებლოთ 1890 წ. გამოცემულ დებულებითაც.

და 2) მემამულეთა და ვაჭარ მრეწველთა ცენზის რაოდენობა.

ჩვენის ფიქრით, არც ეხლა და არც შემდეგ 1864 წ. საერობო დებულების უცვლელად შემოღება არ იქნება. უნდა შეიცვალოს ყოვლის უწინარეს ის მუხლები, რომლებიც საერობო ერთეულების ტერიტორიას განსაზღვრავენ: უნდა დაარსდეს წერილი საერობო ერთეული, რომლის რაიონიც შეიძლება ერთანდელ სოფლის საზოგადოების. რაიონი შეიქმნეს; სამაზრო ერობის ნაცვლად უმჯობესია დაარსდეს სათემო ერობა: კახეთი, ქიზიყი, ზემო-ქვემო-შიდა ქართლი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ზემო და ქვემო იმერეთი, გურია და სხვა; ეს ეთნოგრაფიული დანაწილება უფრო მეტს რეალურ ინტერესების მთლიანობას აღნიშნავს, ვიდრე მაზრებად დაყოფა; საგუბერნიო ერობის ნაცვლად უნდა დაარსდეს საერობო თვითმმართველობითი ოლქი, საქართველო, რომელიც შეიძლება შეუერთდეს კავკასიის სხვა ნაწილების მსხვილ საერობო ერთეულებს.

ფარგლი ერობის მოღვაწეობისა თვალსაჩინოდ უნდა გაფართოდეს და სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმინისტრაციისაგან. აღმინისტრაციის უნდა მიეცეს უფლება სასამართლოს წესით განასაჩინოს ერობის ყოველი მოქმედება და განკარგულება ან დადგენილება, მაგრამ ვიდრე სასამართლო საქმეს არ გადასწყვეტს, აღმინისტრაციის არ უნდა შეეძლოს შეაჩეროს ერობის დადგენილების აღსრულება; აღმინისტრაცია მხოლოდ კანონიერების მხრივ უნდა უთვალყურებდეს. ერო-

ბას და არა სარგებლობის მხრივ, რადგან ერობამ ყველა აღმინისტრატორსა და სასამართლოზე უკეთ იცის, რა არის სასარგებლო და რა არა.

არც ერთი ერობისაგან თანამდებობაზე არჩეული პირი აღმინისტრატორისაგან დამტკიცებას არ უნდა ჰაჭიროებდეს, რადგან აღმინისტრატორი ერობაზე უკეთ ვერ ივარაუდებს, ვინ უკეთესი საერობო მოღვაწე გამოდგება და ვინ არა.

ერობას თავისი საკუთარი აღმასრულებელი ორგანოები უნდა ჰქონდეს, თორემ ვიდრე იგი იძულებულია აღმინისტრატორის ხელით ასრულოს ხოლმე თავისი დადგენილება, იმისი დამტკიცებლობა სრული და მთელი არ იქნება.

საერობო ხმოსნების არჩევანში მონაწილეობის მისაღებად არავითარი ქონებრივი ან წოდებრივი ცენზი არ უნდა იყოს საჭირო; ყველა ადგილობრივს მცხოვრებს თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს; ადგილობრივ მცხოვრებად უნდა ჩაითვალოს ყველა, ვისაც კი უკანასკნელი ექვსი თვე საერობო ერთეულის ტერიტორიაზე უცნოვრია. ქონებრივის ცენზის შემოღება საერობო თვითმმართველობის მდიდრების ხელში მოათავსებს და ღარიბის ხალხის ინტერესები ამის გამო დაჩაგრული იქნება.

ერობის ხელში უნდა გადავიდეს ყველა სახელმწიფო და სახაზინო მამულები და ერობასვე უნდა მიენდოს გლეხების ცხოვრების მოწყობის საჭმე.

ერობას აუცილებლად უნდა მიენიჭოს უფლება შეცხოვრებთათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა ადგილობრივ ცხოვრების ყველა იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ერობის მოღვაწეობის ფარგალში შევა.

აი, ჩვენის ფიქრით, ის მთავარი ცვლილებანი; რომელიც აუცილებლად შეტანილ უნდა იქმნან 1864. წლის საერობო დებულებაში.

ჩვენი საქართველო

ესეი მსახულია საქართველო კავკასიის იურიდიულ
საზოგადოების წინაშე.

კავკასიის იურიდიულმა საზოგადოებამ დაასრულა ივნისის ოთხს ბ. გრუზენბერგის რეფერატი, რომელიც ამტკიცებდა, რომ დროა ჩვენში შემოღებულ იქმნას ნაფიც მსაჯულთა სამართლით. ამ საკითხს იურიდიულმა საზოგადოებამ მოანდომა სულ ოთხი სხდომა.

კამათის დროს ჩვენი იურიდიული საზოგადოება აზირებულ სურათს წარმოადგენდა. ოუმცა საზოგადოებამ მიიღო რეფენტის აზრი და თავის მხრით დაასკვნა, რომ ნაფიც მსაჯულთა სამართლის შემოღება ჩვენში მიუცილებელი საჭირო არისო, მაგრამ ამ საგნის შესახებ კამათი რეფერენტის მოსარჩევე და მოწინააღმდეგეთა შორის იმ ფარგალში სწარმოებდა, თითქოს ჩვენს ირგვლივ არავითარი ცვლილება აზრთა მიმტინარეობაში არ მომხდარიყოს, ახალი მოძრაობა არც დაწყებულიყოს, გამაცოცხლებელი სიო არ შეხებოდეს ჩვენს ქვეყანას და ხალხს.

ასეთი ხასიათი გამოიჩინა კავკასიის იურიდიულმა საზოგადოებამ, რომელიც უმეტეს ნაწილად შესდგება მაგისტრატურის (სახამართლოს) წევრებისაგან. შესანიშნავია, მართლა, რომ მაგისტრატურას არ ეტყობა არავითარი ელფერი ახლანდელის მოძრაობისა; იგი არავითარ მონაწილეობას ამ მოძ-

რაობაში არ იღებს, თითქოს ვალი მამულის წინაშე იშით მოიხადაო, რომ აქამდე, საერთო მონობისა და გახრმავლობის დროს, ბევრად თუ ცოტად მართებულიად იქცეოდა...

რომ მაგისტრატურა ასე ჩამორჩენილია დროთა მოთხოვნილებაზე, ეს ცხადად სჩანს იმ მოსაზრებიდან, რომელნიც მოჰყავდათ იურიდიულ საზოგადოებაში, სახელდობრ მაგისტრატურის წევრებს, როგორც დამაბრკოლებელი მიზეზები ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სამართლის შემოღებისა.

ასეთი დამაბრკოლებელი მიზეზი, მათს აზრით, სამია:
 ა) კავკასიის აქეთა მხარის ხალხი უკულტუროა, ბ) მკვიდრთა შორის ეროვნული სხვა-და-სხვაობა არისო და გ) რუსული ენა საკმაოდ არ არის მკვიდრთა შორის. გავრცელებულით.

ეს სამივე „დაბრკოლება“ რომ კარგად, მუშტრის თვალით, განვიხილოთ, დავრწმუნდებით, რომ აქ საერთო დამაბრკოლებელი მიზეზი წესიერი სამართლის შემოღებისა მხოლოდ ის არის, რომ კავკასიის აქეთა მხარის მკვიდრნი რუსები არ არიან.

ასეთს აზრს კი სარჩულად ის ყოვლად შემცდარი პრინციპი აქვს, რომ ვითომ ხალხისათვის კი არ უნდა იყოს მოწყობილი სამართალი და თვით სახელმწიფო, არამედ ვითომ ხალხი იყოს გაჩენილი სამართლისა და სახელმწიფოსათვის.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ეს სამი დაბრკოლება.

ჩვენ აქ არას ვამბობთ საზოგადოდ ნაფიც მსაჯულთა სამართლის ღირსებაზე, რადგან, ერთის მხრით, ჩვენ არა ერთ ხელ გვქონია ჩვენს უუნალში ამ საგნის შესახებ ჭაასი*) და, მეორე მხრით, ამ სამართლის მოწინააღმდეგეთაც იურიდულ საზოგადოებაში კრინტიც არ დაუძრავთ მისი უვარესობის შესახებ საზოგადოდ, პირიქით ეს მოწინააღმდეგენიც თანახმა იყვნენ. იმ აზრისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სამართალი საუკეთესო

*) იხ. „მრამბე“, 1895 წ. №№ VIII და XI; 1897 წ. № III; 1899 წ. № I.

სამართლიაო, მაგრამ ამტკიცებდნენ, რომ იგი ჩვენში არ გამოდგებათ.

რეფერატის მოწინააღმდეგეთა აზრით უკულტურობა ხალხისა იმიტომ არის დამაბრკოლებელი მიზეზი ნაფიც მსაჯულთა სამართლის შემოღებისა, რომ ასეთის ხალხის ამორჩეული ნაფიცი მსაჯულნი აღვილად გაამართლებენ ბოროტ-მოქმედებას და ბრალდებულს არ ჩაუთვლიან დანაშაულს.

ჯერ რომ ეს თეორეტიული აზრი სრულიად შემცდარია. ნაფიც მსაჯულთა სამართლის ერთი ღირსებათაგანი ის არის, რომ ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობა სამართლის წარმოებაში აჩვევს ხალხს გონიერი კანონისადმი პატივისცემას ერთის მხრით, და თუ კანონი უგნური აღმოჩნდა, და ხალხს არ არგებს, მაშინ ხალხს ეძლევა საშუალება თავის წარმომადგენელთა—ნაფიც მსაჯულთა საშუალებით, მათის განაჩენებით გამოაშვარავს ეს გარემოება.

ამრიგად ჩვენი ხალხის უკულტურობა რომ კიდევ იყოს დამტკიცებული, ეს სრულიად დამაბრკოლებელ მიზეზად არ ჩაითვლებოდა.

მაგრამ თვით ეს უკულტურობა არის ნაყოფი ზემოხსენებულ მოწინააღმდეგეთა ფანტაზიისა; ანუ, უკეთ ვთქვათ, მათის უკოდინარობისა.

ჩვენის ხალხის უკულტურობას ამტკიცებდა ამას წინადგაზეთებში ცნობილი მოჭახრაკე სასულიერო უწყებისა კავკასიაში მღ. ვოსტორგოვი. მაგრამ მას საკადრისი პასუხი უგოპროფ. მარმა, რომელმაც დაბეჭდა რამდენიმე მშეენიერი სტატია ამ საგანზე გაზეო „Разевѣтъ“. შიდა წესი აუგო ვოსტორგოვის და მისი თანამერჩნობთა აზრებს.

ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით ბ. მარის მოსაზრებას, ჩვენის აზრით მხოლოდ მტკნარ უვიცობას. შეუძლია უკულტურობა შესწამოს ისეთ ხალხს, რომელსაც აქვს ორი ათასის წლის ისტორია, იმ ხალხს, რომელმაც პირველთაგანმა მიიღო ქრისტიანობა, იმ ხალხს, რომლის მწერლობა განვითარდა მეათე, მეოთერთმეტე და მეოთორმეტე საუკუნოებში იმ სიმალლემდე,

რა სიმაღლეზეც მაშინ ევროპის მწერლობაც არ იყო მიღწეული, იმ ხალხს, რომელიც ათას ხუთასის წლის განმავლობაში იბრძოდა სარწმუნოებისა და რწმენისათვის და მისცა ქვეყნის რობას მოწამეთა ლეგიონი. მართალია ეს ყოველივე წარსულში იყო, მაგრამ ახლანდელ დროშიც რომ შევადაროთ ჩვენი ხალხი იმ ხალხს, რომელსაც აქვს ნაფიც მსაჯულთა სამართალი, შედარება ჩვენი ხალხის წინააღმდეგ არ იქნება. ავილოთ შემდეგი მაგალითები: 1) გავიხსენოთ 1892 წელი, როცა ხოლებრა იყო გავრცელებული, როგორც შიდა რუსეთში, ისე ჩვენშიაც. მაშინ, როდესაც რუსეთში დაბალი ხალხი არბევდა სამკურნალოებს და კლავდა ექიმებს, რადგან ფიქრობდა, რომ ექიმები ავრცელებდნენ ხოლებასო, ჩვენი ხალხი დიდი პატივის ცემით ეპყრობოდა ექიმებს და მოწიწებით ასრულებდა. მათ დარიგებას. 2) შიდა რუსეთში მინიმუმი საკომლო მიწა გლეხთათვის იყო დანიშნული განთავისუფლების დროს რვა დეკეტინა; ჩვენში ამდენი მიწა არასოდეს გლეხებს არ ჰქონდა, მაგრამ სიმშილის გამო თავის სამშობლოდან არ აყრილან და მაწანწალად არ გამხდარან. 3) მიუხედავად მიზომილ მიწის სიმკირისა, ქუთაისის გუბერნიის გლეხობის უმეტესობამ თავი განითავისუფლა დროებით ჟალდებულობისაგან ისე, რომ მართებლობა სრულებით არ მიხმარებია. 4) ფილოჭერამ გაანადგურა ჩვენი ხალხებს სიმდიდრე — ვენახი, მაგრამ ხალხმარადენიმ წლის განმავლობაში შესძლო თავის ღონისძიებით ამ ვენახების განახლება ამერიკის ვაზზე ნამყენებით.

ყოველივე ეს კულტურის ნიშანია, და ვინც ამას ვერ ხედავს, იგი ან ბრმა არის და ან არ უნდა რამე დაინახოს.

ჩვენს მოსამართლეებს ერთი სენიც სჭირო და მეორეც. მართალია ბ. კოლჩევსკიმ ჩვენი მოსამართლეები ლიგინგსტონებს შეადარა და ჩვენ — ველურ ხალხს: როგორც ლიგინგსტონმა მოკლე ხანში აფრიკანელები გაიცნოო, ისე ჩვენ, განათლებულ მოსამართლეებს, შეგვიძლია უფრო ჩეარა და უკეთ გაგიცნოთ თქვენ, ვიდრე თქვენ შეგიძლიანთ თქვენი თავის გაცნობაო, მაგრამ გამოცდილება სულ სხვას გვეუბნება. *

ასი წელიწადია, რაც ჩვენ უცხო მოსამართლეები გვყავს და აბა რომელმა გაიცნო ჩვენი ხალხი?! ხალხის გაუცნობლად ხომ ამ ხალხში სამართლის ქმნა შეუძლებელია: სამართლის თეორიით სასჯელი დანაშაულს კი არ უნდა მიეზღოს, არამედ დამნაშავეს. ამიტომაც სამართლიანად საქმის გადასაჭრელად საჭიროა, რომ მოსამართლემ გაიგოს ბრალდებულის სულის კვეთება, მისი ხასიათი და მთელი მისი არსება. ამისათვის კი საჭიროა ცნობა იმ წრისა და იმ ხალხისა, რომლის წევრი და შვილი ბრალდებულია. რადგან ჩვენს უცხო მოსამართლეებსა ამათი ცნობა არასოდეს არ ჰქონიათ, ზოგს იმიტომ, რომ დაინიშნებოდნენ ჩვენში თუ არა, თვალი სხვაგან ეჭირათ, აბა იქნება ჩქარი სხვაგან გადავიყვანონო, და ზოგსა კი იმიტომ, რომ ხალხის გაცნობის საჭიროება შეგნებული არ ჰქონდათ. ამიტომ გაბედულად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ აქამდი ჩვენში სამართლის ქმნა თავიდან ბოლომდე შემცირარი იყო. ამიტომაც თუ სხვაგან არის საჭირო, როგორც საუკეთესო დაწესებულება, ნაფიც მსაჯულთა სამართლი, ჩვენში იგი ერთიანობის უფრო საჭირო და სასარგებლოა.

მეორე დამაბრკოლებელ მიზეზად ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სამართლის შემოლებისა მოწინააღმდეგენი სთვლიან კავკასიის აქეთა მხარეში ერთა სხვადასხვაობას. მათის აზრით ერთი ერის წარმომადგენ ელი სხვა ერის ბრალდებულს აღვისლად გაამტკუნებს და თავისიანს გაამართლებსო. ასეთი მოსაზრება თეორეტიულადაც ყოვლად უსაფუძვლოა და გამოცდილებითაც არაფრით არ მტკიცდება. მართლაც, ფსიქოლოგიურად დაუჯერებელია, რომ ქართველმა მსაჯულმა გაამართლოს ქურდი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ქართველია, როგორც დაუჯერებელია, რომ ქართველმა ქურდმა შეიბრალოს ქონების პატრონი მხოლოდ, იმიტომ, რომ ეს ქართველია. უეჭველია, რომ როცა სასამართლოს ტაძარში შეიკრიბებიან კეთილსინდისიერი ამორჩეული კაცები სასამართლოს წარმოებისათვის, თუმცა ეს კაცები სხვა-და-სხვა ერთა წევრნიც იყვნენ, მათ შორის ერთობა ჩამოვარდება მათის

მოვალეობის შეგნების ძალით და ეს ერთობა დამყარებული იქმნება ეთიკურ ნიადაგზე. ამას გვიმტკიცებს ჩვენ ცხოვრების მაგალითებიც. ოფორტუ დასავლეთ ევროპაში, ისე შიდა რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიებში ბევრი ისეთი კუთხეა, სადაც ერთა სხვა-და-სხვაობა არის, მაგრამ ნაფიც მასჯულთა სამართალი დაუბრკოლებლივ წარმოებს იმ ადგილებში და არასოდეს მათ წინააღმდეგ არავის ის საყვედური. არ გამოუცხადებია, რომ იგინი ეროვნულის ქიშკობით და სიძულვილით ხელმძღვანელობდნენ. მაშ რად უნდა პერნდეს ადგილი ასეთს შიშს ჩვენში!?

აქ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ერთა სხვადასხვაობას ჩვენში მეტად აზვიადებენ ზოგჯერ უცოდინარობით და ზოგჯერ განზრახაც. იურიდიულ საზოგადოების კრებაზე მაგალითად ბ. კოლჩევსკიმ მოიტანა რამდენიმე სტატისტიკური ცნობები კალენდრებიდან და სხვა წიგნებიდან და ამ ცნობებში ასეთი ცხრილიც იყო: ტფილისში ცხოვრობს ამდენი ქართველი (Грузины), ამდენი იმერელი და ამდენი გურული. ვინ არ იცის ჩვენს დროში, რომ ესენი ყველანი ქართველობას შეადგენენ და მათიც ცალ-ცალკე ერებად დაყოფა შეუძლებელია. ან კიდევ ბ. კოლჩევსკიმ ის ცნობა მოიტანა, რომ ბათომის ოლქში თათრები ცხოვრობენო, თუმცა ყოველმა ქართველმა შაგირდმა იცის, რომ იქ მუსულმანი ქართველები არიან და არა თათრები.

მესამე დამაბრკოლებელ მიზეზად თპონენტტები, როგორც ზემოდ ვთქვით, ის გარემოება დასახეს, რომ რუსული ენა მკვიდრთა შორის საკმაოდ არ არის გავრცელებულით.

არც ამ მოსაზრებას აქვს მნიშვნელობა ჩვენის აზრით, მაგრამ კამათის დროს ამ მოსაზრებამ მნიშვნელობა მიიღო იმის გამო, რომ რეფერენტი და მისი მოსარჩევები ერთის მხრით და თპონენტტები მეორეს მხრით თითქოს უსიტყვოდ შეთანხმდნენ, რომ სამართალი უსათულდ რუსულ ენაზე უნდა წარმოებდეს. უთანხმოება კი მათ შორის მხოლოდ იმაში იყო, რომ პირველი ამტკიცებდნენ, რომ რუსული ენა

ჩვენში იმდენად გავრცელებული არისო, რომ შესაძლოა ამორჩეულ იქმნას საკმაო რიცხვი რუსულის მცოდნე ნაფიც მსაჯულებისა. მოწინააღმდეგენი კი ამტკიცებდნენ, რომ ამ „საკმაო რიცხვის“ ამორჩევა შეუძლებელია.

ჩვენ კი ორთავე აზრი შემცირარი მიგვაჩნია. ნაფიც მსაჯულთა მომხრები შემცდარნი არიან იმაში, რომ შესაძლებელად სთვლიან დაკმაყოფილდნენ იმ „ზოგიერთ“ ნაფიც მსაჯულთა სამართალს, რომელთაც რუსული ენა იციან. რუსული ენა ხომ ზოგიერთმა იცის, სახელდობრ იმ ნაწილში ხალხისამ, რომელიც, ბევრად თუ ცოტად, ნასწავლია. ამ წრიდან ამორჩეული მოსამართლები მთელი ხალხის წარმომადგენლებად არ ჩაითვლებიან. ნაფიც მსაჯულთა დაუფასებელი ღირსება სწორედ იქიდან წარმოსდგება, რომ მთელი ხალხისაგან არჩეული უნდა იყვნენ განურჩევლად წოდებისა, ხელობისა და განათლებისა.

მეორეს მხრით მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც, შემცდარნი არიან, რომ ჰერცეგენ სამართალი უთუოდ რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდეს.

ნამდვილი სამართლის ქმნა შეიძლება მხოლოდ იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობს ხალხი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხსა და მოსამართლეს შეუ უნდა ჩადგეს მთარგმნელი, რომლის მიზეზით უნდა მოისპოს სამართლის ერთი უძვირფასესი პრინციპი — უშუამავლობა (непосредственность).

ერთა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ რაც უნდა მცოდნე და სვინიდისიერი იყოს მთარგმნელი, მისი უშუამავლობა მაინც არ არის სასურველი, რადგან ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა მეტად ძნელია და ხშირად შეუძლებელიც. ოტალიურად კალამბური კი არსებობს. ამის თაობაზე: traditore-traditore (მთარგმნელი მოღალატეაო). ამას დასძინეთ ის, რომ სასამართლოს თარჯიმნებს ხშირად ცოდნაც და პატიოსნებაც აკლიათ, და მაშინ ცხადად წარმოიდგენთ, თუ რა უკულმართი სამართალი უნდა გადაწყდეს იქ, საღაც ასეთი თარჯიმნები არიან. სამწუხაროდ ჩვენი ხალხის გამოცდილება ბევრ მაგალითს

წარმოგვიდგენს თარჯიმნების უვარებისობას და შათის წყალობით სამართლის დამახინჯებას...

მეორეს მხრით უსათუოდ რუსულ ენაზე სამართლის წარმოებას არავითარი სახელმწიფო ბრივი მიზანი არ მოითხოვს. პირიქით ასეთს მოთხოვნილებას მიზნად აქვს მხოლოდ ხალხის ძალად გარუსება, თუმცა ამ მიზანს იგი ვერასოდეს ვერ მიაღწევს, როგორც გამოცდილებას უკვე დაუმტკიცებია.

რადგან სწორი სამართლის ქმნა მოითხოვს ხალხის ენაზე მის წარმოებას, უსამართლობა და ძალ-მომრეობა იქმნება, ხალხს უთხრათ, რომ ეს სწორი სამართალი მხოლოდ მაშინ მოგეცემა, როცა რუსულ ენაზე დაიწყებ ლაპარაკსაო. უსამართლობა იქნება ასეთი წინადადება იმიტომ, რომ ხალხი ასეთ პირობას ვერ შეისრულებს: მაგალითი არ არის, რომ მთელი ხალხი ორ ენაზე ლაპარაკობდეს, და თავისი ენის და ვიწყება კი ხალხის სიკვდილი იქნებოდა. მაშასადამე ხალხი ამ პირობით,—რომ თავისი ენა დაივიწყოს და უცხო ენა შეისწავლოს,—ვერასოდეს ვერ ელირსებოდა სწორ სამართალს.

ადგილობრივი ხალხის ენაზე სამართლის წარმოების დამაბრკოლებელ მიზეზად, ჩვეულებრივ, ასახელებენ იმას, რომ კავკასიის ადგილობრივი ენები შრავალია და რუს არ შეუძლიან ყველა ეს ენები შეისწავლოსო, ან რად უნდა იყოს იძულებული რუსი რომელიმე ადგილობრივი ენა შეისწავლოს, როდესაც იგი დღეს აქ არის მოსამართლედ და ხვალ სხვაგან გადაიყვანებენ, და ეს ადგილობრივი ენა მისთვის სრულიად საჭირო არ იქნებაო.

ეს დაბრკოლება რომ ფაქტიურად მართალი იყოს, მაშინაც ყურადღებაში მისაღები არ იქნებოდა, რადგან ასეთი მოსაზრება კვლავ აგებულია იმ ცრუ საფუძველზე, რომ ვითომ. მოსამართლესათვის იყოს ხალხი გაჩენილი და არა მოსამართლე ხალხისათვის. დროა დარწმუნდნენ ხალხის გამგენი ამ აზრის უკულმართობაში და უსამართლობაში ვისაც მოსამართლეობა ან სხვა რამე მოხელეობა. უნდა რო-

მელსამე ხალხში, იგი ოლქურვილი უნდა იყოს ყოველივე ცოდნით და ლირსებით, რაც საჭიროა კეთილად მისი თანამდებობის შესასრულებლად. ამ ცოდნათაგანი პირველია ხალხის ცნობა და მისი ენისა.

ვარდა ამისა თვით ის სიძნელე ადგილობრივი ენების შესწავლისა, რომელსაც ასახელებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, მეტად გადაჭარბებულია.

მეტად გადაჭარბებულია ჯერ ენათა სიმრავლე. მოსცოდეს ჩვენს მოწინააღმდეგებს უცოდინარობით, თუ ბოროტ-გან-ზრახვით, არ ვიცით, მაგრამ ფაქტი კი ფაქტად რჩება. ავიღოთ მაგალითად კავკასიის აქეთა მხარე. ჩვენთაგანმა ვინ არ იცის, რომ აქ მეფობს სამი ენა, რომელთა შემწეობით ყველას იორიად წასვლა შეუძლია. ეს სამი ენა არის: ქართული, თაორული და სომხური. ჩვენი მოწინააღმდეგები ამათ უმატებენ მეგრულს, სვანურს, გურულს, იმერულს, ფშავურს, ხევსურულს და სხვათა, თითქოს სამეგრელოში და სვანეთში ქართულად არ ლაპარაკობდნენ. თითქოს გურული, იმერული, ფშავური და ხევსურული ქართულს არ წარმოადგენდნენ.

მართალია სამი ენის შესწავლაც ძნელია. რადგან მეოთხე ენაც—რუსული, როგორც სახელმწიფო ენა, უნდა იცოდეს მოსამართლემ, მაგრამ სამივე ენის ცოდნა *არ არის საჭირო, რადგან თვითეულ ენას აქვს თავისი რაიონი: ადგი, ლობრივ ენად უნდა ჩაითვალოს ის ენა, რომელზედაც უმრავლესობა ლაპარაკობს. ამ რიგად მოსამართლეს მხოლოდ ორი ენის ცოდნა დასჭირდება — ადგილობრივისა და რუსულისა, რაც განათლებული კაცისათვის ყოველთვის შესაძლებელია.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ამ აზრს ისე განმარტავენ ხულმე, რომ თუ სამართლი ადგილობრივ ენაზე უნდა სწარმოებდეს, მაშ ყველა იმ ენებზე უნდა სწარმოებდეს, რომლებიც ისმის ამა თუ იმ ადგილზე, რაც, მართლა, შეუძლებელია, — მაგრამ ეს ის გადაჭარბებაა, რომლის წყალობით სურსთ მართა-

ლი აზრი გააყალბონ. მართლაც ამ ახირებულს argumentum ad absurdum ჩვენი სუთ-განმანათლებელნი ყოველთვის ხმარობენ, როცა საქმე ადგილობრივი ენის უფლებაზე მიღება, სასა-მართლოში იქნება, — სკოლაში, თუ ეკკლესიაში...

მოწინააღმდეგენი აჭარბებენ აგრეთვე ადგილობრივი ენე-ბის შესწავლის სიძნელეს. ადგილზე ადგილის ენის შესწავლა იმდენად ძნელი არ არის. ამის მაგალითს წარმოგვიღენ ენის ყამწვილი კაცები, რომელიც საზღვარს გარეთ მიღიან უცხო ენის სრულიად უცოდინარნი და ერთი-ორი წლის განმავლო-ბაში უკან ბრუნდებიან საკმაოდ გაწვრთნილნი ამ ენაში.

დაუმატეთ ამას ის გარემოება, რომ ჩვენში საკმაოდ სა-ხლობენ რუსები, რომელნიც, თუ მათთვის ადგილობრივი ენა საჭირო იქნება, ისევე ადვილად შეითვისებენ მას ყმაწვი-ლობიდან, როგორც თავის დედა-ენას. დაუმატეთ კიდევ ის, რომ მოსამართლეებად უმეტეს ნაწილად თვით მკვიდრნი უნდა იყვნენ, და ცხადი იქნება, რომ ენის შესწავლის სიძნელის მხრით არავითარი დაბრკოლება არ უნდა შეხვდეს იმ პრინ-ციპს, რომ სამართალი ადგილობრივ ენაზე უნდა სწარმოებ-დეს. ვწუხვართ, რომ ამ პრინციპს გვერდი აუხვიეს კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში არა თუ რევერატის მოწინააღ-დეგებმა, არამედ თვით რევერენტმა და მისმა მომხრეებმაც.

ჩვენის აზრით ნაფიც მსაჯულთა სამსრთლის ეხლავე შე-მოლებას ჩვენში ჩვენსავე ენაზე წინ არაფერი უდგას. თუ მოგვე-ცემა ეს სამართალი, ეხლავე უმდა მოგვეცეს, სანამ ვცოცხ-ლობთ როგორც ქართველნი. მისდ შემოლების გადადება კი ad calendas grecas — როცა ჩვენ გავრუსდებოდეთ, ყოვლად უმსგავსოა. თვით ეს პირობა — გარუსება — ნიშნავს, პროფ. გრადოვსკის თქმის არ იყოს, предлагать смерть ради будущей

жизни. აქ უნებლიერ გვაგონდება · de Villeneuve-ის *) სი-
ტყვები; რომლითაც მან დაახასიათა ბიუროკრატია ჩვენში:
„elle tue pour régner; elle régne par la mort, elle régne
sur la mort.“ **)

*) De Villeneuve— La Géorgie. Paris, 1870.

**) „იგი ჰკლავს, რათა იბატონს, ბატონობს სიკვდილითა, ბატო-
ნობს სიკვდილზეო“.

დესაც ხლორი ძალიან აუვილად მოქმედია მათზედ ქლორლი-
თონების წარმოშობით. ეს ფაკტი საყურადღებო და მეტად
ჭისაკუირალიც არის, რადგან საზოგადოდ ქლორი ფლუორთან
შედარებით ნაკლებად ენერგიული გალოებისა.

ფლუორი ძალიან ადვილად მოქმედობს აგრეთვე წყალ-
მჰადოვან რთულ ნივთიერებებზედ, რომელიც ართმევს
წყალმბადს ფლუორწყალმბადის წარმოშობით. მაგალითად, ჩვენ
ულექრივ ტემპერატურაში ფლუორი ქიშიურად შლის წყალს
ფლუორწყალმბადის და ოზონის წარმოშობით შემდეგის თა-
ნასწორობით $3 \text{H}_2\text{O} + 6 \text{FL} = 6 \text{HFL} + \text{O}_3$. ამ საშუალებით მი-
ღებული ენერგიულად მოქმედი მუკვმბადი ტანით 140/0
წმინდა ოზონს შეიცავს. ამავე რეაქციით აიხსნება ნახ-
შიროვან ნივთიერებათა დაწვა-დანახშირება ფლუორის ზედ
მოქმედების დროს. ფლუორის მოლეკულიარული წონა მისი
სიმკირხნისა (19) და მიხედვით წყალმბადიან შედ რებით უდ-
რის: $19+2=38$. ს რადგან ამ ელემენტის უმცირესი წონით
რაოდენობა, რომელიც აღმოჩენილ იქნა სხვა და სხვა რთულ
ფლუორიან მოლეკულებში, უზრის 19. ს, ამისათვის აშკარაა
ფლუორის ატომიური წონაც უძველეს 19. ს. როგორც
შემდეგ დავინახავთ, ფლუორწყალმბადში ერთ ნაწილ წყალ-
მბადზედ ფლუორის 19 ნაწილი მოუდის ე. ი. ერთ ატომ
წყალმბადზედ ფლუორის ერთივე ატომი; ასე რომ ფლუორის
ატომიური მიმზიდველობა წყალმბადთან შედარებით უნდა
უდრიდეს ერთს, ამისა და მიხედვით ფლუორის მოლეკულის
მიმზიდველობით ფორმულა ამრიგად უნდა აღნიშნოს $\text{FL}-\text{FL}$ ან $\text{FL}-\text{FL}$, მოკლედ FL_2 .

ფლუორ წყალმბადი HFL .

ფლუორწყალმბადი პირველად აღმოაჩინა და დაამზადა
ფლუორშპატიდგან გოგირდის სიჩუავის ზედმოქმედებით 1771
წ. შეელემ. ამ სიმების დასამზადებლად პლატინუმის ან ტუვი-

ის რეტორტში*) მოთავსებულ დანაყულ ფლუსშპატს წყალნარევ გოგირდის სიმჟავეს დაასხამენ ხოლმე და ასეთ ნარევს ნელ-ნელ ცეცხლზედ გაახურებენ. ასეთ პირობებებში გოგირდის სიმჟავის და ფლუს-შპატის ურთიერთშორის ზედმოქმედებით სჩნდება გაზიური ფლუორიტყალმბადი. შემდევის თანასწორობით: $\text{Ca EL}_2 + \text{H}_2 \text{SO}_4 = \text{Ca SO}_4 + 2 \text{HFL}$, რომელიც გაზის გამყვან მიღებს შემწეობით შეგვიძლიან წყალში ჩაუშვათ და ამრიგად წყალ-ხსნილი სიმჟავე დავამზადოთ. რეაქციის დროს გაჩენილი გოგირდის სიმჟავის კალციუმი მარილი კი, როგორც მაგარი, არასაორთქლებელი ნივთიერება რეტორტშივე დარჩება. წმინდა უწყლო ფლუორიტყალმბადის მისალებად ხმარობენ მჟავე ფლუორ-კალციუმის მარილს. სხვა გალლოგენებსავით ლითონ კალციუმთან ან ნატრიუმთან შეერთებით ფლუორიც იძლევა ფლუორლითონებს KFL და Na FL-ს; მაგრამ გარდა ამ ჩვეულებრივ მარილებისა ცნობილია აგრეთვე ფლუორ-ტყალმბადის მჟავე მარილებიც, მაგალითად მჟავე ფლუორკალციუმი KFL. HFL, რომელიც თავის მოლეკულში გარდა ფლუორკალციუმისა ერთ ნაწილ ფლუორიტყალმბადსაც შეიცავს. წმინდა ფლუორიტყალმბადის დასამზადებლად პლატინუმის რეტორტში ჩაჰურიან ხოლმე მჟავე ფლუორ-კალციუმს და უკანასკნელს კარგად გაახურებენ ცეცხლის შემწეობით. ასეთ პირობებებში მჟავე ფლუორ-კალციუმიდვან ადგილად ნაკვისუფლდება წმინდა ფლუორიტყალმბადი, რომელსაც მოაგროვებენ ხოლმე გაცივებულს პლატინუმის კურკელში. ამ რეაქციის დროს, განთავისუფლებული ფლუორ-კალციუმი კი, რაღა თქმა უნდა რეტორტშივე დარჩება.

წმინდა ფლუორიტყალმბადი ჩვეულებრივ ტემპერატურაში წარმოადგენს უფერულ სითხეს, რომელიც სდულს $19,5^{\circ}$ გრადუსიან ტემპერატურაში, და მაგრდება 1025 გრადუსიან-

*) ამ რეაქციის განსაზორციელებლად ჭიქის რეტორტის ხმარება არ შეიძლება, რადგან ფლუორ-ტყალმბადი ადვილად მოქმედობს ჭიქის შემადგენელ ნაწილებზედ.

ში. მისი სიმჭიდროებენ 150 გრადუსა:ან ტემპერატურაში და უდრის 0,9879 (წყალთან შედარებით). ჰაერზედ ეს სიმუვე ძალიან ინიცირება, მას ძალიან მშვავე სუნი იქვს და ენერგიულ მოქმედების გამო აგებულობისათვის მეტად მავნებელია. წყალნარევი ფლორ-წყალმჴადი სხვა გალლოგენებზედ უფრო ენერგიულად მოქმედობს ლითონებზედ და ანთავისუულებს წყალმბადი. გარდა ოქროსა, პლატინუმისა და ტყვიისა ეს სიმუვე ხსნის ყველა დანარჩენ ლითონებს. ფლუორ-წყალმბადის მარილებთაგან უმეტესი ნაწილი აღვილად იხსნება წყალში, ზოგიერთი კი, როგორც, მყალითად, სპილენძის და ტყვიის. მარილები ძნელად. კალციუმის, სტრონციუმის და ბარიუმის მარილები არ იხსნებიან წყალში. ფლუორ-წყალმბადი აღვილად მოქმედობს აგრეთვე სილიციუმზედ, მინის უმთავრეს შემადგენელ ნაწილზედ და ამის გამო მას ხმარობენ. მინაზედ სხვა და სხვა სურათების და წარწერების დასამზადებლად. უკანასკნელ მიწნისათვის მინაზედ დაასხამენ ხოლმე თხლად გამტვალ თაფრულის სანთელს და შემდეგ გაცივებულ და კარგად გამაგრებულ სანთელზედ ლითონის ჩხირის შემწეობით სურვილისამყრი ამოსკრიან რამე სურათს ან წარწერას: ამგვარად დამზადებულ მინას ბატის ფრთის შემწეობით უსანთლო აღვილებზედ წყალ-ნარევ ფლუორ-წყალმბადს წაუსვამენ. ასეთ პირობებებზე რამდენიმე მინუტის განვალობაში სიმუვე ქიმიურად იმუქმედებს. მინაზედ, მას ოდნავ ამოსჭამს და ამრიგად სანთელს მოშორების შემდევ სასურველი მხატვრობა მინის კურკელზედ სამუდამოდ დარჩება. ფლუორ-წყალმბადის ფორმულა, როგორც სხვა გალლოგენ-სიმუვეების დაგვარა გამოკვლევები გვიჩვენებენ, არის NFL ე. ი. მისი მოლეკული შესდგება ერთ ატომ წყალმბადისაგან და ერთ ატომ ფლუორისაგან.

გაღოგენთა ურთიერთშორის შენაერთნი.

რადგან გაღოგენები ურთიერთშორის შეერთებილან წარმოშობენ ისეთ გვარ რთულ, არა მჭიდრო, ძალიან აღვილად

დასაშლელ ნივთიერებების, რომლებსაც ქიმიურ პრაკტიკაში თითქმის სულაც არ შეხვდებით, ამისათვის მათ შესხებ ჩვენ მხოლოდ მოკლედ ვიტყვით ორიოდ სიტყვას.

თუ ჩვენ 100 გრადუსამდე გაცივებულ ბრომზედ გაზოვან ხლორით ვიმოქმედებთ, ე. ი. უკანასკნელს შესაფერ საშუალებით ბრომში გავატარებთ, მივიღებთ წითელ-მობნელო, ადვილად წარმავალ ანუ ორთქლად მიმავალ ნივთიერებას შემდეგის ფორმულით. CL Br. იოდზედ ზედმოქმედებით ქლორი წარმოშობს ორგვარ რთულ ნივთიერებებს JCL და JCIს ე. ი. ერთ და სამხლორიოდს. ამ ორ სხვა და სხვა ნივთიერებების მიღება ელემენტებისაგან დამყარებული არის რეაქციისათვის. ალებულ ქლორის რაოდენობაზე. JCL წარმოადგენს წითელ-მობნელო ზეთს, რომელიც ადვილად იქცევა კრისტალლებად და ლილება $24,7^{\circ}$ გრადუსიან ტემპერატურაში. ამ ნივთიერების დუღილის ტემპერატურა $101,3^{\circ}$: წყლის ზედმოქმედებით JCI ადვილად იშლება ქიმიურად და მასთან ერთად აჩენს ორ სხვა და სხვა იოდის და მარილის სიმჟავეებს.

JCI-3 სამხლორიოდი წარმოადგენს გრძელ, ნევსებისებურ ყვითელი ფერის კრისტალლებს, რომლებიც ჰაერზედ ძალიან ადვილად ეძლევიან დისსოციაციას JCI და თავისუფალ ქლორის წარმოშობით. ასეთ გვარი დისსოციაცია შესამჩნევად იწყება ხოლმე, როდესაც ტემპერატურა 25° გრადუსამდე ადის. ეს ნივთიერება ძალიან ადვილად წარმავალი და მწვავე სუნისაა. ცოტაოდენი წყალი სამხლორიოდზედ თითქმის სულაც არ მოქმედობს, დიდი რაოდენობით კი წყალი ისე მოქმედობს მასზედ, როგორც JCI-ზედ ე. ი. ორ სხვა და სხვა სიმჟავეების წარმოშობით ხუთ ფლუორიდი JFLs მზადდება იოდის ზედმოქმედებით ფლუორ ვერცხლზედ და წარმოადგენს გამსჭრიას, მეტის მეტად ნისლოვანს და მწვავე სუნის სითხეს.

მეცნიერებასთან გალოოგენები

ქლორ-ჟანგი ანუ ლიპოხლოროვან სიმების ანლიდრიდი Cl_2O . ამ ნივთიერების მისაღებად თოვლით გაცივებულ ჭიქის შეღწი მოათავსებენ ხოლმე მშრალ ვერცხლის წყლის წითელ ფანგს და უკანასკნელზედ მოქმედობენ კარგად გამშრალ გაზოვან ქლორით. ასევ პირობეები ქლორი ქიმიურად მოქმედობს ვერცხლის წყლის ფანგზედ შემდეგის თანასწორობით $2 \text{HgO} + 2 \text{Cl}_2 = \text{Cl}_2\text{O} + \text{HgO}$. HgCl_2 . ე. ი. ქლორის ერთი მოლეკული ართმევს ერთ ატომ მეცნიერებადს ვერცხლის წყლის ფანგის ერთ მოლეკულს ხლორ ფანგის გასაჩენად; განთავისუფლებული ვერცხლის წყლის ატომი კი ქლორის მეორე მოლეკულს უერთდება და მასთან ერთად აჩენს ორ ქლორ ვერცხლის წყლის მოლეკულს, რომელიც თავის მხრით გაჩენისთანავე უერთდება ვერცხლის წყლის ფანგის მეორე მოლეკულს რომელ მარილოვან ნივთიერების ქსრედ წოდებულ ვერცხლის წყლის ფანგის და ორხლორ ვერცხლის წყლის ორ-რომელ მარილის გასაჩენად. ქლორის ფანგი მიღის მეორე ბოლოდგან გაზიურ მდგომარეობაში კარგად გაცივებულ ჭიქის ჭურჭელში გაღადის და ამრიგად ეს ყვითელ მოწითალო გაზი ბნელ-მოწითალო სითხეთ იქცევა, რომელიც სლულს $+5^{\circ}$ გრადუსიან ტემპერატურაში. სითხეულ მდგომარეობაში ეს ნივთიერება მეტად საშიშია, რადგან ცოტაოდენ შენძრევით ან ცოტაოდენ გოგირდის, ფოსფორის და ორგანიულ ნივთიერების ზედგავლენით ძალიან ენერგიულად იფეოქებს ხოლმე და თავისუფალ ელემენტებად გარდაიქცევა. ხლორფანგის მოლეკულიალური შედგენილება გამოარკვია ბალარმა. ამ მიზნისათვის მან მოათავსა გერმეტიულად თავდაღმა დამხობილ ვერცხლის წყლიან ჭიქის მიღმი 50 ც. ც. ხლორფანგისა და გახურების შემწეობით დაშალა ის თავისუფალ ქლორად და მეცნიერებად, მიიღო 75 ც. ც. უკანასკნელ გაზთა ნარევისა. ამას შემდეგ მიღმი მოთავსებულ გაზებში ბალარმა კალიუმ ტუტეს ხსნილი შეუშვა ქლორის ჩასაყლაპავად და დარწმუნდა, რომ დარჩენილ

შეავმბადის ტანის რაოდენობა უდრიდა 25 c. c. ასე რომ მიღმი მყრ ფ 75 c. c. ხლორმჟავმბადის ნარევში 50 c. c. გაზოვანი ქლორი ყოფილა. *) ქიმიურად დაშლილ ქლორჟანგის შემადგენელ გაზიურ ელემენტთა ტანების რაოდენობისა და მიხედვით ბალარმა დაამტკიცა, რომ გაზიურ მდგომარეობაში ამ ნივთიერების ყოველი ორი ტანი ქიმიურად დაშლის შემდეგ იძლევა ტანით ორნაწილ ქლორისას და ერთ ნაწილ მჟავმბადისას. აქედგან ავოგადროებრარის კანონისადა იხედვით უნდა დავსკვნათ, რომ ორ მოლეკულ ქლორისაგან და ერთ მოლეკულ მჟავმბადისაგან უნდა გასჩნდეს ქლორჟანგის ორი მოლეკული ამრიგად $2 \text{ Cl}_2 + \text{O}_2 = 2 \text{ ClO}$. სხანს, რომ ამ ნივთიერების მოლეკული უნდ იყვეს Cl_2O ; შემადგენელ ატომთა მიმზიდველობისა და მიხედვით ესევე ფორმულა უნდა აღინიშნოს ამრიგად $\text{O}=\text{Cl}-\text{Cl} \rightarrow \text{Cl}-\text{O}-\text{Cl}$. ქლორჟანგის სიმჭიდრე წყალმბადთან შედარებით უდრის 43,25-ს. რადგან ქლორჟანგი ადვილად ანთავისუფლებს თავის შემადგენელ ელემენტებს ქლორს და მჟავმბადს, ამიტომ ის ენერგიულად ახდენს დამჟავების და საზოგადოდ დაუანგვის პროცესსებს. ეს ნივთიერება, როგორც სამჟავო უანგეული, ადვილად იერთებს წყალს და იქცევა შესაფერ სიმჟავედ ესრედ წოდებულ ღიპოხლოროვან სიმჟავეთ შემდეგის თანასწორიბით $\text{Cl}_2\text{O} + \text{H}_2\text{O} = 2 \text{ ClO}\text{H}$.

ღიპოხლოროვანი სიმჟავე HClO .

ეს სიმჟავე ცნობილი არის მხოლოდ წყალხსნილ მდგომარეობაში. წყალნარევ ღიპოხლოროვან სიმჟავის დასაშუალებლად ხმარობენ ახლად, ჩალეკილ ვერცხლის წყლის უანგს.

*) აქ მიღებულია მხედველობაში ის ციტაოდენი რაოდენობაც ქლორისა, რომელიც გამოცდილების დროს შესაძლოა მიღმი მოთავსებულ ვერცხლის წყალს შეუერთდა.

უკანასკნელს ამ მიზნისათვის წყალში აურ-დაურევენ და ასეთ ნაჩევზედ გაზოვან ქლორით მოქმედებენ. აქ ერთსა და იმავე დროს ორგვარი რეაქცია ხდება, ერთის მხრით ქლორის ზედ-მოქმედებით ვერცხლიწყლის ჟანგი ქლორ-ჟანგს აჩენს, უკანასკნელი კი უერთდება წყალს და ნასთან ერთად ღიპოხლო-როვან სიმჟავედ იქცევა. თუ ჩვენ რეაქციისათვის ორ მოლეკულ ქლორზედ ერთ მოლეკულ ქლორ-ჟანგს ავიღებთ, მაშინ ღიპოხლოროვან სიმჟავესთან ერთად წყალში ადვილად გასახ-სნელი ორხლორვერცხლი ანუ სულემა. გაჩნდება შემდეგის თანასწორობით: $HgO + 2 Cl_2 + H_2O \rightleftharpoons HgCl_2 + 2 ClOH$. ასეთ პირობებში, ღიპოხლოროვანი სიმჟავე დისტილლაციის შემ-წეობით უნდა მოშორდეს სულემას. იმ შემთხვევაში კი, თუ რეაქციისათვის ორ მოლეკულ ხლორზედ ვერცხლის წყლის ჟანგის ორსავე მოლეკულს ავიღებთ, დისტილლაცია აღარ იქ-ნება საჭირო, რადგან რეაქციის დროს სულემის მაგივრად სჩნდება წყალში გაუქსნელი ორრთული სულემის და ხლორეან-გის მარილი შემდეგის. თანასწორობით: 2. $HgO + 2 Cl_2 + H_2O \rightleftharpoons HgCl_2 + 2 ClOH$. ასე რომ წმინდა წყალ სწნილ ღიპო-ხლოროვან სიმჟავის მისაღებად აქ საკმარისია რეაქციის პრო-დუქტი საწურავ ქალალდში გვატაროთ. განაწურავ წყალთან ერთად სიმჟავეც გადავა, ფილტრზედ კი ორრთული მარილი დარჩება. ღიპოხლოროვან სიმჟავის დასამზადებლად შეიძლება აგრეთვე დაბალ ტემპერატურაში რომელიმე ტუტეზედ, ვსთ-ქვათ, კალიუმ ტუტეზედ, ვიმოქმედოთ ქლორით. ასეთ რეაქ-ციის დროს წმინდა და თავისუფალ სიმჟავის მაგივრად უკა-ნასკნელის კალიუმ-მარილი, ესრედ წოდებული ღიპოხლორი-ტი და ქლორკალიუმი სჩნდება შემდეგის თანასწორობით 2. $KOH + Cl_2 \rightleftharpoons KCl + KClO + H_2O$. თავისუფალ სიმჟავის მისა-ღებად რეაქციის პროცესში შესაფერ რაოდენობის აზოტის სიმჟავეს მიუმატებენ ხოლმე, რომ ამნაირად ღიპოხლორიტის მოლეკულში კალიუმი წყალშადაცედ შესუვალონ შემდეგის თანასწორობით $KClO + HNO_3 \rightleftharpoons HClO + KNO_3$. ასეთი შეცვლი-თი რეაქცია აქ ძალიან ადვილად მიმდინარეობს, რადგან აზო-

ტის სიმუაცე უფრო ენერგიულია, ვიდრე ღიპოხლოროვანი სიმუაცე, აზოტის სიმუავის ზედმოქმედების შემდეგ გაჩენილ ღიპოხლოროვანი სიმუაცე. აზოტის სიმუავის ზედმოქმედების შემდეგ გაჩენილ ღიპოხლოროვან სიმუავს დისტილაციის შემწეობით მოაშორებენ აზოტის სიმუავის კალიუმ მარილს და ქლორიკალიუმს. წყალში გახსნილი ღიპოხლოროვანი სიმუაცე კონცენტრიულ მდგომარეობაში ე. ი. თუ მისი რაოდენობა წყალში მაქსიმალურ რაოდენობამდე არის ასული, წარმოადგენს ოქროს ფერის სითხეს, რომელიც ძაღლიან ადვილად იშლება მარილის სიმუავის და მუავმბაზის წარმოაშობით, არაკონცენტრიული წყალსნილი სიმუაცე კი დაუშლელად შეაძლება გადიდენოს და უფრო მაგარ, უფრო კონცენტრიულ სიმუაცედ გადაიკცეს. ღიპოხლოროვანი სიმუაცე, როგორც გამჟანგველი, ღამამჟავებელი ნივთიერება ბევრად უფრო ენერგიულად მოქმედობს, ვიდრე თანაბარ რაოდენობის ქლორი, რადგან პირველი ქიმიურად დაშლის ღროს ორჯერ მეტ მუავმბაზს ანთავისუფლებს, ვიდრე მეორე წყალზედ ზედმოქმედების ღროს. ამ ორ გამჟანგველ ნივთიერებათა შედარებითი მოქმედება აშკარად სჩანს შემდეგორ ქიმიურ თანასწორობებებში: $2 \text{Cl}_2 + \text{H}_2\text{O} = 2 \text{HCl} + \text{O}_2$.




მარილის და ღიპოქლოროვანი სიმუაცეები ურთიერთშორის ზედმოქმედებით სულაც ანთავისუფლებენ თავიანთ ქლორს და აჩენენ წყალს შემდეგის თანასწორობით $\text{ClOH} + \text{HCl} = \text{Cl}_2 + \text{H}_2\text{O}$.

როგორც ზევიდაც იყო ნათელამი, ღიპოხლოროვანი სიმუაცე მეტად სუსტი სიმუავეა: მას შესაფერ მარილებიდგან აღვილად ანთავისუფლებენ ყველა დანარჩენი სიმუავეები, ნამდირის სიმუავეცკუ. ქამიურ პრაქტიკაში ამ სიმუავის მაგიერად ხმარობენ მის მარილებს, ესრედ წოდებულ მათეთრებელ მარილებს, რომლებიც აღვილად მზადდებიან ქლორის ზედოქმედებით სხვა და სხვა ტუტეებზედ. ღიპოხლოროვან სიმუავს

მოლეკულიარული, მიმშიდველობითი ფორმული იქნება $H-O-Cl$ ან $H-O-Cl$, მაკლე $HOCL$.

ხლორჟანგი ClO_2 .

ხლორორჟანგი გაზური ნივთიერება არის და სწორი გა-
გარ ანუ წმინდა გოგირდის სიმეტავის ზედოქტედებით ბერტო-
ლეტის მარალზედ $KClO_3$ -ზედ. თავდაპირველად გოგირდის
სიმეტავის ზედმოქტედებით სწორი თავისუფალი ხლორ-სიმეტავე
 $HClO_3$ შემდეგის თანასწორობით:



ჭორისიმეტავე, პერხლორსიმეტავე.

გაზოვანი ხლორჟანგი ბნელ მოყვითალო ფერისაა; შეკ-
მუშვნის შემწეობით ის შეიძლება სათხელაც იქცეს და — 79°
გრადუსამდე გაცივებით კი მას შეუძლია მაგარი მდგომარეო-
ბაც მიიღოს, ყვითელ კრასტალლებად გარდაიქცეს. სითხეულ
მდგომარეობაში ხლორორჟანგი სდელს $9,9^{\circ}$ გრადუსიან ტემპე-
რატურაში. ამ ნივთიერებას თავისებური, არეული, ხლორის
და ლამწვარ შაქრის სუნი აქვს. სითბოს და ორგანიულ ნივ-
თიერებების ზედვავლენით ან მექანიკურ შენძრევით ხლორ-
ორჟანგი ხლორჟანგზედ უფრო ძლიერ იფეთქებს. მის ენერ-
გიულ მოქმედების დასამტკაცებლად ლაბორატორიებში წმინ-
დად დანაყულ შაქარს მიუმატებენ ბერტოლეტის მარილის
ფხვნილს, ასეთ ნარევს კარგად აუზევენ ერთი ერთმანეთში
და კიქის ჩხირის შემწეობით მას ერთ წვეთ მაგარ გოგირდის
სიმეტავს დასხამენ. ასეთ პირობებში გოგირდის სიმეტავე ბერ-
ტოლეტის მარილზედ ზედმოქმედებით აჩენს ხლორორჟანგს,
რომელიც გაჩენისათანავე ირლვევა ქამიურად და დიდის ენერ-

გიის წარმოშობით, ეფექტურის ალის გაჩენით, სწრაფადვე ააფეთქებს შაქრის და ბერტოლეტის მარილის ნარევს.

ხლორორეანგრეს მოლეკულიარულ შედგენცლების გამოსარკვევლად გეი-ლიუსაკიმა მოათავსა ეს გაზი კაპილიარულ ჭიქის მიღმი, რომელიც ბოლოებიდგან ცოტა მოშორებით, შეაზედ სამ ადგილას ბურთებით გამობერილო იყო. ხლორორეანგრით ჭიქის ბურთების გასავსებად გეი-ლიუსაკი ხანგრძლივად უშვებდა მას კაპილიარულ მიღმის ერთ ბოლოდგან მეორესაკენ და როცა დარწმუნდა, რომ ბურთები გაზით გაივსნენ, გახურების შემწეობით ქიმიურად დაშალა შათში მოთავსებული გაზოვანი ნივთიერება და ამ რიგად მიღმო ამ როულ, გალოგუნ-მჟავმბადოვან ნივთიერების შემადგენელ ელემენტებთა ნარევი. ასეთ პირობებებში ე. ჩ. კაპილიარულ მიღმი სითბოს ზედგალენით ხლორორეანგრი უანგი აუფეთქებლად და ადვილად იშლება ქიმიურად თავის შემადგენელ ნაწილებად; ასე რომ თუ წინდაწინვე ვიცით კიპილიარულ ბურთების ტანითი როლენობა, ცხელია, გვეცანება თუ რამდენი ტანის ხლორო-ეანგრი დაფშალეთ ქიმიურად და რამოდენი ტანის ხლორის და შეავმბადეს ნარევი მივიღეთ ასეთ დაშლის შემდეგ. უკანასკნელ მიზნისათვის ხლორო-ორეანგრის დაშლამდე კაპილიარულ მიღმის მეორე ბოლო რაიმე გაზის მოსაგროვებელ ჭურჭელთან უნდა იყვეს შეერთებული. გეი-ლიუსაკიმაც იმრიგად გაიგო ალებულ ხლოროეანგრის და მის შემადგენელ გაზოვან ელემენტებთა ტანითი როლენობა; შემდეგ ცალკე მოგროვილ ხლორო-ორეანგრის ელემენტებთა ნარევს კალიუმტუტეს ზედმოქმედებით ხლორი მოაშორა და დარჩენილ მჟავმბადის ტანითი რაოდენობისა და მიხედვით ხლორო-ორეანგრის დაშლით გაჩენილ ხლორის ტანითი რაოდენობაც გაიგო. ამ ნაირად გეი-ლიუსაკიმა გამოიკვლია, რომ გაზიურ ხლორო-ორეანგრის ორი ტანი ქიმიურად დაშლის შემდეგ იძლევა ტანით ერთ ნაწილ ხლორის და ორ ნაწილ მჟავმბადს; აედგან კი ავოგადროებერარის კანონისადა. მიხედვით დასკვნა, რომ ერთ მოლეკულ ხლორისაგან და ორ მოლეკულ მჟავმბადისაგან სწორდება ორი ერთნაირი

რი მოლეკული ხლორ-ორჟანგისა ამრიგად $\text{Cl}_2 + \text{Na}_2 = 2 \text{ ClO}_2$ ე. ი. ხლორორჟანგის მოლეკული უნდა შესდგებოდეს ერთ ატომ ქლორისაგან და ორ ატომ მჟავმბადისაგან. რადგან ხლორორჟანგის მოლეკულში ერთ ატომ ხლორთან მჟავმბადის ორი ორ მიმზიდველოვანი ატომები არიან შეერთებულნი, ამისათვის უნდა დაგუშვათ, რომ აქ ხლორის ატომი თავის მიმზიდველობის ხსიათს ცვლის და ერთ მიმზიდველობის მაგივრად მჟავმბადთან შესაერთებლად ან ორს ან ოთხ მიმზიდველობას იჩენს. ამიტომ მისი მიმზიდველობითი მოლეკულიარჟული ფორმულა იქნება ან $\frac{\text{O}-\text{O}}{\text{CL}}$ ანა და $\text{Cl}=\overset{\text{O}}{\underset{\text{O}}{\text{—}}}.$ როგორც შემდეგ დავინახავთ, გალოგენები მჟავმბადთან შეერთების დროს სულ სხვას და უფრო მეტ მიმზიდველობას იჩენენ, ვიდრე წყალმბადთან შეერთების დროს. ხლორჟანგის სიმჭირხნე წყალმბადთან შედარებით 10° გრადუსიან ტემპერატურაში უდრის $34,5.$

ხლოროვანი სიმჟავე $\text{HClO}_2.$

ეს სიმჟავე თავისუფალ მდგომარეობაში არ არის ცნობილი; მისი სხვა და სხვა ლითონ მარილების მისაღებად კი ხმარობენ ხლოროვან სიმჟავის ნატრიუმ მარილს. უკანასკნელის დასამზადებლად ხლორორჟანგის წყალსნილზედ მოქმედობენ ლითონ ნატრიუმის გადაჟანგით შემდეგის თანასწორობით $2 \text{ ClO}_2 + \text{Na}_2\text{O} = 2 \text{ NaClO}_2 + \text{O}_2.$

როგორც თანასწორობილგან სჩანს, ამ რეაქციის დროს თავისუფალი მჟავმბადიც სჩნდება. თუ ჩეენ წყალში გახსნილ ხლოროვან სიმჟავის ნატრიუმ მარილს წყალშივე გახსნილ ძმარის სიმჟავის ტყვიის მარილს მიუმატებთ, მივიღებთ სითხეში ჩალუკილ ყვითელ კრისტალლიურ ფურცლებს ესრედ წოდებულ ხლოროვან სიმჟავის ტყვიის მარილისას $\text{Pb} (\text{ClO}_2)_2.$ ას გრადუსიან ტემპერატურაში ეს ნივთიერება დღვილად ასაფერ ექცევლია. რადგან ამ სიმჟავის ტეორეტიული ფორმულა მის.

ნატრიუმ მარილისადა მიხედვით იქნება HClO_3 , ტყვიის ატომი კი წყალმბადის ატომთან შედარებით ორ მიმზიდველოვანია, ცხადია, ტყვიის მარილის გასაჩენად ამ სიმჟავის ორ მოლეკულში წყალმბადის ორი ატომი ტყვიის ერთ ატომზედ უნდა შეიცვალოს შემდევის თანასწორობით $2 \text{HClO}_2 + \text{Pb} = \text{Pb} (\text{ClO}_2)_2 + \text{H}_2$.

არ არის ცნობილი აგრეთვე ამ სიმჟავის ანლიდრიდიც, რომელიც ტეორეტიულად ორ მოლეკულ ხლოროვან სიმჟავისაგან უნდა წარმოსვგეს ერთ მოლეკულ წყლის წართვევით ამრიგად $2 \text{HClO}_2 = \text{Cl}_2\text{O}_3 + \text{H}_2\text{O}$. ხლოროვან სიმჟავის მიმზიდველობითი ფორმულა ასე შეიძლება აღინიშნოს $\text{O}=\text{Cl}-\text{OH}$.

ზფთრისიმჟავე HClO_3 .

ამ სამჟავის მისაღებად წმარობენ ხლორსიმჟავის ბარიუმ-მარილს ($\text{ClO}_3)_2 \text{Ba}$. უკანასკნელს გახსნან ხოლმე წყალში და ასეთს მღვმარეობაში მას ნელ-ნელა წყალსნილსავე გოგირდის სიმჟავეს მიუჰატებენ. გოგირდის სიმჟავე, როგორც უფრო მაგარი, უფრო მჭიდრო სიმჟავე ხლორსიმჟავის მარილს ართმევს ბარიუმის ატომებს. წყალში გაუხსნელ გოგირდმჟავბარიუმის გასაჩენად, რომელიც ჭურჭელში ძირისაკენ ილეკება; გოგირდის სიმჟავისაგან განთავისუფლებული წყალმბადის ატომები კი ბარიუმის ადგილს იკვერენ და ამრიგად ხლორსიმჟავის მოლეკულებს წარმოშობენ შემდეგის თანასწორობით ($\text{ClO}_3)_2 \text{Ba} + \text{SO}_4\text{H}_2 = \text{SO}_4 \text{Ba} + 2 \text{ClO}_3\text{H}$. ამ რეაქციისა და მიხედვით გოგირდის სიმჟავის მიმატება უნდა შეჩერებულ იქნას, როდესაც დალეკილ გოგირდმჟავ-ბარიუმს ზევით მოთავსებული სიახე დაწმენდის შემდეგ სიმჟავის ახალ წვეთების მიმატებით აღარ აჩენს ბარიუმის თეთრ მარილს. ამას შემდეგ ხსნილში არეულ გოგირდ მჟავბარიუმს საწურავ ქალალდში გაატარებენ და ამრიგად განაწურ სითხეში მიიღებენ წყალნარევ ხლორსიმჟავეს. მაგარ ხლორსიმჟავის დასამზადებლად ფრუორის ჯამზედ დასხმულ წყალნარევ სიმჟავეს მრათავსებენ ხოლმე ჰაე-

რის გამომწერვნელ ჭიქის ზარაში, ესრედ წოდებულ ვაკუუმ
ექსიკატორში. საზოგადოდ ყოველ ექსიკატორში ანუ წყლის
წამრთმევ, გამაშრობელ ხელსაწყოში მოთავსებულია აგრეთვე
ან ფარფორისავე ჯამის შემწეობით ანა და პირდაპირ ექსიკა-
ტორის ძირზედ მაგარი გოგირდის სიმჟავე და მასში გასაშრობ
ნივთიერების მოსათავსებლად ჩამდგარია ფარფორის ან ჭიქის
შესაფერად მოწყობილი სადგმელი. ვაკუუმექსიკატორში მო-
თავსებული წყალსხნილი ხლორსიმჟავე ჰაერის ზედღაწილის
შემცირებისა და მიხედვით ადვილად ჰკარგავს წყლის უმეტეს
ნაწილს, რომელსაც ითვისებს ხელსაწყოში მოთავსებული მა-
გარი გოგირდის სიმჟავე; ასე რომ ამ საშუალებით შეიძლება
40% -ი სიმჟავე დამზადდეს, თუ წყლის წართმევა ასეთ კონ-
ცენტრაციას აღემატა, სიმჟავე ადვილად იწყებს ქიმიურად და-
შლის მჟავმბადად და პერხლორსიმჟავეთ.

მაგარი, კონცენტრიული ხლორსიმჟავე ძალიან ენერგიუ-
ლად გამჟანგველ ნივთიერებას წარმოადგენს. გოგირდი, ფოს-
ფორი, ალკოჰოლი, ხე, ქალალი და სხვა ორგანიული ნივ-
თიერებანიც ასეთ გვარ სიმჟავის ზედგავლენით ადვილად იწვე-
ბიან, ადვილად იშლებიან ქიმიურად. მარილის სიმჟავე ხლორ-
სიმჟავის ზედმოქმედებით აჩენს წყალს და ხლორს ამრიგად $\text{ClO}_3\text{H} + 5 \text{ HCl} = 3 \text{ H}_2\text{O} + 3 \text{ CCL}$. ხლორსიმჟავის მარილები ად-
ვილად მზადდებიან ხლორის ზედმოქმედებით კონცენტრიულ
და გაცხელებულ ტუტებსნილებზედ შემდევის თანასწორიობით
 $6 \text{ KOH} + 3 \text{ Cl}_2 = 5 \text{ KCl} + \text{ClO}_3\text{K} + 3 \text{ H}_2\text{O}$. ამრიგად გა-
ჩენილ ხლორსიმჟავის მარილის და ხლორმარილის ერთი მეო-
რისაგან დასაშორებლად ხმარობენ კრისტალად ქსევის საშუა-
ლებას. ჩვენ შემთხვევაში ხლორსიმჟავის კალიუმმარილი ძნე-
ლად იხსნება (კი წყალში, ხლორკალიუმი კი ადვილად; ასე
რომ, თუ ჩვენ გაცხელებულ რეაქციის პროდუქტებს კარგად
გავაცივებთ, მივიღებთ კრისტალლიურ მდგომარეობაში თავი-
სუფალ ხლორსიმჟავის კალიუმ მარილს ესრედ წოდებულ ბერ-
ტოლეტის მარილს. ხლორკალიუმი კი წყალშივე გახსნილი
დარჩება. სულ წმინდა ბერტოლეტის მარილის დასამზადებ-

ლად, რაღა თქმა უნდა, საჭიროა კრისტალლად ქუვის რა-
შოდენჯერმე გამეორება ახალ აღულებულ ცხელ წყლიდგან.

ხლორსიმეუვის მოლეკულიარულ შედევნილების გამოსარ-
კვევლად სტასმა დაამზადა და ანალიტიურად გამოიკვლია მისი
ვერცხლის მარილი. ასეთ ანალიზისადა მოხედვით სტასმა და-
ამტკიცა, რომ ეს მარილი შეიცავს $56,3948\%$ ვერცხლისას.

18,5227 „ ხლორისას.

და 25,0795 „ მევმბადისას.

რაგან ვერცხლის ატომის წონა უდრის $107,93$ -ს, ხლო-
რის $35,45$ -ს, მევმბადის 16 -ს, ცხადია, სხვა და სხვა ატომთა
შედარებითი რაოდენობა ამ მარილის მოლეკულში უნდა უდ-
რიდეს ვერცხლისათვის $\frac{56,3948}{107,93} = 0,52$, ხლორისათვის $\frac{18,5227}{35,40}$

$= 0,52$ და ბოლო საც მევმბადისათვის $\frac{25,0795}{16} = 1,58$. დამო-
კიდებულება $0,52 : 0,52 : 1,58$ ძალიან დახლოვებულია შემ-
დეგ უბრალო დამოკიდებულებასთან $1 : 1 : 3$; აქედან სტასმა
დასკვნა, რომ ხლორსიმეუვის ვერცხლის მარილის მოლეკული
უნდა შესდგებოდეს ერთ ატომ ვერცხლისავან, ერთ ატომ
ხლორისაგან და სამ ატომ მევმბადისაგან შემდეგის ფორმუ-
ლით $\text{ClO}_3 \text{Ag}$, თვით სიმეუვის მოლეკული კი ერთ ატომ
ხლორისაგან, ერთ ატომ წყალმპადისაგან და სამ ატომ მევ-
მბადისაგან შემდეგის ფორმულით HClO_3 . ამ მოლეკულის
მიმზიდველობითი ფორმულა ასე უნდა აღინიშნოს $\text{Cl} - \text{OH} = 0$
ე. ი. უნდა დაუშებთ, რომ ამ მოლეკულში ხლორი ხუთ მიმ-
ზიდველოვანი ელემენტია.

პერსლორიმეუვი HClO_4 .

პერხლორსიმეუვის მისაღებად მისსავე კალიუმ-მარილზედ
მოქმედობენ $96 - 97,5$ პროცენტიან გოგირდის სიმეუვით და
ამრიგად მიღებულ ჩაქციის პროცენტიდგან ვაკუუმში დის-
ტილაციის შემწეობით ამზადებენ წმინდა სიმეუვეს. ეს სიმ-

უავე სდულს 39 გრადუსიან ტემპერატურაში 56 მმ. III. ჰა-
რის ზედაწოლის პირობაში. მისი სიმჭიდრე 15 გრადუსიან
ტემპერატურაში უდრის 1,764-ს. უწყლო, წმინდა პერხლორ-
სიმჟავე წარმოადგენს მოყვითალო, აღვილად მოძრავ სითხეს,
რომელიც ჰაერზედ ძალიან ინისლება და დაბალ ტემპერატუ-
რებში მაგარ მდგომარეობისაა. მაგარი პერხლორსიმჟავე ლლვე-
ბა 15 გრადუსიან ტემპერატურაში. წმინდა პერხლორსის ჟავე
ნელ-ნელა იშლება ქიმიურად და დროისადა მიხედვით ბელ
ფერს იღებს. ფოსფორის, გოგირდის, ნახმირის და სხვა და
სხვა ორგანიულ ანუ ნახშიროვან ნივთიერებების ზეგვავლე-
ნით ეს სიმჟავე აღვილად და ენერგიულად იშლება ქიმიურად.
წყლის ზეგვავლენით პერხლორსიმჟავე აჩენს სხვა და სხვა
ლიდრატებს, რომელთაგან ყველაზედ უფრო კარგად ცნობი-
ლია ლიდრატი შემდეგის ფორმულით $HClO_4$, H_2O ე. ი. რომ
ლის მოლეკული შესდგება ერთ მოლეკულ სიმჟავისაგან და
ერთ მოლეკულ წყლისაგან. ეს ლიდრატი აღვილად იღებს
კრისტალლიურ მდგომარეობას და ასეთ მაგარ მდგომარეობაში
ლლვება 50 გრადუსიან ტემპერატურაში. თუ პერხლორსიჟავეს
ერთ მოლეკულზედ უფრო მეტ წყალს მიუმატიროთ, მივიღებთ
ზეთისებურ ანუ მაგარ გოგირდის სიმჟავის დაგვარ სითხეს, რო-
მელიც შეცავს 71,60% პერხლორსიმჟავისას და დისტალლი-
ციის შემწეობით იძლევა 2030 გრადუსამდე მდუღარე ლიდ-
რატს სიმჭიდრენით. 1,8%. პერხლორსიმჟავის მარილები ესრედ
წოდებულნი პერხლორატები ყველანი აღვილად იხსნებიან
წყალში. მხოლოდ კალიუმ და განსაკუთრებით კა რუბიდიუმ:
მარილები ძალიან ძნელად იხსნებიან წყალში. პერხლორსიმჟა-
ვის მოლეკულიარულ შედგენილების გამოსარკვევლად დაშა-
ლეს ქიმიურად განსაზღვრული რაოდენობა მის კალიუმშარია
ლისა, გაიგეს უკანასკნელ მარილის რაოდენობისადა მიხედვაზ
ქიმიურად დაშლის დროს წარმოშობილ მეუმბადის რაოდენო-
ბა, აგრეთვე ხლორის და კალიუმის რაოდენობაც მიღებულ
ხლორკალიუმში და შესაფერ გამოანგარიშებით პერხლორსიმ-
ჟავის კალიუმარილისათვის გამოიყანეს შეცდეგი ემპირმული

ფორმულა $KClO_4$, აქცდგან კი თვით სიმჟავის ფორმულაც $HClO_4$. პერსლორსიმჟავის მოლეკულიარული მიმზიდველობითი ფორმულა იქნება*) $H_0 \cdot Cl = O$ ₀⁼. უკანასკნელში ხლორი შვიდ მიმზიდველოვან ელემენტად უნდა ჩაითვალოს.

ხლორშვიდფენგი 07. Cl_2

ეს ნივთიერება წარმოადგენს პერსლორსიმჟავის ანლიდრდს, რომელიც ტეორეტიულად უნდა წარმოსდგეს ორ მოლეკულ სიმჟავისაგან ერთ მოლეკულ წყლის წართმევით : $2 HClO_4 - H_2O = Cl_2$ 07. უკანასკნელის მისალებად — 10^0 გრადუსიან ტემპერატურაში წმინდა პერსლორსიმჟავეზედ ნელნელა მოქმედობენ ხუთუანგფოსფორით. ამგვარზედმოქმედებით გაჩენილ პროდუქტიდგან დისტილლაციის შემწეობით მიიღებენ წმინდა, გამჭრიას სითხეს ხლორშვიდფენგისას, რომელიც სდულს 82^0 გრადუსიან ტემპერატურაში. ხლორშვანგის მოლეკულის მიმზიდველობითი ფორმულა ასე შეიძლება აღვნიშნოთ $O = Cl - O - Cl = O$ ₀⁼ ე. ი. ხლორი აქაც შვიდ მიმზიდველოვან ატომად უნდა ჩაითვალოს.

ბრომშვანგი და უნგრენგი შენაერთნი.

ლიპობრომისიმჟავე $HBrO$.

ბრომ შვანგბატოვან ნივთიერებათაგან ცნობილია ორი სიტუაცია: ლიპობრომისიმჟავე და ბრომისიმჟავე; ბრომის უწყალმბადო უნგრეულობანი კი სულაც არ არიან ცნობილნი.

*) როგორც სიმჟავეების საზოგადო განხილვაშიაც გვქონდა მოხსენებული, სიმჟავეებში წყალმშალის ის ატომები, რომლებიც ადვილად უთმობენ თავიანთ ადგილს ლითონთა ატომებს, ცენტრალურ ანუ სიმჟავის უმთავრეს დამახასიათებელ ელემენტან მჟავმბადის შემწეობით უნდა იყვნენ შეერთებულნი.